

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, საერთაშორისო სამართლის  
ინსტიტუტი

ნინო ფარსადანიშვილი

საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობა ვაჭრობის  
მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტული სამართლის მიხედვით

სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური  
ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ირინე ქურდაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის  
პროფესორი



უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

თბილისი  
2015

# სარჩევი

ნაშრომში გამოყენებული შემოკლებების სია.....	4
შესავალი.....	5
<b>I. ვმო – ჩამოყალიბების ისტორია და მისი როლი საქრთაშორისო სამართლის განვითარებაში.....</b>	<b>9</b>
I.1 ვმო – ჩამოყალიბების ისტორია.....	9
I.2 საქრთაშორისო სამართლის ნორმათა თანაფარდობა ვმო-ის სამართლის ფარგლებში.....	14
I.3 სახელშეკრულებო ნორმათა და ჩვეულებით ნორმათა თანაფარდობა ვმო-ის სამართალში.....	17
I.3.1 ჩვეულებითი სამართალი.....	19
I.3.2 საქრთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი.....	20
I.4 ვმო საქრთაშორისო სამართლებრივ სისტემაში.....	24
I.4.1 ვმო-ის ძირითადი ხელშეკრულებები.....	29
I.4.2 თანამედროვე მსოფლიო ვაჭრობის ძირითადი პრინციპები.....	30
<b>II. მიგრაციის მართვა ვმო-ის ფარგლებში – GATS-ის მაგალითზე.....</b>	<b>34</b>
II.1 GATS-ის მიზნები.....	38
II.2 საქრთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში დადგენილი მიგრანტთა კატეგორიები.....	39
II.3 GATS-ის ფარგლებში არსებული უფლებები და ვალდებულებები.....	41
II.4 GATS-ის ფარგლებში ნაგულისხმები სერვისები.....	45
II.5 GATS-ი და სოციალური მუხლი.....	48
II.6 სახელმწიფოთა მიერ დადგენილი სტანდარტები - ცირკულარული მიგრაცია..	51
II.7 საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვა GATS-ის იმპლემენტაციის მიზნებისათვის.....	55
II.8 საქართველოს მიერ მომსახურებით ვაჭრობის მიმართულებით ვმო-ის ნაკისრი ვალდებულებების მიმოხილვა.....	55
II.8.1 დროებითი მიგრაციის მიმართულებით არსებული საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვა.....	58
II.8.2 ასოცირების შეთანხმება ევროკავშირთან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში მიგრაციასთან დაკავშირებით აღებული ვალდებულებების ჭრილში.....	61
<b>III. დავების განმხილველი ორგანო.....</b>	<b>69</b>
<b>IV. საქრთაშორისო სამართალში არსებული კონკურენტული იურისდიქციები.....</b>	<b>79</b>
IV.1 ვაჭრობასთან დაკავშირებული კონკურენტული იურისდიქციები.....	80
IV.2 ვმო და გარემოს სამართალი.....	83

V. ვმო-ის დავეების განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილებათა იმპლემენტაცია.....	93
V.1 ვმო-ის ფარგლებში აღებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის დადგენილი სანქციები .....	96
V.2 სახელმწიფოთა მიერ ვმო-ის დავეების განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილებათა აღსრულება .....	99
V.2.1. სახელმწიფოთა შიდა კანონმდებლობები.....	100
V.2.1.1. განვითარებული სახელმწიფოები.....	100
V.2.1.2 განვითარებადი სახელმწიფოები.....	109
VI გამონაკლისები ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში დადგენილი რეჟიმიდან.....	117
VI.1. სავაჭრო პრინციპების ზოგადი მიმოხილვა ნებისდამრთველი ნორმის შეფასების მიზნებისათვის.....	117
VI.2. ნებისდამრთველი ნორმა – ზოგადი მიმოხილვა .....	118
VI.3. არადისკრიმინაციული მოპყრობის განზოგადებული ბუნება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სამართალში.....	120
VI.4. დისკრიმინაციის აკრძალვა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სამართალში.....	121
VI.5. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში დადგენილი განსხვავებები განვითარებად სახელმწიფოებს შორის.....	122
VI.6. საქართველო მსოფლიო სავაჭრო სისტემაში შეღავათიანი მოპყრობის პირობების არსებობის ფონზე.....	124
VII ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში ამ უკანასკნელის გაწევრიანების ფონზე.....	133
დასკვნა.....	138
ბიბლიოგრაფია .....	147

## ნაშრომში გამოყენებული შემოკლებების სია:

ვმო – ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია  
გკ. – გვერდი  
თბ. – თბილისი  
AB – Appellate Body  
ACC. – Accession  
AJIL – American Journal of International Law  
Art. – Article  
BSEC – Organization of the Black Sea Economic Cooperation  
Cit. – Cited  
DS – Dispute Settlement  
DSU – Dispute Settlement Understanding  
Eds. – Editors  
EC – European Commission  
ECHR – European Court of Human Rights  
EMN – European Migration Network  
etc. – etcetera  
EU – European Union  
GATT – General Agreement on Tariffs and Trade  
GATS – General Agreement on Trade in Services  
GEO – Georgia  
GSP – Generalized System of Preferences  
ICJ – International Court of Justice  
INT'L L – International Law  
J. – Journal  
MICH. – Michigan  
NAFTA – North Atlantic Free Trade Agreement  
NATO – North Atlantic Treaty Organization  
OECD – The Organization for Economic Cooperation and Development  
p. – Page  
PCIJ – Permanent Court of International Justice  
PR – Panel Report  
para. – Paragraph  
paras. – Paragraphs  
R – Report  
RUS – Russian Federation  
TRIPS – Trade Related Aspects of Intellectual Property Rights  
UN – United Nations  
US – United States  
Vol. – Volume  
WT – World Trade  
WTO – World Trade Organization

## შესავალი

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (ვმო) თანამედროვე საერთაშორისო სამართალში მიხნეულია ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ საერთაშორისო ორგანიზაციად, რომელიც წამყვან როლს ასრულებს საერთაშორისო ვაჭრობის კოორდინებულად წარმართვის საქმეში.

საერთაშორისო სამართალსუბიექტურობის მქონე ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია დღეს არსებული ფორმით მხოლოდ 1994 წლიდან არსებობს. მიუხედავად ორგანიზაციის დაარსებიდან ასეთი მცირე დროის გასვლისა, ვმო-ის სამართლის როლი საერთაშორისო სამართლის განვითარებაში საკმაოდ ანგარიშგასაწვევად ითვლება სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების მოწესრიგების პროცესში. სპეციალურ ლიტერატურაში არსებული აზრთა სხვადასხვაობის კვლადაკვალ კიდევ უფრო მეტად იპყრობს ყურადღებას ვმო-ის საერთაშორისო სამართლისადმი კუთვნილების საკითხი და ის დამოკიდებულება, რაც ამ ორგანიზაციას, როგორც ასეთს, აქვს საერთაშორისო საჯარო სამართლისადმი.

ვმო-ის სამართალსა და პრაქტიკაზე საუბრისას კიდევ უფრო მეტად იპყრობს ყურადღებას კონკურენტული იურისდიქციებისა და დროში თანმიმდევრულად მოქმედი მსგავსი ტიპის საერთაშორისო სახელშეკრულებო ნორმების თანაფარდობის საკითხი. თანამედროვე საერთაშორისო სამართლის განვითარების მიზნებისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია იმის შეფასება, თუ როგორი ურთიერთმიმართებაა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში აღებულ ვალდებულებებსა და წევრ სახელმწიფოთა მიერ სხვა ორგანიზაციების ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებებს შორის; როგორ წყდება სახელშეკრულებო ნორმების კოლიზიის საკითხი და რა მექანიზმები არსებობს საერთაშორისო სავაჭრო სისტემაში სახელმწიფოთა საიძულებლად ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმართულებით. ამ საკითხების ანალიზისას არანაკლებ ყურადღებას იპყრობს სახელმწიფოთა ხედვა ეკოლოგიური გამოწვევების დაძლევის მიმართულებით და იმ პრიორიტეტების განსაზღვრა, რაც წინ უძღვის საერთაშორისო სამართლის სუბიექტების მიერ სახელშეკრულებო ნორმების შესრულების პროცესს.

საერთაშორისო სავაჭრო სამართლისა და საერთაშორისო საჯარო სამართლის ურთიერთმიმართების დასადგენად განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია, ასევე, საერთაშორისო სამართლისა და შიდა სამართლის თანაფარდობის საკითხის შესწავლა და იმის დადგენა, თუ როგორი ხედვა აქვს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციას საერთაშორისო სამართალთან შიდა სამართლის მიმართებისა და

სამართლებრივი ნორმების უპირატეს იურიდიულ ძალასთან დაკავშირებით.

ნაშრომის მიზნებისათვის ასევე არსებითი მნიშვნელობის მატარებელია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დავეების განხილვის მექანიზმის შეფასება და იმის დადგენა, თუ როგორი სისტემით მუშაობს ეს ორგანო - იყენებს იგი დავის გადაწყვეტის ტრადიციულ მეთოდებს, თუ რაიმე განსხვავებულ გზას მიმართავს, რათა, ერთი მხრივ, გამოიტანოს გადაწყვეტილება სადავო საკითხზე და, მეორე მხრივ, აიძულოს სახელმწიფოები, შეასრულონ მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები. ვმო-ის წარმატებული პრაქტიკის ანალიზისას განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საერთაშორისო სავაჭრო სისტემაში არსებული სანქციების მექანიზმი და იმის შეფასება, თუ რამდენად ეფექტურად ხდება ორგანიზაციის მიერ მათი პრაქტიკაში დანერგვა. სანქციების გამოყენება, თავის მხრივ, უკავშირდება ისეთ მნიშვნელოვან ასპექტს, როგორცაა სახელმწიფოთა უფლებრივი თანასწორობა და საკუთარი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა სადავო საკითხის განხილვისა და მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნებისათვის. ეს საკითხი ბადებს კითხვებს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის ეფექტურობისა და განვითარებადი/განვითარებული სახელმწიფოების დამოკიდებულებასთან დაკავშირებით, კერძოდ: მართლა თანასწორნი არიან თუ არა სახელმწიფოები და რაოდენი სერიოზულობით ეკიდებიან ისინი ერთმანეთის სავაჭრო ინტერესების დაცვასა თუ სისტემის ურღვევობის შენარჩუნებას; რამდენად არის სახეზე პოლიტიკის გავლენა საერთაშორისო სავაჭრო სამართლის სისტემის ფორმირებაზე, განსაკუთრებით, იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოთა შიდა კანონმდებლობები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და, შესაბამისად, მათი მიდგომები საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შესრულებასთან მიმართებით გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევიან.

კიდევ ერთი დამატებითი ასპექტი, რატომაც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია იპყრობს მეცნიერთა და დარგის ექსპერტთა ყურადღებას, არის მისი კავშირი დღეს მოქმედი მსოფლიო წესრიგის შემადგენელ უამრავ კომპონენტსა და მის ურთიერთობასთან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უფრო კონკრეტულად კი, მიგრაციის მართვის თვალსაზრისით წარმოშობილ კონკურენტული იურისდიქციების პრობლემასთან. მიგრაციის მართვის აქტუალობიდან გამომდინარე, ისმის კითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ძალუმს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციას, დაადგინოს დროის ის მონაკვეთი, რომელიც ითვლება დასაშვებად წევრი სახელმწიფოების მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილების მიმართულებით, როგორი ხედვა აქვს მას შრომისა და მომსახურების ცნებების იდენტურობა/განსხვავებულობის დადგენის მიმართულებით, ისევე როგორც დარგში მოღვაწე საერთაშორისო ორგანიზაციების კომპეტენციათა გამიჯვნის მიმართულებით, განსაკუთრებით ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმებისა და თანმდევი სამართლებრივი შედეგების შეფასების თვალსაზრისით.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია საინტერესოა ასევე იმ შედეგების სისტემის არსებობიდან გამომდინარე, რაც მას აქვს დაწესებული განვითარებადი სახელმწიფოების სასარგებლოდ, რათა უკეთესად მოხდეს მათი მსოფლიო სავაჭრო გარემოში ადაპტირება და შედარებითი უპირატესობების გამოყენებით მეტი ეკონომიკური ღირებულების დაგროვება; თუმცა აქვე იბადება კითხვები: რამდენად არიან ორგანიზაციის განვითარებული წევრი სახელმწიფოები მზად, რათა ამ პრივილეგიებსა თუ შედეგებს მისცენ აქტიური მხედველობა და, ამავე დროს, რამდენად არიან ისინი თავსებადნი საერთაშორისო ვაჭრობის წარმოების განჭვრეტადობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპებთან.

ნაშრომის მიზნებისათვის ასევე საინტერესოა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის არსებული ურთიერთობები ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვის მიმართულებით, ისევე როგორც ანალიზი საკითხებისა: რამდენად ძალუძს ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო სავაჭრო სამართალში არსებული ბერკეტების გამოყენება საიმისოდ, რომ დაიცვას საკუთარი უფლებები და ინტერესები; რას ნიშნავს ის გარემოება, რომ „ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში გადაწყვეტილებათა უმრავლესობა მიიღება წევრ სახელმწიფოთა კონსენსუსით“<sup>1</sup> და როგორ იყენებს ამას საქართველოს მსგავსი განვითარებადი სახელმწიფო საერთაშორისო ორგანიზაციაში საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისა და თანმდები პროცესების მართვის მიმართულებით.

ზემოთ აღნიშნული საკითხების გათვალისწინებით, აშკარა ხდება, თუ რამდენად აქტუალურია წინამდებარე ნაშრომით მოცული თემების დეტალური ანალიზი და შესაბამისი დასკვნების გამოტანა. თემის აქტუალურობა ორი მიმართულებით იკვეთება: ერთია, ზოგადად, საერთაშორისო სამართალში არსებული გამოწვევების ანალიზი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სამართლისა და პოლიტიკის შესასწავლად, განსაკუთრებით, კონკურენტული იურისდიქციებისა და დავების განხილვის მექანიზმის როლის გათვალისწინებით, საერთაშორისო სამართლის განვითარება-განმარტების კუთხით; მეორე მხრივ კი, ნაშრომში მოცემული ინფორმაციის ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების გათვალისწინება არსებითი მნიშვნელობის მატარებელია საქართველოს, როგორც ვმო-ის წევრი განვითარებადი სახელმწიფოს, მხრიდან ორგანიზაციის ფარგლებში არსებული შედეგებისა და უფლებების დაცვის მექანიზმების შესწავლის თვალსაზრისით.

საკითხავია, რამდენად არის ჩვენი ქვეყანა მზად საიმისოდ, რომ პასიური მდგომარეობიდან გადავიდეს აქტიურ ფაზაში და არა მარტო შედეგების განზოგადებული სისტემის გამოყენებით უზრუნველყოს საკუთარი მდგრადი ეკონომიკური განვითარების წახალისება, არამედ იმ შემთხვევებში, როცა მისი უფლებები ირღვევა, აქტიურად გამოიყენოს ის ეფექტური დაცვის მექანიზმები, რაც, ერთი მხრივ,

<sup>1</sup> World Trade Organisation, Annual Report 2009, გვ. 2, <<http://www.wto.org>>.

შესაძლებლობას იძლევა, მიმართვა გააკეთდეს ვმო-ის დავეების განმხილველი ორგანოს მიმართ, ხოლო მეორე მხრივ, ამოქმედებულ იქნეს სისტემის ფარგლებში არსებული საკმაოდ ძლიერი სანქციების მექანიზმი, რომელიც თანაბრად მოქმედებს ვმო-ის წევრ სახელმწიფოებზე, მიუხედავად მათი ეკონომიკური განვითარების დონისა თუ საერთაშორისო ურთიერთობებში დამკვიდრებული გავლენისა.

ამ და სხვა მსგავსი საკითხების ანალიზის მიზნებისათვის წინამდებარე ნაშრომი შედგება შესავლის, შვიდი თავისა და დასკვნისაგან:

პირველი თავი მიმოიხილავს ვმო-ის ჩამოყალიბების ისტორიას და მის როლს საერთაშორისო სამართლის განვითარებაში; მეორე თავი ეთმობა ვმო-ის ფარგლებში არსებულ მიგრაციის მართვის მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმებს; მესამე თავი ფოკუსირდება ორგანიზაციის ფარგლებში არსებულ დავეების განხილვის სისტემაზე; მეოთხე თავი მიმოიხილავს თანამედროვე საერთაშორისო სამართალში არსებულ კონკურენტული იურისდიქციების საკითხს; მეხუთე თავი ეთმობა სახელმწიფოთა პრაქტიკას ვმო-ის დავეების განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილებათა აღსრულების მიმართულებით; მეექვსე თავი მიმოიხილავს გამონაკლისებს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში დადგენილი რეჟიმიდან; ხოლო მეშვიდე თავი ეთმობა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის არსებულ სამართლებრივი ურთიერთობების ფარგლებს, ვმო-ში ამ უკანასკნელის გაწევრიანების ფონზე; დასკვნაში მოცემულია ნაშრომში მიმოიხილული პრობლემების შეჯამება და გამოყოფილია ის რეკომენდაციები, რომლებიც, ჩვენი აზრით, სასურველია, გათვალისწინებულ იქნეს საქართველოს მიერ საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკის წარმართვის პროცესში.

### *მეთოდოლოგია*

ნაშრომი ეფუძნება კვლევის შედარებითსამართლებრივ მეთოდს, რომლის ფარგლებშიც დამუშავდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სამართალში არსებული უცხოური ლიტერატურა, კერძოდ: დარგის წამყვანი მეცნიერების მონოგრაფიები და სტატიები, ისევე როგორც ვმო-ის მიერ გამოცემული პუბლიკაციები და ორგანიზაციის ფარგლებში არსებული დავეების განმხილველი ორგანოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები.

შედარებითი ანალიზისათვის ნაშრომში ასევე გამოყენებულია ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა შიდა კანონმდებლობები, კონკურენტული იურისდიქციების მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებები და სხვა საერთაშორისო სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები.



## I. ვმო – ჩამოყალიბების ისტორია და მისი როლი საერთაშორისო სამართლის განვითარებაში

საგულისხმოა, რომ ჩვენამდე შემორჩენილი უძველესი საერთაშორისო ხელშეკრულება დაიდო ქრისტეს შობამდე მესამე საუკუნის შუა ხანებში ელბისა და ასურეთის მეფეებს შორის მეგობრობასა და ვაჭრობაზე.<sup>2</sup> შესაბამისად, ცხადია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საერთაშორისო ვაჭრობას ოდითგანვე სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში და რაოდენ არსებითი იყო ვაჭრობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების შემუშავება, რათა, ერთი მხრივ, სახელმწიფოებს შორის განვითარებულიყო მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობები და, მეორე მხრივ, სამართლებრივ ჩარჩოში მოქცეული მშვიდობიანი გარემოს არსებობის პირობებში მომხდარიყო სავაჭრო ურთიერთობებში მონაწილე სახელმწიფოთა ეკონომიკური განვითარება. სწორედ სახელმწიფოთა სურვილმა, მოეწესრიგებინათ სავაჭრო ურთიერთობები, განაპირობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შექმნა, რომელსაც წინ უძღოდა სავაჭრო მოლაპარაკებათა არაერთი საერთაშორისო რაუნდი. წინამდებარე თავი მიმოიხილავს სწორედ სახელმწიფოთაშორისი სავაჭრო მოლაპარაკებების ისტორიას, რომელმაც ჩამოაყალიბა დღეს მოქმედი მსოფლიო სავაჭრო წესრიგი და საერთაშორისო თანამეგობრობას მისცა შესაძლებლობა, ემოქმედა, უკვე სპეციალური კომპეტენციის მქონე ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში, უფრო კოორდინებული და ეფექტური სამუშაო გარემოს შესაქმნელად მსოფლიო ეკონომიკური გამოწვევების დაძლევისა და მეტი ღოვლათის დაგროვების მიმართულებით.

### *I.1 ვმო – ჩამოყალიბების ისტორია*

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, თავისი გაცხადებული თუ ნაგულისხმები კომპეტენციიდან გამომდინარე, უდავოდ არის არა მარტო ერთ-ერთი საკვანძო ორგანიზაცია, რომელიც აწესრიგებს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს თითქმის მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ის ასევე თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში წარმოადგენს საკმაოდ სერიოზულ სამართალშემოქმედებით ორგანოს, რომელიც, მიუხედავად ფართომასშტაბიანი კრიტიკისა, გვევლინება როგორც ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული საერთაშორისო ორგანიზაციის მაგალითი. საინტერესოა, რა დგას ვმო-ის წარმატების უკან? როგორ მოახერხა ასეთმა ახალგაზრდა ორგანიზაციამ ლიდერობის დაკანონება? რით განსხვავდება ის სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან? ხომ არ

<sup>2</sup> Olevor Dorr, Kirsten Schmalenbach (eds.), Vienna Convention on the Law of Treaties a Commentary, (Springer, 2012), გვ.1.

შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ვმო-ის წარმატების მთავარი მიზეზი მისი რეგულირების სფეროშია? რა მნიშვნელობა აქვს ვმო-ის ფარგლებში არსებულ დავეების განხილვის მექანიზმს?

ამ და სხვა მრავალ მსგავსი ტიპის კითხვაზე პასუხის გასაცემად უპრიანია, გაანალიზდეს ის ისტორიულ-სამართლებრივ-ეკონომიკური ფონი, რის ფარგლებშიც სახელმწიფოებმა დაიწყეს ფიქრი, ერთიანი ძალებით დაეძლიათ ეკონომიკური სიძნელებები და შეექმნათ ისეთი საერთაშორისო მექანიზმი, რომელიც, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობდა მსოფლიო ეკონომიკის მდგრად განვითარებას და, ამავე დროს, თავიდან აიცილებდა დამანგრეველი ომის შესაძლო სამომავლო გამოვლინებას. სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით, 1945 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივით სახელმწიფოებმა დაიწყეს აქტიური მოლაპარაკებები ტარიფების შემცირების მრავალმხრივი პოლიტიკის შესამუშავებლად, რამაც ისინი, საბოლოოდ, ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ ზოგადი შეთანხმების ტექსტის ჩამოყალიბებამდე მიიყვანა.<sup>3</sup> მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია ოფიციალურად დაფუძნდა 1994 წლის 15 აპრილს მარაკეში ხელმოწერილი სადამფუძნებლო ხელშეკრულების საფუძველზე და ეს უკანასკნელი ძალაში შევიდა 1995 წლის 1 იანვარს, უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო სავაჭრო სისტემა ბევრად უფრო ძველია.

1995 წლის 1 იანვარს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ამოქმედების ფაქტი შეფასდა როგორც გადამწყვეტი მნიშვნელობის მოვლენა მსოფლიო ეკონომიკური ურთიერთობების მომწესრიგებელი ინსტიტუტებისათვის.<sup>4</sup> ორგანიზაციის სადამფუძნებლო დოკუმენტი კი აღიარებულ იქნა როგორც არსებული მსოფლიო ეკონომიკური ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი.<sup>5</sup> ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია ადგენს სახელმწიფოთაშორის ვაჭრობის წესებს გლობალურ დონეზე. დღეს არსებული მსოფლიო სავაჭრო სისტემა საფუძველს იღებს 1947 წლის ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ ზოგადი შეთანხმებიდან.

1948 წლიდან 1994 წლამდე პერიოდში ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ ზოგადი შეთანხმება იძლეოდა ამ დროისათვის ძირითად წესებს საერთაშორისო ვაჭრობის წარმოების შესახებ. ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ასევე - GATT) ხელი მოეწერა 1947 წლის 30 ოქტომბერს, ხოლო მოქმედება დაიწყო 1948 წლის 30 იანვრიდან.<sup>6</sup>

<sup>3</sup> The WTO Legal Underpinnings, WTO e-learning copyright, 1 January 2013, გვ. 3; John H. Barton, Judith L. Goldstein, Timothy E. Josling and Richard H. Steinberg, *The Evolution of the Trade Regime, (Politics, Law and Economics of the GATT and the WTO)*, Princeton 2008, გვ. 1-2.

<sup>4</sup> John H. Jackson, *The Jurisprudence of GATT and The WTO*, (Cambridge University Press 2000), გვ. 1, ციტირებული: Sharif Bhuiyan, *National Law in WTO Law Effectiveness and Good Governance in the World Trading System*, (Cambridge University Press, 2011) გვ. 1

<sup>5</sup> Sharif Bhuiyan, *National Law in WTO Law Effectiveness and Good Governance in the World Trading System*, (Cambridge University Press, 2011) გვ. 1

<sup>6</sup> *Understanding the WTO: The GATT years: from Havana to Marrakesh*, WTO Publication, ხელმისაწვდომია: <[http://www.wto.org/english/thewto\\_e/whatis\\_e/tif\\_e/fact4\\_e.htm](http://www.wto.org/english/thewto_e/whatis_e/tif_e/fact4_e.htm)>.

GATT-ის ტექსტზე შეთანხმების პარალელურად სახელმწიფოები მონაწილეობდნენ აქტიურ მოლაპარაკებებში საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის დასაარსებლად, რომელსაც, ბრეტონ ვუდსის ფარგლებში მოქმედ დანარჩენ ორ ინსტიტუტთან ერთად (მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო მონეტარული ფონდი), უნდა მოეწესრიგებინა საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის ვაჭრობასთან დაკავშირებული ნაწილი. 1948 წლის მარტში ჰავანაში სახელმწიფოები საბოლოოდ შეთანხმდნენ წესდების ტექსტის არსებით დეტალებზე. არსებობდა მოლოდინი იმისა, რომ ორგანიზაციის დაარსებისათვის ხელი აღარაფერს არ უნდა შეეშალა, მაგრამ მოვლენები გეგმის შესაბამისად არ განვითარდა. მიუხედავად იმისა, რომ აშშ იყო ორგანიზაციის დაარსების ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი, კონგრესმა წესდების რატიფიცირებაზე უარი განაცხადა და ამით გარკვეული დროით შეაჩერა ორგანიზაციის დაარსების პროცესი. შესაბამისად, GATT-ი იქცა ერთადერთ საერთაშორისო ინსტრუმენტად, რომელიც აწესრიგებდა საერთაშორისო ვაჭრობას 1948 წლიდან 1994 წლამდე, იქამდე, სანამ დაარსდებოდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია.<sup>7</sup>

GATT-ის ხელმოწერის შემდეგ სახელმწიფოები აგრძელებდნენ აქტიურ მუშაობას არსებული სისტემის კიდევ უფრო მეტად დახვეწისა და განვითარების მიმართულებით. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დაარსებამდე საერთაშორისო თანამეგობრობა ჩაერთო მოლაპარაკებათა რვა რაუნდში. ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები მსოფლიო სავაჭრო სისტემაში შემოიტანა კენედის მოლაპარაკებათა რაუნდმა, როდესაც GATT-ის ფარგლებში განიხილეს და შემოიტანეს ანტიდამპინგური რეჟიმი; ასევე მნიშვნელოვანია მოლაპარაკებათა ტოკიოს რაუნდი, რომელზეც ვაჭრობაში არასატარიფო ბარიერების ერთობლივი ძალებით დაძლევის პირველი სერიოზული მცდელობა გამოიკვეთა; გარდატეხა კი ამ პროცესებში მოახდინა ურუგვაის რაუნდის მოლაპარაკებებმა, რომელმაც დააფუძნა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია და მიიღო ახალ შეთანხმებათა მთელი ნაკადი.<sup>8</sup>

მსოფლიოს უმსხვილესი და უდიდესი ურუგვაის მოლაპარაკებათა რაუნდი გაიხსნა 1986 წელს. ის მიზნად ისახავდა ვაჭრობის გაფართოებას და მასში ახალი ისეთი სფეროების შემოტანას, როგორებიცაა: მომსახურება, ინტელექტუალური საკუთრება, სოფლის მეურნეობა და ტექსტილი. ურუგვაის მოლაპარაკებათა ფარგლებში დაარსდა ასევე დავების განხილვის სისტემა და ვაჭრობის პოლიტიკის

---

ბოლოს ნანახია: 15.05.2013 წ.; იხილეთ ასევე: Amrita Narlikar, The World Trade Organization (a very short Introduction), (Oxford University Press 2005), გვ. 2-3.  
<sup>7</sup> Ibid. იხილეთ ასევე: Richard Peet, Unholy Trinity, The IMF, World Bank and WTO, (Zed Books, 2009), გვ. 36-37.  
<sup>8</sup> Understanding the WTO: GATT: 'provisional' for almost half a century, WTO Publication, ხელმისაწვდომია: <[http://www.wto.org/english/thewto\\_e/whatis\\_e/tif\\_e/fact4\\_e.htm](http://www.wto.org/english/thewto_e/whatis_e/tif_e/fact4_e.htm)>, ბოლოს ნანახია: 02.08.2013 წ., Meredith Kolsky Lewis and Susy Frankel (eds), International Economic Law and National Autonomy, (Cambridge University Press 2010), გვ. 22.

მიმოხილვის მექანიზმი, რაც წევრ სახელმწიფოთა სავაჭრო პოლიტიკისა და პრაქტიკის გაკონტროლების ეფექტური გზა იყო.<sup>9</sup>

ურუგვაის რაუნდი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დაარსებით მიზნად ისახავდა ინტეგრირებული სამართლებრივი სისტემის შექმნას მსოფლიო სავაჭრო ურთიერთობებში. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სადამფუძნებლო დოკუმენტის დანართის, დავების განხილვის წესებისა და პროცედურების დამდგენი ხელშეკრულების ამოქმედებით შესაძლებელი გახდა დავების განხილვის ეფექტიანი სისტემის შემუშავება და ამით სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში ვაღდეულებათა ჯეროვანი აღსრულების პრაქტიკის ჩამოყალიბება, ისევე როგორც სახელმწიფოთა დაინტერესება მოხდა 1947 წლის GATT-ის ფარგლებში მოუწესრიგებელი მომსახურებით ვაჭრობითა და სხვა მსგავსი საკითხებით.<sup>10</sup>

ურუგვაის რაუნდით გათვალისწინებული ძირითადი თემები მოწონებულ იქნა სახელმწიფოთა უმრავლესობის მიერ, მაგრამ პროცესს აჭიანურებდა აშშ-სა და ევროკავშირს შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობა, რომელიც, ძირითადად, სოფლის მეურნეობის პროდუქტებს ეხებოდა. თუმცა შეთანხმების მიღწევა შესაძლებელი გახდა 1992 წლის ნოემბერში. ეს ფაქტი ცნობილია როგორც „ბლერ ჰაუსის აკორდი“. 1993 წლის ივლისში ე.წ. კვარტეტმა (აშშ, ევროკავშირი, იაპონია და კანადა) ოფიციალურად გამოაცხადა, რომ შეთანხმება მიღწეულ იქნა ყველა საკითხზე და, შედეგად, 1994 წლის 15 აპრილს ხელი მოეწერა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სადამფუძნებლო ხელშეკრულებას, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია როგორც მარაკეის შეთანხმება. ამავე წელს GATT-ის აქამდე არსებული ტექსტი გარკვეული ცვლილებებით გადმოტანილ იქნა 1994 წლის GATT-ის ახალ რედაქციაში. 2001 წლიდან სახელმწიფოები ჩაერთნენ მოლაპარაკებათა ახალ ნაკადში, ე.წ. „დოჰას განვითარების დღის წესრიგში“.<sup>11</sup>

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში, 2015 წლის 26 აპრილის მონაცემებით, გაწევრიანებულია 161 სახელმწიფო. საქართველო მას შეუერთდა 2000 წლის 14 ივნისს, შესაბამისად, ამ პერიოდიდან მოყოლებული, ჩვენი ქვეყნისათვის ხელმისაწვდომია ყველა ის უფლებრივი პრივილეგია, რაც ემო-ის წევრმა სახელმწიფოებმა

<sup>9</sup> Guzman Pauwelyn, *International Trade Law*, (Wolters and Kluwer 2009), გვ. 80; უფრო დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ ასევე: *Understanding the WTO: The Uruguay Round*, WTO Publication, ხელმისაწვდომია: <[http://www.wto.org/english/thewto\\_e/whatis\\_e/tif\\_e/fact4\\_e.htm](http://www.wto.org/english/thewto_e/whatis_e/tif_e/fact4_e.htm)>, ბოლოს ნანახია: 02.08.2013 წ.

<sup>10</sup> J.G. Merrills, *International Dispute Settlement*, (Cambridge University Press 2007), გვ. 212, ზოგადი მიმოხილვისთვის იხ. ასევე P.C. Mavroidis, *The World Trade Organization: Law, Practice and Policy*, (Oxford University Press 2003).

<sup>11</sup> *Understanding the WTO: The Uruguay Round*, WTO Publication, ხელმისაწვდომია: <[http://www.wto.org/english/thewto\\_e/whatis\\_e/tif\\_e/fact4\\_e.htm](http://www.wto.org/english/thewto_e/whatis_e/tif_e/fact4_e.htm)>, ბოლოს ნანახია: 02.08.2013 წ.

თავიდანვე გაითვალისწინეს ე.წ. საერთაშორისო სავაჭრო „კლუბის წევრებისათვის“ და, ამავე დროს, საქართველო ვალდებულია, დაემორჩილოს მსოფლიო ვაჭრობის წარმოების საერთაშორისოდ აღიარებულ წესებსა და რეგულაციებს განჭვრეტადი და სტაბილური სავაჭრო გარემოს შექმნის მიზნებისათვის. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საქართველოსათვის, არამედ მთლიანად სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობისათვის, სწორედ მისი საგნობრივი იურისდიქციის გათვალისწინებითა და მის ფარგლებში დადებული მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების აღსრულების ეფექტიანი მექანიზმის არსებობით.

გარდა ზემოთ აღნიშნული მიზეზებისა, ვმომხმარებთ-ის უმთავრესი მნიშვნელობა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში განსაკუთრებული სიცხადით ჩანს იმ სფეროების ჩამონათვალიდანაც რომელთაც ფარავს ეს ორგანიზაცია. ესენია: საქონლით ვაჭრობა, მომსახურებით ვაჭრობა, ინტელექტუალური საკუთრება, საზღვაო სერვისები, გარემოს დაცვა, ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, ვაჭრობასთან დაკავშირებული საინვესტიციო მექანიზმები, სუბსიდიები და მომიჯნავე ასპექტები, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ასპექტები.<sup>12</sup> მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო სავაჭრო სისტემა GATT-ის ამოქმედების პერიოდისათვის მხოლოდ საქონლით ვაჭრობის მექანიზმებს აღგენდა, რაც განვითარების გარკვეულ ეტაპზე გაფართოვდა და დღეს, ფაქტობრივად, ფარავს სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების თითქმის ყველა სფეროს, უნდა აღინიშნოს, რომ ვმომხმარებთ-ის წარმატების მთავარი მიზეზი არის მის ფარგლებში წევრ სახელმწიფოთა შორის დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებების აღსრულების ეფექტიანი მექანიზმის არსებობა, რომლის შეუფერხებლად მუშაობის გარანტია ურუგვაის რაუნდის მოლაპარაკებათა შედეგად ჩამოყალიბებული დაგების განხილვის მექანიზმი. ვმომხმარებთ-ის ერთ-ერთი კარგი გამონაკლისია იმ თვალსაზრისით, რომ ჯერ არ ყოფილა მის წინაშე არსებული არცერთი სახელმწიფოთაშორისი დავა, რომელზე გამოტანილი განაჩენიც არ აღსრულებულა. სწორედ ამიტომ შესაძლებელია, თამამად აღინიშნოს, რომ ვმომხმარებთ-ში დაცულია ბალანსი ძალთა შორის, სადაც პატარა წევრ სახელმწიფოებსაც ხელეწიფებათ, დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრებები მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პროცესში და, ამავე დროს, გამოიყენონ საკუთარი ინტერესების დაცვის ყველა არსებული მექანიზმი. ვმომხმარებთ-ის საკმაოდ განვითარებული დაგების განხილვის

<sup>12</sup> დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ შესაბამისი ხელშეკრულებები: Agreement on the Application of Sanitary and Phytosanitary Measures; Agreement on Preshipment Inspection; Agreement on Agriculture; Agreement on Technical Barriers to Trade; General Agreement on Tariffs and Trade 1994; Agreement on Trade Related Investment Measures; General Agreement on Trade in Services; Trade Related Aspects on Intellectual Property Rights; ხელშეკრულებები მიღებულ იქნა 1994 წელს მოლაპარაკებათა ურუგვაის რაუნდის დასრულების შედეგად. ხელშეკრულებების ტექსტები ხელმისაწვდომია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ოფიციალურ ვებგვერდზე: <[www.wto.org](http://www.wto.org)>.

სისტემის არსებობის ფაქტი გვაძლევს იმ დასკვნის გაკეთების უფლებას, რომ მას დიდი წვლილი შეაქვს საერთაშორისო სამართლის ინტერპრეტაციისა და განვითარების საქმეში. თუმცა ამ საკითხზე უფრო დეტალურად მომდევნო თავებში შევჩერდებით, ახლა კი უპრიანია, განვიხილოთ საერთაშორისო სახელშეკრულებო ნორმათა თანაფარდობის საკითხი.

## ***1.2 საერთაშორისო სამართლის ნორმათა თანაფარდობა ვმო-ის სამართლის ფარგლებში***

სახელმწიფოთა კანონმდებლობის შესაბამისად, საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობის განხილვამდე უპრიანია, დავადგინოთ, თუ როგორ წესრიგდება თავად საერთაშორისო სამართლის ნორმათა თანაფარდობის საკითხი და სად არის ვმო-ის ადგილი? არის ის დამოუკიდებელი სისტემა, თუ ერთიანი საერთაშორისო სამართლის განუყოფელი ნაწილია? როგორი სტრუქტურა აქვს დავების განმხილველ ორგანოს და, ზოგადად, ეკოლოგიური დავების განხილვისას რომელი პოზიციისკენ იხრება - ეკოლოგიის დაცვისკენ თუ სახელმწიფოთა ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებისკენ? - ეს საკითხები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მათთვის გვერდის ავლა შეუძლებელია მაშინ, როდესაც უნდა დადგინდეს ის საკითხი, რომელსაც ეფუძნება მთლიანად ნაშრომი, კერძოდ საერთაშორისო სამართლისა და შიდა სამართლის თანაფარდობა ვმო-ის პრეცედენტული სამართლის მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ შიდა სამართლისაგან განსხვავებით, საერთაშორისო სამართლის ნორმებს არ აქვთ მკაცრად განსაზღვრული იერარქია, რაც თვალნათლივ ჩანს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ჩვეულებითი სამართლის თანაფარდობის კუთხით, კერძოდ: ორივე ერთსა და იმავე საფეხურზე დგას სამართლის ნორმათა იერარქიაში და არცერთი არ სარგებლობს უპირატესობით მეორესთან შედარებით. ეს არც არის გასაკვირი, რადგან არაერთხელ აღინიშნა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ, რომ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი და სახელშეკრულებო ნორმები მსგავსი იურიდიული ძალით ხასიათდებიან და, ხშირ შემთხვევაში, ჩვეულებითი ნორმები ავსებენ საერთაშორისო ხელშეკრულებებში არსებულ ხარვეზებს. ჩვეულებითი სამართლისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების ერთ იერარქიულ საფეხურზე დგომა განპირობებულია იმით, რომ ორივე არის სახელმწიფოთა ნების გამოვლინება.<sup>13</sup>

გამონაკლისად ამ შემთხვევაში გვევლინება ე.წ. იმპერატიული *jus cogens*-ის ნორმები, რომელთაგან გადახვევა არანაირად არ დაიშვება და ისინი ყველაზე მაღლა მდგომი ნორმებია იერარქიის კუთხით,

<sup>13</sup> Pauwelyn, J., 'The Role of Public International Law in the WTO: How Far Can We Go?', (Vol: 95:535, 2001), გვ. 2, ხელმისაწვდომია: <<http://www.asil.org>>.

რომელთაც აქვთ უპირატესი ძალა როგორც ძველ, ასევე ახალ ნორმებთან მიმართებით.

ნებისმიერი სამართლის ექსპერტისათვის ცხადია, რომ ვმო-ის ნორმები არის საერთაშორისო საჯარო სამართლის განუყოფელი ნაწილი, თუმცა უნდა აღინიშნოს, საკუთრივ ვმო-ის ექსპერტებს განსხვავებული შეხედულება აქვთ ამ საკითხთან დაკავშირებით – მათი აზრით, ვმო არის დამოუკიდებლად არსებულ სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა; ამასთანავე, ხაზგასასმელია, რომ მათ არ აქვთ არცერთი სამართლებრივი არგუმენტი საკუთარი მტკიცების დასადასტურებლად. თავად ის ფაქტი, რომ საერთაშორისო საჯარო სამართალი არ ყოფილა გათვალისწინებული, როდესაც მუშავდებოდა ვმო-ის ფარგლებში დასადები ხელშეკრულებების ტექსტები, არ არის საკმარისი იმის დასამტკიცებლად, რომ ხსენებული ნორმები არ წარმოადგენენ საერთაშორისო საჯარო სამართლის ნაწილს.<sup>14</sup> მაგრამ ამ მიდგომაში კარგად ჩანს ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი, კერძოდ ის, რითაც იწყება ეს თავი: დავების განხილვისას ვმო ხელმძღვანელობს იმ ნორმებით, რომლებიც არის დადგენილი მის ფარგლებში. ეს კი ამყარებს მოსაზრებას, რომ, როდესაც არსებობს კოლიზია ორ სახელშეკრულებო ნორმას შორის, ვმო-ის დავების განმხილველი ორგანო საკითხს გადაწყვეტს ვმო-ის რომელიმე ხელშეკრულებაზე აპელირებით და მხედველობაში არ მიიღებს სხვა ხელშეკრულებას, რომლის მონაწილეებიც ასევე არიან დავის მხარეები, მიუხედავად იმისა, რომ სხვა ხელშეკრულებაც ასევე სპეციალური კანონის სტატუსის მატარებელია და დავების განმხილველ ორგანოს აქვს უფლებამოსილება, საკუთარი არგუმენტები დააყრდნოს არამხოლოდ ვმო-ის ფარგლებში დადებულ შეთანხმებებს. მაგრამ ის ამას არ აკეთებს ერთი მარტივი მიზეზის გამო: მიუხედავად იმისა, რომ ვმო არის საერთაშორისო სამართლის ნაწილი, ის მაინც რჩება დამოუკიდებელ ელემენტად, რომელიც ეკონომიკურ საკითხებთან მიმართებით ერთგვარად ცდილობს ავტონომიის დაკანონებას.

შესაბამისად, ვმო-ის ფარგლებში დადებული ხელშეკრულებები, გარკვეულწილად, სპეციალური კანონის სახეს იღებენ საერთაშორისო სამართალში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ნებისმიერი ხელშეკრულების მიმართ არიან სპეციალური კანონის სტატუსის მატარებლები; თანაც, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები სულ უფრო და უფრო გადაჯაჭვული ხდება ერთმანეთზე, შესაბამისად, სახელმწიფო რეგულაციები, გარკვეულწილად, გავლენას ახდენს სახელმწიფოთა შორის ვაჭრობის წარმართვაზეც. რადგანაც ვმო-ის წესები, არსებითად, მიზნად ისახავენ ვაჭრობის ლიბერალიზაციას, ძალაუნებურად მათ

<sup>14</sup> იქვე, გვ. 4. იხილეთ ასევე: John H. Jackson, *Sovereignty, the WTO and Changing Fundamentals of International Law*, (Cambridge University Press 2009), გვ. 111.

კავშირი აქვთ ბევრ სხვა დარგთან, კერძოდ: ისინი უკავშირდებიან გარემოს დაცვისა და ადამიანის უფლებათა სამართლის ნორმებს, რადგან ვაჭრობის ლიბერალიზაციამ შესაძლოა, გავლენა მოახდინოს გარემოსდაცვითი სამართლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის ნორმებზე.

როგორც უკვე აღინიშნა, საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობის კვლადაკვალ არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ასევე თავად საერთაშორისო სამართლის სხვადასხვა ნორმის თანაფარდობის საკითხს, რადგან საერთაშორისო სამართლის, - ისევე როგორც, ზოგადად, სამართლის, - ნებისმიერი ერთი დარგი მჭიდროდ არის დაკავშირებული სხვა დარგებთან. სწორედ ამიტომ ხშირია შემთხვევა, როდესაც ერთსა და იმავე საკითხს არეგულირებს ერთი და იმავე იერარქიის მქონე სხვადასხვა სამართლებრივი ნორმა. პრობლემა ადვილად გადაწყვეტადია, როდესაც ასეთი ნორმებიდან ერთი მიეკუთვნება ე.წ. „სპეციალურ ნორმას“, ხოლო მეორე „ზოგადს“, რადგან სამართალში მოქმედებს პრინციპი *lex specialis derogat lex generalis*. მაგრამ, როგორც ეს ნაშრომის მომდევნო თავებშიც კარგად გამოჩნდება, ვმოს ფარგლებში დადებულ ხელშეკრულებათა ნორმები არცთუ ისე იშვიათად კოლიზირია საერთაშორისო შეთანხმებების სხვა ნორმებთან მიმართებით. მდგომარეობას კი ართულებს ის გარემოება, რომ ორივე ნორმა სპეციალური ნორმის სტატუსის მატარებელია და, ამ შემთხვევაში, დგება მეორე საკითხი - დამნაშავეა თუ არა სახელმწიფო, როდესაც ასრულებს ერთი ხელშეკრულების ნორმას და მეორეს არღვევს, არადა ორივეს კეთილსინდისიერად შესრულება ევალება? - აქ, ერთი შეხედვით, პასუხი ცალსახაა, კერძოდ: ახალი საერთაშორისო ხელშეკრულების დადებისას მხარემ უნდა გაითვალისწინოს, რომ მის მიერ ახლად დადებული ხელშეკრულება წინააღმდეგობაში არ მოდიოდეს ძველი შეთანხმების ობიექტსა და მიზანთან. მაგრამ საკითხავია, რა ხდება მაშინ, როდესაც ძველი და ახალი კონვენციის ტექსტები ერთმანეთთან შესაბამისობაში მოდის, თუმცა დავების განმხილველი ორგანო პრაქტიკაში მათ იმგვარ ინტერპრეტაციას უკეთებს, რომ ძალაუნებურად სახეზეა სახელმწიფოს მიერ ერთ-ერთი ნორმის დარღვევა? - ეს პრობლემა ცალსახად ჩანს ვმოს პრეცედენტებიდან, კერძოდ, ეკოლოგიური სამართლის კონტექსტში. ამის ნათელი დადასტურებაა საქმე *U.S.-Shrimp*, რომელშიც დავების განმხილველი ორგანოს მიერ აღინიშნა, რომ: „ეკოლოგიური პოლიტიკის დადგენა სახელმწიფოს სუვერენიტეტის ნაწილია, მაგრამ, როდესაც ის ეწინააღმდეგება ვაჭრობის ინტერესებს, სახელმწიფო მოკლებულია ამგვარ თავისუფლებას“.<sup>15</sup> პრობლემა კი ისაა, რომ, როგორც იმავე შეთანხმების XX მუხლი აცხადებს, უმნიშვნელოვანესია ბუნებრივი რესურსებისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, თუმცა ასევე მიუთითებს, რომ, გარდა ადგილობრივი გადასახადებისა და გადასახდელებისა, არაფერი არ უნდა აბრკოლებდეს ვაჭრობას და

<sup>15</sup> *United States - Import Prohibition of Sertain Shrimp and Shrimp Products*, para. 7.51, WT/DS58/AB/R, იხ. ასევე *United States - Gasoline*, para. 7.60, WT/DS2/AB/R.



სავაჭრო ინტერესებს. ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ ამ საქმეში მხარეები იყვნენ, ერთი მხრივ, აშშ, რომლის მტკიცებით, თევზის რეწვის მეთოდი სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა კუს პოპულაციას, მაშინ, როდესაც, მეორე მხრივ, ინდოეთი, პაკისტანი, მაღაიზია და ტაილანდი ამტკიცებდნენ, რომ ის შიდა რეგულაცია, რომელიც კრძალავდა ამ კონკრეტული მეთოდით თევზის რეწვას, ეწინააღმდეგებოდა შეთანხმების XI მუხლს.<sup>16</sup> ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ეს სახელმწიფოები, უკლებლივ, „ბიომრავალფეროვნების შესახებ“ გაეროს კონვენციის, ასევე „ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ ზოგადი შეთანხმების“ მონაწილეა.<sup>17</sup> არადა ეს კონვენცია პრეამბულაშივე აცხადებს, რომ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება კაცობრიობის უმთავრესი მიზანია.<sup>18</sup> ფრიად საინტერესო შემთხვევაა, ნეტა რომელი პოზიციაა მართებული? - ამ კითხვას მომდევნო ქვეთავში გაეცემა პასუხი შესაბამისი პრეცედენტების ანალიზით, ახლა კი უპრიანია, მიმოვიხილოთ ის საერთაშორისო სახელშეკრულებო ჩარჩო, რომელიც ვმო-ის პოლიტიკის ქვაკუთხედი.

***1.3 სახელშეკრულებო ნორმათა და ჩვეულებით ნორმათა თანაფარდობა ვმო-ის სამართალში***

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სპეციფიკისა და საერთაშორისო ურთიერთობებსა თუ სამართალში მისი როლის დასადგენად არსებითი ხასიათის მატარებელია საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლისა და, შესაბამისად, სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციით გათვალისწინებულ საკითხთა მთელი რიგის განხილვა. ეს იმისათვის არის მნიშვნელოვანი, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, როგორც ასეთი, არ უქმნიდა დანარჩენი ორგანიზაციებისაგან „კლინიკურ იზოლაციაში“ არსებობისათვის და არც იმისთვის არ იქმნება მის ფარგლებში სამართლებრივი ნორმები, რომ დანარჩენი მსოფლიო მსოლოდ ვაჭრობის მარეგულირებელი წესებით ხელმძღვანელობდეს და სახელმწიფოთა ურთიერთობაში მსოლოდ შემოსავლის მიღებაზე ორიენტირებული თანამშრომლობის პრაქტიკა დაინერგოს. აღნიშნულ საკითხთა განხილვის მნიშვნელობა გამომდინარეობს საერთაშორისო სამართლის დინამიკური განვითარების პროცესიდან, ასევე ამ პროცესში ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სახელშეკრულებო

<sup>16</sup> *ibid.*, WT/DS58/AB/R p. 1.  
<sup>17</sup> ინფორმაცია დასტუდება შემდეგ ინტერნეტგვერდებზე: <<http://www.cbd.int/information/parties.shtml>>, <[http://www.wto.org/english/thewto\\_e/gattmem\\_e.htm](http://www.wto.org/english/thewto_e/gattmem_e.htm)>.  
<sup>18</sup> UN Convention on Biological Diversity (1992), preamble, ხელშეკრულების სრული ტექსტი ხელმისაწვდომია: <<https://www.cbd.int/convention/text/>>.

ნორმებით რეგულირებადი სფეროების თანხვედრიდან და კონკურენტული იურისდიქციების დღის წესრიგში დადგომის პრობლემიდან.

კონკურენტული იურისდიქცია, რომელზეც ნაშრომის მომდევნო თავებში გვექნება უფრო კონკრეტულად საუბარი, რეალურად თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში მართლაც წარმოშობს სამართლებრივ პრობლემებს, უფრო კონკრეტულად კი, სახელმწიფოთა მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების პროცესის გარკვეულწილად შემაფერხებელ ფაქტორადაც გვევლინება. ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფო დგას არჩევანის წინაშე - დარღვეული ორი სახელშეკრულებო ნორმიდან შეარჩიოს ერთი კონკრეტული და მისი სამართლებრივი ბერკეტები გამოიყენოს ამ ნორმასთან საკუთარი ქმედებების შესაბამისობაში მოსაყვანად.

ამ პროცესში კი ერთობლივად იჭრება უკვე დადებული და დასადები ხელშეკრულების ობიექტისა და მიზნის თავსებადობის საკითხი - სახელმწიფოს მხრიდან ნების დაფიქსირება გახდეს ხელშეკრულების მონაწილე.

აღნიშნულთან დაკავშირებით არსებითი მნიშვნელობის მატარებელია ხელშეკრულებათა და, შესაბამისად, სახელშეკრულებო ვალდებულებათა ტიპების გამოყოფა. ნიშანდობლივია, რომ სახელმწიფოთა სამართლებრივი თანამშრომლობის განვითარებასთან ერთად დღის წესრიგში უფრო მძაფრად დგას ურთიერთგადაჯახებული საკითხების საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ერთობლივი ძალებით მოწესრიგების საკითხი. სწორედ აღნიშნულის დამსახურებაა სახელმწიფოთაშორისი მოლაპარაკებების შედეგად საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების გააქტიურებული პრაქტიკა, რაც, თავის მხრივ, როგორც ზემოთაც აღინიშნა, იწვევს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებულ ხელშეკრულებებში მსგავსი ვალდებულებების არსებობას ან, თუნდაც, ერთსა და იმავე საკითხზე ვალდებულების განსხვავებულ ფორმულირებას, რაც პრაქტიკაში ქმნის აღსრულების პრობლემას, კერძოდ, ვალდებულებათა კოლიზიის პირობებში სახელმწიფოები დგებიან მძიმე არჩევანის წინაშე, თუ რომელი სახელშეკრულებო ნორმა აღასრულონ, რის შედეგადაც იქმნება გარემო, სადაც ერთი ხელშეკრულების აღსრულებას ავტომატურ რეჟიმში მოჰყვება მეორე სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა. სიტუაცია მეტ-ნაკლებად გარკვეულია მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო ვალდებულებებში სახეზეა იერარქიის საკითხი, მაგალითად, *Jus Cogens* ნორმები ან სპეციალური ნორმის უპირატესობა ზოგადთან მიმართებით, ან, როდესაც პრინციპზე - *Lex Posterior Derogat Legi Priori* - დაყრდნობით ხდება გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ მდგომარეობას ართულებს თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ხელშეკრულებების ფარგლებში შესასრულებელი კოლიზიური ვალდებულებების არსებობა. თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ნორმების პარალელურ რეჟიმში არსებობა და დროში თანამიმდევრულობა არის ის ძირითადი გამოწვევა, რაც დგას

### I.3.1 ჩვეულებითი სამართალი

ხშირია შემთხვევა, როდესაც სამართლის ორი სხვადასხვა წყაროთი მოწესრიგებული ნორმები ზუსტად ერთი და იმავე შინაარსის მატარებელი არ არიან, მაგრამ საერთაშორისო სახელშეკრულებო ნორმისა და ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნორმის იდენტური შინაარსის არსებობის ფაქტი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სახელშეკრულებო ნორმის უპირატესი იურიდიული ძალის სამტკიცებლად ჩვეულებით ნორმასთან მიმართებით; არც მრავალმხრივი ხელშეკრულებისათვის მოქმედი დათქმა არ უნდა იქნეს განმარტებული ისე, თითქოს იგი გამოირიცხავს ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნორმის გამოყენებას იმავე ან მსგავსი შინაარსის მქონე სახელშეკრულებო ნორმის მიმართ, რომლის ძალითაც დათქმა გახდა ეფექტური. საერთაშორისო სახელშეკრულებო ნორმისა და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის იდენტური ნორმების არსებობა აღიარებულია მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ კონტინენტური შეღვის საქმეშიც. უფრო კონკრეტულად, ამ საქმეში ხაზგასმა გაკეთდა იდენტური შინაარსის მქონე საერთაშორისო სახელშეკრულებო ნორმისა და ჩვეულებითი სამართლებრივი ნორმის ურთიერთმიმართებაზე. სასამართლომ დაადგინა, რომ სახელშეკრულებო და ჩვეულებითი სამართლის კოლიზიის შემთხვევაში, სახელშეკრულებო სამართლის ნორმა სავალდებულო უპირატესი იურიდიული ძალით არ გამოირჩევა. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიდგომის შესაბამისად, არსებობს არაერთი მიზეზი იმის გასათვალისწინებლად, რომ, მიუხედავად იმისა, თუ ორ სხვადასხვა სამართლებრივ წყაროს მიკუთვნებული ორი სხვადასხვა ნორმა შინაარსით არის იდენტური და მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოები თანაბრად ემორჩილებიან ორივე ნორმის იურიდიულ ძალას, მათი გამოყენება მაინც უნდა მოხდეს დამოუკიდებლად.<sup>19</sup>

თითქმის არ შეიძლება სიტყვების - „აღიარებული საერთაშორისო ვალდებულებები“ - გამოყენება საერთაშორისო სამართალში, არც ზოგადად და არც კონკრეტული საკითხის მიმართ. ეს სიტყვები ცხადად გულისხმობს სახელშეკრულებო ვალდებულებას, ანუ ვალდებულებას, გამომდინარეც საერთაშორისო ხელშეკრულებიდან ან შეთანხმებიდან. საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს არ სჭირდება საყოველთაო შეთანხმება სავალდებულო ძალის ქონაზე, რადგან ისინი

<sup>19</sup>Case Concerning Military and Paramilitary Activities in and Against Nicaragua (Nicaragua v. United States of America), (Merits), ICJ 27 June 1986, paras. 175-178, იხ. ასევე: North Sea Continental Shelf Cases, ICJ Rep, Judgment of 20 February 1969, para. 63.

არიან სავალდებულოდ შესასრულებელი, იმ სანქციიდან გამომდინარე, რასაც ეფუძნება მთლიანად საერთაშორისო სამართალი, ანუ დამოკიდებულია სახელმწიფოთა ზოგად თანხმობაზე.<sup>20</sup>

### I.3.2 საერთაშორისო სახელმწიფოებო სამართალი

სახელმწიფოებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციის პრეამბულა ხაზს უსვამს ხელმწიფოებათა შესრულების (*Pacta Sunt Servanda*) პრინციპის პატივისცემის მნიშვნელობას.<sup>21</sup> ამ პრინციპის პატივისცემასთან მიმართებით სამართლებრივად მნიშვნელოვანია ის, თუ რომელ სახელმწიფოებზე ვრცელდება ვენის კონვენციაში ასახული პრინციპი. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ვენის კონვენცია თავიდან იცილებს სახელმწიფოებრიობისა და სუვერენიტეტის დოგმატური ცნებების განმარტებას, მეტიც, თუ 81-ე მუხლის მოთხოვნებია სახეზე, მაშინ ყველა მონაწილე მხარე *ipso iure* მიჩნეულია სახელმწიფოდ, ექსკლუზიურად კონვენციის მიზნებისათვის და მნიშვნელობა არა აქვს იმას, არსებობს თუ არა ეჭვები კონვენციის მონაწილის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის მიმართულებით. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ კონვენცია აზუსტებს მონაწილეთა უფლების მნიშვნელობას ხელმწიფოებების დადებისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მიმართულებით. უფრო კონკრეტულად კი, 81-ე მუხლში ცალსახად არის ხაზგასმული, რომ კონვენციის მონაწილე შესაძლებელია გახდეს გაეროს, მისი სპეციალიზებული საერთაშორისო ორგანიზაციის, ატომური გაერთიანების, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სტატუსის მონაწილე სახელმწიფო ან ნებისმიერი სახელმწიფო, რომლის მოწვევაც მოხდება გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ კონვენციის მონაწილედ.<sup>22</sup> ეს საკითხი წესრიგდება როგორც ვენის ფორმულით, ასევე ყველა სახელმწიფოს ფორმულით. ვენის ფორმულა სახელმწიფოებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციის 81-ე მუხლზე მითითებით გამოყოფს კონვენციის სუბიექტებს, ხოლო ყველა სხვა სახელმწიფოს ფორმულა, რომელიც შემუშავდა გაეროს ფარგლებში, ნიშნავს, რომ მრავალმხრივი საერთაშორისო ხელმწიფოების მონაწილე შესაძლებელია გახდეს მხოლოდ სახელმწიფოს სტატუსის მქონე საერთაშორისო სამართლის სუბიექტი.<sup>23</sup>

საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობის მიმართულებით საერთაშორისო სახელმწიფოებო სამართალში არსებული უმთავრესი პრინციპებისა და საერთაშორისო

<sup>20</sup> *The Mavrommatis Palestine Concessions, (Greece v. Britain)*, PCIJ, Judgment No. 2, 30 August 1924, para. 129.

<sup>21</sup> Vienna Convention on the Law of Treaties (1969), (18232), Preamble.

<sup>22</sup> *Supra* note 2, გვ.24; იხ. ასევე: Vienna Convention on the Law of Treaties, (1969), Art. 81.

<sup>23</sup> *ibid.*, გვ.24.

ვალდებულებათა შესასრულებლად სახელმწიფოთა მზაობისა თუ ნების გამოხატულების მბოჭავი ასპექტების მიმოხილვამდე უპრიანია, მოვიხმოთ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მეტად საინტერესო ხედვა სახელმწიფოთა მიერ ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით.

მართლმსაჯულების მუდმივმოქმედმა სასამართლომ *ლოტუსის* საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში სამართლის შესასრულებლად სავალდებულო ძალასთან დაკავშირებით აღნიშნა: სახელმწიფოთა მიერ სავალდებულოდ შესასრულებელი სამართლებრივი ნორმები გამომდინარეობს კონვენციებსა და ჩვეულებებში გამოხატული თავად მათივე ნებიდან, მოაწესრიგონ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანაარსებობის პროცესი, ან საერთო ამოცანების მიღწევის მიზნებიდან. შესაბამისად, სახეზე არ არის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის შეზღუდვა.<sup>24</sup>

როგორც არ უნდა იყოს თავად სახელმწიფოთა ხედვა, ერთი რამ ცხადია: თანხმობა სამართლებრივი ნორმების სავალდებულოებაზე წარმოშობს სამართლებრივ ვალდებულებებს, იმისაგან დამოუკიდებლად, მოხდება თუ არა სუვერენული ნების ცვლილება მომავალში (*ex consensu advenit vinculum*).<sup>25</sup> აქვე აღსანიშნავია, რომ სხენებულ თეორიაზე ზემდგომი თანხმობის თეორია წინაპირობად აყენებს წესს, რომლის მიხედვითაც ხელშეკრულებები უნდა შესრულდეს (*Pacta Sunt Servanda*).<sup>26</sup>

ხელშეკრულებების შესრულებასთან ერთად ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება კეთილსინდისიერების პრინციპს, რომელიც ხაზგასმულია როგორც საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციაში, ასევე ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სამართლის ერთ-ერთ ქვაკუთხედ პრინციპად გვევლინება, თუმცა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტების განხილვამდე მნიშვნელოვანია, ვნახოთ, თუ როგორი ხედვა აქვთ საერთაშორისო სამართლის გამოჩენილ მეცნიერებსა და საერთაშორისო სასამართლოებს ამ მიმართულებით. კერძოდ: მეცნიერებში გავრცელებული მოსაზრების შესაბამისად, პრინციპი *Pacta Sunt Servanda* გამომდინარეობს კეთილსინდისიერების პრინციპიდან,<sup>27</sup> ხოლო მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიდგომის შესაბამისად, სამართლებრივი ვალდებულებების წარმოშობისა და მათი შესრულების ერთ-ერთი მთავარი პრინციპი არის კეთილსინდისიერება. ნდობა არის განუყოფელი საერთაშორისო თანამშრომლობაში, განსაკუთრებით იმ ეპოქაში, როდესაც ეს თანამშრომლობა ბევრ

<sup>24</sup> Twelfth (Ordinary) Session, *The Case of the S.S. Lotus, (France v. Turkey)*, PCIJ, File E. c., Docket XI, Judgment No. 9, 7 September 1927, para. 44.

<sup>25</sup> Fitzmaurice I 108 (Draft Art 4 para 1): 'The foundation of treaty obligation is consent coupled with the fundamental principle of law that consent gives rise to obligation', იხ. ასევე: H. Lauterpacht, *The Function of Law in the International Community*, (1933), გვ. 411.

<sup>26</sup> T. Franck, *The Power of Legitimacy Among Nations*, (Oxford University Press 1990).

<sup>27</sup> Bin Cheng, *General Principles of Law as Applied by International Courts and Tribunals*, (Cambridge University Press 2006), გვ. 113.

სფეროში ხდება არსებითად მზარდი. როგორც *Pacta Sunt Servanda* სახელშეკრულებო სამართალში ეფუძნება კეთილსინდისიერების პრინციპს, ასევე თავად საერთაშორისო ვალდებულების შესრულების სავალდებულოება გამომდინარეობს ცალმხრივი დეკლარაციიდან. შესაბამისად, დაინტერესებული მხარეები ითვალისწინებენ ასეთ ცალმხრივ დეკლარაციებს, ამყარებენ მათზე ნდობას და უფლებამოსილნი არიან, მოითხოვონ, წარმოშობილი ვალდებულება შესრულდეს.<sup>28</sup> მართლმსაჯულების სასამართლოს მოსაზრებით, კეთილსინდისიერების პრინციპი, ცალკე აღებული, არ არის სახელშეკრულებო ვალდებულების წყარო, თუმცა ეს უკანასკნელი კეთილსინდისიერების პრინციპის გარეშე ვერ იარსებებს.<sup>29</sup> სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების შესაბამისად, *Pacta Sunt Servanda* არის ჩვეულებითი სამართლის მიერ შემოღებული „უპირატესი ძალის მქონე კონსტიტუციური ნორმა“, რომელმაც ხელი შეუწყო საერთაშორისო სამართლის შექმნას სახელშეკრულებო პროცედურის ჩამოყალიბებით.<sup>30</sup> შესაბამისად, *Pacta Sunt Servanda* მიჩნეულია „საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპად, რომელიც გამომდინარეობს ჩვეულებითი სამართლიდან და ახლა უკვე ასახულია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციის 26-ე მუხლში.“<sup>31</sup>

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სამართალში არსებობს დროში თანამიმდევრული, პარალელური და კონფლიქტური ვალდებულებების პრობლემა, როდესაც ერთი ნორმის შესრულება ავტომატურად გულისხმობს მეორის დარღვევას, რასაც, ამავე დროს, ემატება გაეროს წესდების 103-ე მუხლით გათვალისწინებული გაეროს ფარგლებში აღებული ვალდებულებების უპირატესობა სახელმწიფოთა სხვა საერთაშორისო ვალდებულებებთან მიმართებით,<sup>32</sup> რაც ქმნის ე.წ. *Clausula Rebus Sic Standibus* მდგომარეობას,<sup>33</sup> ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია მაინც მოწოდებულია, ხელი შეუწყოს, ერთი მხრივ, მსოფლიოში მშვიდობის დამკვიდრებასა და შენარჩუნებას და, მეორე

<sup>28</sup> *Nuclear Tests Case, (New Zealand v France)*, ICJ, Judgment of 20 December 1974, para. 49.  
<sup>29</sup> *Border and Transborder Armed Actions, (Nicaragua v. Honduras)*, ICJ, Judgement of 20 December 1988, para 94; იხ. ასევე: Separate Opinion of Judge Ajibola, *Territorial Dispute (Lybia v. Chad)*, ICJ, Judgement of 3 February 1994, paras. 71-74; იხ. ასევე: Malcolm N. Shaw, *International Law*, (Cambridge University Press 2008), გვ. 104.  
<sup>30</sup> J. L. Kunz, ‘The Meaning and the Range of the Norm Pacta Sunt Servanda’, *American Journal of International Law*, 1945, 39, 180-181, ციტი.: supra note 2, გვ. 436; იხ. ასევე: L. Henkin, *International Law: Politics and Values*, (Kluwer Law International 1995), 31-32.  
<sup>31</sup> Dupuy, *Texaco v Libya, Award by Arbitrator*, (1977) 53 ILR 289, 461. იხ. ასევე: ECJ (CJ) *Racke C-162/96* (1998), ECR I-3655, para. 49.  
<sup>32</sup> დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ გაეროს წესდების 103-ე მუხლი: *In the event of a conflict between the obligations of the Members of the United Nations under the present Charter and their obligations under any other international agreement, their obligations under the present Charter shall prevail.*  
<sup>33</sup> *Clausula Rebus Sic Standibus* – პრინციპი, რომელიც გულისხმობს ისეთი გარემოების არსებობას, როდესაც საერთაშორისო ხელშეკრულების გამოყენება აზრს არის მოკლებული გარემოებათა ფუნდამენტური ცვლილებების გამო.

მხრივ, სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის გააქტიურებას მეტი ეკონომიკური დოვლათის დაგროვების მიმართულებით.

საერთაშორისო სახელშეკრულებო ნორმათა აღსრულების მიმართულებით არსებული გამოწვევები სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების გააქტიურებისა და, შესაბამისად, საერთაშორისო სამართლის დინამიკური განვითარების პარალელურად ყოველდღიურად უფრო მეტად აქტუალური ხდება, რაც ისევ და ისევ დაკავშირებულია კონკურენტული იურისდიქციების არსებობასა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა წონადაობასთან საერთაშორისო ურთიერთობებში. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა პრაქტიკის ანალიზი ცალსახად გამოკვეთს იმ აშკარა რეალობას, რაც საერთაშორისო სამართლის ძირითადი სუბიექტების ინტერესს უკავშირდება ეკონომიკური განვითარების მიმართულებით და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მათ მზაობას, რომ უპირატესად შეასრულონ ვმო-ის ფარგლებში არსებული ვალდებულებები. ეს საკითხი ყურადსაღებია იმ გადასახედიდან, რომ საერთაშორისო სამართალი, გარკვეულწილად, მის მიერვე შექმნილი სახელმწიფოთა ნებას დაქვემდებარებული სისტემის მსხვერპლი ხდება. თუმცა ისიც ცხადია, რომ სამართლის ნორმების ობიექტად ქცეული და გადაჯაჭვული სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების არსებობის პირობებში ქვეყნებისათვის პრიორიტეტული საკითხების ერთმანეთისაგან აბსოლუტური გამოჯვანა შეუძლებელია. საერთაშორისო სამართლის განვითარების მიზნებისათვის ეს არც უნდა იყოს სასურველი, მაგრამ ქმედითი ნაბიჯებია გადასადგმელი იმ მიმართულებით, რომ ურთიერთობათა მომწესრიგებელ საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის მკაცრად გაიმიჯნოს კომპეტენციები და მოხდეს პრიორიტეტების მკაფიოდ ჩამოყალიბება. ერთი შეხედვით, თითქოს ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის სადამფუძნებლო დოკუმენტი უთითებს მის მიზნებსა და ამოცანებზე, მაგრამ ეს მიზნები და ამოცანები იმდენად ზოგადი ხასიათის მატარებელია, რომ ავტომატურად ხელს უწყობს დროის დინების პარალელურად ამა თუ იმ ორგანიზაციის უფლებამოსილებების გაფართოებასა და მათ მიერ კოორდინებულად მოსაწესრიგებელ საკითხთა სფეროში ახალ-ახალი საკითხების შემოტანას. ამაში თავისთავად ცუდი არაფერია, თუ არ გავითვალისწინებთ იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც სახელმწიფოებს ყოველდღიურად უხდებათ შეხება სახელშეკრულებო ნორმების აღსრულების პრაქტიკული გადასახედიდან.

აუცილებელია საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის როგორც კომპეტენციების მკაცრად განსაზღვრა და პრიორიტეტების სწორად შერჩევა, ასევე კონკრეტული საკითხების მიხედვით სახელშეკრულებო ვალდებულებათა იერარქიის დადგენა. ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების კოორდინებულად თანამშრომლობის პრაქტიკის დამკვიდრების გზით. კერძოდ: როდესაც საკითხი ეხება ეკოლოგიური ვალდებულებების შესრულებას, ყველა საერთაშორისო ორგანიზაციისათვის უცილობლად იქნება გასათვალისწინებელი, მაგალითად, გაეროს ფარგლებში არსებული

სამართლებრივი ნორმები; თუ ვაჭრობაში არსებული ტარიფების შესახებ ხდება დავის გადაწყვეტა, მაშინ სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ მხოლოდ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში არსებული სტანდარტები და ა.შ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო თანამეგობრობა არ შეთანხმდება იმაზე, რომ კონკრეტულ კომპეტენციებს ზურგს უმაგრებენ დარგის წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციები, კონკურენტული იურისდიქციების საკითხი გორდიას კვანძად დარჩება და კიდევ უფრო მეტად გაართულებს ისედაც მრავალწახნაგოვან და მგრძობიარე სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს.

მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ შეიმუშაოს გარკვეული სუბორდინაციის სისტემა, რომლის არსებობის პირობებში საერთაშორისო ორგანიზაციები შეინარჩუნებენ კარგად დამკვიდრებულ ავტონომიას და, ამავე დროს, მხედველობაში მიიღებენ ერთმანეთის სპეციალურ კომპეტენციებს ახალი საერთაშორისო სახელშეკრულებო ნორმების შემუშავებისა თუ უკვე არსებული შეთანხმებების კონფლიქტური მუხლების განმარტების პროცესში.

#### *1.4 ვმო საერთაშორისოსამართლებრივ სისტემაში*

საერთაშორისოსამართლებრივ სისტემაში ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ადგილის დადგენა ემსახურება ერთადერთ მიზანს, კერძოდ, განისაზღვროს ის საერთაშორისოსამართლებრივი ფარგლები, რომელთა გამოყენებითაც ვითარდება საერთაშორისო სავაჭრო სამართალი და, ამავე დროს, მოხდეს სახელმწიფოთა საერთაშორისო ვალდებულებათა მოცულობის იდენტიფიცირება, კონკურენტული იურისდიქციების გათვალისწინებით.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, საერთაშორისო სავაჭრო სამართალი არის საერთაშორისო სამართლის განუყოფელი/დაქვემდებარებული ნაწილი. ის გვევლინება როგორც სპეციალური სამართალი ზოგად საერთაშორისო სამართალთან მიმართებით. თუ საერთაშორისო სამართალი არის საერთაშორისო ნორმებისა და პრინციპების ძირითადი წყარო, მაშინ თავად ვმო-ის სამართლის შემადგენელი ნორმები და პრინციპები გამომდინარეობს საერთაშორისო სამართლიდან. საერთაშორისო სამართალი არის ის ძირითადი საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც ივსება ვმო-ის სამართალში არსებული ხარვეზები და დავების განმხილველი ორგანოს მიერ ხდება გადაწყვეტილებების გამოტანა.<sup>34</sup>

აღნიშნულს კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს ის გარემოება, რომ, როგორც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ერთ-ერთი

<sup>34</sup> Justice Florentino P. Feliciano Former Member and Chairman Appellate Body World Trade Organization, Lecture: “Interpretation of Treaties: The Experience of the Appellate Body, WTO”, Filmed at Cambridge University in conjunction with the Lauterpacht Centre for International Law.



სადამფუძნებლო და ქეაკუთხედი მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების – დავების განხილვის წესებისა და პროცედურების შესახებ შეთანხმების მე-3,2 მუხლი აცხადებს, ვმო-ის ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების განმარტებისას უნდა იქნეს გამოყენებული ჩვეულებით საერთაშორისო სამართალში არსებული მიდგომა. მაგალითისათვის განვიხილოთ რამდენიმე საქმე, კერძოდ: საქმეზე - *US -Gasoline* - სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ვენის კონვენციის 31-ე მუხლმა მოიპოვა ჩვეულებითი სამართლის ნორმის სტატუსი, კერძოდ, ვენის კონვენციის ამ მუხლის გამოყენება, როგორც სახელშეკრულებო ნორმის განმარტების ზოგადი წესისა, ხდებოდა დავის მონაწილე ყველა მხარის მიერ, მათ შორის მესამე მხარეების მიერაც. წესმა შეიძინა ჩვეულებითი ნორმის სტატუსი.<sup>35</sup> შესაბამისად, ვინაიდან ეს წესი მიჩნეულია ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნაწილად, სავალდებულოდ არის გამოსაყენებელი დავების განმხილველი ორგანოს მიერ ვმო-ის სადამფუძნებლო ხელშეკრულებაში მითითებული შეთანხმებების ინტერპრეტაციის დროს, როგორც ეს აღნიშნულია *DSU*-ის მე-3,2 მუხლში. ეს დებულება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ვმო-ის ხედვას იმის თაობაზე, რომ მის ფარგლებში დადებული შეთანხმებები არ უნდა განიხილებოდეს საერთაშორისო საჯარო სამართლისგან „კლინიკურ იზოლაციაში“.<sup>36</sup>

საქმეზე - *Japan -Alcoholic Beverages II* - სააპელაციო პალატამ დაადასტურა, რომ ვენის კონვენციის 32-ე მუხლმა მოიპოვა ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნორმის სტატუსი, შესაბამისად, *DSU*-ის მე-3,2 მუხლი ავალდებულებს სააპელაციო პალატას, ვმო-ის სადამფუძნებლო დოკუმენტები განმარტოს ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის წესების შესაბამისად. აღნიშნულზე დაყრდნობით საქმეში - *United States -Standards for Reformulated and Conventional Gasoline* - დაფიქსირდა, რომ სახელშეკრულებო ნორმები უნდა განიმარტოს ვენის კონვენციის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, რადგანაც ამ წესმა შეიძინა ჩვეულებითი სამართლის ნორმის სტატუსი და უდავოა, რომ ვენის კონვენციის 32-ე მუხლმაც, რომელიც შეეხება სამართლებრივი ნორმების განმარტების დამხმარე წყაროების გამოყენებას, შეიძინა იგივე სტატუსი.<sup>37</sup> საინტერესოა, აქვს თუ არა ვმო-

<sup>35</sup> *Territorial Dispute Case (Libyan Arab Jamahiriya v. Chad)*, (1994), I.C.J. Reports p. 6 (International Court of Justice); *Colder v. United Kingdom*, ECHR, Series A, (1995) no. 18 (European Court of Human Rights); *Restrictions to the Death Penalty Cases*, (1986) 70 International Law Reports 449 (Inter-American Court of Human Rights); Jimenez de Arechaga, “International Law in the Past Third of a Century” (1978-1) 159 *Recueil des Cours* 1, p. 42; D. Carreau, *Droit International* (3e ed., 1991) p. 140; Oppenheim’s *International Law* (9th ed., Jennings and Watts, eds. 1992) Vol. 1, pp. 1271-1275.

<sup>36</sup> *Appellate Body Report, US - Gasoline*, DS2, p. 17.

<sup>37</sup> Jimenez de Arechaga, “International Law in the Past Third of a Century” (1978-1) 159 *Recueil des Cours* p. 1 at 42; *Territorial Dispute (Libyan Arab Jamahiriya/Chad)*, *Judgment*, (1994), ICJ, Reports, p. 6 at 20; *Maritime Delimitation and Territorial Questions between Qatar and Bahrain, Jurisdiction and Admissibility, Judgment*, (1995), I.C.J.Reports, p. 6 at 18; *Interpretation of the Convention of 1919 Concerning Employment of Women during the Night* (1932), P.C.I.J., Series A/B, No. 50, p. 365 at 380; cf. the *Serbian and Brazilian Loans Cases* (1929), P.C.I.J., Series A, Nos. 20-21, p. 5 at 30; *Constitution*

ის დაგების განმხილველ ორგანოს უფლება, რომ სახელშეკრულებო ნორმის ინტერპრეტაციისას გამოიყენოს სხვა პრინციპები, გარდა ჩვეულებით საერთაშორისო სამართალში არსებული პრინციპებისა. ამ საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფოებს შორის არ არის ერთიანი პოზიცია, თუმცა *პანელმა* საქმეზე - *In Korea -Procurement* - აღნიშნა, რომ GATT-ის იურისპრუდენციაში ჩამოყალიბებული ნორმის დაურღვევლობის მექანიზმი არ უნდა იქნეს განხილული ჩვეულებითი სამართლის პრინციპებისაგან იზოლაციაში და რომ DSU-ის მე-3,2 მუხლი მოითხოვს შესაბამისი ხელშეკრულების მუხლების ინტერპრეტაციას, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის შესაბამისად. თუმცა ვმო-ის შეთანხმებებისა და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ურთიერთმიმართება ამაზე უფრო ფართოა. კერძოდ, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი, ძირითადად, ვრცელდება ვმო-ის წევრ სახელმწიფოთა შორის ეკონომიკურ ურთიერთობებზე და ფოკუსირდება იმაზე, რომ ვმო-ის სახელშეკრულებო ნორმები არ მოდიოდნენ მასთან წინააღმდეგობაში, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, იმისათვის, რათა ვმო-ის სამართალი არ ეწინააღმდეგებოდეს ჩვეულებით საერთაშორისო სამართალს, ეს უკანასკნელი გამოიყენება ვმო-ის ფარგლებში სამართალშემოქმედებითი პროცესის წარმართვის მიზნებისათვის.<sup>38</sup> *პანელმა* ასევე დაამატა, რომ საერთაშორისო სამართლის სხვა წესები, გარდა სახელშეკრულებო ნორმების ინტერპრეტაციის წესებისა, არ მოქმედებენ ვმო-ის სამართალში. შესაბამისად, GATT-ის ფარგლებში არსებული პრობლემის გადაჭრისას ხელშეკრულებაზე ხელმოწერის ისტორიის გამოყენება წინააღმდეგობრივია ინტერპრეტაციისათვის ჩვეულებით სამართალში დადგენილი ნორმებისა.<sup>39</sup> საქმეზე - *EC and certain member States - Large Civil Aircraft* - *პანელმა* განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად უნდა იქნეს გამოყენებული უკუძალის აკრძალვის პრინციპი, რომელიც გაცხადებულია ვენის კონვენციის 28-ე მუხლში ნორმის ინტერპრეტაციისას, ვენის კონვენციის 31-ე,3 მუხლის შესაბამისად.<sup>40</sup> *პანელის* შეხედულებით, უკუძალის აკრძალვის პრინციპი სააპელაციო პალატის მიერ არაერთხელ იქნა აღიარებული საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპად. შესაბამისად, ევროკავშირსა და აშშ-ს შორის არსებულ დავაში მოხმობილ არგუმენტებთან დაკავშირებით, *პანელმა* სწორედ იგივე აზრი გაიმეორა, კერძოდ, საკითხი განიხილა 31-ე,3 მუხლის 28-ე მუხლთან ურთიერთმიმართების კონტექსტში.<sup>41</sup>

---

of the Maritime Safety Committee of the IMCO (1960), I.C.J. Reports, p. 150 at 161; *Air Transport Services Agreement Arbitration (United States of America v. France)* (1963), International Law Reports, 38, p. 182 at 235-43; *Appellate Body Report, Japan - Alcoholic Beverages II*, DS2, p. 10.

<sup>38</sup> *Panel Report, Korea - Procurement*, t/wt/ds/163, para. 7.96.

<sup>39</sup> *ibid.*, footnote 753.

<sup>40</sup> სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციის 28-ე მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულების მონაწილეზე არ ვრცელდება იმ ხელშეკრულების ნორმა, რომელმაც შეწყვიტა არსებობა ახალი ხელშეკრულების გაფორმებამდე.

<sup>41</sup> *Panel Report, EC and certain member States - Large Civil Aircraft*, t/wt/ds/316r-01, para. 6.23.

საინტერესოა, რომ საკითხის განხილვისას ვმო-ის დაგების განმხილველი ორგანო შეისწავლის როგორც ხელშეკრულების ტექსტს, ასევე მისი ხელმოწერის კონტექსტს, და იმ ობიექტსა და მიზანს, რომლის გამოც დაიდო ხელშეკრულება. სწორედ ამიტომ ვმო-ის ფარგლებში დადებულ ხელშეკრულებებს შორის არსებობს გარკვეული ბალანსი რაც, ერთი მხრივ, ხელს უწყობს იმას, რომ არ მოხდეს სხვადასხვა ხელშეკრულებაში ურთიერთგამომრიცხავი ნორმების არსებობა და, მეორე მხრივ, სახელშეკრულებო ნორმების ტექსტობრივი და კონტექსტობრივი ინტერპრეტაციის პროცესში შენარჩუნდეს ერთიანი პრაქტიკა. ხელშეკრულების ინტერპრეტაციისას მოსამართლეს არ შეუძლია უფლებათა და ვალდებულებათა გადაბალანსება - ეს უფლება ორგანიზაციის წევრების პრივილეგიაა, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ თავად სახელმწიფოებმა შექმნეს ისეთი სისტემა, რომელიც ყველა წევრს ავალდებულებს, დაემორჩილოს ორგანიზაციის სავალდებულო და ექსკლუზიურ იურისდიქციას, სადაც ყველა მონაწილე ცდილობს, შეინარჩუნოს ბალანსი პოლიტიკაში, რომელსაც ვერავინ შეეწინააღმდეგება და რომელიც ყველასთვის მისაღებად სავალდებულოა. გამონაკლისების ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად და არა ვიწროდ. წევრ სახელმწიფოთა მიერ დადგენილი შეზღუდვები უპირატესი ძალით მოქმედებს ვმო-ის ფარგლებში არსებულ საბაზრო დაშვებასთან მიმართებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ არის პროტექციონისტული და შეესაბამება საერთაშორისო სამართალს.

ის ფაქტი, რომ ვმო არ შექმნილა საიმისოდ, რათა ეარსება დანარჩენი სამყაროსაგან „კლინიკურ იზოლაციაში“ (აღნიშნული ტერმინი დამკვიდრებულია თავად ორგანიზაციის მიერ), დასტურდება იმ უამრავი საერთაშორისო ხელშეკრულებით, რაც მას აქვს გაფორმებული საერთაშორისო მონეტარულ ფონდთან, მსოფლიო ბანკთან, გაეროს განვითარების ფონდთან, გაეროს განვითარების პროგრამასთან, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან ვაჭრობისა და შრომის სფეროებში. ეს კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს ვმო-ის სამართლის მნიშვნელობას, ერთი მხრივ, მსოფლიო მმართველობასა და, მეორე მხრივ, განვითარებადი სახელმწიფოების ხელშეწყობაში.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სამართლის უკეთ გასაგებად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მისი სამართლის წყაროების დადგენას და იმის განსაზღვრას, ინტერპრეტაციის პროცესში თუ რომელ სახელშეკრულებო ნორმას იყენებენ ვმო-ის შესაბამისი ორგანოები. სწორედ ამ მიზნებისათვის უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან ვმო-ის სამართლის წყაროები და ნორმათა განმარტებისათვის გამოყენებული ელემენტები (შემდგომში - ელემენტები). სანამ გადავიდოდეთ უშუალოდ წყაროებისა და ნორმათა განმარტების ვმო-ში გამოყენების მეთოდებზე, უნდა აღვნიშნოთ, რომ *jus cogens* ნორმების გარდა, რომელთაგან გადახვევაც დაუშვებელია, წევრ სახელმწიფოებს თავისუფლად შეუძლიათ სამართლის იმ ნორმების განსაზღვრა, რომელთა ფარგლებშიც უნდა მოხდეს მათ შორის ურთიერთობათა წარმართვა.

შესაბამისი პრეცედენტების მიმოხილვამდე უპრიანია, მოვიხმოთ ვმო-ის ერთ-ერთი ქვაკუთხედი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს აღნიშნულ საკითხს - ეს კი გახლავთ *DSU* და, შესაბამისად, მისი მე-3,2 მუხლი. ამ მუხლის მიხედვით, ვმო-ის დავების განხილვის სისტემა ცენტრალურ როლს ასრულებს საერთაშორისო ვაჭრობის უსაფრთხოებისა და განჭვრეტადობის უზრუნველყოფის მიმართულებით. წვერი სახელმწიფოები აღიარებენ მის როლს, უფლებათა და ვალდებულებათა აღსრულების თვალსაზრისით, იმ დადებულ ხელშეკრულებათა ფარგლებში, რომელთა განმარტებაც უნდა მოხდეს საერთაშორისო საჯარო სამართლის განმარტებისათვის ჩვეულებით სამართალში დადგენილი წესებით.<sup>42</sup>

აღსანიშნავია, რომ ვმო-ის სამართლის ძირითად წყაროებს მიეკუთვნება დავების განხილვის მარეგულირებელი წესების შესახებ შეთანხმების პირველ დანართში ჩამოთვლილი ხელშეკრულებები,<sup>43</sup> რომლებიც ინკორპორირების მექანიზმის არსებობის პირობებში ასევე იმყოფებიან გარკვეულ კავშირში სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებათა ნორმებთან, რომლებიც, ვმო-ის სამართლის განმარტების მიზნებიდან გამომდინარე, ასევე ითვლებიან ვმო-ის სამართლის წყაროდ. როგორც სააპელაციო პალატამ ცხადად აღნიშნა, არაერთ გადაწყვეტილებაში დავების განმხილველი ორგანოს მიერ სახელშეკრულებო ნორმის ინტერპრეტაციისას ამოსავალი ნორმა არის სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციის 31-ე მუხლი, რომელიც მიუთითებს, რომ ხელშეკრულება უნდა იქნეს განმარტებული კეთილსინდისიერად, ტერმინების კონტექსტობრივი მნიშვნელობისა და ხელშეკრულების ობიექტისა და მიზნის გათვალისწინებით. კონტექსტთან ერთად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შესაბამისი პრაქტიკა მხარეების მიერ ამ ხელშეკრულების განმარტების გამოყენების მიზნებისათვის.<sup>44</sup>

კიდევ ერთი მორიგი მნიშვნელოვანი განაცხადი, რაც გააკეთა ვმო-ის დავების განმხილველმა ორგანომ, არის ის, რომ წვერ სახელმწიფოს შეუძლია ჩაერთოს დავაში იმ შემთხვევაშიც კი, თუ სადავო ნორმის დარღვევით მისი ინტერესები პირდაპირ არ შელახულა, თუმცა არსებობს იმის პოტენციური საფრთხე, რომ სამომავლოდ შესაძლებელია ინტერესთა შელახვაც. ამ შემთხვევას არსებითი მნიშვნელობა აქვს ასევე იმ გადასახედიდან, რომ, როგორც დავების განმხილველი ორგანო უთითებს თავის გადაწყვეტილებაში, მსგავსი

<sup>42</sup> Understanding on Rules and Procedures Governing the Settlement of Disputes (1994), Art. 3.2.

<sup>43</sup> *ibid.*, Appendix 1, ვმო-ის სამართლის ძირითადი წყაროებია შემდეგი საერთაშორისო ხელშეკრულებები: Agreement Establishing the World Trade Organization; Multilateral Trade Agreements; Multilateral Agreements on Trade in Goods; General Agreement on Trade in Services; Agreement on Trade-Related Aspects of Intellectual Property Rights; Understanding on Rules and Procedures Governing the Settlement of Disputes; Agreement on Trade in Civil Aircraft; Agreement on Government Procurement; International Dairy Agreement; International Bovine Meat Agreement; ამ ხელშეკრულებების მიღება მოხდა 1994 წელს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში და ხელმისაწვდომია შემდეგი ბმულის გამოყენებით: <[www.wto.org](http://www.wto.org)>.

<sup>44</sup> *EC-Bannanas III*, Panel Report, DS27, para. 7.14.

პრაქტიკა შესაბამისია სხვა საერთაშორისო ტრიბუნალების პრაქტიკასთან და მაგალითად არის მოხმობილი მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო.<sup>45</sup>

ნაშრომში მოცემული ინფორმაციის ანალიზის ფონზე დგინდება, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში არსებული დავების განხილვის სისტემა, ერთი მხრივ, ემორჩილება თავად ვმო-ში არსებულ საერთაშორისო სახელშეკრულებო ჩარჩოს, ხოლო მეორე მხრივ, აუცილებლად ითვალისწინებს საერთაშორისო საჯარო სამართლისათვის დამახასიათებელ პრაქტიკას სადავო საკითხზე გადაწყვეტილების გამოტანის მიმართულებით.

აღნიშნული ნაკარნახევია იმ გარემოებით, რომ კიდევ ერთხელ გაესვას ხაზი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კუთვნილებას საერთაშორისო საჯარო სამართლისადმი და, ამავე დროს, ხელი შეეწოს განსხვავებული ხედვებიდან გამომდინარე შესაძლო გართულებებს, თუმცა პრაქტიკაში პრობლემები მაინც იქმნება. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სასამართლოები და ტრიბუნალები იზიარებენ სახელშეკრულებო ნორმის განმარტების საყოველთაოდ აღიარებულ წესებს, პრაქტიკაში არსებული გამოწვევები დაკავშირებულია მათ მიერ გამოყენებულ არგუმენტაციაში, როდესაც იქმნება ისეთი შემთხვევა, რომ სამართლის ერთი და იგივე ნორმა სხვადასხვანაირად განიმარტება სხვადასხვა საერთაშორისო სასამართლოს მიერ. ეს ე.წ. კონკურენტული იურისდიქციების პრობლემა უცვლელად დარჩება, თუ არ მოხდება შეთანხმება ერთიან მიდგომაზე და ამ ხედვის დანერგვაზე გადაწყვეტილებების გამოტანის პროცესში.

#### I.4.1 ვმო-ის ძირითადი ხელშეკრულებები

ვმო-ის ფარგლებში დადებული ხელშეკრულებები იმდენად მრავალრიცხოვანია, რომ შეუძლებელია თითოეულ მათგანზე თუნდაც ერთი წინადადების დაწერა. ამიტომ ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, უპრიანი იქნება, განხილულ იქნეს ის უმთავრესი სამი ხელშეკრულება, რომელთა გარშემოც ყველაზე ხშირია სახელმწიფოთა დავები და ვმო-ის დავების განმხილველ ორგანოსაც საკმაოდ მდიდარი პრეცედენტთა ბაზა აქვს. ამ სახის ხელშეკრულებებს მიეკუთვნება: ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ ზოგადი შეთანხმება (შემდგომში - GATT-ი); მომსახურებით ვაჭრობის შესახებ ზოგადი შეთანხმება (შემდგომში - GATS-ი) და შეთანხმება ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა შესახებ (შემდგომში - TRIPS-ი). ნაშრომის მიზნებისათვის განხილული იქნება მხოლოდ GATT-ისა და GATS-ის ფარგლებში არსებული სახელმწიფოთა

<sup>45</sup> *ibid.*, paras. 7.50. 7.175. Panel Report on Italian Discrimination against Imported Agricultural Machinery, adopted on 23 October 1958, BISD 7S/60, 63-64, para. 11.

სამართლებრივ-ეკონომიკური ურთიერთობები, რადგანაც საქართველოსათვის, დღეის მდგომარეობით, სწორედ აღნიშნულ ხელშეკრულებებზე დაყრდნობით უფრო მეტად აქტუალურია საკუთარი ინტერესების დაცვის მიმართულებით პოზიციის დაფიქსირება.

## I.4.2 თანამედროვე მსოფლიო ვაჭრობის ძირითადი პრინციპები

ვმო-ის ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულებების განხილვამდე უპრიანია, მიმოხილულ იქნეს თანამედროვე სავაჭრო ურთიერთობებში გაბატონებული ის პრინციპები, რომელთა გამოყენებითაც სახელმწიფოები ერთმანეთში წარმართავენ და აწესრიგებენ ეკონომიკურ ურთიერთობებს.

მოლაპარაკებათა ინტენსივობისა და ბუნების გათვალისწინებით ჩამოყალიბებული მსოფლიო სავაჭრო სისტემა, ძირითადად, ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:<sup>46</sup>

1. თავისუფალი ვაჭრობა;
2. განჭვრეტადობა;
3. სამართლიანი კონკურენციის ხელშეწყობა;
4. განვითარებისა და ეკონომიკური რეფორმის წახალისება;
5. ვაჭრობა დისკრიმინაციის გარეშე.

**თავისუფალი ვაჭრობა** - ეს პრინციპი ითვალისწინებს მუდმივ მოლაპარაკებებს ვაჭრობაში ბარიერების შემცირების, საბაჟო გადასახადების, ტარიფებისა და კვოტების მოდიფიცირებისათვის, რათა უფრო მეტად შეეწყოს ხელი სახელმწიფოთაშორის თავისუფალ ვაჭრობას.<sup>47</sup>

**განჭვრეტადობა და გამჭვირვალობა** - წვერი სახელმწიფოები წინასწარ თანხმდებიან იმაზე, რომ გარკვეული პერიოდისათვის არ გაზრდიან ტარიფს, ან არ მიმართავენ ვაჭრობის შემაფერხებელ სხვა რომელიმე მეთოდს. ამ პრინციპს აქვს უდიდესი მნიშვნელობა ბიზნესის წარმოების სტაბილურობისა და განჭვრეტადობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.<sup>48</sup>

იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო გადაწყვეტს, რომ შეცვალოს შესაბამისი რეგულაციები, მან ინფორმაცია ნებისმიერი ცვლილების

<sup>46</sup> Understanding the WTO: Principles of Trading System, WTO Publication, გვ: 10, ხელმისაწვდომია: <[http://www.wto.org/english/thewto\\_e/whatis\\_e/tif\\_e/fact4\\_e.htm](http://www.wto.org/english/thewto_e/whatis_e/tif_e/fact4_e.htm)>, ნანახია: 15.05.2013 წ.

<sup>47</sup> *ibid.*

<sup>48</sup> *ibid.*

შესახებ უნდა გამოაქვეყნოს ოფიციალურად, ან აცნობოს ვმო-ს, რათა ვაჭრობის წარმოების გამჭვირვალე პროცესი იქნეს უზრუნველყოფილი.<sup>49</sup>

**სამართლიანი კონკურენციის ხელშეწყობა** - ამ პრინციპის დაცვა ხდება უპირატესი მოპყრობის, ადგილობრივი მოპყრობისა და, შესაბამისად, დისკრიმინაციის აკრძალვის მეთოდების გამოყენებით. სახელმწიფოები თანხმდებიან იმ პრაქტიკაზე, თუ როგორ უნდა დაიცვან სამართლიანი კონკურენციის წარმოების წესები და თუ როგორ უნდა დააკომპენსირონ ის ზარალი, რომელიც გამოწვეულია არაჯანსაღი კონკურენციის პირობებში.<sup>50</sup>

**განვითარებისა და ეკონომიკური რეფორმის წახალისება** - ვმო ორიენტირებულია განვითარებაზე, სწორედ ამიტომ განვითარებადი სახელმწიფოები სარგებლობენ გარკვეული შეღავათებით. ვმო-ის ზოგადი პოლიტიკისა და პრაქტიკის შესაბამისად, განვითარებადი სახელმწიფოებსა და გარდამავალი პერიოდის ეკონომიკებს ეძლევათ დამატებითი დრო საკუთარი კანონმდებლობისა და ეკონომიკის ვმო-ის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.<sup>51</sup>

### **ვაჭრობა დისკრიმინაციის გარეშე**

GATT-ის უმთავრესი მუხლები, რომლებთან დაკავშირებითაც, ძირითადად, ხდება სახელმწიფოთა მიერ განაცხადების შეტანა დავების განმხილველი ორგანოს წინაშე, არის I, III და XX.

I მუხლის მიზანია, რომ ნებისმიერი უპირატესობა, პრივილეგია ან იმუნიტეტი, მინიჭებული ერთი ხელშემკვრელი მხარის მიერ პროდუქტისათვის, რომელიც იწარმოება ან მიეკუთვნება ნებისმიერ სხვა ქვეყანას, გავრცელდეს დაუყოვნებლივ და უპირობოდ სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოში წარმოებულ ან მისთვის მიკუთვნებულ მსგავს პროდუქტებზე.<sup>52</sup> მიუხედავად იმისა, რომ I მუხლი ამგვარ მიდგომას აყალიბებს, ეს მაინც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ხელშეკრულება ჯეროვნად შესრულდეს სახელმწიფოების მიერ, რადგან ისინი ყოველთვის ცდილობენ, ამოეფარონ სხვადასხვა მიზეზს ნორმების დასარღვევად და მანიპულირებენ, თუნდაც, ისეთი საშუალებით, როგორიცაა პროდუქტთა მსგავსება-განსხვავებულობის დადგენა, რომლის კრიტერიუმებიც, ჯერჯერობით, ვმო-ის პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, დადგენილი არ არის. ასეთი მცდელობები არაერთ საქმეშია წარმოჩენილი. მაგალითისათვის შესაძლოა, მოხმობილ იქნეს *Japan Alcoholic Beverages II*, სადაც დავების განმხილველმა ორგანომ პირდაპირ მიუთითა პროდუქტთა მსგავსების

<sup>49</sup> *ibid.*

<sup>50</sup> *ibid.*

<sup>51</sup> *ibid.*

<sup>52</sup> General Agreement on Tariffs and Trade 1994, [შემდგომში – GATT, 1994], მუხლი I.

დადგენის კრიტერიუმების არარსებობასა და საქმის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ყველა გარემოების გათვალისწინების აუცილებლობაზე.<sup>53</sup> ამ პრინციპის მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ ის მოცემულია როგორც ვმო-ის ფარგლებში მოქმედ სამ უმთავრეს ხელშეკრულებაში (GATT-ი, GATS-ი და TRIPS-ი), ასევე გვევლინება მთლიანად საერთაშორისო ვაჭრობისა თუ გლობალური ეკონომიკის სადამფუძნებლო კონცეფციად.

III მუხლი ცალსახად გამოყოფს იმ უმთავრეს მიზანს, რაზეც არის აგებული წინამდებარე ნაშრომი, კერძოდ, ესაა თანაფარდობა საერთაშორისო და შიდა სამართალს შორის. მუხლის შესაბამისად, ცხადად ჩანს ხელშემკვრელი სახელმწიფოების ნება, პატივი სცენ ერთმანეთის შიდა კანონმდებლობას და, ამასთანავე, დაიცვან თავი სხვა სახელმწიფოების მიერ ბაზარზე მათი შევიწროების შესაძლო შემთხვევებისაგან სწორედ იმით, რომ შეთანხმებაში შემდეგი წინადადება ჩანდეს: შიდასახელმწიფოებრივი გადასახადებისა და სხვა გადასახადების გადახდა შესაძლოა დაეკისროს იმპორტირებულ პროდუქციას, მაგრამ ამით უპირატეს მდგომარეობასა და პირობებში არ უნდა აღმოჩნდეს ადგილობრივი პროდუქცია.<sup>54</sup> უფრო მეტიც, III მუხლის მე-4 პუნქტში ხაზგასმულია, რომ: ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარის კუთვნილი პროდუქცია არ უნდა ექვემდებარებოდეს იმაზე ცუდ მოპყრობას, ვიდრე ეს ხორციელდება შიდა პროდუქციის მიმართ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საკითხი ეხება ტრანსპორტირების განსხვავებული საშუალებებისათვის დაწესებულ სხვადასხვა ტარიფს და არა საქონლის ეროვნულობას.<sup>55</sup> ეს პრინციპიც ასევე არის გათვალისწინებული ვმო-ის ფარგლებში გაფორმებულ სამივე უმთავრეს შეთანხმებასა (GATT, GATS, TRIPS) და სხვა ხელშეკრულებებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დადგენილ პრინციპს აქვს ასევე გამონაკლისი შემთხვევები, რაც GATT-ის შესაბამისი მუხლებით რეგულირდება და რაც, ძირითადად, საერთაშორისო ვაჭრობის მამოძრავებელ ქვაკუთხედ ნორმებად მიიჩნევა. ესენია, ერთი მხრივ, XX მუხლით დადგენილი ზოგადი გამონაკლისები და ასევე XXIV და XXVIII მუხლებით გათვალისწინებული პირობები, რაც ნაშრომის მომდევნო თავებში უფრო დეტალურად იქნება განხილული, თუმცა აქვე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ შესაბამისი გამონაკლისების მიზანია განვითარებადი სახელმწიფოების დახმარება ეკონომიკური წინსვლისა და სავაჭრო ურთიერთობების განვითარების მიმართულებით, რაც დღევანდელი გადასახედიდან ესოდენ მნიშვნელოვანია საქართველოსთვის.

ზემოთ ხსენებული GATT-ის I და III მუხლების ანალიზს ისევ იქამდე მივყავართ, რომ, მიუხედავად სახელმწიფოთა სუვერენული უფლებისა, შიდა საქმეები წარმართონ საკუთარი სურვილის

<sup>53</sup> *Japan – Taxes on Alcoholic Beverages (“Japan – Alcoholic Beverages II”)*, WT/DS8/R, WT/DS10/R, WT/DS11/R, adopted 1 November 1996, para. 6.23, Modified by the AB Report, WT/DS8/AB/R, WT/DS10/AB/R, WT/DS11/AB/R, DSR 1996:1, 125, p.16.

<sup>54</sup> GATT, 1994, მუხლი III,1.

<sup>55</sup> იქვე, მუხლი III,4. GATT 1994, მუხლი III,1.



შესაბამისად, ისინი მაინც ვაღდეულები არიან, დაექვემდებარონ საერთაშორისო სამართლით მოწესრიგებულ მთელ რიგს პირობებისას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხი სახელმწიფოთა ეკონომიკურ ინტერესებს უკავშირდება; თანაც, თუ გათვალისწინებულ იქნება ის ფაქტი, რომ სახელმწიფოები არიან საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიანი სუბიექტები, რომლებიც ქმნიან საერთაშორისო ხელშეკრულებებს და ივალდეულებენ თავს, შეასრულონ მათ მიერვე ჩამოყალიბებული სამართლის ნორმები, ცხადი ხდება ერთი გარემოება - რა კონვენციაც არ უნდა დაიდოს და როგორი სახელმწიფოც არ უნდა წარმოადგენდეს მის ხელშემკერულ მხარეს, იქნება ეს განვითარებული თუ განვითარებადი, საერთაშორისო სამართლის პრიმატის მაღიარებელი შიდა კანონმდებლობასთან მიმართებით თუ არა, მასზე მაინც ვრცელდება სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის 1969 წლის კონვენციის 27-ე მუხლით დადგენილი პრინციპი: „მონაწილეს არ შეუძლია, დაეყრდნოს თავის შიდა სამართლის დებულებებს ხელშეკრულების შეუსრულებლობის გასამართლებლად“. აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ საერთაშორისო სამართალს არ აინტერესებს, როგორი ფორმით აღიარებს მას ესა თუ ის სახელმწიფო - მისთვის მთავარია ის გარემოება, რომ, თუ ქვეყანა გადაწყვეტს, გახდეს ხელშეკრულების მონაწილე, მაშინ ის ვაღდეულები არის, შეასრულოს ყველა ნაკისრი ვალდეულება, მიუხედავად იმისა, ეწინააღმდეგება მისი ქმედება მისსავე შიდა კანონმდებლობას თუ არა. თუმცა, მიუხედავად ამ ყველაფრისა, საკითხავია, რამდენად ასრულებენ სახელმწიფოები ვმო-ის დავების განმხილველი ორგანოს მიერ მათ წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებებს? ეს საკითხი განხილულია მომდევნო თავებში, მაგრამ, სანამ მოვახდენთ სახელმწიფოთა დიფერენციაციას განვითარების დონისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულების მიხედვით, ისევე, როგორც განვიხილავთ ვმო-ის ფარგლებში არსებულ დავების განმხილველი ორგანოს მიერ საქმის განხილვის პროცედურებს, უპრიანია, მიმოვიხილოთ GATS-ისა და GATT-ის იურისდიქციისა და კომპეტენციის სფეროებს მიკუთვნებული ის საკითხები, რომლებიც ყურადღებას იპყრობენ აქტუალობით, კონკურენტული იურისდიქციის თვალსაზრისითა და სახელმწიფოთათვის ყოველდღიურ ურთიერთობებში მათი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო.

პირველი ასეთი ხელშეკრულებაა მომსახურებით ვაჭრობის შესახებ ზოგადი შეთანხმება, რომლის ფარგლებშიც წინამდებარე ნაშრომის მიზნებისათვის ჩვენ შევეხებით მომსახურების გამწვეთა დროებითი მიგრაციის საკითხებს ვმო-ის წევრ სახელმწიფოთა ფარგლებში, ისევე როგორც გაანალიზდება საქართველოს დღის წესრიგში არსებული მიგრაციული პროცესების მართვის აქტუალური საკითხები.

## II. მიგრაციის მართვა ვმო-ის ფარგლებში – GATS-ის მაგალითზე

მიგრაციის მართვა ყოველთვის იყო და იქნება სახელმწიფოთაშორისი მოლაპარაკებების ერთ-ერთი მთავარი და, ამავე დროს, ყველაზე უფრო მგრძობიარე საკითხი. ეს გამომდინარეობს მიგრაციით რეგულირებადი საკითხებისა და მათთან დაკავშირებული სახელმწიფოთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა თუ სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების დაცვის არსიდან, რაც გამოხატულებას პოულობს სამხსრივ, ან როგორც მას ზოგიერთი მეცნიერი უწოდებს, სამკუთხა ურთიერთობებში, ერთი მხრივ, წარმოშობისა და ადგილსამყოფელ სახელმწიფოსა და, მეორე მხრივ, თავად მიგრანტს შორის. ერთი რამ ცხადია: მიგრაციის მართვა არის სახელმწიფოთა პოლიტიკური ნების გამოხატულება - სამართლებრივი ნორმებით მართონ ადამიანთა მობილობის შეუქცევადი პროცესი. ცხადია, რომ ის ხარვეზები, რაც არსებობს სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში მიგრაციის მართვის თვალსაზრისით, შედეგია იმ რბილი მიდგომისა, რომელიც დამკვიდრებულია ამ პროცესის მომწესრიგებელ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებში, ასევე მიგრაციის საკითხებზე მომუშავე კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებათა არასავალდებულო ხასიათისა. აღნიშნულიდან გამომდინარე, იბადება კითხვა: ნუთუ მართლა იმდენად სუსტია საერთაშორისო სისტემა, რომ არ შეუძლია მოაწესრიგოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა დანიშნულების სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაშვება-არდაშვების წინააღმდეგობრივი დილემა? ამ საკითხთან დაკავშირებული ცოცხალი დისკუსია ოპტიმიზმისთვის ტოვებს ძალიან მცირე ადგილს, რადგანაც თითქოს უკვე ოქროს წესად იქცა სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში, რომ მოქალაქისათვის ადვილია საკუთარი წარმოშობის ქვეყნის ტერიტორიის დატოვება, მაგრამ არის კი დანიშნულების ქვეყნის საზღვრის კვეთა ადვილი? რა თქმა უნდა, არა და საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე არსებული თავსატეხიც სწორედ აქედან გამომდინარეობს: არსებობს კი მექანიზმი იმის უზრუნველსაყოფად, რომ მოხდეს სახელმწიფოთა დაყოლიება, გახსნან საკუთარი ტერიტორიული საზღვრები მიგრანტებისათვის. საერთაშორისო სამართალში არ არსებობს ნორმა, რომელიც აიძულებს სახელმწიფოს საზღვრების გახსნასა და უცხო ქვეყნის მოქალაქეთა საკუთარ ტერიტორიაზე დაშვებას, თუმცა ამის პარალელურად შესაძლებელია, არსებობდეს სისტემა, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული საიმისოდ, რათა სახელმწიფოებმა საზღვრების მეტი გახსნილობით დააგროვონ ეკონომიკური დოვლათი. ასეთ სისტემად კი უცილობლად საერთაშორისო სავაჭრო სისტემა უნდა იქნეს მიჩნეული.

შესაძლოა, კავშირმა ვაჭრობასა და მიგრაციას შორის გამოასწოროს არსებული მდგომარეობა და სახელმწიფოთაშორისი

ეკონომიკური ურთიერთობები იქცეს იმ ძირითად ბერკეტად, რომელიც მოაწესრიგებს მიგრაციის მართვის ქაოსურ პროცესს, რადგანაც ამით შესაძლებელი გახდება მიგრაციის სფეროს მიმაგრება საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ეფექტური დარგისათვის, რომელიც თავის გამოხატულებას პოულობს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სისტემაში. კითხვა კითხვად რჩება, მაგრამ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით, არის ის, რომ ვაჭრობასა და მიგრაციას შორის არსებობს აშკარა კავშირი, რომლის ფესვებიც საერთაშორისო ხელშეკრულებების ისტორიულ წარსულში უნდა ვეძებოთ. დღეისათვის სრული სახით შემორჩენილი უძველესი საერთაშორისო ხელშეკრულება არის ელბასა და ასურეთის მეფეებს შორის დადებული ხელშეკრულება მეგობრობასა და ვაჭრობაზე. აღნიშნული ხელშეკრულების ხელმოწერა მოხდა ქრისტესშობამდე მესამე საუკუნის შუა ხანებში.<sup>56</sup> აღნიშნული ფაქტი იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს, რომ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში ეკონომიკური განვითარების მნიშვნელობას ძალუძს მიგრაციის მართვის პროცესის მოწესრიგება.

არავისთვის არ არის გასაკვირი, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დაარსება 1994 წელს მარაკეში შეთანხმებაზე ხელმოწერით არის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა საერთაშორისო ვაჭრობის ისტორიული, სამართლებრივი და ეკონომიკური გადასახედიდან. ვაჭრობის ეფექტურობა, რომელიც გამომდინარეობს მისი საგნობრივი იურისდიქციიდან, არის სახელმწიფოთა ნების, ხელი შეუწეონ ეკონომიკურ განვითარებას, ლოგიკური გამოხატულება.

ის ფაქტი, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია მიჩნეულია საერთაშორისო დონეზე მოქმედ ერთ-ერთ ყველაზე უფრო ეფექტურ საერთაშორისო ორგანიზაციად, გამომდინარე მისი დავების განხილვის სისტემის სავალდებულო იურისდიქციიდან და მბოჭავი ძალის მქონე სადამფუძნებლო ხელშეკრულებებიდან, იძლევა იმის პრეზუმფციის საშუალებას, რომ შესაძლებელია, უკვე არსებულმა და კარგად განვითარებულმა სავაჭრო სისტემამ ბოლო მოუღოს მოუწესრიგებელ და ყბადაღებულ მიგრაციის ქაოსურ პროცესს.

სახელმწიფოთა შორის სავაჭრო ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად უფრო და უფრო მეტი რაოდენობის საკითხი ექცევა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის რეგულირების სფეროში, რაც იმთავითვე წარმოშობს კონკურენტული ან ალტერნატიულად ურთიერთგადაამკვეთი იურისდიქციების საკითხს.

აღნიშნული საინტერესოა ვაჭრობასა და მიგრაციას შორის არსებული კავშირების გადასახედიდან. ერთი რამ ცხადია: ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში წარმართულ სახელმწიფოთაშორის სავაჭრო ურთიერთობებში მომსახურებით ვაჭრობის შესახებ შეთანხმება არის ერთ-ერთი მხრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც აწესრიგებს ფიზიკურ

<sup>56</sup> K-H Ziegler, *Völkerrechtsgeschichte* (2<sup>nd</sup> edn 2007) § 2 II 1; cit.: supra note 2, p. 1.

პირთა დროებით მიგრაციას მომსახურების გაწევის მიზნით, რაც, ერთი მხრივ, ნებას რთავს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა მოქალაქეებს, გადაადგილდნენ ორგანიზაციის ტერიტორიულ საზღვრებში, ხოლო მეორე მხრივ, უზღუდავს არაწევრი სახელმწიფოების მოქალაქეებს გადაადგილების ამგვარ თავისუფლებას.

ის ფაქტი, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია დაინტერესდა ფიზიკურ პირთა მიგრაციის ასპექტებით, იძლევა იმის პრეზუმფციის შესაძლებლობას, რომ სავაჭრო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად ამ ორგანიზაციის მიდგომა მიგრაციის პროცესების მართვისადმი უფრო გამყარდება და მიგრაციის მართვის მრავალწახნაგოვანი და გამოწვევებით აღსავსე პროცესი ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგდება სამართლის ჩარჩოებში მოქცეული სახელმწიფოთა ეკონომიკური განვითარების სურვილის ხარჯზე.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, შეაფასოს, რამდენად უწყობს ხელს, მაგალითად, გაეროსა და მისი სპეციალიზებული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში შემუშავებული და ამოქმედებული კონვენციები თუ ოქმები დასახული მიზნების მიღწევას და რამდენად მნიშვნელოვანია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შემოჭრა ამ სფეროში და მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებით (GATS-ი) მოწესრიგებულ საკითხებში ფიზიკურ პირთა დროებითი მიგრაციის ცნების ასახვა. წინამდებარე ნაშრომის მიზანია, ასევე, ვმო-ის ეფექტური მუშაობის, კომპეტენციის სფეროსა და დავების განხილვის მექანიზმის გავლენის შეფასება წევრ სახელმწიფოთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების კეთილსინდისიერად აღსრულებისა და შიდა კანონმდებლობის დავების განმხილველი ორგანოს რეკომენდაციებთან შესაბამისობაში მოსაყვანად, მიგრაციის მართვის კონტექსტში.

ამ საკითხების განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, ნაშრომი მიმოიხილავს GATS-ის შექმნის მიზნებს, მის ურთიერთობას სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებთან, ისევე როგორც გაანალიზებს სპეციალურ ლიტერატურაში არსებულ აზრთა სხვადასხვაობას შრომით მიგრაციასა და მომსახურების გაწევის მიზნით საზღვრის კვეთასთან დაკავშირებით. ნაშრომის კვლევის საგანია, ასევე, სახელმწიფოს მხრიდან ვმო-ის ფარგლებში მიგრაციის მართვასთან დაკავშირებით აღებული ვალდებულებების შესრულების საკითხი.

GATS-ის პირველი მუხლით განსაზღვრული ფიზიკური პირის დროებითი გამგზავრებით გაწეული მომსახურების მახასიათებლებისა და შრომით მიგრაციასთან მისი განსხვავება-მსგავსების დადგენის კვალდაკვალ ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროებითი გამგზავრების ვადების განსაზღვრას, რათა დადგინდეს უფლების მოცულობა და განისაზღვროს - სახელმწიფოს ტერიტორიაზე რამდენი ხნით დარჩენა ითვლება სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისად. ამ მიმართულებით გაანალიზებულია საერთაშორისო პრაქტიკა და

ცირკულარულ მიგრაციასთან დაკავშირებული მთელი რიგი ასპექტებისა.

GATS-ის ნორმებით რეგულირებადი მიგრაციის მართვის საკითხებისა და მიგრაციის მართვის თვალსაზრისით არსებული საერთაშორისო სახელშეკრულებო ბაზის ანალიზის კვალდაკვალ ნაშრომი მიმოიხილავს განვითარებადი სახელმწიფოებისათვის დადგენილ შეღავათიანი მოპყრობის პირობებს და მომსახურებით ვაჭრობის მარეგულირებელი მრავალმხრივი პრინციპებისა და წესების ჩარჩოს, მიმართულს იმისაკენ, რომ მომსახურებით ვაჭრობა განვითარდეს გამჭვირვალებებისა და პროგრესული ლიბერალიზაციის პირობებში, რათა მოხდეს წევრ სახელმწიფოთა ეკონომიკური ზრდის წახალისება და განვითარებადი სახელმწიფოების განვითარებისათვის ხელშეწყობა; ასევე მიმოიხილავს წევრ სახელმწიფოთა მიზანს, ხელი შეუწყონ განვითარებადი სახელმწიფოების მონაწილეობას მომსახურებით ვაჭრობაში და მათი მომსახურების ექსპორტის გაზრდას, მათ შორის მათი შიდა მომსახურებითი შესაძლებლობების გაძლიერებითა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებით. GATS-ის წევრი სახელმწიფოები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ყველაზე ნაკლებად განვითარებულ სახელმწიფოებს მათში არსებული განსაკუთრებული ეკონომიკური მდგომარეობისა და სავაჭრო თუ ფინანსური საჭიროებების გათვალისწინებით, რადგანაც მომსახურების თავისუფლება არსებითი მნიშვნელობის მატარებელია სოციალური განვითარების, სიღარიბესთან ბრძოლის, კეთილდღეობის ხელშეწყობის, ძირითად მომსახურების სახეობთან ხელმისაწვდომობისა და მდგრადი განვითარების მიმართულებით.

არავინ დავობს იმაზე, რომ მომსახურებას, მართლაც, შეუძლია სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების წახალისება და, ამავე დროს, მუშახელის სტიმულირება, რათა დღითიდღე განვიითაროს პროფესიული უნარ-ჩვევები და ვმო-ის წევრ სახელმწიფოებში, თუნდაც ხანმოკლე გამგზავრებით, მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება, რაც მნიშვნელოვანია ასევე კანონიერი გზებით მიგრაციული პროცესების ხელშეწყობისა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში დამატებითი დაძაბულობის წარმოშობის პრევენციისათვის. ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა საქართველოს მიერ ვმო-ის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას მიგრაციის მართვის თვალსაზრისით და იმ კანონიერი შესაძლებლობების გამოყენებას, რაც საქართველოს მოქალაქეებს აძლევს უფლებას, თავისუფლად გადაადგილდნენ ვმო-ის წევრ 161 (2015 წლის 26 აპრილის მდგომარეობით) სახელმწიფოში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კი, ცხადი ხდება, რომ, მიუხედავად იმისა, პოლიტიზებულია თუ არა მიგრაციის მართვის საკითხი, რადგანაც GATS-სი აძლევს წევრ სახელმწიფოთა მოქალაქეებს უფლებას, თავისუფლად გადაადგილდნენ ვმო-ის ფარგლებში, ეს იმას ნიშნავს, რომ სახეზეა ასევე ამ უფლების დაცვის ბერკეტებიც, რომლებიც ისევ წევრ სახელმწიფოებს უპყრიათ ხელთ.

წვერი სახელმწიფოები კი ემორჩილებიან ვმო-ის დავების განმხილველი ორგანოს შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილებებს.

## II.1 GATS-ის მიზნები

სანამ უშუალოდ გადავიდოდეთ GATS-ის ნორმებით რეგულირებად მიგრაციის მართვის ასპექტებზე და პარალელურად გავავლებდეთ იმ საერთაშორისო სახელმწიფოებო ბაზასთან, რაც დღეისათვის არსებობს მიგრაციის მართვის თვალსაზრისით, უპრიანია, განვსაზღვროთ, თუ რას ისახავს მიზნად ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ერთ-ერთი ქვაკუთხედი საერთაშორისო ხელმწიფოება ანუ GATS-სი.

საგულისხმოა, რომ GATS-ის მიზნების ანალიზის ყველაზე ნათელ შესაძლებლობას გვაძლევს თავად ხელმწიფოების პრეამბულა, სადაც გაცხადებულია, წვერი სახელმწიფოების სურვილი, ჩამოაყალიბონ მომსახურებით ვაჭრობის მარეგულირებელი მრავალმხრივი პრინციპებისა და წესების ჩარჩო, რათა მომსახურებით ვაჭრობა განვითარდეს გამჭვირვალებებისა და პროგრესული ლიბერალიზაციის პირობებში წვერ სახელმწიფოთა ეკონომიკური ზრდის წახალისებისა და განვითარებადი სახელმწიფოების განვითარებისათვის ხელშეწყობის მიზნით.<sup>57</sup> კიდევ უფრო საინტერესოა ის, რომ პრეამბულაშივეა გაცხადებული წვერ სახელმწიფოთა მიზანი, ხელი შეუწყონ განვითარებადი სახელმწიფოების მონაწილეობას მომსახურებით ვაჭრობაში და მათი მომსახურების ექსპორტის გაზრდას, ამასთან, მათი შიდა მომსახურებითი შესაძლებლობების გაძლიერებითა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებით.<sup>58</sup> GATS-ის წვერი სახელმწიფოები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ყველაზე ნაკლებად განვითარებულ სახელმწიფოებს მათში არსებული განსაკუთრებული ეკონომიკური მდგომარეობისა და სავაჭრო თუ ფინანსური საჭიროებების გათვალისწინებით.<sup>59</sup>

ამ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება დააფიქსირა ასევე GATS-ის ძირითადმა მაკონტროლებელმა ორგანომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში – მომსახურებით ვაჭრობის საბჭომ. საბჭოს მიერ შემუშავებულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ განვითარებული სახელმწიფოებისათვის მომსახურებით ვაჭრობა სცდება წმინდა ეკონომიკურ მნიშვნელობას იმ როლის გათვალისწინებით, რასაც მომსახურება ასრულებს სოციალური განვითარების, სიღარიბესთან

<sup>57</sup> General Agreement on Trade in Services, 15.04.1994 [http://www.wto.org/english/docs\\_e/legal\\_e/26-gats\\_01\\_e.htm](http://www.wto.org/english/docs_e/legal_e/26-gats_01_e.htm), ნანახია: 15.04.2014.

<sup>58</sup> *ibid.*

<sup>59</sup> *ibid.*

ბრძოლის, კეთილდღეობის ხელშეწყობის, ძირითად მომსახურების სახეობთან ხელმისაწვდომობისა და მდგრადი განვითარების მიმართულებით.<sup>60</sup>

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ცხადია, თუ რამდენად სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება მომსახურების გაწევა/მიღებას ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთათვის და თუ რამდენად მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულებაა GATS-ი. არავინ დავობს იმაზე, რომ მომსახურებას, მართლაც, შეუძლია სახელმწიფოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების წახალისება და, ამავე დროს, მუშახელის სტიმულირება, რათა დღითიდღე განვითაროს პროფესიული უნარ-ჩვევები, მით უმეტეს, რომ GATS-ი იძლევა ფიზიკურ პირთა თავისუფალი გადაადგილების უფლებას გარკვეული შეზღუდვებით, რაც ქვევით იქნება დაწვრილებით განხილული. იქამდე კი უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად იმისა, პოლიტიზებულია თუ არა მიგრაციის საკითხი, რადგანაც GATS-ის ფარგლებში არსებობს წევრი სახელმწიფოების მოქალაქეთა უფლება, თავისუფლად გადაადგილდნენ ვმო-ის ფარგლებში, ნიშნავს, რომ სახეზეა ასევე ამ უფლების დაცვის ბერკეტებიც, რომლებიც ისევ წევრ სახელმწიფოებს უპყრიათ ხელთ.

## ***II.2 საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში დადგენილი მიგრანტთა კატეგორიები***

GATS-ის პირველი მუხლის შესაბამისად, ე.წ. მეოთხე რეჟიმის მომსახურებაა სახეზე მაშინ, როდესაც ფიზიკური პირი მომხმარებლის ტერიტორიაზე დროებითი გამგზავრებით აწვდის მომხმარებელს (ადვოკატი, თარჯიმანი, ლექტორი და ა.შ.) მომსახურებას. საინტერესოა, რომ, მიუხედავად თავად მომსახურების განმარტებისა, GATS-ი არ განმარტავს. თუ რას ნიშნავს დროებითი გამგზავრება. ამ საკითხის დადგენა კი არსებითი მნიშვნელობის არის იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დადგინდეს უფლების მოცულობა და განისაზღვროს, სახელმწიფოს ტერიტორიაზე რამდენი ხნით დარჩენა ითვლება სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისად. რადგანაც ამ კითხვაზე GATS-ის ფარგლებში პასუხი არ მოიძებნება, სასურველია, გათვალისწინებულ იქნეს საერთაშორისო პრაქტიკა ამ მიმართულებით. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციაში დაცული ინფორმაციითა და სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი ნორმების შესაბამისად, დროებითი მიგრაციის კუთხით გამოიყოფა მიგრანტთა შემდეგი კატეგორიები: დროებითი მიგრანტი მუშები, მოკლევადიანი

<sup>60</sup> Modalities for the Special Treatment for Least-Developed Country Members in the Negotiations on Trade in Services, Adopted by the Special Session of the Council for Trade in Services on 3 September 2003, World Trade Organisation - TN/S/13, 5 September 2003.

მიგრანტები, გრძელვადიანი მიგრანტები, ტრანსიენტები, მიგრანტი მუშები, პროექტზე მიბმული მუშაკები, თვითდასაქმებული მუშაკები.<sup>61</sup>

ნაშრომის მიზნებისათვის საინტერესოა, გაირკვეს, თუ რას მოიაზრებს თითოეული კატეგორია და, ამავე დროს, დადგინდეს დროებით თუ ცირკულარულ მიგრაციასთან მათი ბმის საკითხი. პირველი კატეგორია, რომელსაც მიმოიხილავს წინამდებარე ნაშრომი, არის დროებით მომუშავე მიგრანტი, რომელსაც ასევე უწოდებენ საკონტრაქტო მიგრანტ მუშაკსაც. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული ლექსიკონის შესაბამისად, ამ კატეგორიაში ექცევა პირი, რომელიც არის მუშაობის სფეროში დახელოვნებული, არასრულყოფილად დახელოვნებული ან დაუხელოვნებელი და, რომელიც ადგილსამყოფელ სახელმწიფოში ატარებს მასთან ან კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროის პერიოდს.<sup>62</sup>

მოკლევადიანი მიგრანტი – ესაა პირი, რომელიც მიემგზავრება დანიშნულების ქვეყანაში, სულ მცირე, სამი თვით, მაგრამ წელიწადზე ნაკლები დროით. მოკლევადიან მიგრანტად არ იწოდება ის პირი, ვინც დანიშნულების ქვეყანაში მიემგზავრება დასასვენებლად, სამუშაო თუ სამედიცინო მომსახურების მისაღებად.<sup>63</sup>

გრძელვადიანი მიგრანტი – არის პირი, რომელიც დანიშნულების ქვეყანაში მიემგზავრება, სულ მცირე, ერთი წლის ვადით ისე, რომ წარმოშობის ქვეყნისათვის ის ითვლება გრძელვადიან ემიგრანტად, ხოლო დანიშნულების ქვეყნისათვის გრძელვადიან იმიგრანტად.<sup>64</sup>

ტრანსიენტები – პროფესიონალი ან დახელოვნებული მუშაკები, რომლებიც გადადიან ერთი ადგილიდან მეორეში, ხშირად როგორც საერთაშორისო კომპანიების თანამშრომლები.<sup>65</sup>

მიგრანტი მუშაკი – პირი, რომელიც უნდა დასაქმდეს, დასაქმებულია ან მუშაობდა ანაზღაურებად სამუშაოზე სახელმწიფოში, რომლის მოქალაქეც არ არის ის.<sup>66</sup>

პროექტის თანამშრომელი – მიგრანტი მუშაკი, რომელიც დანიშნულების ქვეყანაში მუშაობს მხოლოდ მისი დამსაქმებლის მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში.<sup>67</sup>

<sup>61</sup> International Migration Law, Glossary on Migration, Publication of International Organisation for Migration (IOM), 2004, იხ. ტერმინები: *temporary migrant workers*, short-term migrant, long-term migrant, transients, migrant worker, project-tied worker, self-employed worker. წინამდებარე ნაშრომი არ იხილავს მიგრანტთა დანარჩენ კატეგორიებს, რადგანაც კვლევის ძირითადი კითხვა ნაშრომის მიზნებისათვის უკავშირდება დროებით მიგრაციას და თავად სიტყვა „დროებითის“ განმარტების ძიებას.

<sup>62</sup> *ibid.*

<sup>63</sup> *ibid.*

<sup>64</sup> *ibid.*

<sup>65</sup> *ibid.*

<sup>66</sup> International Convention on the Protection of the Rights of All Migrant Workers and Members of Their Families, 1990, Art. 2(1), 18.12.1990 <http://www2.ohchr.org/english/bodies/cmw/cmw.htm>, ნანახია: 14/02/2014.

<sup>67</sup> *Ibid.*, art. 2(2).



თვითდასაქმებელი მუშაკი – მიგრანტი მუშაკი, რომელიც დაკავებულია ანაზღაურებადი საქმიანობით, ძირითადად, მარტო ან მისი ოჯახის წევრებთან ერთად. თვითდასაქმებულია ასევე ყველა ის მიგრანტი, რომელიც ასეთად არის აღიარებული დანიშნულების ქვეყნის კანონმდებლობისა თუ სხვა საერთაშორისო შეთანხმების შესაბამისად.<sup>68</sup>

მიგრანტთა აღნიშნული კატეგორიების არსებობა საინტერესოა ასევე დროებითი მიგრაციის, ცირკულარული მიგრაციისა და შრომითი მიგრაციის გადმოსახედიდან. ერთი რამ ცხადია: GATS-ის ფარგლებში ნაგულისხმები მიგრაცია უკავშირდება მომსახურების მიმწოდებელთა დროებით ყოფნას დანიშნულების ქვეყანაში და შემდგომ ან წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებას, ან სხვა წევრ სახელმწიფოში მიგრაციას. ეს საკითხი მჭიდრო კავშირშია დროებითი მიგრაციის ცნების განმარტებასა და მის განსხვავებასთან ცირკულარული მიგრაციისაგან, რაც ნაშრომის მომდევნო ნაწილებში უფრო დეტალურად იქნება განხილული. იქამდე კი უპრიანია, მიმოხილულ იქნეს GATS-ის ფარგლებში მოაზრებული მიგრანტთა უფლებებისა და ვალდებულებების ფარგლები.

### **II.3 GATS-ის ფარგლებში არსებული უფლებები და ვალდებულებები**

ფაქტორი, რომელიც GATS-ს გამოარჩევს ვმო-ის ფარგლებში არსებული სხვა მრავალმხრივი ხელშეკრულებებისგან, არის ის, რომ მისი მე-4 ნაწილის ეკონომიკური გავლენის შეფასება არის რთული, რადგან თავად განმარტებები და მისი შეფასების ინსტრუმენტები ცალსახად ცხადი არ არის. შესაბამისად, GATS-ის მე-4 ნაწილი, გარკვეულწილად, იწვევს შიშს შეუცნობლის მიმართ.<sup>69</sup> სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებით შეუძლიათ ვმო-ის წევრ სახელმწიფოებს, დააწესონ გარკვეული შეზღუდვები მომსახურების სფეროებზე და ვმო-ს წარუდგინონ ის გრაფიკები, რომლებშიც გათვალისწინებულია საკუთარი სუვერენიტეტისა თუ ეკონომიკის დაცვის სტანდარტები, თუმცა ერთი რამ ცხადია: მიუხედავად შეზღუდვებისა, მაინც რჩება მომსახურებათა საკმაოდ ფართო სპექტრი იმისათვის, რომ წევრმა სახელმწიფოებმა შეძლონ მომსახურებათა ურთიერთგაცვლა და ამ დოვლათის დაგროვება.<sup>70</sup>

<sup>68</sup> *ibid.*

<sup>69</sup> Sands, O. 'Temporary Movement of Labor Fuels GATS Debate', <http://www.migrationpolicy.org/article/temporary-movement-labor-fuels-gats-debate>, (2004), (ნანახია: 11.12.2013), იხილეთ ასევე: Aaditya Mattoo, Robert M. Stern, and Gianni Zanini, A Handbook of International Trade in Services, (Oxford University Press 2008), გვ. 49.

<sup>70</sup> მაგალითისათვის გთხოვთ, იხილოთ ვმო-ის ფარგლებში დაცული ინფორმაცია სახელმწიფოთა მიერ შემუშავებული გრაფიკების შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომია

GATS-ი ფარავს ყველა ტიპის მომსახურებას, სამთავრობო უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში შემავალი მომსახურების გარდა.<sup>71</sup> GATS-ი, ძირითადად, მოიცავს ე.წ. „ოთხი რეჟიმის“ მომსახურებას, ესენია: 1) საზღვრებს შორისი მომსახურება (მომსახურებები, რომლებიც მიწოდებულია ფაქსიმილეთი, ელ. ფოსტით, ტელეფონით და კომუნიკაციის სხვა საშუალებებით); 2) მომსახურება, რომელიც გაწეულია იმ პირისათვის, რომელიც მიემგზავრება მომსახურების მიმწოდებლის ტერიტორიაზე (ტურიზმი); 3) მომსახურება, რომლის დროსაც მიმწოდებელი აფუძნებს მის ფინანსურ წარმომადგენლობას მიმღების ტერიტორიაზე (ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების ფილიალები); 4) მომსახურება, რომელსაც ფიზიკური პირი მომხმარებლის ტერიტორიაზე დროებითი გამგზავრებით აწვდის მომხმარებელს (ადვოკატი, თარჯიმანი, ლექტორი და ა.შ.).<sup>72</sup>

GATS-ის 1-ლი მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მომსახურებაში მოიაზრება ნებისმიერი მომსახურება, გაწეული ნებისმიერ სექტორში (გარდა საჯარო სამსახურისა), მაგრამ აღნიშნული შეთანხმება არ განმარტავს, უშუალოდ თუ რას გულისხმობს მომსახურება. საინტერესოა, დავების განმხილველი ორგანოს მიერ როგორ განიმარტება მომსახურება და რა სახის მოქმედებები მოიაზრება მასში.

GATS-ის ერთ-ერთ მთავარ სისუსტედ სპეციალურ ლიტერატურაში მიიჩნევა სწორედ ტერმინთა განმარტების არარსებობა, კერძოდ, არ არის განმარტებული, თუ რას გულისხმობს „დროებითი გადაადგილება“ და ცალსახად გაუცხადებელი განსხვავება მომსახურების გამწვევთა და შრომით მიგრანტებს შორის.<sup>73</sup> ეს საკითხი ნაშრომის მომდევნო თავში უფრო კონკრეტულად იქნება განმარტებული.

ერთი რამ ცხადია: GATS-ის მიერ შემოთავაზებული ფიზიკურ პირთა მოკლევადიანი გადაადგილება ითვლება საკვანძო მნიშვნელობის მოვლენად განვითარებადი სახელმწიფოებისათვის იმის საჩვენებლად, თუ რამდენად კონკურენტუნარიანნი არიან ისინი სერვისების მიწოდების თვალსაზრისით. GATS-ის მე-4 ნაწილის არსებობა საინტერესოა იმ მხრივაც, რომ მის ფარგლებში ფიზიკურ პირთა თავისუფალი გადაადგილება შესაძლებელია წევრ სახელმწიფოში წარმომადგენლობის დაფუძნების გარეშე.<sup>74</sup>

---

შემდეგი ბმულის გამოყენებით: [http://wto.org/english/tratop\\_e/serv\\_e/serv\\_commitments\\_e.htm](http://wto.org/english/tratop_e/serv_e/serv_commitments_e.htm), (ნანახია: 12/03/2014).

<sup>71</sup> General Agreement on Trade in Services, Arts. I and XIII, იხ. ასევე: Matsushita, M. Schoenbaum T. J., Marvoidis, P. C. The World Trade Organization Law, Practice, and Policy, (Oxford University Press 2008), გვ. 228-229.

<sup>72</sup> General Agreement on Trade in Services, Art. I:2. იხ. ასევე: Matsushita, M. Schoenbaum T. J., Marvoidis, P. C. (2008) The World Trade Organization Law, Practice, and Policy, გვ. 229.

<sup>73</sup> Ghosh, B. (2007), 'Managing Migration: Whither the Missing Regime? How Relevant is Trade Law to Such a Regime?', Proceedings of the Annual Meeting (American Society of International Law), Vol. 101, გვ. 305.

<sup>74</sup> Supra note 69.

GATS-ის შესაბამისად, წევრ სახელმწიფოებს ძალუძთ, სამართლებრივად სავალდებულო შესასრულებელი ვალდებულებების იმის მიხედვით გარდაქმნა, როგორი საჭიროებებიც აქვთ მათ სხვადასხვა სერვისის სექტორში. შესაბამისად, სახეზეა ისეთი შემთხვევა, როდესაც წევრ სახელმწიფოს აქვს ფართო შესაძლებლობა, მოარგოს საკუთარი საჭიროებები იმ დღის წესრიგს, რომელსაც ის წარუდგენს ვმო-ს და დაისახავს სავალდებულოდ შესასრულებლად. წევრ სახელმწიფოთა ეს საჭიროებები ასახულია ვმო-ის წინაშე წარდგენილ სამოქმედო გრაფიკებში.<sup>75</sup>

გრაფიკების მთავარი ფუნქციაა, წევრმა სახელმწიფომ დააკონკრეტოს, თუ რომელი ვალდებულებების შესრულება შეუძლია **ბაზარზე დაშვებასა და ეროვნულ მოპყრობასთან** დაკავშირებით. ბაზარზე დაშვება ნიშნავს იმას, რომ წევრ სახელმწიფოს ეკრძალება GATS-ის XVI მუხლით გათვალისწინებული ექვსი სახის შეზღუდვის გავრცელება, კერძოდ:

- შეზღუდვები, დაწესებული მომსახურების გამწვეთა რაოდენობაზე, განურჩევლად იმისა, იქნება ეს რაოდენობრივი კვოტები, მონოპოლიები, ექსკლუზიური სერვისის მიმწოდებლები თუ ეკონომიკური საჭიროებების ტესტი;

- შეზღუდვები მომსახურების ღირებულების ან მისგან მიღებულ შემოსავლებზე;

- შეზღუდვები მომსახურებითი ოპერაციების საერთო რაოდენობაზე;

- შეზღუდვები მომსახურების სფეროში დასაქმებულ ან ფიზიკურ პირთა საერთო რაოდენობაზე, როგორც რაოდენობრივი კვოტების, ასევე ეკონომიკური საჭიროებების ტესტების მოთხოვნების შესაბამისად;

- იკრძალება ისეთი ზომების მიღება, რომლებიც ზღუდავს ან ითხოვს გარკვეული ტიპის კომპანიის არსებობას საიმისოდ, რათა მოხდეს მომსახურების გაწევა;

- შეზღუდვები უცხო კაპიტალსა და ინვესტიციებზე.<sup>76</sup>

გრაფიკებში მოცემულ მომსახურების სექტორებში მოქცეული მომსახურებებისა თუ მომსახურების გამწვეთა კატეგორიებზე დაუშვებელია იმაზე განსხვავებული მოპყრობა, ვიდრე ეს ხდება საკუთარი მომსახურებებისა თუ მომსახურების გამწვეთა მიმართ.

წევრი სახელმწიფოს ქმედება ჩაითვლება GATS-ის XVII მუხლთან შესაბამისად იმ შემთხვევაში, თუ ის სხვა წევრი სახელმწიფოდან მომავალ მომსახურებასა და მომსახურების გამწვევზე ავრცელებს ფორმალურად იდენტურ ან ფორმალურად განსხვავებულ მოპყრობას იმასთან შედარებით, რასაც ის ავრცელებს საკუთარ მომსახურებასა თუ მომსახურების გამწვევებზე.

<sup>75</sup> Mattoo, A. Carzaniga, A., *Moving People to Deliver Services*, (Oxford University Press 2003), გვ. 21.

<sup>76</sup> General Agreement on Trade in Services, art. XVI.

ფორმალურად იდენტური ან ფორმალურად განსხვავებული მოპყრობა მაშინ არის GATS-ის მოთხოვნებთან შეუსაბამო, როდესაც ის ქმნის არათანაბარი კონკურენციის პირობებს ეროვნულ და უცხოურ მომსახურებასა თუ მომსახურების გამწვევზე.<sup>77</sup>

აღნიშნულთან დაკავშირებით თავს იჩენს უპირატესი მოპყრობის პრინციპი, რაც ასერიგად მნიშვნელოვანია GATS-ის ფარგლებში წევრ სახელმწიფოთა უფლება-ვალდებულებების განსაზღვრის თვალსაზრისით. საგულისხმოა, რომ GATS-ის მე-2 მუხლის შესაბამისად, თითოეული წევრი სახელმწიფო ვალდებულია, გაავრცელოს ყველა სხვა წევრი სახელმწიფოდან მომავალ მომსახურებაზე თანაბარი მოპყრობის რეჟიმი.<sup>78</sup> სახელმწიფოები უფლებამოსილნი არიან, აღნიშნული პრინციპი დააზუსტონ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წინაშე წარდგენილ ვალდებულებათა გრაფიკებში, რაც საქართველოსთან მიმართებით ცალკე იქნება განხილული.

GATS-ის პირველი მუხლის მეორე ნაწილის დ ქვეპუნქტი აზუსტებს, რომ მომსახურების გაწევა შესაძლებელია მოხდეს ერთ წევრ სახელმწიფოში მეორე წევრი სახელმწიფოდან მომავალი ფიზიკური პირის მიერ. ამ ხელშეკრულების დანართი აზუსტებს და გამოყოფს მომსახურების მიმწოდებელთა ორ კატეგორიას: წევრი სახელმწიფოს წარმომადგენელი ფიზიკური/იურიდიული პირი და წევრი სახელმწიფოს წარმომადგენელი ფიზიკური პირი, რომელიც დაქირავებულია სხვა წევრი სახელმწიფოს სერვისის მიმწოდებლის მიერ მომსახურების მიწოდების მიზნებისათვის.<sup>79</sup>

კიდევ ერთი საგულისხმო პრინციპი, რომელიც გაცხადებულია GATS-ის ფარგლებში, არის გამჭვირვალობა. ამ პრინციპს ეთმობა GATS-ის მე-3 მუხლი, სადაც ხაზგასმულია, რომ წევრი სახელმწიფო ვალდებულია, გამოაქვეყნოს ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც დადებულია ვმო-ის მიღმა და რომელსაც შესაძლოა, გავლენა ჰქონდეს მომსახურებით ვაჭრობაზე.<sup>80</sup>

შიდა რეგულაციები, - ეგრეთ წოდებული ეროვნული მოპყრობა, რომელიც GATS-ის მე-6 მუხლშია გაცხადებული, - ავალდებულებს სახელმწიფოებს, მომსახურებით ვაჭრობის მარეგულირებელი ნორმების შემუშავებისას ეროვნულ დონეზე მიმართონ გონივრულ, გამჭვირვალე და მიუკერძოებელ მიდგომას.<sup>81</sup>

<sup>77</sup> *ibid.* art. XVII.

<sup>78</sup> Lester, S. Mercurio, B., *World Trade Law*, (Hurt Publishing 2008), გვ. 604.

<sup>79</sup> GATS, Annex on Movement of Natural Persons Supplying Services Under the Agreement, para. 1.

<sup>80</sup> *supra* note 78, გვ. 604.

<sup>81</sup> Guzman, A. T., Pauwelyn, J. H. B., *International Trade Law*, (Aspen Publishers 2009), გვ. 567.

## II.4 GATS-ს ფარგლებში ნაგულისხმები სერვისები

ნაშრომის მიზნებისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მომსახურების განმარტებას და იმ განსხვავების დადგენას, რაც არსებობს მასა და შრომით მიგრაციას შორის. საინტერესოა, რომ ვმოსის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი არ იძლევა იმის განმარტებას, თუ რას გულისხმობს მომსახურება, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვმოსის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის სამუშაო ვერსიაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ჩანაწერები იქნა დაფიქსირებული მომსახურებით ვაჭრობისა და მისი შემადგენელი ელემენტების შესახებ, კერძოდ, ლექსიკონის შესაბამისად: „მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობა არის ნებისმიერი მომსახურება ან შრომითი საქმიანობა, რათა დაკმაყოფილებულ იქნეს მომხმარებლისა თუ ადრესატის სურვილი ნივთიერი საქონლის მიწოდების გარეშე“.<sup>82</sup> ამავე წყაროს შესაბამისად, მომსახურებით ვაჭრობა ფარავს ისეთ ტრანზაქციებს, რომლებიც საჭიროებს ბაზარზე ეფექტურ ხელმისაწვდომობას. ეს უკანასკნელი კი მოითხოვს კომერციული ყოფნის ელემენტს, რომელიც მიიღწევა ორი გზით: ადგილსამყოფელ სახელმწიფოში ფიზიკურ პირთა დროებით გამგზავრებით ან ადგილზე დაფუძნების უფრო მყარი შესაძლებლობების არსებობით (ასეთია, მაგალითად, იურიდიული პირის დაფუძნება. ხაზგასმა ჩვენია, ნ.ფ.).<sup>83</sup> მომსახურებით ვაჭრობა მოიცავს არა მხოლოდ საზღვრებს შორის მომსახურებით ვაჭრობას, არამედ ისეთ შემთხვევებსაც, როცა მომსახურების მიწოდება ხდება მომსახურების მიმწოდებლის ადგილსამყოფელ სახელმწიფოში ფიზიკური ყოფნის პირობებში.<sup>84</sup> GATS-ის 1-ლი მუხლის მე-3 ნაწილის ბ ქვეპუნქტის შესაბამისად კი, მომსახურება მოიცავს ნებისმიერ მომსახურებას, სამთავრობო უფლებამოსილების განხორციელების გარდა.<sup>85</sup> ამასთან დაკავშირებით ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციამ გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ GATS-ი მოიცავს ყველა მომსახურებას, გარდა ორი გამონაკლისისა: სამთავრობო უფლებამოსილების განხორციელებისა და საჰაერო სატრანსპორტო მომსახურებისა. სამთავრობო უფლებამოსილების განხორციელებისას გაწეული მომსახურება მოიცავს იმ მომსახურებას, რომელიც არ არის გაწეული არც კომერციული საფუძველით და არც სხვა მიმწოდებლებთან კონკურენციის ფარგლებში. ასეთ საქმიანობას მიეკუთვნება სოციალური უზრუნველყოფის სქემები და ნებისმიერი სხვა საჯარო მომსახურება, მიწოდებული ჯანმრთელობისა და

<sup>82</sup> WTO, Draft Glossary of Terms, 8 July 1988, MTN. GNS/W/43, [www.wto.org/gatt\\_docs/.../92050117.pdf](http://www.wto.org/gatt_docs/.../92050117.pdf), ნანახია: 23.30.2014.

<sup>83</sup> *ibid.*

<sup>84</sup> *ibid.*

<sup>85</sup> General Agreement on Trade in Services, Part I, Art. 1 (3:b), 15.04.1994 [http://www.wto.org/english/docs\\_e/legal\\_e/26-gats\\_01\\_e.htm](http://www.wto.org/english/docs_e/legal_e/26-gats_01_e.htm), ნანახია: 15.04.2013.

განათლების სფეროში არასაბაზრო პირობებით.<sup>86</sup> (ფიზიკური პირის მიერ მიწოდებული მომსახურების მაგალითია, თუნდაც, აშშ-ის მოდელის მიერ იტალიაში განთავსებულ პოლიუმზე გავლა, ან ტურისტული კომპანიის მიერ საზღვარგარეთ გაგზავნილი გიდი, რომელიც ტურისტებს ადგილზე გაუწევს გიდობას.<sup>87</sup>).

საინტერესოა, თუ როგორ განმარტავს თავად შრომას ბლექის სამართლის ლექსიკონი და აქვს თუ არა მას გარკვეული საერთო მომსახურებასთან. ბლექის ლექსიკონის შესაბამისად, შრომა ნიშნავს მუშაობას, მომსახურებას, ხანდახან ეს ტერმინი გამოიყენება დოვლათის დასაგროვებელი მომსახურების აღმნიშვნელად, ან, თუნდაც, ფიზიკური თუ ინტელექტუალური გარჯის გამომხატველად. შრომა მოიცავს პერსონალურ მომსახურებას და ის არ შემოიფარგლება მხოლოდ ფიზიკური შრომით. ბლექის ლექსიკონიც ხაზს უსვამს იმას, რომ შრომაში არ შედის საჯარო მოხელეების მიერ შესრულებული საქმიანობა.<sup>88</sup> ბლექისავე ლექსიკონის მიხედვით, მომსახურება და დასაქმება, ზოგადად, გულისხმობს, რომ დამქირავებელი ან პირი, რომლისთვისაც სრულდება მომსახურება, არჩევს და ანაზღაურებს დასაქმებულის ან მომსახურების მიმწოდებლის შრომას.<sup>89</sup> საინტერესოა ასევე, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს დასაქმების განმარტებასთან შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას. მისი მიდგომის თანახმად, დასაქმებულად ითვლება ყველა ის პირი, რომელიც შესაბამისი ასაკის მიღწევას და შესაბამისი მოკლე ვადის არსებობისას, იქნება ეს ერთი კვირა თუ ერთი დღე, ხვდებოდა ერთ-ერთ შემდეგ კატეგორიაში: ანაზღაურებადი დასაქმება, თვითდასაქმება.<sup>90</sup>

როგორც შესაბამისი წყაროების ანალიზიდან ირკვევა, პრაქტიკაში არ არსებობს არსებითი განსხვავება შრომით მიგრაციასა და მომსახურების გაწევის მიზნებით მიგრაციასთან დაკავშირებით. თუმცა GATS-ი განასხვავებს მათ ერთმანეთისგან და ხაზს უსვამს, რომ ის თავისთავში არ მოიაზრებს შრომით მიგრაციას ან მიგრანტის მხრიდან წევრ სახელმწიფოში სამსახურის ძიებას,<sup>91</sup> ეს პრაქტიკაში დაბრკოლების შემქმნელი ვერ იქნება, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თავად GATS-ის ფარგლებში არ არსებობს არც მომსახურებისა და არც

<sup>86</sup> The General Agreement on Trade in Services (GATS): objectives, coverage and disciplines, [http://www.wto.org/english/tratop\\_e/serv\\_e/gatsqa\\_e.htm](http://www.wto.org/english/tratop_e/serv_e/gatsqa_e.htm), ნანახია: 23.03.2014. აღსანიშნავია, რომ გამონაკლისი ეხება ასევე მომსახურების კიდევ ერთ სფეროს - ეს არის საჰაერო ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული მომსახურება, რომელიც, წინამდებარე ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, დეტალურად არ არის განხილული.

<sup>87</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისათვის იხ.: supra note 78, გვ. 602.

<sup>88</sup> Black, H.C., M.A. "Black's Law Dictionary" (1968).

<sup>89</sup> Ibid.

<sup>90</sup> International Labour Organization (ILO) Resolutions Concerning Economically Active Population, Employment, Unemployment and Underemployment Adopted by the 13th International Conference of Labour Statisticians, October 1982, para. 9, <https://stats.oecd.org/glossary/detail.asp?ID=778>, ნანახია: 12.02.2014.

<sup>91</sup> GATS, Annex on Movement of Natural Persons Supplying Services Under the Agreement, [http://www.wto.org/english/docs\\_e/legal\\_e/26-gats\\_01\\_e.htm](http://www.wto.org/english/docs_e/legal_e/26-gats_01_e.htm), ნანახია: 11.03.2014.

შრომის დეფინიცია. როგორც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეკედენტული სამართალი აჩვენებს, ვმო-ის ფარგლებში დადებულ ხელშეკრულებასა თუ ნორმაში განმარტების არარსებობის შემთხვევაში დაგების განმხილველი ორგანო მიმართავს სხვადასხვა თემატურ ლექსიკონს. მიგრაციასთან დაკავშირებით კი უფრო ავტორიტეტული ლექსიკონი, ვიდრე არის მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში შემუშავებული ლექსიკონი და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გაკეთებული განმარტება, არ შეიძლება არსებობდეს. შესაბამისად, სადავო საკითხის წარმოშობისას მხარეს ყოველთვის შეუძლია არგუმენტის დასახელება და იმავე ლექსიკონებზე დაყრდნობით მტკიცება, რომ, თუნდაც, თუ ერთი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობით მომსახურების გარკვეული სფერო შედის შრომითსამართლებრივი ურთიერთობის სფეროში, ამის პარალელურად არსებობს საერთაშორისო სტანდარტები და პროფილური საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში შემუშავებული მიდგომები, რომელთაც ნებისმიერ ვითარებაში ძალუძთ საკუთარი სათქმელის დაფიქსირება.

გარდა ამისა, ერთი რამ არის გასათვალისწინებელი: არავისთვის არ არის სიახლე, რომ საერთაშორისო სამართალი ვითარდება სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების განვითარების კვალდაკვალ, რაშიც თავისი წვლილი შეაქვს საერთაშორისო ხელშეკრულებათა განმარტების პროცესს. მართალია, GATS-ი ცალსახად მიუთითებს, რომ ის არ აწესრიგებს არც შრომასთან და არც დასაქმებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ერთი რამ ცხადია: აღნიშნული ტერმინებისა და მომსახურების განმარტების მსგავსებიდან გამომდინარე, დროთა განმავლობაში, როდესაც შესაბამისი სავაჭრო-მომსახურებითი ურთიერთობები გააქტიურდება, სახელმწიფოებს შორის მომსახურების ცნებაც, გარკვეულწილად, ახალ მნიშვნელობას შეიძენს, მსგავსი პრაქტიკა მართლაც არსებობს, რაც არაერთხელ იქნა დაფიქსირებული მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ თავის გადაწყვეტილებებში: როდესაც ცნების მნიშვნელობა ის აღარ არის რაც მას ჰქონდა ხელშეკრულების დადების მომენტისათვის, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის მნიშვნელობა, რომელიც მან შეიძინა ხელშეკრულების განმარტების დროისათვის.<sup>92</sup> სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტერმინებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს განგრძობადი ვადით დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან, დროთა განმავლობაში მნიშვნელობა ეცვლება მოცემულ დროში არსებული აქტუალობისა და მდგომარეობის გათვალისწინებით.<sup>93</sup>

<sup>92</sup> *Navigational and Related Rights (Costa Rica v. Nicaragua), Judgment, I.C.J. Reports 2009, pp. 242, para. 64.*

<sup>93</sup> *ibid. p. 243, para. 66; იხ. ასევე: Aegean Sea Continental Shelf (Greece v. Turkey), Judgment, I.C.J. Reports 1978, p. 32, para. 77.*

## II.5 GATS-ი და სოციალური მუხლი

მიგრაციის მართვაში ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის როლის უკეთ გასაგებად ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოციალური საკითხებისადმი ვმო-ის წევრ სახელმწიფოთა დამოკიდებულების ანალიზს. სწორედ ამ მიზნებისათვის წინამდებარე ნაშრომი მიმოიხილავს საერთაშორისო სავაჭრო მოლაპარაკებათა სხვადასხვა რაუნდს და ვმო-ის მინისტრიალის კონფერენციებზე დაფიქსირებულ გადაწყვეტილებებს სოციალური საკითხების, კერძოდ კი შრომითი უფლებების, მსოფლიო სავაჭრო სისტემით მოწესრიგებულ სფეროებში ასახვა-არასახვის მიმართულებით, ისევე როგორც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის იურისდიქციათა თანხვედრისა და შრომითი უფლებების დაცვის კუთხით გლობალურ დონეზე არსებულ სტანდარტებს.

დებატები იმ მიმართულებით, რომ სოციალური მუხლი ასახულიყო ვმო-ის ქვაკუთხედ მრავალმხრივ საერთაშორისო შეთანხმებებში, მიმდინარეობდა წლების განმავლობაში. ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო სავაჭრო მოლაპარაკებათა ურუგვაის რაუნდი, ისევე როგორც სინგაპურისა და სიეტლის მინისტრიალთა კონფერენციები. საკითხის მნიშვნელობა გამომდინარეობს იმ რეალობიდან, რაც დღეისათვის არსებობს შრომითი უფლებებისა და შრომით ურთიერთობებში გამოსაყენებელი სტანდარტების გარშემო. აქვე მნიშვნელოვანია, განხილულ იქნეს, თუ რამდენად იყო და არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია დაინტერესებული იმით, რომ შრომითი ურთიერთობები აისახოს მის ყოველდღიურ სამუშაო დღის წესრიგში, ან მოხდეს მათი განხილვა უფრო მაღალი დონის მოლაპარაკებების ფორმატში, ისეთში, როგორცაა, მაგალითად, მინისტრიალის კონფერენცია. საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია ის, რომ ვმო აწესრიგებს ვაჭრობისა და ვაჭრობასთან დაკავშირებულ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ასპექტებს, შესაბამისად, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია საკუთარ იურისდიქციას ავრცელებს მხოლოდ და მხოლოდ ვაჭრობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციას აქვს დავების განხილვის სისტემის სავალდებულო იურისდიქცია და საკმარისი ბერკეტები, რათა დადგენილი „თამაშის წესები“ ჯეროვნად აღსრულდეს, საკითხავია, რამდენად სურს მას, შრომითი უფლებების დამატებით შეიტანოს „თავის ტკივილი“ ისედაც გადატვირთულ, მგრძობიარე და დელიკატურ სავაჭრო მოლაპარაკებების პროცესში. შესაბამისი პრაქტიკის ანალიზი გვაჩვენებს, რომ სოციალური მუხლი არ იქნა გათვალისწინებული არც ვმო-ის სადამფუძნებლო ხელშეკრულებაში და არც სინგაპურის მინისტრიალის კონფერენციის შედეგებში 1996 წელს. როგორც აღინიშნა, შრომისდაცვითი სტანდარტები არ უნდა იქნეს გამოყენებული პროტექციონისტული მიზნებით; შრომასთან დაკავშირებული ყველა ასპექტის განხილვა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის



კომპეტენციაა და არ უნდა იქნეს წინ წამოწეული ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში. შესაბამისად, ამ საკითხზე დებატები მთლიანად იქნა გადატანილი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კომპეტენციის ფარგლებში.<sup>94</sup>

შრომითი უფლებების შესახებ დებატები ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში კვლავ გაგრძელდა სიეტლის მინისტრიალის კონფერენციის მიმდინარეობისას, 1999 წელს. დისკუსიები დამთავრდა იმით, რომ აშშ-მა წამოაყენა ინიციატივა ვმოს ფარგლებში ვაჭრობისა და შრომის შესახებ სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე, რასაც ევროკავშირის მხრიდან მოჰყვა შემოთავაზება, ჩამოეყალიბებინათ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ერთობლივი ფორუმი, თუმცა კანადას მიაჩნდა, რომ უპრიანი იქნებოდა, შექმნილიყო ვმოს სამუშაო ჯგუფი, რომელიც იმუშავებდა ვაჭრობის, განვითარების, სოციალური საკითხებისა და გარემოსდაცვითი პოლიტიკის შესახებ გლობალიზაციის კონტექსტში. ეს წინადადებები უარყოფილ იქნა ვმოს რამდენიმე წევრი სახელმწიფოს მიერ, შესაბამისად, მინისტრიალის კონფერენციაზე ერთობლივი დეკლარაცია სამუშაო ჯგუფების ჩამოსაყალიბებლად არ მიღებულა და აღნიშნული საკითხი დღემდე გადაუწყვეტელი რჩება.<sup>95</sup>

ერთი შეხედვით, გასაკვირი არ არის, რომ ვმოს წევრმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს სოციალური საკითხების დელეგირება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისათვის, რომელიც ამ სფეროში გვევლინება სპეციალური კომპეტენციის მქონე ორგანიზაციად, მაგრამ პრობლემის თავიდათავი ისაა, თუ რამდენად არის შესაძლებელი სოციალური უფლებების დაცვის დიადი იდეის პრაქტიკაში განხორციელება. პირველ რიგში, იბადება კითხვა, თუ რამდენად არის შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია უნარიანი, აიძულოს სახელმწიფოები, აღასრულონ შრომითი სტანდარტები. ის ფაქტი, რომ სახელმწიფოები არ არიან ვალდებულნი, მოახდინონ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციების რატიფიკაცია და, შესაბამისად, პატივი სცენ შრომის სტანდარტებს (გამონაკლისი ამ შემთხვევაში უკავშირდება გაერთიანების თავისუფლებას), ისევე როგორც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სახედამხედველო ორგანოს დასკვნები არ არის სახელმწიფოთათვის სავალდებულოდ გასათვალისწინებელი, კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს შრომითი უფლებების ეკონომიკური საკითხების მარეგულირებელ დოკუმენტებში ასახვის მნიშვნელობას, თუმცა, როგორც ეს ვმოს მაგალითზეც

<sup>94</sup> Bronstein Arturo, *International and Comparative Labour Law*, (ILO 2009), p. 95. იხილეთ ასევე: WTO Singapore Ministerial Declaration 1996: WT/MIN(96)/DEC18 December 1996.

<sup>95</sup> OECD - *International Trade and Core Labour Standards*, PolicyBrief, October 2000, available: <http://www.oecd.org/tad/1917944.pdf>, ბოლოს ნანახია: 20 February 2015.

კარგად გამოჩნდა, ჯერჯერობით ამ მიმართულებით პოზიტიური ძვრები არ შეინიშნება.<sup>96</sup>

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების შესაბამისად, უფრო თავისუფალი ვაჭრობით წარმოებული ეკონომიკური ზრდა საუკეთესო გზაა შრომითი პირობების გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით დარბი ქვეყნებში.<sup>97</sup> ქვეყნები, სადაც ძირითადი შრომითი სტანდარტები არ არის დაცული, იღებენ უფრო ნაკლებ გლობალურ ინვესტიციებს.<sup>98</sup> ვაჭრობასა და შრომას შორის არსებული აშკარა კავშირი კიდევ უფრო აძლიერებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოხდეს უფრო ეფექტური მექანიზმების ამოქმედება და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში არსებული ყველა საშუალების გამოყენება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შრომითი უფლებების დაცვა, რის გარშემოც დისკუსიები აშკარად სამომავლოდაც გაგრძელდება, იმ იმედით, რომ მსოფლიო სავაჭრო სისტემა უფრო მეტად გახდება ადამიანის უფლებათა დაცვაზე ორიენტირებული. კითხვა კი კითხვად რჩება – თუ მომსახურება და შრომა ურთიერთდაკავშირებულ ცნებათა ერთობლიობაა, მაშინ ამდენი დისკუსია სოციალური უფლებების ვმო-ის ქოლგის ქვეშ გასაერთიანებლად რა საჭიროა, ეს ხომ უცილობლად გულისხმობს, იმას, რომ ვმო-ის უკვე აქვს ვალდებულება, საკუთარ იურისდიქციას დაუქვემდებაროს სოციალური უფლებები? ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხი არსებობს: არსებული რეალობა თითქოს განგებ არის შეუმჩნეველად დატოვებული, რისი მიზეზიც გამომდინარეობს იქიდან, რომ ვმო-ის წევრ სახელმწიფოებს ეშინიათ რაღაცის, ან იმიტომ, რომ მათ სურთ ამ ორგანიზაციის შენარჩუნება მხოლოდ შემოსავლებისა და გასავლების, ყიდვისა და გაყიდვის საჭირობოროტო საკითხების განსახილველად და არანაირი სურვილი არ აქვთ, ადამიანის უფლებათა განხილვით დაიმატონ ყოველდღიური თავის ტკივილი. საგულისხმოა, რომ ვმო თავად სახელმწიფოებმა შექმნეს, რათა საერთაშორისო სამართლის ვაჭრობაზე ორიენტირებული დარგი ექციათ ეფექტურ, სტაბილურ და განჭვრეტად დარგად, რამაც, წესით, უნდა მოაწესრიგოს საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე არსებული უმთავრესი გამოწვევები. გამოთქმული მოსაზრების შესაბამისად, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია უნდა იყენებდეს სავაჭრო სანქციებს, რათა დაიცვას უმთავრესი შრომითი სტანდარტები მსოფლიოს მასშტაბით.<sup>99</sup> ყოველთვის ადვილია იმის თქმა, თუ რა უნდა

<sup>96</sup> Daoudi M.S. and Dajani M.S., “Economic Sanctions: Ideals and Experience”, (Routledge and Kegan Paul 1983), cit.: Servais Jean-Michel, International Labour Law, (Kluwer Law International 2011). p. 37.

<sup>97</sup> Blanpain, Bisom-Rapp, Corbett, Josephs, Zimmer, The Global Workplace International and Comparative Employment Law: Cases and Materials, (Cambridge University Press 2012), p. 61.

<sup>98</sup> OECD - International Trade and Core Labour Standards, PolicyBrief, October 2000, available: <http://www.oecd.org/tad/1917944.pdf>, Last visited: 20 February 2015, იხილეთ ასევე: supra note 97, p. 59.

<sup>99</sup> Statement by President Bill Clinton during the Seattle Ministerial Conference 1999, cit.: supra note 97, p. 60.

გაკეთდეს, მაგრამ აღსრულების პროცესი არცთუ ისე მარტივად მიმდინარეობს ხოლმე - ბევრია დამოკიდებული ძალთა შორის ბალანსსა და რეალურ შესაძლებლობებზე, რათა უფრო ძლიერებმა მოითხოვონ შესაბამისი სამართლებრივი სტანდარტების იმპლემენტაცია.<sup>100</sup> ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში, სადაც სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობა გარანტირებულია სადამფუძნებლო დოკუმენტებით განმტკიცებული და კარგად ჩამოყალიბებული სისტემის ფუნქციონირებით, კიდევ უფრო რთულია სოციალურ საკითხებზე კონსენსუსის მიღწევა და წევრ სახელმწიფოთა ერთხმად დარწმუნება იმაში, რომ ვაჭრობაში მეტი თავისუფლების შეტანითა და თითოეულ მათგანში შრომის სტანდარტების ამაღლებით უფრო მეტად მოხდება მდგრადი ეკონომიკური განვითარების პროცესის ხელშეწყობა, თუმცა თავად ის ფაქტი, რომ სახელმწიფოები ჯერ კიდევ ცდილობენ სოციალური სტანდარტების შესახებ დისკუსიების წარმოებას, შესაძლებელია, შეფასდეს დადებით მოვლენად იმ მიმართულებით, რომ ადრე თუ გვიან სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა მიადწევს კონსენსუსს და ჩამოაყალიბებს ერთიან მიდგომას ვაჭრობასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით.

## ***II.6 სახელმწიფოთა მიერ დადგენილი სტანდარტები - ცირკულარული მიგრაცია***

როგორც სამართლიანად აღინიშნა საერთაშორისო ექსპერტების მიერ, იმისათვის, რათა ცირკულარული მიგრაცია იქცეს განვითარების ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად, ცირკულარულობა უნდა იქნეს ჯეროვნად მართული და სწორად წარმართული. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დანიშნულებისა და წარმოშობის სახელმწიფოებმა უნდა შექმნან ისეთი შეჯერებული სისტემა, რომელიც სასარგებლო იქნება როგორც დანიშნულების, ასევე წარმოშობის სახელმწიფოებისათვის და თავად მიგრანტებისათვის.<sup>101</sup>

ცირკულარული მიგრაცია ადამიანთა მობილობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტიპია. თანამედროვე სამყაროში მისი მნიშვნელობის ზრდა, ძირითადად, ორი უმთავრესი მიზეზით არის განპირობებული: 1) გადაადგილების თანამედროვე მექანიზმები იძლევა „ორ სახლს შორის“ ცირკულირების შესაძლებლობას, და 2) კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებით შესაძლებელია ორივე სახლთან ბმის შენარჩუნება. მას, გარკვეულწილად, ეწოდება „პოზიტიური ცირკულირება“, შემთხვევა,

<sup>100</sup> Servais Jean-Michel, *International Labour Law*, (Kluwer Law International 2011) p. 36.

<sup>101</sup> Graeme, H. 'What we know about Circular Migration and Enhanced Mobility', Policy Brief, Migration Policy Institute, No. 7, (2013).

როდესაც პიროვნებები იღებენ გადაწყვეტილებას, არსებითად სასარგებლო საქმე გააკეთონ ერთზე მეტი ქვეყნისათვის.<sup>102</sup>

ცირკულარულ მიგრაციაზე საუბრისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ასევე თავად ტერმინის განმარტებას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ცირკულარული მიგრაციის განმარტებისას არ არსებობს ერთიანი მიდგომა. ცირკულარული მიგრაცია განსხვავებულად განიმარტება როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, ასევე თავად სახელმწიფოების მიერ. საინტერესოა, რომ ევროპული მიგრაციის კავშირის მიერ შემუშავებული ლექსიკონის შესაბამისად, დროებითი მიგრაცია განიმარტება როგორც: „მიგრაცია სპეციფიკური მოტივით და/ან მიზნით, იმ განზრახვით, რომ შემდეგ მოხდება წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნება ან სხვა მიმართულებით გამგზავრება.“<sup>103</sup> რაც შეეხება უშუალოდ ცირკულარულ მიგრაციას, ზემოხსენებული ლექსიკონი მას განმარტავს როგორც: „ერთი და იმავე პირის მიგრაციას ორ ან მეტ სახელმწიფოში.“<sup>104</sup>

ევროკავშირში ცირკულარულ მიგრაციასთან დაკავშირებით გამოიყოფა ორი ტიპი მიგრანტებისა, კერძოდ: მესამე სახელმწიფოს მოქალაქეები, რომლებიც დასახლდნენ ევროკავშირში და აქვთ შესაძლებლობა, საქმიანობა აწარმოონ წარმოშობის ქვეყანაში ისე, რომ დარჩნენ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს რეზიდენტებად. მაგალითად, ამ კატეგორიის პირებში მოიაზრებიან ბიზნესმენები, რომელთაც სურთ საკუთარი წარმოშობის ქვეყანაში ბიზნესის წამოწყება ან ექიმები, პროფესორები და სხვა პროფესიონალები, რომელთაც სურვილი აქვთ, დაეხმარონ წარმოშობის ქვეყანას იმით, რომ საკუთარი პროფესიული საქმიანობის ნაწილი აწარმოონ წარმოშობის ქვეყანაში.<sup>105</sup>

კიდევ უფრო საინტერესოა მესამე სახელმწიფოს რეზიდენტი პირების ცირკულარული მიგრაცია ევროკავშირში: მესამე სახელმწიფოს რეზიდენტებს ცირკულარული მიგრაცია აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ დროებით გაემგზავრონ ევროკავშირში სამუშაოდ, სასწავლებლად, პროფესიული დახელოვნებისთვის იმ პირობით, რომ მათთვის ევროკავშირში ყოფნის უფლების პერიოდის ამოწურვის შემდეგ ისინი დაბრუნდებიან წარმოშობის ქვეყანაში და იქ გააგრძელებენ თავის ჩვეულ მოღვაწეობას. ცირკულარული მიგრაცია, გარკვეულწილად, პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს

<sup>102</sup> Dovelyn, R. A. Newland, K. 'Circular Migration and Development Trends, Policy, Routes and Ways Forward' (Washington DC. Migration Policy Institute, 2007).

<sup>103</sup> EMN Glossary, <http://www.emn.europa.eu>, ნანახია: 15.04.2014.

<sup>104</sup> Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions on circular migration and mobility partnerships between the European Union and third countries (COM (2007) 248), available from: <<http://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:52007DC0248:EN:NOT>>, ციტირებულია: European Migration Network, "Temporary and Circular Migration: empirical evidence, current policy practice and future options in EU Member States", September 2011, p. 14.

<sup>105</sup> European Migration Network, "Temporary and Circular Migration: empirical evidence, current policy practice and future options in EU Member States", September 2011, p. 14.

მიგრანტებს, რაც თავის თავში მოიცავს ასევე, მაგალითად, ქვეყანაში ხელახალი შეშვების პროცედურების გამარტივებას. ეს კატეგორია მოიცავს მიგრანტთა ფართო სპექტრს, მათ შორის:

მესამე სახელმწიფოს მოქალაქეებს, რომელთაც აქვთ სურვილი, დროებით იმუშაონ (სეზონური სამუშაოები) ევროკავშირში, ან ისწავლონ ევროკავშირში, წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებამდე, ან ისეთი მოქალაქეები, რომელთაც ევროკავშირში სწავლის შემდეგ სურთ ადგილზე დასაქმება იმ პროფესიული გამოცდილების დაგროვების მიზნით, რომლის დაგროვებაც გაუჭირდებათ წარმოშობის ქვეყნებში; ასევე მესამე სახელმწიფოს მკვლევრებს ევროკავშირში კვლევითი პროექტის შესასრულებლად, მოქალაქეებს, რომელთაც სურთ კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საკითხებში თანამშრომლობა, ისევე როგორც მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართვა ანახლაურების გარეშე.<sup>106</sup>

აღნიშნულ განმარტებათა შესაბამისად, დგინდება, რომ დროებითი მიგრაცია უფრო მეტად მიესადაგება ერთჯერად გადაადგილებას და ევროკავშირში განსახლდრული ვადით ყოფნას, მაშინ, როდესაც ცირკულარული მიგრაცია გულისხმობს განმეორებით მოქმედებას და საზღვრის მრავალჯერადად კვეთას. იმის მიხედვით, წევრ სახელმწიფოს თუ როგორი განმარტება აქვს დამკვიდრებული, დროებითი და ცირკულარული მიგრაცია შესაძლოა მოიცავდეს როგორც დროის მინიმუმ, ასევე მაქსიმუმ ხანგრძლივობას.<sup>107</sup>

საინტერესოა, რომ სახელმწიფოებს განსხვავებული მიდგომა აქვთ როგორც ცირკულარული მიგრაციის, ასევე დროებითი მიგრაციის ვადებსა და პირობებთან დაკავშირებით. ასე მაგალითად:

ფინეთში დროებით ყოფნად მოიაზრება დროის პერიოდი – რამდენიმე თვიდან 2 წლამდე;

საფრანგეთში – დროებითი მიგრანტი არის პირი, რომელიც მიემგზავრება თავისი ჩვეული რეზიდენტობის ქვეყნიდან დამოუკიდებელ სახელმწიფოში, სულ მცირე, სამი თვით, მაგრამ ერთ წელზე (12 თვეზე) ნაკლები დროით, მხოლოდ იმ პირობით, რომ საზღვრის კვეთა არ არის დაკავშირებული რეკრეაციულ, დასვენების, მეგობრებისა და ნათესავების მონახულების, საქმიან, სამედიცინო მიზნებსა თუ რელიგიურ პილიგრიმობასთან;

ლატვიაში დროებითი მიგრაცია განიმარტება საიმიგრაციო კანონის შესაბამისად, როგორც დროებითი რეზიდენტობის დოკუმენტი და აძლევს უცხოელს უფლებას, გარკვეული დროით იცხოვროს ლატვიაში. პირი ითვლება დროებით მიგრანტად იქამდე, სანამ ის არ მიიღებს მუდმივი რეზიდენტობის უფლებას;

<sup>106</sup> *Ibid.*, გვ. 15.

<sup>107</sup> *Ibid.*, სხვადასხვა სახელმწიფოში ცირკულარული და დროებითი მიგრაციის მარეგულირებელ ნორმებთან დაკავშირებით იხ. ასევე: Manolo, A. (2006) 'Policies and Best Practices for Management of Temporary Migration', Paper presented at the International Symposium on International Migration and Development, UN Population Division, Turin, 28-30 June.

ლიტვაში, მაგალითად, დროებითი მიგრაცია წესრიგდება უცხოელთა აქტით, რომლის შესაბამისად, არსებობს ორი სახის დროებითი მიგრაცია: საზღვრის კვეთა მოკლე ვადით და საზღვრის კვეთა დროებითი რეზიდენტობის მოპოვების მიზნით, მაქსიმუმ 5 წლის ვადით.

ლუქსემბურგში დროებითი მიგრაციის სამართლებრივი ასპექტები წესრიგდება 2008 წლის 29 აგვისტოს კანონით იმიგრაციისა და პირთა თავისუფალი გადაადგილების შესახებ. ამ აქტის მიხედვით, დროებითა ყველა მიგრანტი (უცხო ქვეყანაში დაბადებული მესამე სახელმწიფოს მოქალაქე), რომელიც არ არის უფლებამოსილი გრძელვადიანი რეზიდენტის სტატუსის (*statut de resident de longue durée*) მოპოვებისათვის, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ესაა უცხო ქვეყანაში დაბადებული, უცხო ქვეყნის მოქალაქე, ვისი სამართლებრივი სტატუსიც არის დროებითი, მიუხედავად დროის იმ მონაკვეთისა, რაც მან დაყო ქვეყანაში;

ნიდერლანდში უცხოელთა აქტი განასხვავებს დროებით ბინადრობასა და სამუდამო ცხოვრების უფლებას ერთმანეთისაგან. დროებითი ბინადრობის ნებართვა გაიცემა ერთი წლის ვადით და შესაძლებელია გაგრძელდეს ყოველწლიურად, ხუთი წლის განმავლობაში. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ ავტომატურად წარმოიშობა ქვეყნის დატოვების ვალდებულება;<sup>108</sup>

პორტუგალიაში დროებითი მიგრაცია იყოფა ორ კატეგორიად: 1) დროებითი კონტრაქტზე დამყარებული შრომითი მიგრაცია და 2) დროებითი მიგრაცია სასწავლო მიზნებისათვის. იმიგრაციის შესახებ კანონის შესაბამისად, დროებითი მიგრაცია განისაზღვრება 6 თვის ვადით, რომლის ამოწურვის შემდეგ მიგრანტი უნდა დაბრუნდეს წარმოშობის ქვეყანაში;<sup>109</sup>

სლოვაკეთიც, პორტუგალიის მსგავსად, დროებით მიგრაციად მიიჩნევს 6 თვეს.

როგორც ვნახეთ, დროებით მიგრაციასთან დაკავშირებით სახელმწიფოების მიდგომებს შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები, თუმცა, მიუხედავად განსხვავება-მსგავსებების არსებობისა, ვმო-ის ფარგლებში არსებობს ზოგადი სტანდარტი,

<sup>108</sup> Abella, Manolo (2006) 'Policies and Best Practices for Management of Temporary Migration', Paper presented at the International Symposium on International Migration and Development, UN Population Division, Turin, 28-30 June 2006, იხილეთ ასევე: WTO: 2015 NEWS ITEMS, 5 February 2015, SERVICES Members move to enact Bali decision on LDC services waiver. For the regulation of migration within GATS see also: Sands, O. (2004) 'Temporary Movement of Labor Fuels GATS Debate', <http://www.migrationpolicy.org/article/temporary-movement-labor-fuels-gats-debate>, (Last visited: 24.02.2015); General Agreement on Trade in Services, Arts. I and XIII; supra note 78, p. 228-229; Mattoo, A. Carzaniga, A. Moving People to Deliver Services, (Oxford University Press 2003) p.21.; supra note 97, p. 604; Guzman, A. T., Pauwelyn, J. H. B. (2009), International Trade Law, p. 567.

<sup>109</sup> Portugal: Act No. 23/2007 of 2007, Legal framework of entry, permanence, exit and removal of foreigners into and out of national territory [Portugal], 4 July 2007, ხელმისაწვდომია: <http://www.refworld.org/docid/48e4910b2.html>, ბოლოს ნანახია 2015 წლის 3 იანვარს.

რომელიც იძლევა წევრ სახელმწიფოთა ფარგლებში დროებითი მიგრაციის შესაძლებლობას და, შესაბამისად, ხელს უწყობს როგორც სახელმწიფოთა მხრიდან საკუთარი „შეღარებითი უპირატესობების“ გამოყენებას, ასევე ეკონომიკური პროგრესის წახალისებას.

### ***II.7 საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვა GATS-ის იმპლემენტაციის მიზნებისათვის***

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების განხილვის მიზნებისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება როგორც მომსახურებით ვაჭრობის დასაშვებობასთან მიმართებით ქვეყნის მიერ ვმო-ის სამდივნოსადმი დეკლარირებული გრაფიკების ანალიზს, ასევე ეროვნული კანონმდებლობის შესწავლას უცხოელთა საქართველოს ტერიტორიაზე დაშვების ვადებისა და პირობების გამოკვლევის მიმართულებით. ეს ასევე მნიშვნელოვანია, რათა შეფასდეს, თუ რამდენად ემორჩილება ჩვენი ქვეყანა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დადგენილ პროცედურებს და რამდენად აწვდის შესაბამის კანონმდებლობაში ცვლილების შესახებ ინფორმაციას ვმო-ის შესაბამის სამსახურებს, რათა განახლებული ინფორმაცია ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს დროულად და გამჭვირვალეობის პრინციპის სრული დაცვით მიეწოდოს.

### ***II.8 საქართველოს მიერ მომსახურებით ვაჭრობის მიმართულებით ვმო-ში ნაკისრი ვალდებულებების მიმოხილვა***

საქართველომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებისას, მომსახურებით ვაჭრობიდან გამომდინარე, ქვეყნის ტერიტორიაზე მომსახურების გამწვანა დაშვებასთან დაკავშირებით წარადგინა შესაბამისი გრაფიკები, რომლებიც ადგენენ მომსახურების იმ სფეროებს, რომელთა ფარგლებშიც დასაშვებია საქართველოში წარმომადგენლობის არმქონე პირთა დროებითი იმიგრაცია და ქვეყნის ტერიტორიაზე გაჩერება მომსახურების გაწევის მიზნებისათვის.

ამ გრაფიკების შესაბამისად, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა მიერ შესასრულებელი მომსახურებითი ვალდებულებები იყოფა ორ ძირითად კატეგორიად: ჰორიზონტალური უფლებებისა და ვალდებულებების ფარგლები და მომსახურების სპეციალური სექტორების მიხედვით არსებული ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა უფლებებისა და ვალდებულებების ფარგლები. ნაშრომის მიზნებისათვის ყურადღება გამახვილებულია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა

პორიზონტალური უფლებებისა და ვალდებულებების ფარგლებზე, რადგანაც სწორედ მომსახურებით ვაჭრობის ეს კატეგორია გამოხატავს საქართველოს ტერიტორიაზე წევრ სახელმწიფოთა ფიზიკური პირებისა და მომსახურებით ვაჭრობიდან გამომდინარე კომერციული წარმომადგენლობის დაარსებასთან დაკავშირებულ ვადებსა და პირობებს.

საქართველოს მიერ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში წარდგენილი უფლებებისა და ვალდებულებების ფარგლები ფიზიკურ პირთა ქვეყნის ტერიტორიაზე დაშვების მიმართულებით ადგენს შემდეგ პირობებს: ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნა შეუზღუდავია, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც საკითხი ეხება მომსახურებით ვაჭრობაში ჩართულ იმ პირებს, რომლებიც არ არიან საქართველოში დაფუძნებული კომპანიების წარმომადგენლები, არ იღებენ შემოსავალს საქართველოში არსებული წყაროებიდან, ასევე იმ პირებს, რომლებიც მონაწილეობენ სავაჭრო მოლაპარაკებებში მომსახურების გამწვევის წარმომადგენლობის მიზნებისათვის, კერძოდ, როდესაც ასეთი მომსახურება არ არის მიმართული ფართო საზოგადოებისათვის და როდესაც სავაჭრო მოლაპარაკებებში ჩართული პირი თავად არ არის მომსახურების მიმწოდებელი. აღნიშნულ კატეგორიაში მოქცეული მომსახურების მიმწოდებლებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნა დაიშვება მხოლოდ 90 დღით. ამ ვადის გაგრძელება შესაძლებელია წელიწადში მხოლოდ ერთხელ და ისიც იმ შემთხვევაში, თუ თავდაპირველი 90-დღიანი ვადის ამოწურვიდან გასულია ორი თვე.<sup>110</sup> საინტერესოა, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში საქართველოს მიერ წარდგენილი ვალდებულებათა იგივე ცხრილი ზუსტად ჩამოთვლის იმ პირთა კატეგორიებს, რომელთა შემოსვლაც საქართველოს ტერიტორიაზე დასაშვებია კომერციული მიზნებით დაფუძნებისათვის, ესენია: იმ უცხოურ კორპორაციებში დასაქმებული პირები, რომელთაც არ აქვთ წარმომადგენლობა საქართველოში. აღნიშნულ პირებს იმ უცხოურ კორპორაციაში მუშაობის ერთწლიანი გამოცდილება უნდა ჰქონდეთ, რომლის წარმომადგენლობის გახსნის მიზნებისთვისაც მიმართავენ საქართველოს მთავრობას ქვეყნის ტერიტორიაზე დაშვების ნებართვის ასაღებად. ასეთი პირების დაშვება საქართველოში შესაძლებელია მხოლოდ ერთი წლის ვადით იმ პირობით, რომ ისინი მონაწილეობას არ მიიღებენ საზოგადოების ფართო მასებზე გათვლილ სავაჭრო ურთიერთობებში და უშუალოდ თვითონ არ უზრუნველყოფენ მომსახურების მიწოდებას. ამავე ცხრილების მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე მაქსიმუმ ერთი წლის ვადით დაიშვებიან ასევე ის პირები, რომლებიც მუშაობენ საქართველოში წარმომადგენლობის არმქონე უცხოურ კორპორაციებში, სულ მცირე, ერთის წლის განმავლობაში და მიიღებენ

<sup>110</sup> *World Trade Organization, WT/ACC/GEO/31/Add.2; 30 August 1999, Report of the working party on the accession of Georgia to the World Trade Organization; Schedule of Specific Commitments on Services – Georgia.*



სერვისკონტრაქტს საქართველოში მუდმივად დაფუძნებული კომპანიისაგან.

რაც შეეხება უშუალოდ ინდივიდუალურ პირებს, რომელთაც სურთ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთა დროებით მომსახურების გაწევის მიზნებისათვის, მათთვის ცხრილები ითვალისწინებს სამთვიანი ყოფნის ვადას, ხოლო მომსახურების გამწვევთა რაოდენობად მითითებულია სამუშაოს მოცულობის მიხედვით არსებული საჭიროება. საქართველოში დაშვების უფლებით სარგებლობენ ასევე ის ფიზიკური პირები, რომლებიც არ არიან დასაქმებულები უცხოეთში დაფუძნებულ კორპორაციებში და ეძებენ დასაქმების შესაძლებლობას საქართველოს შრომის ბაზარზე. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში საქართველოს მიერ წარდგენილი ცხრილები ითვალისწინებს ასევე ე.წ. თანამშრომელთა გაცვლის შესაძლებლობას კორპორაციებს შორის, კერძოდ, ეს ეხებათ საქართველოში წარმომადგენლობის არმქონე კორპორაციების თანამშრომლებს, რომლებიც მომსახურების გაწევას განახორციელებენ საქართველოში წარმომადგენლობის დაფუძნების ან შვილობილი კომპანიის გახსნის გზით. ცხრილებში მითითებულია, თუ ვინ მოიაზრება ასეთი თანამშრომლების კატეგორიაში, კერძოდ:

მენეჯერები – ორგანიზაციაში დასაქმებული პირები, რომლებიც, ძირითადად, მართავენ კომპანიებს ან მის დეპარტამენტებსა და ქვედეპარტამენტებს და აქვთ უფლებამოსილება, სამსახურში აიყვანონ და დაითხოვონ თანამშრომლები და დაკავდნენ კომპანიის განვითარების სტრატეგიის შემუშავებით. ამ კატეგორიაში არ მოიაზრებიან პირველი ხაზის მაკონტროლებლები და ასევე პირები, რომლებიც უშუალოდ ასრულებენ მომსახურების მიწოდებისათვის აუცილებელ პირველად სამუშაოებს;

ადმინისტრატორები – ორგანიზაციაში დასაქმებული პირები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ორგანიზაციის პოლიტიკისა და მიზნების ჩამოყალიბებაზე, აქვთ გადაწყვეტილების მიღების ფართო გამოცდილება და არ არიან უშუალოდ ჩართულნი ორგანიზაციის მიერ მომსახურების გაწევის პროცესში;

სპეციალისტები – ორგანიზაციაში დასაქმებული პირები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი ცოდნა და წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება ორგანიზაციის მიერ მიწოდებული მომსახურებებისა და გარკვეული პერიოდის განმავლობაში განხორციელებული მართვის პოლიტიკის შესახებ.

აღნიშნული პირების საქართველოს ტერიტორიაზე დაშვება შესაძლებელია სამი წლის ვადით, რომლის გახანგრძლივებაც ხდება მხოლოდ ერთხელ ორი წლის ვადით ისე, რომ მათი ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნის საერთო მონაცემმა არ უნდა გადააჭარბოს 5 წელიწადს.

საქართველოს მიერ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში ფიზიკურ პირთა დროებითი მიგრაციის მიმართულებით აღებული ვალდებულებების ანალიზი მნიშვნელოვანია, რათა შედარებულ იქნეს ორგანიზაციაში წარდგენილი ვალდებულებების ფარგლების დამდგენი დოკუმენტისა და ქვეყანაში დღეს მოქმედი

შესაბამისი კანონმდებლობის მიერ დადგენილი რეჟიმი იმის გამოსავლენად, მოვახდინეთ თუ არა ვმო-ის წევრი სახელმწიფოებისათვის დროული შეტყობინების გაგზავნა შიდა დონეზე განხორციელებული შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ და, შემთხვევით, ხომ არ ვარღვევთ საერთაშორისო სავაჭრო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს.

### II.8.1 დროებითი მიგრაციის მიმართულებით არსებული საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვა

სანამ უშუალოდ გადავიდოდეთ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის მომწესრიგებელი კანონის შესაბამისი მუხლების მიმოხილვაზე ფიზიკურ პირთა საქართველოს ტერიტორიაზე დროებითი ყოფნის სამართლებრივი ფარგლების დასადგენად, უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს კანონმა მას შემდეგ, რაც საქართველო გაწევრიანდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში, რამდენჯერმე განიცადა ცვლილება. რადგანაც წინამდებარე ნაშრომის მიზანი არ არის, აღვნიშნულ კანონში წლების განმავლობაში შესული ცვლილებების ანალიზი, არამედ კვლევის მიზნებისათვის მხოლოდ უახლეს ცვლილებებზე კონცენტრირებაც საკმარისია, თუნდაც იმის შესამოწმებლად, რამდენად არის დღეისათვის განახლებული ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზა საქართველოში მომსახურების გამწვევ ფიზიკურ პირთა დროებითი ყოფნის მიმართულებით, შევჩერდებით მხოლოდ ამ ბოლო ხანებში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე და მის შედარებაზე ცვლილებების ამოქმედებამდე არსებულ სამართლებრივ რეგულაციებთან.

საგულისხმოა, რომ საქართველოს კანონში უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ძირფესვიანი ცვლილებები განხორციელდა 2014 წელს, რომელთა ამოქმედებაც ამავე წლის პირველი სექტემბრიდან დაიწყო.

საინტერესოა, რას ადგენს საქართველოს კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ფიზიკურ პირთა საქართველოს ტერიტორიაზე დროებითი ყოფნის მიმართულებით. როგორც თავად კანონის პირველი მუხლიდან ჩანს (ეს მუხლი აყალიბებს კანონის ამოცანებს, მიზნებსა და რეგულირების სფეროს), მისი მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოსა და უცხო სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების განვითარებას ეკონომიკის, კულტურის, განათლებისა და მეცნიერების სფეროებში; განამტკიცოს საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული საცხოვრებელი ადგილის არჩევისა და გადაადგილების თავისუფლების, საქმიანობისა და პროფესიის თავისუფალი არჩევის უფლებები; განამტკიცოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და საქართველოს

საერთაშორისო ხელშეკრულებებთან უცხოელთა მიმართ საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის სფეროში.<sup>111</sup>

ნაშრომის მიზნებისათვის დასახელებული კანონი შეირჩა სწორედ იმიტომ, რომ ის აყალიბებს და აწესრიგებს საქართველოში უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა შემოსვლის, ყოფნის, სატრანზიტო გავლისა და საქართველოდან გასვლის სამართლებრივ საფუძვლებსა და მექანიზმებს, ასევე განსაზღვრავს მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს, საქართველოში მყოფ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ქვეყნიდან გაძევების სამართლებრივ საფუძვლებს, გაძევების ფორმებსა და პროცედურებს, გაძევების პროცესში მონაწილე სახელმწიფო დაწესებულებათა კომპეტენციის ფარგლებსა და პასუხისმგებლობას.<sup>112</sup>

ამავე კანონის მე-3 მუხლის კ ქვეპუნქტის შესაბამისად, უცხოელის საქართველოში შემოსვლა შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების დაცვით.<sup>113</sup>

საინტერესოა ის ფაქტი, რომ კანონის ახალი რედაქცია ადრე მოქმედისაგან განსხვავებით უცხო ქვეყნის მოქალაქეთა საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის ერთ-ერთ სამოქმედო პრინციპად ასახელებს ნაცვალგების პრინციპს.<sup>114</sup> კანონის ადრე მოქმედი მუხლებით განსაზღვრული იყო იმ სახელმწიფოთა ჩამონათვალი, რომელთა მოქალაქეთათვისაც დასაშვები იყო საქართველოს ტერიტორიაზე უვიზოდ 360 დღის განმავლობაში ყოფნის შესაძლებლობა. ამ სახელმწიფოთა რიგებში იყო: ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები; დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საზღვარგარეთის ტერიტორიები: ბერმუდის კუნძულები, კაიმანის კუნძულები, ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულები, ფოლკლენდის კუნძულები; ტერკსის და კაიკოსის კუნძულები; გიბრალტარის, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს დამოკიდებული ტერიტორიები: ჯერზი, გერნზი, კუნძული მენი; დანიის სამეფოს ტერიტორიები: ფარერის კუნძულები და გრენლანდია; ნიდერლანდის სამეფოს ტერიტორიები: არუბის და ნიდერლანდის ანტილის კუნძულები; საფრანგეთის რესპუბლიკის ტერიტორიები: საფრანგეთის პოლინეზია და ახალი კალედონია; ამერიკის შეერთებული შტატები; კანადა; იაპონია; შვეიცარიის კონფედერაცია; ლიხტენშტაინის სამთავრო; ნორვეგიის სამეფო; ისრაელის სახელმწიფო; წმინდა საყდარი (ვატიკანი); ანდორის სამთავრო; სან-მარინოს რესპუბლიკა; ისლანდიის რესპუბლიკა; არაბთა

<sup>111</sup> საქართველოს კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, 1-ლი მუხლი (2012 წლის 12 ივნისის მდგომარეობით).

<sup>112</sup> *ibid.*

<sup>113</sup> *ibid.*, მე-3კ მუხლი. ეს მუხლი აყალიბებს იმ ძირითად პრინციპებს, რომელსაც ეფუძნება თავად კანონი.

<sup>114</sup> *ibid.*, მე-3ა მუხლი

გაერთიანებული საამიროები; ქუვეითის სახელმწიფო; კორეის რესპუბლიკა; კატარის სახელმწიფო; ბაჰრეინის სამეფო; ომანის სასულთნო; ბრუნეი-დარუსალამის სახელმწიფო; სინგაპურის რესპუბლიკა; ავსტრალიის თანამეგობრობა; მონაკოს სამთავრო; ახალი ზელანდია; ბაჰამის თანამეგობრობა; ბარბადოსი; ანტიგუა და ბარბუდა; ტრინიდადის და ტობაგოს რესპუბლიკა; სეიშელის კუნძულების რესპუბლიკა; ბოტსვანის რესპუბლიკა; ხორვატიის რესპუბლიკა; ჩილეს რესპუბლიკა; სენტ-კიტსის და ნევისის ფედერაციები; არგენტინის რესპუბლიკა; მალაიზიის ფედერაცია; მექსიკის შეერთებული შტატები; ურუგვაის აღმოსავლური რესპუბლიკა; მავრიკის რესპუბლიკა; პანამის რესპუბლიკა; კოსტა-რიკის რესპუბლიკა; სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა; ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკა; ტაილანდის სამეფო; ბელიზი; საუდის არაბეთის სამეფო; ალბანეთის რესპუბლიკა; სერბეთის რესპუბლიკა; ბოსნია და ჰერცეგოვინა; მონტენეგრო; ერაყის რესპუბლიკა.<sup>115</sup>

ჩამონათვალი მართლაც შთამბეჭდავია და ხაზს უსვამს ორ ძირითად გარემოებას: ერთი მხრივ, საზღვრების გახსნა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა შემოდინებისა და საქართველოში ინვესტიციების დაბანდების მიმართულებით საკმაოდ პოზიტიური და შორს მიმავალი გადაწყვეტილებაა, თუმცა მეორე მხრივ, საზღვრების მეტი გახსნილობა მიმანიშნებელია იმისა, რომ ქვეყნის უსაფრთხოებასა და მიგრაციული პროცესების მართვაზე ორიენტირებულ სახელმწიფო დაწესებულებებს მეტი ძალისხმევის ჩადება უწევთ ყოველივე ამაში.

აღნიშნულის საპირისპიროდ, ხსენებული კანონის ახალი რედაქციის შესაბამისად, იმ სახელმწიფოთა ჩამონათვალი, რომელთა მოქალაქეებსაც შეუძლიათ ქვეყანაში უვიზოდ შემოსვლა, განისაზღვრება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით, რომელიც ამჟამად შემუშავების ეტაპზეა.<sup>116</sup>

კანონის ახალმა რედაქციამ შეამცირა საქართველოს ტერიტორიაზე უვიზოდ ყოფნის 360-დღიანი ვადა და დაადგინა 180-დღიანი პერიოდში 90 დღით ყოფნის დასაშვებობა. როგორც შესაბამისი უწყებების ოფიციალური განცხადებებიდან ხდება ცნობილი, აღნიშნული გამომდინარეობს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესიდან და თანმდევი საკანონმდებლო ვალდებულებებიდან.<sup>117</sup>

<sup>115</sup> იხილეთ საქართველოს კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ, (2015 წლის 15 მაისის მდგომარეობით) მე-45 მუხლი, ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2278806>>, ნანახია: 2015 წლის 20 მაისს.

<sup>116</sup> *ibid.*, მე-10 მუხლი.

<sup>117</sup> იხილეთ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობა, 100 კითხვა ახალ კანონთან დაკავშირებით, დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა სამინისტროების მიერ.

ეს დებულება ასევე გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №524 დადგენილებაშიც, რომელიც აწესრიგებს საქართველოს ვიზის გაცემის, მისი მოქმედების ვადის გაგრძელებისა და მოქმედების შეწყვეტის წესებს. დადგენილების შესაბამისად, განსაზღვრულია საქართველოში შემოსასვლელად უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის ამოქმედებული ვიზების კატეგორიები, ხოლო იმ უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის, რომელთაც ვიზა არ სჭირდებათ, - საქართველოში დროებითი ყოფნის ხანგრძლივობა.<sup>118</sup>

## II.8.2 ასოცირების შეთანხმება ევროკავშირთან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში მიგრაციასთან დაკავშირებით აღებული ვალდებულებების ჭრილში

მიგრაციული პროცესების მართვის თვალსაზრისით, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის როლისა და ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიმოხილვის კვალდაკვალ ასევე უდიდესი სამართლებრივი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ევროპული არჩევანისა და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისი მუხლების გაცნობას. ერთი რამ ცხადია: ევროკავშირი, როგორც ხესახელმწიფოებრივი გაერთიანება, გლობალური მართვის თვალსაზრისით, ერთ-ერთი წამყვანი რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციაა, საკუთარი მართლწესრიგითა და სამოქმედო პრინციპებით, რომელსაც არა მხოლოდ ხელეწიფება საკუთარი სამართალშემოქმედებითი პროცესის წარმართვა და წევრ სახელმწიფოთა ქმედების საკუთარი წესებისადმი დაქვემდებარება, არამედ ის ასევე აქტიურად მონაწილეობს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სამართლის განვითარებაში ამ უკანასკნელის დაარსებიდან დღემდე.

წინამდებარე ნაშრომის შესწავლის საგანია არა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციისა და ევროკავშირის ურთიერთობებისა თუ ურთიერთდაქვემდებარებულობიდან გამომდინარე სამართლებრივი ნორმების იერარქიის საკითხის შესწავლა, არამედ იგი ფოკუსირდება მხოლოდ იმ ჩანაწერზე, რაც საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებულ ასოცირების ხელშეკრულებაში არის გაკეთებული საქართველოს მხრიდან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში

---

ხელმისაწვდომია: < <http://mfa.gov.ge/MainNav/ConsularInformation/VisaInfoForeign/100-questions.aspx>>; ბოლოს ნანახია: 12/05/2015წ.

<sup>118</sup> იხილეთ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №524 დადგენილება – საქართველოს ვიზის გაცემის, მისი მოქმედების ვადის გაგრძელებისა და მოქმედების შეწყვეტის წესის დამტკიცების თაობაზე, ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2483508>>, ნანახია: 2015 წლის 20 მაისს.

აღებული ვალდებულებების შესრულებასა და მათ უპირატეს ძალასთან მიმართებით.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების შეთანხმების პირველი მუხლის შესაბამისად, ასოცირების მიზანია: „შიაღწიოს ევროკავშირის შიდა ბაზართან საქართველოს ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას, როგორც ეს გათვალისწინებულია წინამდებარე შეთანხმებით, განსაკუთრებით, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შექმნის გზით, რომელიც უზრუნველყოფს ბაზარზე საფუძვლიან დაშვებას მდგრადი და ყოვლისმომცველი რეგულაციური დაახლოების საფუძველზე, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) წევრობის შედეგად წარმოშობილი უფლებებისა და ვალდებულებების დაცვით“.<sup>119</sup>

ამ ჩანაწერიდან ორი რამ ხდება ცნობილი: ერთი ის, რომ ევროკავშირი აღიარებს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში აღებული ვალდებულებების უპირატეს ძალას მის მიერ საერთაშორისო ვაჭრობასთან მიმართებით დადგენილ ვალდებულებებთან ბმაში, რაც, თავის მხრივ, გამომდინარეობს ევროკავშირის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრობიდან (ევროკავშირი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრია 1995 წლის 1 იანვრიდან), ასევე იქიდანაც, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია იმთავითვე შეიქმნა, რათა სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში წარმოადგენდეს უმთავრეს მაკორდინებელ ორგანიზაციას საერთაშორისო ვაჭრობის მოწესრიგებულად, გამჭვირვალედ, განჭვრეტად წარმართვისა და სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპის აბსოლუტური დაცვის მიმართულებით;

ხოლო მეორე რამ, რაც საგულისხმოა ზემოთ მითითებული ჩანაწერიდან, არის ის, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში ნაგულები საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მოთხოვნები სრულად ვრცელდება საქართველოს მიერ ამ ორგანიზაციაში აღებული ვალდებულებების ფარგლებზე და იმთავითვე, აგრეთვე, ქვეყნის მიერ მიგრაციის მართვის პოლიტიკის შემუშავების ერთ-ერთი უმთავრესი განმსაზღვრელია სწორედ მომსახურებით ვაჭრობის შესახებ შეთანხმების შესაბამისი მუხლების გათვალისწინებითა და იმ ფაქტორის მხედველობაში მიღებით, რომ მომსახურებით ვაჭრობის შესახებ შეთანხმება არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის

<sup>119</sup> ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის (შემდგომში - ასოცირების შესახებ შეთანხმება), 1-ლი მუხლის h ქვეპუნქტი. ტექსტი აღებულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდიდან და ხელმისაწვდომია შემდეგი ბმულის გამოყენებით: < [http://mfa.gov.ge/ევროპული\\_და\\_ევროატლანტიკური\\_ინტეგრაცია/Association-Agreement.aspx](http://mfa.gov.ge/ევროპული_და_ევროატლანტიკური_ინტეგრაცია/Association-Agreement.aspx)>, ბოლოს ნანახია: 12/05/15წ.

ქვაკუთხედი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში ადებული ვალდებულებები ავტომატურად ხდება სავალდებულო შესასრულებელი ნებისმიერი სახელმწიფოსათვის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების მომენტიდან.

ერთი საგულისხმო საკითხი, რაც აღნიშვნის ღირსია ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებულ ასოცირების ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებთან მიმართებით, უკავშირდება ამ ხელშეკრულების ქართულ თარგმანში ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციად მოხსენიების ფაქტს. მართალია, საქართველოს პარლამენტის მიერ მარაკემის შეთანხმებით დაფუძნებულ ორგანიზაციაში ქვეყნის გაწევრიანების ოქმის რატიფიცირებისას ორგანიზაციის სახელწოდებად მითითებულ იქნა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია,<sup>120</sup> თუმცა მოგვიანებით განხორციელებულმა ცვლილებებმა, რაც მათ შორის ხსენებული ორგანიზაციის ოფიციალურ დოკუმენტებში მოხსენიების საკითხსაც შეეხო, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია ფიქსირდება როგორც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია.<sup>121</sup> შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან უნდა მოხდეს ტერმინის საბოლოო დაზუსტება, ამ საკითხის არსებითი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ოფიციალურ სამართლებრივ დოკუმენტებში ტერმინების გამოყენების ერთიანი პრაქტიკის დასამკვიდრებლად.

კიდევ ერთი და, ამავე დროს, უმთავრესი სფერო, რის გამოც ევროკავშირთან დადებული ასოცირების ხელშეკრულება იპყრობს ჩვენს ყურადღებას, არის მასში არსებული მიგრაციის პოლიტიკის ფორმირებისადმი მიმართული მუხლები. საგულისხმოა, რომ ხელშეკრულების მე-15 მუხლი ეხება თანამშრომლობას მიგრაციის, თავშესაფრისა და საზღვრის მართვის სფეროებში და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მხარეები კიდევ ერთხელ ადასტურებენ მათ ტერიტორიებს შორის მიგრაციული ნაკადების ერთობლივი მართვის მნიშვნელობას და მიგრაციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხთან მიმართებით დანერგავენ ყოველისმომცველი დიალოგის ფორმატს, რაც ასევე მოიცავს ლეგალურ მიგრაციას, საერთაშორისო დაცვასა და არალეგალური მიგრაციის, კონტრაბანდისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლას. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თანამშრომლობა ეფუძნება კონკრეტული საჭიროებების შეფასებას, რაც განხორციელდება მხარეთა შორის ორმხრივი კონსულტაციების შედეგად და შესრულებდა შესაბამისი მოქმედი კანონმდებლობის თანახმად. კერძოდ, სხვათა შორის ყურადღება გამახვილდება შემდეგ ასპექტებზე - მიგრაციის ძირეული მიზეზები და

<sup>120</sup> იხილეთ საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის №264 დადგენილება მარაკემის შეთანხმებით დაფუძნებულ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანების ოქმის რატიფიცირების თაობაზე. ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/40288>>, ნანახია 2015 წლის 20 მარტს.

<sup>121</sup> მაგალითისათვის შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 19 სექტემბრის №201 დადგენილება.

შედგები. ასოცირების შესახებ შეთანხმების მე-15 მუხლი საინტერესოა ასევე იმ გადასახედიდანაც, რომ მხარეები თანხმდებიან ცირკულარული მიგრაციის შესაძლო ხელშეწყობაზე განვითარების სასარგებლოდ.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ცირკულარული მიგრაციის თვალსაზრისით, რაც თავისთავში გულისხმობს დანიშნულების ქვეყანაში დროებით გამგზავრებასა და წარმოშობის ქვეყანაში უკან დაბრუნებას დროის მოკლე მონაკვეთში, საინტერესოა სპეციალურ ლიტერატურაში არარსებული ერთიანი მიდგომა და მსოფლიო სავაჭრო სისტემაში დამკვიდრებული ფიზიკურ პირთა სახელმწიფოს ტერიტორიაზე დროებითი ყოფნით გამოწვეული მთელი რიგი ასპექტებისა.

ასოცირების ხელშეკრულება შესაბამის თავში მომსახურებით ვაჭრობასთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში აღებული ვალდებულებებისადმი პატივისცემას და 76-ე მუხლში, რომელიც მომსახურებით ვაჭრობასთან მიმართებით შეთანხმების მიზანს, მოქმედების სფეროსა და გავრცელების ფარგლებს აღგენს, აცხადებს:

მხარეები ადასტურებენ რა საკუთარ ვალდებულებებს, ემო-ის შეთანხმების შესაბამისად აღგენენ საჭირო ზომებს ნაცვალებების პრინციპით დაფუძნებისა და მომსახურებით ვაჭრობის თანმიმდევრული ლიბერალიზაციისა და თანამშრომლობისათვის ელექტრონული კომერციის სფეროში, ხაზს უსვამენ, რომ თითოეული მხარე იტოვებს უფლებას, მოაწესრიგოს და შემოიღოს ახალი რეგულაციები პოლიტიკის ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად.<sup>122</sup>

საინტერესოა, რომ ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების შეთანხმება, ასევე ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის უმთავრესი მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება, კერძოდ მომსახურებით ვაჭრობის შესახებ ზოგადი შეთანხმება, ცალსახად გამოკვეთენ, რომ შეთანხმებათა მუხლები არ გამოიყენება იმ ღონისძიებების მიმართ, რომლებიც გავლენას ახდენენ მხარეთა დასაქმების ბაზარზე დაშვების მაძიებელ ფიზიკურ პირებზე, ასევე მოქალაქეობასთან, მუდმივ რეზიდენტობასა და დასაქმებასთან დაკავშირებულ ურთიერთობათა მიმართ.

ამ თავით განსაზღვრული არცერთი დებულება არ უნდა ზღუდავდეს მხარეს იმ ღონისძიებების გამოყენებისაგან, რომლებიც არეგულირებენ მის ტერიტორიაზე ფიზიკური პირების შესვლას ან მათ დროებით ყოფნას, იმ ღონისძიებების ჩათვლით, რომლებიც აუცილებელია მისი საზღვრების ერთიანობის დასაცავად და მის საზღვრებზე ფიზიკური პირების მოწესრიგებული გადაადგილების უზრუნველსაყოფად, იმის გათვალისწინებით, რომ ეს ღონისძიებები არ გამოიყენება ისეთი სახით,

<sup>122</sup> ასოცირების შესახებ შეთანხმება, მე-6 თავი, 76-ე მუხლი.



რომ გააბათილოს ან შეამციროს სარგებელი, რომელსაც მხარე იღებს ამ თავითა და წინამდებარე შეთანხმების XIV დანართით განსაზღვრული სპეციფიკური ვალდებულებებით.<sup>123</sup>

აღნიშნული ჩანაწერი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სამართლის უპირატესობას ევროკავშირის სამართალთან მიმართებით ვაჭრობის სფეროში და, ამასთანავე, იძლევა მყარ გარანტიას, რომ სწორად წარმართულ და ეფექტურად მართულ საერთაშორისო სავაჭრო სისტემას, შესაბამისი სამართლებრივი ნორმების გამოყენებით, შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობებში ძალთა ბალანსის შენარჩუნებაც და განვითარებად სახელმწიფოებში მეტი სარგებლის შეტანაც.

ასოცირების შეთანხმებაში არაერთხელ დაფიქსირებული ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების პატივისცემის მოვალეობა გვაფიქრებს იმ საკითხებზე, რომლებიც უკავშირდება ისევ და ისევ ცირკულარულ მიგრაციას და დანიშნულების ქვეყანაში დროებით ყოფნას მომსახურების გაწევის მიზნებისათვის. აღნიშნული ჩანაწერი გულისხმობს, რომ შესაძლებელია, ასოცირების ხელშეკრულება თავისთავად არ გულისხმობდეს საქართველოს მოქალაქეთა დროებით მიგრაციასა თუ ცირკულარული მიგრაციის თავისუფალ შესაძლებლობას ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ტერიტორიებზე, მაგრამ ამის პარალელურად არსებობს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, რომლის ფარგლებშიც წევრ სახელმწიფოთა ფიზიკურ პირებს შეუძლიათ გადაადგილება დისკრიმინაციის გარეშე და, მათ შორის, ევროკავშირის ტერიტორიაზეც, ამ უკანასკნელის ვმო-ის წევრობიდან გამომდინარე არსებული უფლებებისა და ვალდებულებების ფარგლებში.

საქართველოს ევროინტეგრაციისა და ევროპულ ოჯახში გაწევრიანების სურვილი ნამდვილად ქვეყნის პოზიტიური მიმართულებით განვითარების პროცესის დასაწყისია და ორი აზრი არ არსებობს იმ კუთხით, რომ ქვეყანა უნდა გახდეს ევროკავშირის წევრი სახელმწიფო, მაგრამ დღეის მდგომარეობით, ისიც ცალსახად აშკარა ხდება, რომ ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერიდან საწყის ეტაპზე ფიზიკურ პირთა გადაადგილებასთან მიმართებით მისაღებ უმთავრეს სარგებელს, რასაც უვიზო მიმოსვლა ჰქვია, საქართველო ვერ მიიღებს. ეს გამომდინარეობს ევროკავშირის მიერ გამოქვეყნებული პროგრესანგარიშიდან, რომელიც ცალსახად მიუთითებს, რომ საქართველომ ევროკავშირში ასოცირების გზაზე ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული 15 სავალდებულოდ შესასრულებელი მოთხოვნიდან მხოლოდ 8 მოთხოვნის შესრულება

<sup>123</sup> ვიზის მოთხოვნა ზოგიერთი ქვეყნის ფიზიკური პირებისათვის, და არა სხვა ქვეყნების ფიზიკური პირებისათვის, არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც სპეციფიკური ვალდებულებებიდან გამომდინარე სარგებლის გაბათილება ან შემცირება.

შედლო და, შესაბამისად, 2015 წლის მაისში ჩატარებულ რიგის სამიტზე<sup>124</sup> ევროკავშირმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა საქართველოს მიერ მიღწეული წარმატების ფაქტი ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მოთხოვნათა რიგის შესრულების მიმართულებით და გამოითქვა იმედი და მზაობა, მაქსიმალურად დაეხმარონ საქართველოს ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ბოლომდე მიყვანაში 2015 წლის ბოლოსათვის, რათა საქართველოს მოქალაქეებისათვის ევროკავშირში უფიზო მიმოსვლის უფლების მინიჭების საკითხის გატანა მოხდეს ევროპული პარლამენტისა და საბჭოს წინაშე.<sup>125</sup>

ევროკავშირის მიერ გამოქვეყნებული პროგრესის ანგარიში საინტერესოა მიგრაციის კონტექსტიდან გამომდინარე, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ უკეთ მოხდეს პარალელების გავლება, ერთი მხრივ, საქართველოს მიერ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში აღებულ ვალდებულებებთან და, მეორე მხრივ, ევროკავშირთან დაახლოებიდან გამომდინარე მიგრაციის მართვის თვალსაზრისით საქართველოს მიერ მიღწეული წარმატების შესაფასებლად. ევროკავშირის მიერ გამოქვეყნებულ რიგით მესამე პროგრესის ანგარიშში ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით დაფიქსირებულია გარკვეული სახის რეკომენდაციები, რომელთაგან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა რეკომენდაცია საქართველოს ვალდებულების შესახებ საინფორმაციო კამპანიის წამოსაწყებად, რათა საქართველოს მოქალაქეებს განემარტოთ ის უფლებები და ვალდებულებები, რაც ევროკავშირის სივრცეში სამომავლო უფიზო მიმოსვლასთან არის დაკავშირებული.<sup>126</sup>

აღნიშნული რეალობა იმ მიმართულებით გვაფიქრებს, რომ, ერთი მხრივ, მივმართოთ ყველა შესაძლო საშუალებას ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე ამ ორგანიზაციის მიერ დადგენილი მოთხოვნებისა და კრიტერიუმების დასაკმაყოფილებლად და, მეორე მხრივ, გამოვიყენოთ საერთაშორისო თანამეგობრობის ფარგლებში ჩვენს ხელთ უკვე არსებული მექანიზმები და, თუნდაც, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრობიდან გამომდინარე ნაგულები უფლებების გამოყენებით უზრუნველყოთ საქართველოს მოქალაქეთა უსაფრთხო, კანონიერი და თანასწორი საერთაშორისო გადაადგილების პროცესის ხელშეწყობა მომსახურების გაწევის მიზნებისათვის, მით უფრო, რომ, როგორც თავად ევროკავშირთან დადებულ ასოცირების ხელშეკრულებაში არაერთგზის არის მითითებული, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრების მიერ აღებულ ვალდებულებებსა და უფლებებს აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა ევროკავშირის ფარგლებში ნაგულებ უფლებებსა და აღებულ

<sup>124</sup> დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ: Report from the Commission to the European Parliament and the Council, Third progress report on Georgia's Implementation of the action plan on visa liberalization, (SWD (2015) 103 final).

<sup>125</sup> Joint Declaration of the Eastern Partnership Summit (Riga, 21-22 May 2015).

<sup>126</sup> *ibid.*, გვ. 4.

ვალდებულებებთან მიმართებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში.

ნაშრომში განხილული საკითხებიდან ცხადად ჩანს, თუ როგორ წესრიგდება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში ფიზიკურ პირთა დროებითი მიგრაციის ასპექტები. აქვე ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ შესაძლებლობის გამოყენებას საქართველოს მხრიდან საკუთარი მოქალაქეების კანონიერი გზებით საზღვარგარეთ გამგზავრების პროცესის ხელშეწყობისა და მიგრანტთა ახალი ნაკადების ჩვენს ქვეყანაში შემოდინების მართვის მიმართულებით.

უდავოა, რომ ის წარმატება, რასაც ქვეყანამ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამ მიმართულებით ამაღლების კუთხით მიაღწია, სხვებთან ერთად, იმის დამსახურებაცაა, რომ საზოგადოებას უწყვეტ რეჟიმში მიეწოდება ინფორმაცია არაკანონიერი გზებით საზღვრის კვეთასთან დაკავშირებული საფრთხეების შესახებ, რაც იმთავითვე და უპირობოდ გულისხმობს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების უხეშ და სისტემატურ დარღვევებს. თუმცა საფიქრალია იმ მიმართულებითაც, რომ სახელმწიფომ საკუთარ მოსახლეობას მიაწოდოს ცნობები კანონიერი გზებით მიგრაციის შესაძლებლობების შესახებ. რა თქმა უნდა, ევროკავშირთან სხვადასხვა სფეროში გააქტიურებული თანამშრომლობა აძლევს გარკვეულ შედეგებს საქართველოს მოქალაქეებს მობილობისა და ცირკულარული მიგრაციის თვალსაზრისით, მაგრამ ევროკავშირის ბაზარზე ორიენტირებულობასთან ერთად უპრიანია, საქართველომ, როგორც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრმა, გამოიყენოს არა მხოლოდ წევრობით გათვალისწინებული პირობები, არამედ ისარგებლოს ასევე საკუთარი განვითარებადობის გამო ვმო-ის ფარგლებში არსებული უპირატესობებით, რადგანაც, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ვმო-ის წევრი სახელმწიფოები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ განვითარებადი სახელმწიფოების ეკონომიკურ საჭიროებებსა და მათში არსებულ სოციალურ ფონს.

ჩხადია, საქართველო ვერ მოუწოდებს საკუთარ მოქალაქეებს საზღვარგარეთ მიგრაციისა და იქ დოვლათის დაგროვებისაკენ, თუმცა საზოგადოების ცნობიერების ამაღლებით მას შეეძლება ისედაც აქტიური და ძლიერი ემიგრაციის ტალღის უკეთ მართვა შემდეგი გზით:

უპრიანია, სახელმწიფო სამსახურებმა უცხო ქვეყნების შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით მოიკვლიონ ინფორმაცია საზღვარგარეთ არსებული მოკლევადიანი დასაქმების შესაძლებლობების შესახებ საქართველოს მოქალაქეთათვის, რათა დროულად მოახდინონ პროცესში ჩართვა და თავად იყვნენ გარანტორნი იმისა, რომ მათივე რეკომენდაციით საზღვარგარეთ მოკლევადიანი პერიოდით მივლენილი საქართველოს მოქალაქის უფლებები არ დაირღვევა და მოეპყრობიან მას ისევე, როგორც ექცევიან დანიშნულების ქვეყანაში აღმოჩენილ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებს. ეს მნიშვნელოვანია რამდენიმე თვალსაზრისით: ერთი მხრივ, იმიტომ, რომ თავიდან იქნეს აცილებული საკუთარ მოქალაქეთა ხანგრძლივადიანი ემიგრაცია სახელმწიფოდან, მეორე მხრივ, იმისათვის, რათა საქართველოს მოქალაქეებმა შეძლონ

როგორც მატერიალური დოვლათის დაგროვება, ასევე აქტიური მუშაობა საკუთარი პროფესიული უნარ-ჩვევების მუდმივი დახვეწის მიმართულებით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, მიუხედავად საერთაშორისო დონეზე არსებული და სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული განსხვავებული მოსაზრებებისა, თითოეული მათგანი მაინც მიმართულია ერთი უმთავრესი მიზნისაკენ, რასაც მრავალწახნაგოვნად პოლიტიზებული მიგრაციული პროცესების ჯეროვანი მართვა ეწოდება. ნათელია, რომ ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია თუ საერთაშორისო ხელშეკრულება ვერ შეძლებს მიგრანტთა უფლებებისა და სახელმწიფო ინტერესების თანაბარ დონეზე დაცვას, თუმცა ერთი რამ ცხადია: „რაც უფრო მაღალია მიგრაციის მიმართ დადგენილი ბარიერი, მით უფრო აქტიურდება ვაჭრობის წამახალისებელი ფაქტორები“.<sup>127</sup> შესაბამისად, მიგრაციული პროცესების ჯეროვანი მართვის მიმართულებით წამყვან როლს ასრულებს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, სწორედ საერთაშორისო ურთიერთობებში მისი რეგულირების სფეროს წონალობის გამო, რადგანაც წევრი სახელმწიფოები ცალსახად თანხმდებიან, რომ ქვეყნის სიძლიერის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი არის მყარი და სტაბილური ეკონომიკური გარემო, რომელიც ურთიერთობათა გადაჯაჭვულობისა და სახელმწიფოთა განვითარების ურთიერთდაკავშირებული სისტემიდან გამომდინარე უნდა ვითარდებოდეს გამჭვირვალების, დისკრიმინაციის აკრძალვისა და ეროვნული მოპყრობის პრინციპების გათვალისწინებით. შესაბამისად, მიგრაციის მომწესრიგებელი სფეროს პოლიტიზების მიუხედავად, ვმომინც ასერხებს, შეინარჩუნოს თავისი სადამფუძნებლო პრინციპებისადმი ერთგულება სწორედ იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ერთი წევრი სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა ძალიან „ძვირადღირებული“ სიამოვნებაა, რომელსაც, ერთი მხრივ, მოჰყვება მსოფლიოს ყველაზე მძლავრი დაგების განხილვის ორგანოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანა, ეკონომიკური სანქციები და დამატებითი ბარიერები ვაჭრობის წარმოების მიმართულებით, რაც არცერთი მხარისათვის არ არის სახარბიელო.

მეცნიერთა ერთი ნაწილის მოსაზრებით: „სახელმწიფოს მიერ განათლებაში განხორციელებული ინვესტიცია საზოგადოებას არა მხოლოდ ეკონომიკურ შესაძლებლობებს აძლევს, არამედ ეს ასევე არის გზა, ხელი შეეწყოს საზოგადოებას საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად“.<sup>128</sup> აღნიშნულს შეგვიძლია დავამატოთ ის, რომ

<sup>127</sup> Schumann, J., 'Migration in the Context of Countries' *Human Capital and Social Capital*, Review of Economics, Bd. 55, H. 1, (2004) გვ. 34.

<sup>128</sup> Ghosh, B. (2007), 'Managing Migration: Whither the Missing Regime? How Relevant is Trade Law to Such a Regime?', Proceedings of the Annual Meeting (American Society of International Law), Vol. 101, გვ. 304.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, უფრო კონკრეტულად კი, მისი ერთ-ერთი ქვაკუთხედი საერთაშორისო ხელშეკრულება GATS-ი წევრ სახელმწიფოებს განათლებაში დამატებითი ინვესტირების გარეშე აძლევს შესაძლებლობას, მათივე მოქალაქეების დროებითი მიგრაციით მოხდეს, ერთი მხრივ, არსებული შესაძლებლობების გამყარება და ახალი შესაძლებლობების აღმოჩენა და, მეორე მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური პროგრესის წარმართვაში საკუთარი წვლილის შეტანა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, როგორც ემიგრაციის მძლავრი ნაკადის დაბალანსების, ასევე უცხო ქვეყნებიდან მომავალი მიგრანტთა ნაკადების მოწესრიგებულად მასპინძლობისა და შესაბამისი პროცესების მაქსიმალური წესრიგის პირობებში წარმართვისათვის.

ცხადია, რომ „არაფერი შეიძლება იყოს იმაზე მუდმივი, ვიდრე დროებითი მიგრაცია“<sup>129</sup> და არავის აქვს იმის ილუზია, რომ მიგრაციული პროცესების მართვა შესაძლებელი გახდება ხარვეზებისა და გამოწვევების დაძლევის გარეშე, თუმცა ერთი რამ ცხადია: სახელმწიფოებმა უნდა გამოიყენონ საერთაშორისო სამართლით ნაგულები შესაძლებლობები და საერთაშორისო მოლაპარაკებების ნაწილი დაუთმონ იმ მექანიზმების განხილვას, რომლებიც თავადვე გაითვალისწინეს და, გარკვეულწილად, უსაფრთხოდ მიიჩნიეს საკუთარი სუვერენიტეტის, უსაფრთხოების, ეკონომიკის დაცვისა და, შესაბამისად, მიგრაციული პროცესების მართვის თვალსაზრისით.

### III. დავების განმხილველი ორგანო

სახელმწიფოთა მიერ ვმო-ის დავების განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილებათა შესრულების გაანალიზებამდე უპრიანია, განვსაზღვროთ, თუ რა როლი აკისრია დავების განმხილველ ორგანოს მსოფლიო სავაჭრო სისტემაში. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ დავების განხილვის არარსებობის შემთხვევაში მსოფლიო სავაჭრო სისტემა არ იქნებოდა ასეთი სტაბილური და მოქნილი, რადგან არცერთი წევრი სახელმწიფო არ ისურვებდა საერთაშორისო ხელშეკრულებათა ფარგლებში ნაკისრი რთული და მრავალწახნაგოვანი ვალდებულებების შესრულებას და სახელმწიფოთა ურთიერთობებშიც სრული ქაოსი დაისადგურებდა. აღსანიშნავია, რომ დავების განმხილველი ორგანოს მიზანია არა გადაწყვეტილების გამოტანა, არამედ მოწესრიგებული მრავალმხრივი სავაჭრო სისტემის არსებობის ხელშეწყობა, თუმცა ყოველთვის მოლაპარაკებებით ვერ ხერხდება სადავო საკითხზე შეთანხმების მიღწევა, რის გამოც დავების განხილვის მექანიზმის როლი უფრო მეტად აქტიურდება. დავების განხილვის სისტემა იყო ასევე დღევანდელი GATT-ის წინამორბედ

<sup>129</sup> *Ibid.*

ვარიანტიშიც, მაგრამ მაშინ არ არსებობდა ზუსტად განსაზღვრული ვადები და საქმის განხილვაც არაგონივრულად ჭიანჭურდებოდა. ეს პრობლემა მოლაპარაკებათა ურუგვიან რაუნდმა მოაწესრიგა და ზუსტად გაწერა დროის ის მონაკვეთები, რომელთა ფარგლებშიც უნდა მომხდარიყო როგორც მოლაპარაკებების წარმოება, ასევე დავის განხილვა და დავის განმხილველი ორგანოს მიერ. 1947 წლის GATT-ი დავების განხილვის მექანიზმის შესახებ შეიცავდა მხოლოდ ზოგად ნორმებს. მისი 22-ე და 23-ე მუხლების შესაბამისად, სადავო საკითხის მოსაწესრიგებლად შესაძლებელი იყო კონსულტაციების დაწყება. განსაკუთრებულ შემთხვევებში კი საკითხი განსახილველად გადაეცემოდათ შეთანხმების ხელშემკვრელ მხარეებს. ადრეულ წლებში სადავო საკითხების განხილვა ხდებოდა სამუშაო ჯგუფების მეშვეობით, რომლებიც შედგებოდნენ წევრ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისა და დავის მხარეებისაგან.<sup>130</sup> სამუშაო ჯგუფების მთავარი ფუნქცია იყო, შეესწავლათ საკითხი და გამოექვეყნებინათ სხვადასხვა მოსაზრების შემცველი ანგარიში. დავების განხილვის ამ სისტემას, გარკვეულწილად, შუამავლობის სახე ჰქონდა, რაც მიზნად ისახავდა დავის მხარეთა პრობლემის გადაჭრას გარე ძალების (სხვა წევრი სახელმწიფოების) მხრიდან საქმეში ჩარევის გზით; არსებობდა ასევე ე.წ. საპანელი სისტემა, რომელიც სახელმწიფოთა წარმომადგენლების ნაცვლად შედგებოდა შესაბამისი ექსპერტიზის უფლების მქონე პირებისაგან. პანელის რეკომენდაციები გადაეცემოდა ყველა წევრი სახელმწიფოსაგან შემდგარ გატის საბჭოს. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი პროცედურა ორიენტირებული იყო სახელშეკრულებო დარღვევების გამოვლენასა და მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევაზე სისტემა მაინც მოუქნელი იყო, რადგანაც პანელის რეკომენდაციები დასამტკიცებლად გადაეცემოდა GATT-ის საბჭოს, სადაც გადაწყვეტილება წევრ სახელმწიფოთა ერთხმობით მიიღწეოდა და, შესაბამისად, დაინტერესებულ მხარეს ყოველთვის შეეძლო დაებლოკა რეკომენდაციის დამტკიცება.<sup>131</sup> ამ პრობლემების გამოსწორების მიზნით ურუგვიან რაუნდმა შემოიტანა მთელი რიგი ცვლილებებისა: შეიქმნა უნიფიცირებული დავების განხილვის სისტემა GATT-ის/ვმო-ის სისტემაში, რომელმაც მოიცვა ასევე მომსახურებისა და ინტელექტუალური საკუთრების სფეროები; ასევე შეიქმნა დავების განმხილველი ორგანო, რომელმაც ჩაანაცვლა ადრე არსებული GATT-ის საბჭო და, ნაცვლად ადრე არსებული პრაქტიკისა, დამკვიდრდა ახალი პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც დავების განმხილველ ორგანოს აქვს უფლება, უარი თქვას პანელის დანიშვნაზე ან მისი გადაწყვეტილების დამტკიცებაზე მხოლოდ წევრ სახელმწიფოთა

<sup>130</sup> Y. Iwasawa, “Settlement of disputes concerning the WTO Agreement: Various means other than panel procedures”, in Young and Iwasawa, *Trilateral Perspectives*, P. 377, at pp. 386-9.

<sup>131</sup> J.G. Merrills, *International Dispute Settlement*, (Cambridge University Press 2005), p. 213-214.

კონსენსუსის პირობებში.<sup>132</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ურუგვაის რაუნდის ცვლილებების შედეგად საქმის განხილვის მაქსიმალურ ვადად აპელაციის ჩათვლით დადგინდა 1 წელი და 5 თვე, თუმცა სახელმწიფოებმა გაითვალისწინეს ასევე მალფუჭებადი პროდუქტების საკითხიც და დაადგინეს, რომ ასეთ საგანგებო ვითარებაში ვადები მაქსიმალურად მჭიდროვდება. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ვმო-ის ფარგლებში სადავო საკითხის მოგვარებისათვის დაწესებული ვადები შემდეგნაირად გამოიყურება:<sup>133</sup>

მედიაცია, კონსულტაციები, ა.შ.	60 დღე
პანელის მოწვევა და წევრების დანიშვნა	45 დღე
პანელის საბოლოო გადაწყვეტილება ეგ ზავნებათ მხარეებს	6 თვე
პანელის საბოლოო გადაწყვეტილება ეგ ზავნებათ ვმო-ის წევრებს	3 კვირა
დავების განმხილველი ორგანო ეთანხმება პანელს	60 დღე (აპელაციის გარეშე)
ჯამში	1 წელი (აპელაციის გარეშე)
სააპელაციო გადაწყვეტილება	60-90 დღე
დავების განმხილველი ორგანო ეთანხმება სააპელაციო გადაწყვეტილებას	30 დღე
ჯამში	1 წელი და 3 თვე აპელაციის ჩათვლით

მართალია, ვადები ერთ-ერთი განმსაზღვრელი საკითხია, როდესაც ხდება დავების განმხილველი ორგანოს საქმიანობის ანალიზი, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ხსენებული ორგანოს გადაწყვეტილებათა აღსრულებისა და აღუსრულებლობის შემთხვევაში, შესაბამისი

<sup>132</sup> A.F. Lowenfeld, 'Remedies along with rights: Institutional reform in the new GATT', (1994) 88 AJIL p. 477; იხ. ასევე: P.T.B. Kohona, "Dispute Resolution under the World Trade Organization", (1994) 28 (2) J World Trade p. 23.

<sup>133</sup> Understanding the WTO: Settling Disputes, A unique contribution, Principles: equitable, fast, effective, mutually acceptable, ხელმისაწვდომია: <<http://www.wto.org>>.

სანქციების დაწესების საკითხი. ამ მხრივ გამოსაყოფია ორი რამ: ერთი მხრივ, რა ხდება მას შემდეგ, რაც დავების განმხილველი ორგანო გამოიტანს გადაწყვეტილებას, და, მეორე მხრივ, ვინ არის უფლებამოსილი, შესაბამისი სანქციები დააწესოს ხელშეკრულების დამრღვევი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ცხადია, როდესაც სახელმწიფო არღვევს ნორმას, მან ეს დარღვევა დაუყოვნებლივ უნდა გამოასწოროს და თუ ის კვლავ აგრძელებს დარღვევებს, მაშინ უნდა გადაიხადოს კომპენსაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაექვემდებარება დასჯას. საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა არ ნიშნავს იმას, რომ მაშინვე ხდება სანქციებისადმი მიმართვა, პირიქით, აქამდე პროცედურების მთელი რიგის დაცვაა საჭირო. მხარე, რომელიც წააგებს, ვალდებული ხდება, საკუთარი მოქმედება მოიყვანოს რეკომენდაციებსა და ნორმებთან შესაბამისობაში, რადგანაც დავების მოგვარების შესახებ შეთანხმება პრიორიტეტად აღიარებს სწორედ დავების გადაწყვეტის ორგანოს რეკომენდაციებსა და წესებთან შესაბამისობის დაცვას, რადგანაც ეს, თავის მხრივ, უზრუნველყოფს დავების მოგვარების ეფექტიანი მექანიზმის შექმნას წვერი სახელმწიფოებისათვის. დამარცხებული მხარე უნდა დაემორჩილოს პანელის ან სააპელაციო პალატის რეკომენდაციებს. მან უნდა ჩამოაყალიბოს თავისი განზრახვა, რომ შეასრულებს ხსენებულ რეკომენდაციებს გადაწყვეტილების გამოტანიდან 30-დღიანი ვადის ფარგლებში, დავების განმხილველი ორგანოს შეხვედრისათვის. თუ ის ამ ვადაში არ განახორციელებს ამ წესით ნაგულებს მოქმედებას, მაშინ მას ეძლევა საკუთარი ქმედების გამოსწორებისათვის გონივრული ვადა. თუ ამ ვადაშიც არ იმოქმედებს წესის შესაბამისად, მაშინ უნდა დაიწყოს მოლაპარაკებები და მოსარჩელე მხარესთან შეთანხმებით უნდა განსაზღვროს კომპენსაციის სახე და ოდენობა, რომელიც გადაიხდება გამარჯვებული მხარის სასარგებლოდ. ეს კომპენსაცია შესაძლოა, მოიაზრებდეს მოსარჩელის განსაკუთრებული ინტრესების შესაბამისად ტარიფების შემცირებას, გარკვეული მიმართულებით. თუ 20 დღის შემდეგ არ იქნება მიღწეული შეთანხმება სათანადო კომპენსაციის შესახებ, მაშინ მოსარჩელე უფლებამოსილია, დავების განმხილველ ორგანოს მოსთხოვოს ნებართვა სავაჭრო სანქციების დაწესების შესახებ დამრღვევი სახელმწიფოს წინააღმდეგ. (ვალდებულებათა შემცირება). დავების განმხილველმა ორგანომ უნდა გასცეს ამგვარი უფლებამოსილება გონივრული ვადის ამოწურვიდან 30 დღის ვადაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს ვმო-ის წვერთა კონსენსუსი ასეთი მოთხოვნის წინააღმდეგ. როგორც წესი, სანქციები დგინდება იმავე სექტორში, რაშიც არის დავა. მაგრამ თუ ეს არ არის პრაქტიკული, ან თუ ასეთი მიდგომა არ იქნება ეფექტიანი, მაშინ შესაძლებელია იმავე შეთანხმების სხვა მუხლების ამოქმედებაც. და თუ შემთხვევა განსაკუთრებული სერიოზულობით გამოირჩევა, მაშინ შესაძლებელია სხვა ხელშეკრულების ნორმების ჩართვაც.<sup>134</sup> ეს ყველაფერი ერთ

<sup>134</sup> DSB, The case has been decided: what next?, ხელმისაწვდომია: < <http://www.wto.org>>., Yang Guohua, Bryan Mercurio and Li Yongjie, WTO Dispute Settlement



მარტივ მიზეზს ემსახურება - არ მოხდეს საქმესთან კავშირში არმყოფი ნორმების გამოყენება და ამით შემთხვევის ზედმეტად გართულება, ისევე როგორც, მეორე მხრივ, ყველა მექანიზმის გამოყენებით დარღვევის აღმოფხვრის ეფექტიანი სისტემის შექმნა. ნებისმიერ შემთხვევაში დავების განმხილველი ორგანო აკონტროლებს, თუ რამდენად სრულდება მის მიერ მიღებული წესები და საქმე დგას მის დღის წესრიგში მანამ, სანამ ის არ აღსრულდება.<sup>135</sup>

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობასთან მიმართებით შეიძლება ერთი მარტივი დასკვნის გამოტანა ისევე და ისევე კითხვის დასმით - რატომ არის ვმო-ის სამართალი ასეთი ეფექტიანი? და რატომ იგრძნობა მისი პრეცედენტული სამართლიდან ის, რომ საერთაშორისო სამართალი უფრო მაღლა დგას, ვიდრე ნებისმიერი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობა? იმიტომ, რომ ვმო-ის ფარგლებში ხდება ეკონომიკური საკითხების მოგვარება და საერთო ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, სახელმწიფოები კი, დარწმუნებულები იმაში, რომ ეკონომიკა არის უმთავრესი, რაზეც დგას ქვეყნის წარმატება, აქტიურად ერთგებიან ვმო-ის სამუშაო პროცესში და, ამავე დროს, ჯეროვნადაც ასრულებენ დავების განმხილველი ორგანოს მიერ დადგენილ რეკომენდაციებს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არავის არ უნდა ვმო-ის ფარგლებში ნაგულები უფლებების დაკარგვა, რაც, თავის მხრივ, საკმაოდ სერიოზულად დააზარალებს მათსავე ეკონომიკურ ინტერესებს. მომდევნო ქვეთავი მიმოიხილავს დავების განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილებათა აღსრულების საკითხს კონკრეტული პრეცედენტების მიხედვით, თუმცა, სანამ ამ საკითხზე გადავიდოდეთ, დავების განხილვის მექანიზმის უკეთ გასაგებად და გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია შევეხოთ სისტემაში არსებულ ძირითად პრინციპებს.

დავების განმხილველი ორგანო გადაწყვეტილებას იღებს კონსენსუსით, რაც შესაბამისი შეთანხმებების მიზნებისათვის ნიშნავს, რომ გადაწყვეტილება მიღებულია, თუ არცერთი წევრი დამსწრეთაგან არ არის ასეთი გადაწყვეტილების მიღების წინააღმდეგი.<sup>136</sup>

ასევე საინტერესოა საერთაშორისო ნორმების ინტერპრეტაციის საკითხიც. საგულისხმოა, რომ დავების განხილვის შესახებ შეთანხმების მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, წევრი სახელმწიფოები აღცნობიერებენ, რომ ვმო-ის დავების განხილვის სისტემა ცენტრალური ელემენტია მრავალმხრივი სავაჭრო სისტემის განჭვრეტადობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და, ამავე

---

Understanding A Detailed Interpretation, (Kluwer Law International 2005), გვ. 16.

<sup>135</sup> *ibid.*, იხილეთ ასევე: Laurence Boisson de Chazournes, Cesare Romano, Ruth Mackenzie (eds), *International Organizations and International Dispute Settlement, Trends and Prospects*, (Transnational Publishers 2002), გვ. 225.

<sup>136</sup> *Dispute Settlement Understanding*, Art. 2.4., იხილეთ ასევე: Andrew D. Mitchell, *Legal Principles in WTO Disputes*, (Cambridge University Press 2011), გვ. 89; Gaetan Verhoosel, *National Treatment and WTO Dispute Settlement*, (Hart Publishing 2002), გვ. 11.

დროს, თანხმდებიან იმაზე, რომ დავეების განმხილველი ორგანო დავის საგნად ქცეულ საერთაშორისო შეთანხმებათა განმარტებისას მიმართავს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის განმარტების ჩვეულებით ნორმებს.<sup>137</sup> ამ მუხლთან დაკავშირებით გამოსაყოფია ორი არსებითი მნიშვნელობის ასპექტი, რომელზეც დავეების განმხილველ სისტემას საკმაოდ მოცულობითი პრეცედენტთა ბაზა აქვს და, ამავე დროს, გარკვეულწილად გავლენას ახდენს გადაწყვეტილებათა მიღების პროცესზე. ამ ორ ასპექტს მიეკუთვნება: 1) განჭვრეტადობა და უსაფრთხოება; 2) შეთანხმებათა ინტერპრეტაცია.

**განჭვრეტადობა და უსაფრთხოება** – დავეების განმხილველმა ორგანომ ამ პრინციპთან დაკავშირებით არაერთ საქმეში გააკეთა განმარტება. საქმეში – *Japan - Alcoholic Beverages II* - სააპელაციო პალატამ იმსჯელა, თუ რამდენად დაარღვია იაპონიის საგადასახადო კანონმდებლობამ 1994 წლის GATT-ის III,2 მუხლი. პანელის გადაწყვეტილების შესაბამისად: ვმო-ის წესები არის სანდო, გასაგები და აღსრულებადი. წესები არ არის ისეთი მკაცრი და მოუქნელი, რომ ხელი შეუშალოს გონივრული და, ამავე დროს, არსებული სინამდვილის მოთხოვნებიდან გამომდინარე გადაწყვეტილებების მიღებას. მრავალმხრივი საერთაშორისო სავაჭრო სისტემის ხელშეწყობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სავაჭრო წესები ასეთი მიდგომით იქნება განმარტებული. სწორედ ამგვარი მიდგომის დაცვით მოხდება უსაფრთხოებისა და განჭვრეტადობის პრინციპის პრაქტიკაში გატარება, რასაც ემსახურება კიდევ დავეების განმხილველი ორგანო.<sup>138</sup>

სააპელაციო პალატამ საქმეში – *EC - Computer Equipment* - უსაფრთხოებასა და განჭვრეტადობასთან დაკავშირებით დაადგინა, რომ უსაფრთხოება და განჭვრეტადობა არის უმთავრესი ამოსავალი დებულება როგორც ვმო-ის სადამფუძნებლო დოკუმენტის, ასევე თავად 1994 წლის GATT-ის რედაქციისა და მისი მიზანია ვაჭრობაში სატარიფო და სხვა ბარიერების არსებითი შემცირება.<sup>139</sup>

საქმეში – *US - Section 301 Trade Act* - პანელმა განიხილა 301-ე სექციის შეუსაბამობა DSU-ის 23-ე მუხლთან, ისევე როგორც 1994 წლის GATT-ის რამდენიმე ნორმასთან უსაფრთხოებასა და განჭვრეტადობასთან დაკავშირებით და დაადგინა: მრავალმხრივი სავაჭრო სისტემისათვის უსაფრთხოებისა და განჭვრეტადობის უზრუნველყოფა არის სისტემის უმთავრესი ობიექტი და მიზანი. ამ მიმართულებით კი უმთავრეს როლს ასრულებს დავეების განმხილველი ორგანო. შესაბამისად, DSU-ის ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს ამ ობიექტისა და მიზნის გათვალისწინებით და ისე, რომ მაქსიმალურად ეფექტურად იქნეს იგი დაცული.<sup>140</sup>

<sup>137</sup> Dispute Settlement Understanding, Art. 3.

<sup>138</sup> Appellate Body Report, *Japan - Alcoholic Beverages II*, DS8, p. 31.

<sup>139</sup> Appellate Body Report, *EC - Computer Equipment*, DS68, para. 82.

<sup>140</sup> Panel Report, *US - Section 301 Trade Act*, DS152, para. 7.75.

საქმეში - *US - Corrosion-Resistant Steel Sunset Review* - სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ GATT-ისა და ვმო-ის დადგენილი განმხილველი ორგანოს პრაქტიკაში ყოფილა ისეთი შემთხვევები, როდესაც განხილული არა მხოლოდ ვმო-ის სახელმწიფოებო ნორმების დარღვევის საკითხი, არამედ წვერი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობის გავლენისა როგორც მიმდინარე სავაჭრო პრაქტიკაზე, ასევე სამომავლო ვაჭრობაზე. უსაფრთხოებისა და განჭვრეტადობის ეს სისტემა ჩამოიშლებოდა იმ შემთხვევაში, თუ დადგენილი განმხილველი ორგანოს წინაშე ვერ მოხდებოდა წვერი სახელმწიფოს ვმო-ის ფარგლებში აღებული ვალდებულებების დამრღვევი შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმის გასაჩივრება პანელისა და სააპელაციო პალატის წინაშე. შესაბამისად, შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმების წინააღმდეგ სარჩელების დასაშვებობა ემსახურება იმ მიზანს, რომ, ერთი მხრივ, შენარჩუნდეს და დაცულ იქნეს უსაფრთხოება და განჭვრეტადობა და, მეორე მხრივ, საფუძველშივე აღმოიფხვრას წვერი სახელმწიფოთა ვმო-სთან შეუსაბამო ქმედება.<sup>141</sup>

საქმეში - *US - Stainless Steel (Mexico)* - როგორც სააპელაციო პალატამ დაადგინა, DSU-ის მე-3,2 მუხლით გათვალისწინებული დადგენილების განხილვისას უსაფრთხოებისა და განჭვრეტადობის შენარჩუნება ნიშნავს იმას, რომ მსგავს სამართლებრივ საკითხს დადგენილი განმხილველი ორგანო გადაწყვეტს მსგავსი მიდგომის გამოყენებით.<sup>142</sup>

საქმეში - *US - Continued Suspension I Canada - Continued Suspension* - როგორც სააპელაციო პალატამ დაადგინა, უფლებათა გამოყენების შეზღუდვის შეწყვეტა მხოლოდ წვერი სახელმწიფოს განცხადების საფუძველზე, რომ მან საკუთარი კანონმდებლობა/ქმედება მოიყვანა ვმო-ის ნორმებთან შესაბამისობაში, მრავალმხრივ დონეზე აღნიშნულის გადამოწმების გარეშე, მნიშვნელოვნად შეასუსტებდა დადგენილების განხილვის არსებულ სისტემას და მის უნარს, მიანიჭოს უსაფრთხოება და განჭვრეტადობა მრავალმხრივ სავაჭრო სისტემას.<sup>143</sup>

საქმეში - *Mexico - Corn Syrup* - სააპელაციო პალატამ ხაზი გაუსვა არგუმენტების წარდგენის ვალდებულებას, როცა აღნიშნა, რომ დავის მხარეების მიერ არგუმენტების წარმოდგენა საკითხის განხილვისას ესმარება ვმო-ის დანარჩენ წევრებს, უკეთ გააცნობიერონ ორგანიზაციის ფარგლებში აღებული უფლებებისა და ვალდებულებების ჩარჩო.<sup>144</sup>

არგუმენტების წარმოდგენის მნიშვნელობასთან დაკავშირებით, ასევე საინტერესოა თავად არგუმენტების ინტერპრეტაციის საკითხი, ანუ რამდენად არის ვალდებული დადგენილი განმხილველი ორგანო, მოახდინოს მხარეთა მიერ წარმოდგენილი ყველა არგუმენტის ანალიზი.

<sup>141</sup> Appellate Body Report, *US - Corrosion-Resistant Steel Sunset Review*, DS244, para. 82.

<sup>142</sup> Appellate Body Report, *US - Stainless Steel (Mexico)*, DS344, para. 160.

<sup>143</sup> Appellate Body Reports, *US - Continued Suspension I*, DS320, *Canada - Continued Suspension*, DS321, para. 381; 404; Appellate Body Report, *China - Publications and Audiovisual Products*, DS363, para. 213.

<sup>144</sup> Appellate Body Report, *Mexico - Corn Syrup (Article 21.5 - US)*, DS132, para. 107.

აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა საქმე - *US - Wool Shirts and Blouses*, სადაც სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ დავების განხილვის წესებისა და პროცედურების შესახებ შეთანხმების მე-3,2 მუხლი არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს დავების განმხილველი ორგანო ვალდებულია, განიხილოს ვმო-ის შეთანხმების ყველა მუხლი, მიუხედავად იმისა, ეხება თუ არა ეს განსახილველი დავის გადაწყვეტას, და ამით შექმნას სათანადო სამართალი. შესაბამისად, დავების განმხილველმა ორგანომ უნდა შეაფასოს მხოლოდ ის არგუმენტები, რომლებიც უნდა იქნეს განხილული სადავო საკითხის გადასაწყვეტად.<sup>145</sup>

ვმო-ის დავების განხილვის სისტემა საინტერესოა ორი ძირითადი გადასახედიდან: პირველი - ეს არის მისი მნიშვნელობა და მეორე - მის წინაშე არსებული გამოწვევები.

ის ფაქტი, რომ ვმო-ის დავების განხილვის სისტემამ მოიპოვა საყოველთაო აღიარება და ლეგიტიმურობა დროის საკმაოდ მოკლე პერიოდში, ნამდვილად განსაკუთრებულია.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ორმხრივი და რეგიონალური სავაჭრო შეთანხმებების არსებობის პარალელურად ვმო-ის დავების განხილვის სისტემა რჩება ერთადერთ ფორუმად, რომლის გამოყენებაც არის შესაძლებელი ვაჭრობასთან დაკავშირებული დავების განსახილველად; მეორე, სისტემას დღითიდღე მიმართავს ვმო-ის უფრო და უფრო მეტი წევრი სახელმწიფო; და მესამე, ვმო-ის სამართალი მიხნეულია როგორც ყველაზე სწრაფად მზარდი საერთაშორისო სამართლის წყარო. ვმო-ის დავების განმხილველი ორგანოს ლეგიტიმურობასა და ავტორიტეტს განაპირობებს ამ სისტემის დამოუკიდებლობა და მოქნილობა, განიხილოს და გადაწყვეტილება გამოიტანოს სახელმწიფოთაშორის დავებზე. ვმო-ის დავების განხილვის სისტემის ლეგიტიმურობა გამომდინარეობს იქიდან, რომ ის არის დარღვეული უფლების აღდგენის ისეთი სამართლებრივი სისტემა, რომელშიც არა მარტო მხარეთა ინტერესების გათვალისწინება, სავაჭრო ურთიერთობათა მგრძობიარობის მხედველობაში მიღება და, შესაბამისად, სახელშეკრულებო ნორმების მოშველიებით მხარეებისათვის უფლება-ვალდებულებების ფარგლების შესენება ხდება, არამედ გადაწყვეტილებები რეალურად სრულდება, და არა მხოლოდ განვითარებული, არამედ განვითარებადი სახელმწიფოების სასარგებლოდაც კი.<sup>146</sup>

ეს ფაქტი კიდევ უფრო მეტად გამოკვეთს ვმო-ის ფარგლებში დადგენილ საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობის საკითხს და, ამავე დროს, ხაზს უსვამს ვმო-ის ფარგლებში აღებული

<sup>145</sup> Appellate Body Report, *US - Wool Shirts and Blouses*, DS33, p. 19; Appellate Body Report, *US - Stainless Steel (Mexico)*, DS344, para. 161.

<sup>146</sup> Dispute Settlement: Appellate Body, Farewell speech of Appellate Body Member David Unterhalter, ხელმისაწვდომია: < [http://wto.org/english/tratop\\_e/dispu\\_e/unterhalterspeech\\_e.htm](http://wto.org/english/tratop_e/dispu_e/unterhalterspeech_e.htm)>, 23/04/2015წ. მდგომარეობით.

ვალდებულებების პრიმატს წევრ სახელმწიფოთა შიდა კანონმდებლობასთან მიმართებით.

დამატებითი ფაქტორი, რაც ზრდის ემო-ის სამართლისადმი მიმართვიანობის მაჩვენებელს, არის საქმის განხილვის პროცედურების აბსოლუტური სიცხადე და დავის გადაწყვეტის ოპერატიულობა. მაგალითისათვის ისიც კმარა, რომ, მიუხედავად განსახილველი საქმეების სიმრავლისა, სააკელაციო პალატას მაქსიმუმ 90 დღეში გამოაქვს გადაწყვეტილება, რაც, თავის მხრივ, მიუთითებს სისტემის მოქნილობასა და ეფექტურობაზე. მიუხედავად მსოფლიო სავაჭრო სისტემის მწყობრი მუშაობისა, აქაც შეინიშნება მთელი რიგი გამოწვევებისა, რომლებსაც უნდა მიეცეს შესაბამისი შეფასება. საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები გლობალური კომერციის განუყოფელი ნაწილია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მცირედი საერთაშორისო სავაჭრო სამართლის ნორმებიდან არის ასახული სახელმწიფოთა შიდა კანონმდებლობაში. ამ პროცესში კი ერთი რამ იკვეთება საკმაოდ ცხადად, კერძოდ ის, რომ საერთაშორისო სავაჭრო სისტემა, გარკვეულწილად, სხვადასხვა სამართლებრივი რეჟიმის გზაგასაყარია, სადაც კერძო არბიტრაჟით, საინვესტიციო ხელშეკრულებებით, ორმხრივი, რეგიონალური და მრავალმხრივი შეთანხმებებით მოწესრიგებული ურთიერთობები ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. ეს მიჩნეულია პროცესად, რომლის სამომავლო განვითარება განუსაზღვრელია.<sup>147</sup>

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია დაარსების მომენტიდანვე მისწრაფვის გაფართოებისაკენ, რაშიც დავების განხილვის სისტემას განუსაზღვრელი როლი აქვს მინიჭებული, რადგანაც, როდესაც ემო-ის ფარგლებში არსებული შეთანხმებები ჯეროვნად ვერ პასუხობენ წევრ სახელმწიფოთა მიერ ვალდებულებათა შესრულების სავალდებულობას, არსებობს დავების განხილვის სისტემა, რომელსაც ძალუქს მდგომარეობის დაბალანსება. ამის აშკარა მაგალითია, თუნდაც, წლების განმავლობაში მრავალ შეთანხმებაში გაურკვეველად ჩამოყალიბებული მუხლების განმარტების პრაქტიკა დავების განხილვის სისტემის ფარგლებში. დავების განხილვის სისტემა ამგვარად ქმნის სტაბილურ და დაცულ გარემოს სახელმწიფოთა სავაჭრო ურთიერთობებში, რათა არსებული დავები გადაწყდეს ერთიანი მიდგომის შესაბამისად და თავიდან იქნეს აცილებული შესაძლო გაურკვეველობები. ამით ვლინდება დავების განხილვის მნიშვნელობა, რომ ის ვითარდებოდეს დინამიკურად, სამართლებრივი პროცესების განვითარების პარალელურად. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მთავარი მახასიათებელი ის არის, რომ იგი ცდილობს, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართოს არა მხოლოდ დავების განხილვის სისტემა, არამედ მისი სხვა სტრუქტურული ერთეულებიც. მთავარი მიზეზი, რატომაც იყო გაკრიტიკებული დოჰას მოლაპარაკებათა რაუნდი, იყო, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის

<sup>147</sup> *ibid.*

წევრ სახელმწიფოთა არასწორი წარმოდგენა იმის დაშვების შესაძლებლობაზე, რომ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებები სულაც არ არის ძნელად შესაცვლელი და რომ ეს აუცილებელიც კია წევრ სახელმწიფოთა მიერ სახელმწიფოებო ვალდებულებათა შესრულების თანადროული პროცესების ხელშეწყობისა და განვითარებისათვის.

რა თქმა უნდა, ის უდავოა, რომ დაგების განხილვის სისტემას თავისი უფლებამოსილების ფარგლებიდან და, თუნდაც, ეფექტურობიდან გამომდინარე, არ შეუძლია შეცვალოს მოლაპარაკებათა მიმდინარეობის პროცესი, თუმცა ერთი რამ უდავოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული: სისტემა არის მსხვერველადი და მისი წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად აქტიურად ჩაერთვებიან მთლიანად პროცესში წევრი სახელმწიფოები. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს დაგების განხილვის სისტემისადმი აშკარად გაცხადებული ნდობა მისი თვითმყოფადობის შესახებ, თუ თავად ვმო-ის წევრი სახელმწიფოები ვერ შეთანხმდებიან იმ ერთიან მიდგომაზე, როგორც უნდათ წაიყვანონ მსოფლიო სავაჭრო სისტემა, იმედგაცრუება გარდაუვალი იქნება. სპეციალურ სამართლებრივ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბალის მინისტერიალის კონფერენცია წინ გადადგმული ნაბიჯია ამ მიმართულებით და რომ დოჰას მოლაპარაკებათა რაუნდს მარცხი არ ემუქრება. იმ გამოწვევების მიუხედავად, რის წინაშეც დღეს დგას მსოფლიო სავაჭრო სისტემა, დაგების განხილველმა ორგანიზაციამ, თავის მხრივ, უნდა შეძლოს დაგების ცვალებადი ბუნებისათვის ფეხის აწყობა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.<sup>148</sup>

როდესაც ვმო-ის სისტემა იქმნებოდა, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ პანელს და სააპელაციო პალატას მოუწევდათ ისეთი რთული და ფაქტებით დამძიმებული საქმეების განხილვა, როგორი საქმეებიც დგას დღეისათვის ორგანიზაციის დღის წესრიგში, რომ არაფერი ვთქვათ განსახილველი საქმეების რაოდენობაზე. სისტემის ფარგლებში ფიქსირდება სააპელაციო განაცხადების საკმაო სიჭარბე, რაც იმით აიხსნება, რომ, ერთი მხრივ, საქმეები მხოლოდ სამართლებრივი საკითხების საჭირობოტოტობით არ გამოირჩევიან და, ამავე დროს, წევრ სახელმწიფოებს სურთ, სადავო საკითხზე ასევე ჰქონდეთ უფრო ავტორიტეტული ანუ ზემდგომი ინსტანციის გადაწყვეტილება. ეს ფაქტი კი აფერხებს სისტემის ეფექტიან მუშაობას და ხელს უწყობს მის გადატვირთვას. საფიქრალია იმ მიმართულებით, რომ გატარდეს შესაბამისი რეფორმა, რათა პანელის ეტაპზევე ხდებოდეს საქმის საბოლოო გადაწყვეტა და სააპელაციო პალატისადმი მიმართვა ხდებოდეს უფრო იშვიათ შემთხვევებში.<sup>149</sup>

მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილებების მიღება ვმო-ის ფარგლებში ხდება კონსენსუსით, დაგების განხილვის სისტემასთან მიმართებით ორგანიზაცია თითქოს გადავიდა სტატიკურ

<sup>148</sup> *ibid.*

<sup>149</sup> *ibid.*

მდგომარეობაში. ყველა თანხმდება იმაზე, რომ დაგების განხილვას უნდა ჰქონდეს მნიშვნელოვანი შედეგები, მაგრამ ეს ყოველთვის ვერ ხერხდება პანელის გადაწყვეტილებების მიმართ დადგენილი ფარგლების გამო. ამიტომ სააპელაციო პალატას უნდა მიეცეს მეტი ძალაუფლება. სააპელაციო პალატის გადატვირთულობის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია. არის პერიოდები, როდესაც იმაზე მეტი სააპელაციო განაცხადი რეგისტრირდება, ვიდრე მათი განხილვის ფიზიკური შესაძლებლობა არსებობს. უნდა შემუშავდეს რაციონალური სისტემა, რათა დადგინდეს სააპელაციო განაცხადების წარდგენის პირობები და სააპელაციო განაცხადების ერთჯერადად განხილვის რაოდენობა. ეს ყოველივე სისტემაში შეიტანს განჭვრეტადობის ელემენტს სააპელაციო განხილვის თვალსაზრისით და მხარეებსაც ექნებათ შესაბამისი მოლოდინები. სააპელაციო განაცხადის დროული და ჯეროვანი განხილვა ყოველთვის უნდა იყოს იმაზე მნიშვნელოვანი, ვიდრე „ყველასათვის თავისუფალი“ წესის დამკვიდრება და ამოქმედება. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ სისტემაში ცვლილებების შეტანა ადვილად არ არის შესაძლებელი.<sup>150</sup> მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დაგების განხილვის სისტემის მიმართ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია კრიტიკა, ერთი რამ ცხადია: სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში დღევანდელი გადასახედიდან არ არსებობს იმაზე უფრო ეფექტური დაგების განხილვის მექანიზმი, ვიდრე ამას წევრ სახელმწიფოებს სთავაზობს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, რაც იმთავითვე განპირობებულია ვმო-ის საგნობრივი იურისდიქციის მნიშვნელობითა და წევრ სახელმწიფოთა ფაქიზი დამოკიდებულებით მგრძნობიარე და მეტად აქტუალური საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების მიმართ.

#### IV. საერთაშორისო სამართალში არსებული კონკურენტული იურისდიქციები

საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობის, ისევე როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებათა ურთიერთმიმართების ჯეროვანი კვლევისათვის, ვმო-ის პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ასევე ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს კონკურენტული იურისდიქციების საკითხის განხილვას. საერთაშორისო სამართალსუბიექტურობის მქონე ვმო მეტად აქტიურია საერთაშორისო ურთიერთობებში ვაჭრობასთან დაკავშირებული დაგების განხილვის თვალსაზრისით, თუმცა საკითხავია, რა არის ვაჭრობის საგანი თანამედროვე სამყაროში? მთელი მსოფლიო ცდილობს, გამოარკვიოს, თუ რა ადგილი უჭირავს ვმო-ს - არის ის განცალკევებულად მდგომი ორგანიზაცია თუ ერთიანი საერთაშორისო მართლწესრიგის

<sup>150</sup> *ibid.*

განუყოფელი ნაწილი. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, პირველ რიგში, უნდა ჯეროვნად გაანალიზდეს ვმო-ის მოქმედების არეალი და მისი მუშაობის უმთავრესი სფეროები, კერძოდ: გამჭვირვალობა, მოლაპარაკებათა წარმოება, დაგების განხილვა და გამოწვევათა დაძლევა.

იურისდიქციათა კონკურენციის საკითხი დღის წესრიგში დგება მაშინ, როდესაც არსებობს ერთი და იგივე სამართლებრივი პრობლემის გადაჭრის რამდენიმე მექანიზმი და სახელმწიფოებს აქვთ შესაძლებლობა, თავად აირჩიონ, დაგების განხილვის რომელ მექანიზმს ანდონ განსახილველ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება.

საერთაშორისო სამართალი იცნობს დავის განხილვის უამრავ მექანიზმს, რომელთაც აქვთ თანმხვედრი საგნობრივი იურისდიქცია. მაგალითისათვის შესაძლებელია მოყვანილ იქნეს, ერთი მხრივ, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლო და ე.წ. სპეციალიზებული სასამართლოები და ტრიბუნალები. ამ უკანასკნელებს მიეკუთვნება: საზღვაო სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი, ვმო-ის დავის განხილვის მექანიზმი, ახალშექმნილი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, გაეროს ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების ფარგლებში შექმნილი ისეთი მექანიზმები, როგორებიცაა: CERD, CAT, CEDAW, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში არსებული გასაჩივრების მექანიზმები, მსოფლიო ბანკის ინსპექტირების პანელი, მონრეალის პროტოკოლისა და კლიმატური ცვლილებებისადმი დაუმორჩილებლობის პროცედურები. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ყოველი დავა, რომელზეც ვრცელდება ერთი რომელიმე ზემოთ აღნიშნული ტრიბუნალისა თუ სასამართლოს იურისდიქცია, შესაძლებელია, ერთნაირი წარმატებით ასევე განიხილოს ნებისმიერმა მათგანმა.

წინამდებარე ნაშრომის მიზანი არ არის, განიხილოს საერთაშორისო დონეზე არსებული ყველა სასამართლოსა თუ ტრიბუნალის იურისდიქცია. ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენ, ძირითადად, შევჩერდებით ვმო-ისა და დაგების განმხილველი სხვა საერთაშორისო მექანიზმების იურისდიქციათა ურთიერთმიმართების საკითხზე, საქონლით და მომსახურებით ვაჭრობის თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ ვმო-ის დაგების განხილვის სისტემასთან ერთად გაანალიზებულია მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის იურისდიქციების თანხვედრის საკითხები.

#### *IV.1 ვაჭრობასთან დაკავშირებული კონკურენტული იურისდიქციები*



ვმო-ის ფარგლებში არსებული საერთაშორისო და შიდა სამართლებრივი ნორმების თანაფარდობის სისტემის უკეთ გასაგებად უპრიანია, მიმოხილულ იქნეს ასევე თავად დავების განხილვის ორგანოს უფლებამოსილებისა და პროცედურების დამდგენი დოკუმენტის (შემდგომში, ასევე, DSU) 23-ე მუხლი, სადაც მითითებულია, რომ სახელმწიფოთა შორის წარმოშობილი დავის შემთხვევაში ისინი ვალდებული არიან, მიმართონ დავების განხილვის ვმო-ის ფარგლებში არსებულ მექანიზმს.<sup>151</sup> ერთი შეხედვით, 23-ე მუხლში გამოყენებული წინადადება მიგვანიშნებს ვმო-ის ფარგლებში არსებულ მოუქნელ „ექსკლუზიური იურისდიქციის“ ცნებასა და გარკვეულ აკრძალვაზე, რომ ვმო-ის ფარგლებში წამოჭრილი დავა განხილოს რომელიმე უცხო დავების განხილვის მექანიზმმა.<sup>152</sup> მართლაც, ასეთი მიდგომა დაადასტურა ასევე ვმო-ის დავების განხილველმა ორგანომ 1999 წლის პანელის გადაწყვეტილებაში.<sup>153</sup> უფრო მეტიც, დავების განხილვის ორგანოს პრაქტიკის შესაბამისად, 23-ე მუხლის სტრუქტურა ისეა აგებული, რომ ის აყალიბებს ზოგად აკრძალვას/ზოგად ვალდებულებას - ვმო-ის მოქმედების სფეროს მიკუთვნებული სახელშეკრულებო ნორმის დარღვევის შემთხვევაში სახელმწიფოებმა მიმართონ მხოლოდ დავების განხილვის ორგანოს.<sup>154</sup> ამავე დროს, საგულისხმოა, რომ 23-ე მუხლის მე-2 ნაწილი აუცილებლად უნდა იქნეს აღქმული პირველ ნაწილთან ერთად, ბმაში. და იმის დასადგენად, დაირღვა თუ არა 23-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ჯერ უნდა დადგინდეს, სახეზეა თუ არა 23-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დარღვევა. ვმო-ის არსებული პრაქტიკის შესაბამისად, ცალსახად დადგენილია, რომ, როდესაც სახელმწიფოთა შორის წარმოშობილ დავაში მხარეები არ მიმართავენ ვმო-ის დავების განხილველ ორგანოს, მაშინ უცილობლად ირღვევა 23-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რაც გავლენას ახდენს 23-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და მისი სხვადასხვა ქვეპუნქტის დარღვევაზე.<sup>155</sup> საგულისხმოა, რომ ამ დოკუმენტის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დადგენილია დავების განხილვასთან დაკავშირებული ნორმების თანაფარდობის საკითხი. 1-ლი მუხლი ცალსახად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ DSU-სა და მის დანართში ჩამოთვლილ შეთანხმებათა ნორმებს შორის განსხვავების შემთხვევაში, უფრო ზუსტად კი, თუ დანართში მოცემული ხელშეკრულება შეიცავს უფრო კონკრეტულ მუხლებს, მაშინ სპეციალური ნორმა სარგებლობს უპირატესი ძალით DSU-ში მოცემულ ნორმასთან მიმართებით. ამასთან დაკავშირებით, ვმო-ის აქვს საკმაოდ საინტერესო პრეცედენტების ბაზა. აღსანიშნავია, რომ ნორმათა

<sup>151</sup> Dispute Settlement Understanding, WTO, Art. 23.

<sup>152</sup> Yuval Shany, *The Competing Jurisdictions of International Courts and Tribunals*, (Oxford University Press 2003), p. 183.

<sup>153</sup> *US: Sections 301-310 of the Trade Act of 1974* WTO DOC. WT/DS152/R (1999), p. 313.

<sup>154</sup> *US - Certain EC products*, PR, [DS165](#), paras 6.19-6.20. იხ. ასევე: სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება იმავე საქმეზე, para. 111.

<sup>155</sup> *US - Section 301 Trade Act Panel Report*, DS152, para. 7.45. fn. 655 and 656, იხ. ასევე: *Panel Report, US - Certain EC products*, DS165, paras. 6.17-6.20.

იერარქიის საკითხის წინ წამოწევა ხდება მაშინ, როდესაც სახეზეა კონფლიქტი ნორმებს შორის, კერძოდ, როდესაც ზოგადი და სპეციალური ნორმა ურთიერთგამომრიცხავ დებულებებს შეიცავენ. უფრო მეტიც, სააპელაციო პალატამ დასძინა და აღნიშნა, რომ ნორმებს შორის განსხვავების არარსებობის შემთხვევაში აუცილებლად გამოყენებულ უნდა იქნეს ზოგადი და სპეციალური ნორმები ერთად. შესაბამისად, უპირატესი ძალის პრინციპიც სახეზე აღარ არის.<sup>156</sup> გამომდინარე ყოველივე აღნიშნულიდან, დგინდება, რომ სახელმწიფო ვალდებულია, მიმართოს ვმო-ის ფარგლებში არსებულ დავეების განხილვის მექანიზმს, ოღონდ იმ დათქმით, რომ მას აქვს შესაძლებლობა/ვალდებულება, შესაბამისი პირობების არსებობის შემთხვევაში გამოიყენოს ან ზოგადი ნორმები, ან სპეციალური, ან ორივე ერთად. საინტერესოა, აქვს თუ არა სახელმწიფოს უფლება, სპეციალურ და ზოგად ნორმათა იერარქიაზე დაყრდნობით დავის განსახილველად მიმართოს დავეების განხილვის ვმო-ისგან დამოუკიდებელ მექანიზმს. ამ კითხვაზე პასუხს იძლევა შეთანხმება სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ასპექტების შესახებ, რომლის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილი აცხადებს, რომ არაფერს არ შეუძლია ხელი შეუშალოს მხარეთა მხრიდან ვმო-ის ფარგლებში არსებული მექანიზმების გამოყენებას, გარდა დავის გადაწყვეტის სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში არსებული მექანიზმების გამოყენებისა. მიუხედავად ხელშეკრულებაში არსებული ასეთი ჩანაწერისა, თავად ვმო-ის დავეების განხილვის მექანიზმი ცალსახად მიუთითებს წევრ სახელმწიფოთა ვალდებულებაზე, სადავო საკითხი განიხილონ მხოლოდ ორგანიზაციის ფარგლებში არსებული სისტემის გამოყენებით და არ მიმართონ ვმო-ის ფარგლებს გარეთ არსებულ დავეების მშვიდობიანი გადაწყვეტის სხვა მექანიზმებს. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ასეთი შეზღუდვა მოქმედებს მხოლოდ მარაკემის შეთანხმებაში ჩამოთვლილ ხელშეკრულებებზე და არა ვმო-ის წევრ სახელმწიფოთა მიერ ორმხრივად ან მრავალმხრივად დადებულ შეთანხმებებზე, რომელთა ფარგლებშიც სახელმწიფოს ეძლევა სრული თავისუფლება დავის განხილვის მექანიზმის არჩევის მიმართულებით. თუმცა ერთია უფლების არსებობა და მეორეა მხარეთა სურვილი, გაიტანონ სადავო საკითხი ვმო-ის ფარგლებს გარეთ. არჩევანის თავისუფლებაში ცუდი არაფერი არ არის, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ, რაც არ უნდა გადაწყვიტონ მხარეებმა, ვმო მაინც დარჩება მის ფარგლებში დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებების განხილვის სპეციალური კომპეტენციის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციად, რომელსაც აქვს ჩამოყალიბებული დავეების განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის მეტ-ნაკლებად ერთიანი და, ამავე დროს, საკმაოდ მოქნილი

<sup>156</sup> Appellate Body Report, *Guatemala - Cement I*, DS60, para. 65. იხ. ასევე: Appellate Body Report, *US - FSC*, DS108, para. 159; Appellate Body Report, *US - Hot-Rolled Steel*, DS184, paras. 51 and 56-57.

სისტემა. შესაბამისად, ყოველთვის უფრო გონივრულია, საკითხის მოსაწესრიგებლად მიმართო იმ სპეციალური კომპეტენციის მქონე ორგანიზაციას, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა და ამოქმედდა ესა თუ ის საერთაშორისო ხელშეკრულება.

## *IV.2 ვმო და გარემოს სამართალი*

თანამედროვე სავაჭრო ურთიერთობებში არსებული კონკურენტული იურისდიქციები მრავალწახნაგოვნად არის გადაჯაჭვული სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების თითქმის ყველა სფეროსთან, რაც გამომდინარეობს ვაჭრობის ყოვლისმომცველი ბუნებიდან, მოაწესრიგოს საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე არსებული და აქტიურად წარმართული კომერციული ინტერესები. ვინაიდან წინამდებარე ნაშრომის კვლევის საგანი არ არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციისა და საერთაშორისო დონეზე არსებული სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა თუ ხელშეკრულებების ანალიზი კონკურენტული იურისდიქციების განსახილველად, ამჯერად ყურადღება გამახვილებულია ეკოლოგიურ სამართალზე, რაც წარმოდგენას გვიქმნის, კონკურენტული იურისდიქციების არსებობიდან გამომდინარე, სახელმწიფოთა და, შესაბამისად, საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე არსებულ გამოწვევებზე.

გარემოსდაცვითი პოლიტიკის სულ უფრო მეტად გააქტიურებამ გავლენა მოახდინა ასევე მრავალმხრივ სავაჭრო სისტემაზეც, რაც აისახა იმაში, რომ ვმო-ში შეიქმნა სპეციალური კომიტეტი ვაჭრობასა და გარემოს დაცვაზე. ამ ყველაფერმა კი ახალი სიძლიერით შეიყვანა ვაჭრობის სისტემაში გარემოსდაცვითი ნორმები. 2001 წელს დოჰას მინისტრიალზე საფუძველი ჩაეყარა მოლაპარაკებების დაწყებას ამ მიმართულებით.<sup>157</sup> კომიტეტის მოვალეობაა, გამოიკვლიოს ვაჭრობასა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულება, შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები და მოახდინოს იმ ცვლილებების ინიცირება, რაც სავაჭრო ნორმებში უნდა იქნეს შეტანილი, გარემოს დაცვიდან გამომდინარე.<sup>158</sup>

ვმო-ის წევრი სახელმწიფოები დარწმუნებულნი არიან იმაში, რომ ღია, მიუკერძოებელი და არადისკრიმინაციული სავაჭრო სისტემა ხელს უწყობს როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნულ დონეზე გარემოს დაცვის მიზნების მიღწევას. ეს მოსაზრება განმტკიცდა 1992 წელს გაეროს გარემოს დაცვისა და განვითარებისადმი მიძღვნილ

<sup>157</sup> Understanding the WTO: Cross-Cutting and new issues, The environment: a specific concern, ხელმისაწვდომია: <<http://www.wto.org>>.

<sup>158</sup> The committee on Trade and Environment: broad-based responsibility, ხელმისაწვდომია: <<http://www.wto.org>>.

კონფერენციაზე და, მის შემდგომ, იოჰანესბურგში მსოფლიო სამიტზე.<sup>159</sup>

ზევით აღნიშნულიდან გამომდინარე, მეტად საინტერესოა, თუ როგორია ვმო-ისა და გარემოს შესახებ შეთანხმებათა ურთიერთობა და, საერთოდ, როგორი გავლენა შეიძლება მოახდინონ ამ სახის ნორმებმა როგორც ვმო-ის სისტემაზე, ასევე სახელმწიფოთა შიდა სამართალზე და როგორია საერთაშორისო სამართლისა და შიდა სამართლის თანაფარდობა ამ კუთხით.

აღსანიშნავია, რომ ამჟამად ვმო-ის მიღმა 200-ზე მეტი მოქმედი გარემოსდაცვითი საერთაშორისო შეთანხმება არსებობს. მათ უწოდებენ მრავალმხრივ გარემოსდაცვით შეთანხმებებს. დაახლოებით 20 მათგანი შეიცავს ნორმებს, რომელთაც შეუძლიათ ვაჭრობაზე გავლენის მოხდენა, კერძოდ შეუძლიათ: ზოგიერთი პროდუქტით ვაჭრობის აკრძალვა; ასევე, სახელმწიფოებისათვის განსაკუთრებულ გარემოებებში ვაჭრობის შეზღუდვის მოთხოვნა. ასეთ ხელშეკრულებებს მიეკუთვნება: ოზონის ხვრელის დაცვის მონრეალის ოქმი, ბაზელის კონვენცია, რომელიც შეეხება საერთაშორისო საზღვრებში საშიში ნარჩენების გადაზიდვას ან გაყიდვას, ისევე როგორც შეთანხმება საფრთხეში მყოფი სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ.<sup>160</sup> ამ საერთაშორისო ხელშეკრულებათა გავლენა ვმო-ის პოლიტიკასა და პრეცედენტულ სამართალზე ყველაზე კარგად ჩანს იქიდან, თუ რომელი კონვენციის ნორმას გამოიყენებს ვმო-ის დავების განმხილველი ორგანო საკითხის გადაწყვეტისას. საინტერესოა, რა მოხდება იმ შემთხვევაში, როდესაც დავა წარმოიშობა იმის გამო, რომ ვმო-ის წევრმა სახელმწიფომ გარკვეული ქმედება განახორციელა ვაჭრობის წინააღმდეგ, მაგალითად, დაადგინა გადასახადი ან შეზღუდა იმპორტი, გარემოს დაცვის შეთანხმების საფუძველზე, ამას კი ასაჩივრებს მეორე სახელმწიფო. რომელი ხელშეკრულების საფუძველზე მოხდება საკითხის გადაწყვეტა? ამ კითხვაზე შემდეგი პასუხი აქვს ვაჭრობისა და გარემოს დაცვის კომიტეტს: თუ დავის წარმომშობი, ვაჭრობის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედება ნაკარნახევია გარემოსდაცვითი შეთანხმებიდან და დავის ორივე მონაწილე გვევლინება ამ ხელშეკრულების მონაწილედ, მაშინ მათ უნდა სცადონ საკითხის მოწესრიგება გარემოს დაცვის შესახებ შეთანხმების შესაბამისად, მაგრამ თუ იმავე შემთხვევაში ერთ-ერთ სახელმწიფოს არ ექნება ხელშეკრულებაზე ხელი მოწერილი, მაშინ საკითხი უნდა გადაწყდეს ვმო-ის დავების განმხილველი ორგანოს მიერ, მის ფარგლებშივე არსებული ხელშეკრულებების ნორმათა შესაბამისად, მით უმეტეს, რომ ვმო არ იზღუდება მხოლოდ ვაჭრობის მარეგულირებელი ნორმებით და მას შესაბამის ექსპერტებთან კონსულტაციის შედეგად შეუძლია კიდევ, განიხილოს

<sup>159</sup> იქვე.

<sup>160</sup> WTO and environmental agreements: how are they related?, ხელმისაწვდომია: <<http://www.wto.org>>.

გარემოსდაცვითი საკითხები.<sup>161</sup> ამ საკითხის დასაზუსტებლად უნდა აღინიშნოს, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს აქვთ არჩევანის თავისუფლება დავის განხილვის მექანიზმის არჩევის მიმართულებით იმ შემთხვევაში, როდესაც სადავო საკითხი გამომდინარეობს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებს გარეთ დადებული ისეთი შეთანხმებიდან, რომელსაც შესაძლოა, გავლენა ჰქონდეს ვაჭრობაზე. ასეთი მიდგომა, ძირითადად, განპირობებულია იმით, რომ არ შეზღუდოს დავის მხარეები არგუმენტაციის ჩამოყალიბებისას, და თუ მათთვის ვაჭრობასთან დაკავშირებული, მაგრამ არა ვმო-ის ფარგლებში დადებული, ხელშეკრულების გარშემო აინტერესებთ შესაბამისი მუხლების დაზუსტება, აირჩიონ ყველაზე მეტად მისაღები სამართლებრივი ფორუმი და იპოვონ პასუხები წამოჭრილ კითხვებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული სამი მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი საქმე გამოიყოფა ვმო-ის პრეცედენტულ სამართალში, რომელთა ანალიზიც მოცემულია წინამდებარე ნაშრომში, ესენია: shrimp-turtle; tuna-dolphin და China-Rare Earths.

აღსანიშნავია, რომ საქმე shrimp-turtle უფრო ძველია, ვიდრე დღევანდელი სახით არსებული საერთაშორისო სავაჭრო სისტემა, რადგანაც დავა დაიწყო 1973 წელს, ხოლო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია ოფიციალურად დაარსდა 1994 წელს საკუთარ უნიკალურ დავების განხილვის მექანიზმთან ერთად. საქმის ფაქტობრივი გარემოებების გაცნობის შემდეგ კიდევ უფრო ცხადი ხდება, თუ როგორი სტაბილურია და განჭვრეტადი საერთაშორისო სავაჭრო სისტემა სახელმწიფოთაშორისი სადავო საკითხების მოწესრიგების თვალსაზრისით. დავების განმხილველი ორგანოს არგუმენტაცია თითქმის უცვლელი რჩება, მიუხედავად იმ დროისა და ეკონომიკური რეალობისა, რომელიც დგას ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების წინაშე. ამ საკითხზე უფრო დეტალურად შეეჩერდებით წინამდებარე ქვეთავით გათვალისწინებული ყველა საქმის განხილვის ბოლოს შესაჯამებლად.

საქმის - shrimp-turtle - მიხედვით, ინდოეთმა, მალაიზიამ, პაკისტანმა და ტაილანდმა შეიტანეს სარჩელი აშშ-ის წინააღმდეგ, რადგანაც მან შეზღუდა კრევეტების იმპორტი ამ უკანასკნელთა მიერ გამოყენებული რეწვის მეთოდების გამო, რომლითაც უზარმაზარი ზიანი ადგებოდა კუს პოპულაციას. აშშ-ის გადაშენების პირას მყოფ სახეობათა 1973 წლის აქტის შესაბამისად, განსაკუთრებული დაცვით სარგებლობდა მის წყლებში მობინადრე კუების 5 სახეობა და მეთევზეებს მოეთხოვებოდათ, თევზაობის პროცესში გამოეყენებინათ ისეთი საშუალებები, რაც თავიდან ააცილებდათ კუს გახვევას ბადეში კრევეტებთან ერთად, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც კუების რაოდენობა მოჭარბებულად იყო.<sup>162</sup>

<sup>161</sup> Disputes: where should they be handled?, ხელმისაწვდომია: <<http://www.wto.org>>.

<sup>162</sup> US - Shrimp and Shrimp Products, WT/DS58/AB/R, para.1.

აშშ-ის საჯარო კანონის 609-ე სექციის შესაბამისად, იკრძალებოდა იმ კრევეტების იმპორტი აშშ-ში, რომელთა რეწვის დროსაც ზიანი აღგებოდა კუს პოპულაციას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იმპორტიორი სახელმწიფო იღებდა გარკვეულ ზომებს, რათა თავიდან აეცილებინა კუებისთვის ზიანის მიყენება. პრაქტიკულად ეს ნიშნავდა, რომ იმ სახელმწიფოებს, რომელთა წყლებშიც ბინადრობდა კუს 5 სახეობიდან ერთ-ერთი მაინც, აშშ-ში პროდუქტის იმპორტირების სერტიფიკატის მოსაპოვებლად ყოველთვის მოუწევდათ კუებისთვის უსაფრთხო საშუალებების გამოყენება კრევეტების რეწვისას.<sup>163</sup>

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ კუ მიეკუთვნება ამოწურვად ბუნებრივ რესურსს, რომლის დაცვის უფლება აქვს აშშ-ს საკუთარი შიდა კანონმდებლობით,<sup>164</sup> მაგრამ ამ შემთხვევაში ხსენებული ქვეყანა არ მართლდება იმიტომ, რომ მან საკუთარი გარემოსდაცვითი პოლიტიკით დაარღვია ვმო-ის უმთავრესი დასაყრდენი პრინციპი - დისკრიმინაციის აკრძალვა. აშშ-ის ქმედებები კი დისკრიმინაციული იყო იმდენად, რამდენადაც მან ოთხ მოსარჩელე სახელმწიფოს არ შესთავაზა ის შეღავათები, რაც კარიბის ქვეყნებისთვის ჰქონდა შესთავაზებული, კერძოდ: ამ უკანასკნელთ უწევდა ფინანსურ დახმარებას შესაბამისი აღჭურვილობის შესაძენად და აძლედა უფრო მეტ დროს მათი სასერტიფიკაციო ნორმების შესაბამისობაში მოსაყვანად, რაც არ გაუკეთებია მოსარჩელეთა მისამართით. სწორედ ამიტომ სააპელაციო პალატამ მოსთხოვა აშშ-ს, საკუთარი ქმედებები მოეყვანა GATT-ის XX მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობაში.<sup>165</sup> უფრო მეტიც, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ, როდესაც ვმო-ის წევრი სახელმწიფო აღგენს საკუთარ გარემოსდაცვით პოლიტიკას, ვერაფერს ჩაერევა მის სურვილში, რადგან გარემოს დაცვა არის მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც მოითხოვს ქმედითი ღონისძიებების გატარებას, რათა მიღწეულ იქნეს გარემოს დაცვის უმთავრესი მიზანი, მაგრამ, ამავე დროს, სახელმწიფოებს არ უნდა დაავიწყდეთ, რომ საკუთარი ქმედებებით არ დაარღვიონ სხვა სახელმწიფოთა უფლებები და უსამართლო და არათანაბარი პირობების შეთავაზებით ვმო-ის წევრი ქვეყნებისათვის წინააღმდეგობაში არ მოვიდნენ ამავე ორგანიზაციის ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებებთან.<sup>166</sup>

გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით კი უნდა აღინიშნოს: 2000 წლის 27 იანვარს აშშ-მა შეატყობინა დავების განმხილველ ორგანოს, რომ მან გაატარა ყველა ღონისძიება გადაწყვეტილების აღსასრულებლად. თუმცა ამავე წლის 12 ოქტომბერს მაღალიზიამ დავების განმხილველ ორგანოს მიმართა აშშ-ის წინააღმდეგ ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო პალატის რეკომენდაციების შეუსრულებლობის ბრალდებით,<sup>167</sup> რაც ამ

<sup>163</sup> *Ibid.*, para. 2-4.

<sup>164</sup> *Ibid.*, para. 132.

<sup>165</sup> *Ibid.*, para. 185.

<sup>166</sup> *Ibid.*, para. 186.

<sup>167</sup> Implementation Status of Adopted Reports, *US-Srimp*, ხელმისაწვდომია: <<http://www.wto.org>>.

შემთხვევაში მოითხოვს საკითხის გადაწყვეტას დავის გადაწყვეტის შესახებ წესების 21.5 მუხლის შესაბამისად. ეს მუხლი კი ითვალისწინებს საქმეზე კვლავ მოლაპარაკებების დაწყებას.<sup>168</sup> თუმცა საბოლოოდ გადაწყვეტილება მაინც აღსრულდა 2001 წლის 21 ნოემბერს.<sup>169</sup>

მეორე საქმე, რომელიც გარემოსდაცვითი პოლიტიკის კონტექსტში საერთაშორისო სამართლისა და შიდა სამართლის თანაფარდობის მხრივ იპყრობს ყურადღებას, არის ე.წ. „tuna-dolphin“. ამ საქმის მნიშვნელობა გამომდინარეობს, შემდეგი ორი უმთავრესი საკითხის გამოკვეთის აუცილებლობიდან, კერძოდ: 1. შეუძლია თუ არა ერთ სახელმწიფოს მეორეს უკარნახოს, როგორი უნდა იყოს მისი გარემოსდაცვითი ნორმები? 2. რამდენად კრძალავენ ვაჭრობასთან დაკავშირებული ნორმები პროდუქტის წარმოების მეთოდებს. ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ყვითელი თინუსის რეწვა მიმდინარეობდა მექსიკაში და ამ უკანასკნელს საექსპორტოდ გაჰქონდა თევზის ეს სახეობა აშშ-ში. უნდა აღინიშნოს, რომ ყვითელი თინუსი უფრო პატარა თევზია, ვიდრე დელფინი და მისი ჭერის დროს ხშირად ხდებოდა დელფინების გახვევა ბადეში. სწორედ ამიტომ აშშ-მა გადაშენების პირას მყოფი სახეობების შესახებ კანონით აკრძალა თევზის რეწვისთვის ისეთი საშუალებების გამოყენება, რომლებიც ზიანს აყენებდნენ დელფინებს. ამავე კანონის შესაბამისად, ემბარგო იყო დადგენილი იმ პროდუქტებზე, რომლებიც ამ კანონის ნორმათა დარღვევით იქნებოდა იმპორტირებული.<sup>170</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ში მოქმედებდა ასევე დელფინთა დაცვის აქტი, რომლის შესაბამისადაც, პროდუქტები დაიყო 3 კატეგორიად და დაექვემდებარა სავალდებულო მარკირებას. ეს კატეგორიები იყო: პირველი, რომელიც არ იწვევდა დელფინებისთვის ზიანის მიყენებას რეწვის პროცესში; მეორე, დელფინს აყენებდა მცირედ ზიანს; და მესამე, როდესაც დელფინების პოპულაციას სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა.<sup>171</sup>

1991 წელს მექსიკამ საკითხის გადასაწყვეტად მიმართა პანელს, რომელმაც საქმე შემდეგნაირად შემოატრიალა: აშშ-ს არ შეეძლო ემბარგოს დაწესება მექსიკიდან იმპორტირებულ პროდუქტებზე მხოლოდ იმიტომ, რომ ამ უკანასკნელის შიდა კანონმდებლობა თევზის რეწვასთან დაკავშირებით ეწინააღმდეგებოდა აშშ-ში მოქმედ კანონს. ამ საკითხს ეწოდა „პროდუქტი“ „პროცესის წინააღმდეგ“.<sup>172</sup>

პანელმა ასევე დაადგინა, რომ GATT-ის ნორმების შესაბამისად, ქვეყანას არ შეუძლია, საკუთარი შიდა კანონმდებლობის სხვა

<sup>168</sup> Understanding on Rules and Procedures Governing The Settlement of Disputes, მუხლი 21.5, ხელმისაწვდომია: <<http://www.wto.org>>.

<sup>169</sup> Compliance proceedings completed without finding of non-compliance on 21 November 2001, ხელმისაწვდომია: <<http://www.wto.org>>.

<sup>170</sup> *US - Restitutions on Imports of Tuna*, (DS21/R - 39S/155), paras. 2.3-2.5.

<sup>171</sup> *Ibid.*, para. 2.12.

<sup>172</sup> *Ibid.*, para.6.2.

ქვეყანაში აღსრულების მიზნით დააწესოს ვაჭრობაზე გარკვეული შეზღუდვები, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საკითხი შეეხება ამოწურვადი ბუნებრივი რესურსების დაცვას.<sup>173</sup>

შესაბამისად, პანელმა დაადგინა, რომ აშშ-ის ქმედებები ეწინააღმდეგებოდა GATT-ის XI და XX მუხლებს, ხოლო, რაც შეეხება მარკირებას, ამ შემთხვევაში GATT-ის I მუხლის დარღვევა სახეზე არ იყო, რადგან ის ისახავდა მიზნად საზოგადოების ინფორმირებას და თანაბრად ვრცელდებოდა ადგილობრივ თუ იმპორტირებულ პროდუქტზე.<sup>174</sup> არ შეიძლება ამ უკანასკნელზე არ დავეთანხმეთ პანელის გადაწყვეტილებას, რადგანაც მომხმარებელს აქვს უფლება, იცოდეს, თუ როგორ ზიანს აყენებს მის მიერ მოხმარებული პროდუქტის დამზადება გარემოს, ისევე როგორც მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რა ზიანის მომტანი შეიძლება იყოს ესა თუ ის პროდუქტი ჯანმრთელობისათვის. სავალალო მდგომარეობაა ამ მხრივ განვითარებად სახელმწიფოებში, სადაც ხალხი მოკლებულია ნებისმიერი სახის ინფორმაციას დახლებზე აღმოჩენილი პროდუქტის ვარგისიანობის შესახებ, არადა საზოგადოებაში არის მზაობა ინფორმაციის გაგებასთან დაკავშირებით.<sup>175</sup>

მორიგი საქმე, რომელიც იპყრობს ჩვენს ყურადღებას ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში არსებული სახელმწიფოთა ეკოლოგიური პოლიტიკის მარეგულირებელი ნორმების შეფასების თვალსაზრისით, არის არის China-Rare Earths. ეს საქმე მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ეკოლოგიის დაცვის მიმართულებით ჩინეთის მიერ დამკვიდრებული სამართლებრივი პოლიტიკის გაცნობისა და ანალიზისათვის, არამედ იმ მიზნებისთვისაც, რომლებიც უკავშირდება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში არსებულ ხედვას, იმპორტისა და ექსპორტის მოწესრიგების თვალსაზრისით.

მართალია, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დავების განმხილველ ორგანოს, ძირითადად, უწევს სახელმწიფოთა მიერ იმპორტისათვის დადგენილი სავაჭრო ბარიერებისა თუ დისკრიმინაციული ნორმების შესახებ დავების განხილვა-გადაწყვეტა და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს ორგანიზაცია, ორიენტირებულია მხოლოდ ბაზარზე დაშვების წესების მსოფლიო სავაჭრო სისტემასთან შესაბამისობაში მოყვანაზე, მაგრამ ეს ასე არ არის. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციას აქვს კარგად ჩამოყალიბებული ხედვა, ასევე ერთი წევრი სახელმწიფოდან მეორეში განსახორციელებელი ექსპორტის მიმართ დადგენილი კვოტების მიმართულებითაც, თუმცა ეს საკითხი უფრო იშვიათად დგება დავების განმხილველი ორგანოს წინაშე გადასაწყვეტად.

საქმე China-Rare Earths ეხებოდა ჩინეთის მიერ დადგენილ საექსპორტო კვოტებს ბუნებაში არსებულ ისეთ იშვიათ ელემენტებზე,

<sup>173</sup> *Ibid.*, para. 6.3.

<sup>174</sup> *Ibid.*, para. 6.1-7.3.

<sup>175</sup> Domestically prohibited goods: dangerous chemicals, etc, ხელმისაწვდომია: <<http://www.wto.org>>.



როგორებიცაა ვოლფრამი და მოლიბდენი. 2012 წლის 13 მარტს ამ ელემენტების ექსპორტისათვის დადგენილი კვოტების შესახებ კონსულტაციების დაწყება მოითხოვა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, მოგვიანებით კი მას შეუერთდნენ იაპონია და ევროკავშირი. მოთხოვნა კონსულტაციების დაწყების მიმართულებით უკავშირდებოდა ჩინეთის მიერ ვოლფრამისა და მოლიბდენის ექსპორტისათვის დადგენილ შეზღუდვებს, კერძოდ: გადასახადებს დადგენილი ელემენტების ექსპორტისათვის; მინიმალურ საექსპორტო ფასებს; ექსპორტისას გამოსაყენებელ სალიცენზიო მოთხოვნებს და რაოდენობრივი შეზღუდვების ადმინისტრირებისათვის გამოსაყენებელ დამატებით მოთხოვნებსა და პროცედურებს.

ამერიკის შეერთებული შტატების მტკიცებით, ჩინეთის მიერ გამოყენებული შეზღუდვები ეწინააღმდეგებოდა 1994 წლის GATT-ის VII, VIII, X და XI მუხლებს, ისევე როგორც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში ჩინეთის გაწვევრიანების ოქმის იმ მუხლებს, რომლებიც ადგენდნენ ჩინეთის სავაჭრო ვალდებულებებს. გამომდინარე იქიდან, რომ მხარეებმა კონსულტაციების რეჟიმში ვერ მიაღწიეს შეთანხმებას, 2012 წლის 27 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების თხოვნით მიმართა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დაკვირვების განმხილველ ორგანოს პანელის ჩამოსაყალიბებლად.<sup>176</sup>

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დაკვირვების განმხილველი ორგანოს პალატამ შემდეგი რამ დაადგინა:

ჩინეთის მიერ დადგენილი საექსპორტო შეზღუდვები უკავშირდება იშვიათ ბუნებრივ ელემენტებს, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა სახის ელექტრონული საქონლის დასამზადებლად. ჩინეთის მტკიცებით, ეს შეზღუდვები გამოწვეულია ამოწურვადი ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებისათვის ზრუნვით. ამის საპირისპიროდ მომჩივანმა მხარეებმა აღნიშნეს, რომ ჩინეთის მიერ დადგენილი შეზღუდვები მიმართულია ადგილობრივი მწარმოებლების ინტერესების დაცვისაკენ და არა ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებისაკენ.

მომჩივანთა მტკიცებით, ჩინეთის მიერ გამოყენებული საექსპორტო მოსაკრებლები, დაწესებული ბუნებაში არსებულ იშვიათ ელემენტებზე – მოლიბდენსა და ვოლფრამზე, შეუსაბამოა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში ჩინეთის მიერ აღებულ ვალდებულებებთან და ეწინააღმდეგება ამ სახელმწიფოს ორგანიზაციაში გაწვევრიანების ოქმს, რომელშიც ჩამოთვლილია პროდუქტები საექსპორტო გადასახადის დასადგენად (დასახელებული არცერთი ელემენტი არ არის მითითებული ამ ჩამონათვალში).<sup>177</sup>

ჩინეთი დაეთანხმა მომჩივნების არგუმენტებს, თუმცა დასძინა, რომ 1994 წლის GATT-ის XX მუხლი ითვალისწინებს ე.წ. „ზოგად გამონაკლისებს“, იმ შემთხვევის გასამართლებლად, როდესაც, შესაძლებელია, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი

<sup>176</sup> *China - Measures Related to the Exportation of Rare Earths, Tungsten and Molybdenum*, Key findings - available < [https://www.wto.org/english/tratop\\_e/dispu\\_e/cases\\_e/ds431\\_e.htm](https://www.wto.org/english/tratop_e/dispu_e/cases_e/ds431_e.htm)>.

<sup>177</sup> *China - Rare Earths, Panel Report* - WT/DS431/R WT/DS432/R WT/DS433/R, paras. 2.13-2.15.

სახელმწიფო არღვევს GATT-ის შესაბამის მუხლებს, მაგრამ ამას აკეთებს ადამიანთა, ცხოველთა და მცენარეების დასაცავად და სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. ჩინეთის ამ არგუმენტებს არ დაეთანხმნენ არც მოსარჩელები და არც თავად პანელი, როცა ხაზი გაუსვეს გარემოებას, რომ ზოგადი გამონაკლისების წესის აღნიშნულ შემთხვევაზე გავრცელება დაუშვებელია სახეზე არარსებული მყარი არგუმენტების გამო, კერძოდ, ჩინეთის მიერ გამოყენებული საექსპორტო გადასახადები არ არის აუცილებელი ადამიანთა, ცხოველთა და მცენარეთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დასაცავად, და ამდენად, ის არღვევდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში აღებულ ვალდებულებებს.<sup>178</sup>

აღნიშნული საქმე ასევე მნიშვნელოვანია ექსპორტისათვის დაწესებული კვოტების გარშემო მხარეთა შორის წარმართული აზრთა სხვადასხვაობის გათვალისწინებით, კერძოდ, ჩინეთის მტკიცებით, მის მიერ მოლიბდენსა და ვოლფრამთან დაკავშირებით დადგენილი საექსპორტო კვოტები სრულად შეესაბამებოდა 1994 წლის GATT-ის XX(გ) მუხლს, რადგანაც ის ემსახურებოდა ამოწურვადი ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებას. ამას პანელი არ დაეთანხმა, როცა აღნიშნა, რომ ჩინეთის მიერ გამოყენებული საექსპორტო კვოტები მიმართული იყო ადგილობრივი ინდუსტრიის პოლიტიკის მიზნების მისაღწევად და არა ბუნებრივი რესურსების შესანარჩუნებლად. პანელი დაეთანხმა ჩინეთს არგუმენტაციის იმ ნაწილში, რომ GATT-ის XX მუხლის მიზნებისათვის ბუნებრივი რესურსების შენარჩუნება უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე მხოლოდ „სიტყვათშეთანხმებას“ და რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოს აქვს სუვერენული უფლება, თვითონვე განავითაროს საკუთარი გარემოსდაცვითი პოლიტიკა, რაც გამომდინარეობს ისევე და ისევე საერთაშორისო საჯარო სამართლიდან და გაეროს შესაბამისი ინსტრუმენტებიდან, მაგრამ, ამასთანავე, პანელმა დასძინა, რომ ეს უფლება არ აძლევს სახელმწიფოს იმის შესაძლებლობას, გააკონტროლოს ბუნებრივი რესურსებით ვაჭრობის საერთაშორისო ბაზარი.<sup>179</sup>

პანელმა ასევე დასძინა, რომ ჩინეთი მსგავს შეზღუდვებს არ აწესებდა აღნიშნული ელემენტების ადგილობრივ გამოყენებაზე. პანელმა, მას შემდეგ, რაც შეისწავლა ჩინეთის მიერ მოლიბდენისა და ვოლფრამის გამოყენებისათვის დადგენილი შიდა რეგულაციები, საიდანაც ცხადად გამომჩნდა, რომ ექსპორტისათვის დაწესებული შეზღუდვები ხელს უწყობდა ეროვნული ინდუსტრიის განვითარებას ამ მიმართულებით, დაადგინა, რომ 1994 წლის GATT-ის XX (გ) მუხლის მოთხოვნები დაცული არ იყო ჩინეთის მხრიდან.<sup>180</sup>

პანელის ეს გადაწყვეტილება სამართლებრივი დასაბუთების, ასევე არგუმენტაციის დახუსტების მიზნებისათვის 2014 წლის აპრილში

<sup>178</sup> *ibid.*, paras: 7.115-7.117.

<sup>179</sup> *ibid.*, para.: 7.314 – 7.337

<sup>180</sup> *ibid.*

გაასახიფრეს როგორც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, იაპონიამ და ევროკავშირმა, ასევე თავად ჩინეთმაც.

გამომდინარე იქიდან, რომ საქმეში სადავო იყო არა მხოლოდ 1994 წლის GATT-ის XX მუხლის დარღვევის საკითხი, არამედ ჩინეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების ოქმიდან გამომდინარე აღებული ვალდებულებები, ეს საქმე ითვლება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საქმედ, რომელიც განხილული ყოფილა დავეების განმხილველი ორგანოს მიერ (ვმო-ში გაწევრიანების ოქმის მნიშვნელობაზე მომდევნო თავებში კიდევ უფრო მეტად გავამახვილებთ ყურადღებას, განსაკუთრებით საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული ურთიერთობების ანალიზისას).

სააპელაციო პალატამ მარაკემის შეთანხმებისა და გაწევრიანების ოქმის ურთიერთდაკავშირებულ ბუნებაზე მსჯელობისას დაადგინა: მარაკემის შეთანხმების XII,1 მუხლი, რომელიც ადგენს ორგანიზაციაში გაწევრიანების ზოგად წესს, არ იძლევა მკვეთრად გამოხატულ რეგულაციას იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად უკავშირდება წევრ სახელმწიფოთა ინდივიდუალური გაწევრიანების ოქმები მარაკემის შეთანხმებიდან და მრავალმხრივი სავაჭრო შეთანხმებებიდან გამომდინარე წარმოშობილ უფლებებსა და ვალდებულებებს.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ჩინეთის გაწევრიანების ოქმის შესაბამისი მუხლის თანახმად, ოქმი არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სადამფუძნებლო შეთანხმების განუყოფელი ნაწილი. ასეთი ჩანაწერი კი, სააპელაციო პალატის შეხედულებით, ემსახურება მიზანს, ერთმანეთთან დააკავშიროს, ერთი მხრივ, ოქმი და, მეორე მხრივ, ვმო-ის ფარგლებში აღებული უფლებები და ვალდებულებები. შესაბამისად, ეს დოკუმენტები ორგანიზაციის ფარგლებში არსებული უფლებებისა და ვალდებულებების განმარტებისათვის ერთად უნდა იქნეს წაკითხული.<sup>181</sup>

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დავეების განმხილველმა ორგანომ 2014 წლის 29 აგვისტოს დაამტკიცა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება აღნიშნულ საქმეზე და ჩინეთს საკუთარი რეგულაციების ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად მიეცა გონივრული ვადა, რომელიც ამოიწურა 2015 წლის 2 მაისამდე, ხოლო ამავე წლის 20 მაისს ჩინეთმა აცნობა ვმო-ის მის მიერ გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ.

ამ თავში არსებული ინფორმაციის ანალიზი შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს, რომ, მიუხედავად იმისა, როგორი ხედვაც არ უნდა იყოს ჩამოყალიბებული ვმო-ის ფარგლებში არსებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებში გარემოს დაცვასთან მიმართებით, სულ ერთია, მაინც დავეების განმხილველი ორგანო ამ ნორმებს იმგვარ განმარტებას გაუკეთებს, რომ უფრო მეტად დაცული იქნება ეკონომიკა, ვიდრე ეკოსისტემა, და ეს არც არის გასაკვირი ამ ორგანიზაციის საქმიანობის მიზნების გათვალისწინებით. ვაჭრობის მსოფლიო

<sup>181</sup> *ibid.*, Appalte body reports - WT/DS431/AB/R WT/DS432/AB/R WT/DS433/AB/R, paras: 5.71-5.73.

ორგანიზაციის დამფუძნებლები და მოგვიანებით გაწევრიანებული სახელმწიფოები ერთხმად აღიარებენ იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ ეს ორგანიზაცია თავიდანვე შეიქმნა სახელმწიფოთაშორისი ვაჭრობის კოორდინებულად წარმართვისა და ვაჭრობაში არსებული ყველანაირი ბარიერის აღმოსაფხვრელად, რათა საერთაშორისო კომერციული ურთიერთობები განვითარდეს გამჭვირვალების, განჭვრეტადობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპებზე დაყრდნობით. თუმცა აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ წევრ სახელმწიფოთა არგუმენტები, თუ მათ ნამდვილად აქვთ ეკოლოგიის დაცვის სურვილი, უნდა ეფუძნებოდეს უფრო მეტ მტკიცებულებებს საკუთარი პოზიციის დაცვის მიმართულებით და არ უნდა ტოვებდეს დისკრიმინაციისა და ეროვნული პროდუქციის მიმართ პროტექციონისტული დამოკიდებულების განცდას. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დავების განმხილველი ორგანოს მიერ წარმოდგენილი მსჯელობა, მართალია, იმთავითვე საერთაშორისო ვაჭრობის დაცვისკენ არის მიმართული, მაგრამ, ამავე დროს, საკმაოდ ზუსტ შეფასებას უკეთებს წევრ სახელმწიფოთა მიერ ეკოლოგიის დაცვის კეთილ იდეას ამოფარებულ ეკონომიკური ინტერესების გატარების მრავალწახნაგოვან პოლიტიკას, როცა მათ შეახსენებს საერთაშორისო ვაჭრობაში არსებულ იმ ძირითად პრინციპებსა და ნორმებს, რომელთა შესრულებაც თანაბრად ევალება ვმო-ის ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს, მიუხედავად ტერიტორიული სიდიდისა თუ ეკონომიკური განვითარების დონისა.

ერთი რამ ცხადია: სახელმწიფოთა განვითარებისათვის დადგენილი პრიორიტეტები არ უნდა მოქმედებდნენ იმის საპირისპიროდ, რის გარეშეც ყველაფერი აზრს დაკარგავს და კაცობრიობა მოისპობა. დაზიანებული ეკოსისტემის პირობებში ცოცხალი ორგანიზმები, რომელთა შორისაც ასევე არიან ადამიანები, მოკლებულნი არიან არსებობის შესაძლებლობას.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში დამკვიდრებული ნორმების ინტერპრეტაციის პრაქტიკა გარკვეულ პრობლემებს ქმნის ასევე საერთაშორისო სამართალში არსებული კონკურენტული იურისდიქციების თვალსაზრისითაც, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ანალოგიურ შემთხვევებზე აბსოლუტურად განსხვავებული შეხედულებები აქვთ გარემოს დამცველ საერთაშორისო ორგანიზაციებს. ამ მხრივ გამოირჩევიან ასევე ბიომრავალფეროვნების დასაცავად მოქმედი მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები. თუმცა ყოველივეს გათვალისწინებით, იმ პირობებში, როდესაც საერთაშორისო დონეზე არსებობს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, რომელსაც აქვს ეფექტური გადაწყვეტილებების აღსრულების მექანიზმი, წევრი სახელმწიფოები ამჯობინებენ სწორედ მის ფარგლებში დავების განხილვის პროცედურების დაწყებას, ნაცვლად იმისა, რომ ეძებონ ალტერნატიული გამოსავალი.

წინამდებარე ნაშრომის მომდევნო თავი მიმოიხილავს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პრაქტიკას

და ავლებს პარალელურს ორგანიზაციის წევრ განვითარებულ და განვითარებად სახელმწიფოებს შორის არსებულ განსხვავება-მსგავსებებთან ამ მიმართულებით.

## V. ვმო-ის დაგების განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილებათა იმპლემენტაცია

საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ ვმო მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც უკვე მრავალი წელია, ახერხებს, დღითიდღე გააუმჯობესოს სადამფუძნებლო და საკვანძო პრინციპებისადმი წევრ სახელმწიფოთა პატივისცემა და, ამავე დროს, მოიზიდოს უფრო მეტი ქვეყანა გასაწევრიანებლად. საინტერესოა, რითაა განპირობებული ეს წარმატება? მხოლოდ იმით, რომ ვმო ვაჭრობის საერთაშორისო სტანდარტებისა და წესების ჩამოყალიბებას ემსახურება? თუ იმით, რომ მას აქვს საკმაოდ კარგად განვითარებული დაგების განხილვისა და გადაწყვეტილებათა აღსრულების მექანიზმი?

ამ საკითხების უკეთ გასაანალიზებლად უპირანია, მიმოხილულ იქნეს DSU-ის შესაბამისი მუხლები, რომლებიც დაგების განმხილველი ორგანოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულებისა და აღუსრულებლობის შემთხვევაში შესაბამისი სანქციების დადგენას შეეხება.

DSU-ის 21-ე მუხლი ეხება პანელისა და სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებების აღსრულებას წევრ სახელმწიფოთა მხრიდან, ხოლო 22-ე მუხლი ადგენს აღუსრულებლობის შემთხვევაში გამოსაყენებელი ღონისძიებების ნუსხასა და ფარგლებს.

21-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, დაგების განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილებათა დაუყოვნებელი აღსრულება არსებითი მნიშვნელობის მატარებელია დაგების გადაწყვეტის ეფექტიანი სისტემის ფუნქციონირებისათვის, რასაც სარგებელი მოაქვს წევრ სახელმწიფოთათვის.

გადაწყვეტილებათა დაუყოვნებელი აღსრულების კუთხით დაგების განმხილველმა ორგანომ არაერთ საქმეზე გააკეთა შეფასება. საქმეში - *Argentina - Hides and Leather* - არბიტრმა ვმო-ის სტანდარტებისა და ნორმების დამრღვევი ნორმის გაუქმებისა და მოდიფიცირების შესახებ აღნიშნა, რომ: ვმო-ის ნორმებთან შეუსაბამო ქმედება უნდა მოვიდეს ვმო-ის სტანდარტებთან შესაბამისობაში მისი სრული გაუქმებითა და მოდიფიცირებით. როდესაც შეუსაბამო ქმედება განხორციელებულია სტატუტით, მასში უნდა შევიდეს ცვლილება. როდესაც ქმედება ხორციელდება ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე, აუცილებელია ახალი აქტის გამოცემა.<sup>182</sup>

<sup>182</sup> The non-conforming measure might also assume other forms: e.g., an executive or administrative practice actually carried out but not specifically mandated or authorized by statute or administrative

როგორც ირკვევა, იმპლემენტაციისა და მოქმედების შესაბამისობაში მოყვანის ვალდებულება არის სპეციფიკური შინაარსის შემცველი, კერძოდ იმ აქტის გაუქმება ან მოდიფიცირება, რომლის საფუძველზეც სახეზეა შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების დარღვევა.<sup>183</sup> საქმეზე – *Japan - DRAMs (Korea)* - არბიტრმა დაადგინა, რომ: ვმო-ის ნორმებთან შეუსაბამოდ მოქმედ წევრ სახელმწიფოს აქვს ორი არჩევანი - გააუქმოს ის აქტი, რომლის გამოც ირღვევა საერთაშორისო ხელშეკრულება, ან შეიტანოს მასში შესაბამისი ცვლილება. როცა გაუქმება გადაწყვეტილების დაუყოვნებელი აღსრულებისათვის უფრო მოსახერხებელი ქმედებაა, მაგრამ წევრი სახელმწიფო მიიჩნევს პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე, რომ ცვლილება შეიტანოს შესაბამის აქტში, მას შეუძლია, ამ უკანასკნელს მიმართოს, ოღონდ იმ პირობით, რომ ცვლილების შეტანა განხორციელდება მაქსიმალურად მოკლე ვადებში და იმ შემთხვევაში, თუ ეს შესაბამისია დავების განხილვის ორგანოს მიერ მიღებულ რეკომენდაციებთან.<sup>184</sup> საქმეზე – *Colombia - Ports of Entry* - არბიტრმა მიუთითა DSU-ის მე-3 მუხლის მე-7 ნაწილზე და აღნიშნა, რომ დავების გადაწყვეტის მექანიზმის უმთავრესი მიზანია ვმო-სთან შეუსაბამო ქმედებების დაუყოვნებელი აღმოფხვრა და, მიუხედავად იმისა, რომ დამრღვევი აქტის გაუქმებით უფრო ჩქარა დადგება სასურველი შედეგი, თუმცა კოლუმბიის მხრიდან შესაბამისი აქტების ცვლილებების შეტანით და არა დაუყოვნებელი გაუქმებით არ ირღვევა გადაწყვეტილების აღსრულებისათვის დასაშვები ქმედებების სქემა.<sup>185</sup> საქმეზე - *Chile - Price Band System* - არბიტრმა აღნიშნა, რომ წევრი სახელმწიფოს ვალდებულება, მოახდინოს რეკომენდაციების იმპლემენტაცია. გამომდინარეობს პანელის და/ან სააპელაციო პალატის მიერ გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია, დაუყოვნებელი აღსრულების მიზანშეწონილობა არ იყოს დღის წესრიგში, წევრმა სახელმწიფომ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს გადაწყვეტილების იმპლემენტაციისათვის საჭირო ნაბიჯების გადადგმა. წევრი სახელმწიფოს უმოქმედობას მოჰყვება ვმო-ის სტანდარტებთან შეუსაბამო ნორმით სხვა წევრ სახელმწიფოთათვის მინიჭებული უფლებების გაუქმება. ამის გამოა, რომ არბიტრები მკაცრად აკონტროლებენ სახელმწიფოთა მუშაობას და, მიუხედავად უმოქმედობის პერიოდისა, პანელის და/ან სააპელაციო პალატის მიერ ანგარიშის გამოქვეყნებიდან ითვლიან დროის გონივრულ პერიოდს.<sup>186</sup>

---

regulation; or a “quasi-judicial” determination by an administrative body. Since the Argentine measures involved in this arbitration are not of these kinds, it is not necessary to examine the requirements of compliance where those other kinds of measures are concerned.

<sup>183</sup> Award of the Arbitrator, *Argentina - Hides and Leather (Article 21.3(c))*, WT/DS155/10, paras. 40-41.

<sup>184</sup> Award of the Arbitrator, *Japan - DRAMs (Korea) (Article 21.3(c))*, WT/DS336/16, para. 37.

<sup>185</sup> Award of the Arbitrator, *Colombia - Ports of Entry (Article 21.3(c))*, WT/DS366/13, para. 77, იხ. ასევე: Award of the Arbitrator, *Chile - Alcoholic Beverages (Article 21.3 (c))*, WT/DS87/15, WT/DS110/14, para. 38.

<sup>186</sup> Award of the Arbitrator, *Chile - Price Band System (Article 21.3(c))*, WT/DS207/13, para. 43.

21-ე მუხლის შესაბამისად, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებას მაქსიმალურად მოკლე ვადებში. 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, პანელისა და სააპელაციო პალატის მიერ გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 დღის ვადაში ვალდებულებათა დამრღვევმა მხარემ უნდა აცნობოს დავების განხილვის ორგანოს მისი სურვილის შესახებ, რომ მას უნდა მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება.

დავების განხილვის ორგანოს აქვს საკმაოდ საინტერესო საპრეცედენტო ბაზა, რომლის ფარგლებშიც დაადგინა მხარეთა მხრიდან გადაწყვეტილებათა აღსრულების გონივრული ვადა. საქმეში - *Canada -Pharmaceutical Patents* - არბიტრმა იმსჯელა 21-ე მუხლის მე-3 ნაწილზე და დაადგინა, რომ: 21-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დროის გონივრული ვადა არ შეიძლება გაგებულ იქნეს ისე, თითქოს ის აძლევს უფლებას წევრ სახელმწიფოებს, ნებისმიერ დროს აღასრულონ გადაწყვეტილება, არამედ 21-ე მუხლის მე-3 ნაწილი ყველა წევრი სახელმწიფოსაგან მოითხოვს გადაწყვეტილებების დაუყოვნებელ აღსრულებას. 21-ე მუხლის სტრუქტურა იმგვარად არის ჩამოყალიბებული, რომ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გარემოება, რომლის გამოც შეუძლებელია გადაწყვეტილების დაუყოვნებელი აღსრულება, სახელმწიფოს ეძლევა საკუთარი კანონმდებლობის ვმო-ის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად გონივრული ვადა.<sup>187</sup> იგივე აზრია გატარებული საქმეში - *US-Offset Act (Byrd Amendment)*, სადაც არბიტრმა მიუთითა: გადაწყვეტილების აღსრულების ვალდებულების მქონე სახელმწიფოს არ აქვს იმის დისკრეცია, თავად გადაწყვიტოს, როდის აღასრულებს გადაწყვეტილებას. ეს უკანასკნელი უფლებამოსილია, მიმართოს გონივრულ ვადას იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილების დაუყოვნებელი აღსრულება შეუძლებელია.<sup>188</sup>

საინტერესოა, აქვს თუ არა თითოეულ შემთხვევაზე მიღებულ გადაწყვეტილებას გონივრული ვადის თაობაზე პრეცედენტული ძალა და, აქედან გამომდინარე, ახდენს თუ არა ის გავლენას სხვა მსგავსი ტიპის საქმეებში წევრ სახელმწიფოთა მიერ გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცესზე. ამასთან დაკავშირებით, არბიტრმა საქმეში - *US - Hot-Rolled Steel*, სადაც აშშ ცდილობდა, დაესაბუთებინა გადაწყვეტილების აღსასრულებლად 10-თვიანი ვადის გონივრულობა, მიუთითა სხვა მსგავს შემთხვევებზე, როდესაც ეს ვადა ჩათვლილ იქნა გონივრულად არბიტრის მიერ.<sup>189</sup> თუმცა აშშ-ის მსჯელობის

<sup>187</sup> Award of the Arbitrator, *Canada - Pharmaceutical Patents (Article 21.3(c))*, WT/DS114/13, para. 45

<sup>188</sup> Award of the Arbitrator, *US - Offset Act (Byrd Amendment) (Article 21.3(c))*, WT/DS217/14 WT/DS234/22, para. 40.

<sup>189</sup> The United States referred to *US - 1916 Act* and *US - Section 110(5) Copyright Act* where the arbitrators set the reasonable period at 10 months and 12 months, respectively. The United States on 12 July 2001 asked the DSB to modify the reasonable period of time determined by the arbitrators in both cases, that were due to expire, respectively, on 26 July 2001 and 27 July 2001, so that the modified periods would instead end on 31 December 2001, or on the date on which the then current 2001 session

საპირისპიროდ არბიტრმა მიუთითა, რომ სხვა შემთხვევები ვერ იქნება პრეცედენტული ძალის მქონე, რადგანაც აღრეულ შემთხვევებში გადაწყვეტილების აღსრულების ვადები დამოკიდებული იყო მხარეთა შორის არსებულ შეთანხმებაზე ვადებთან დაკავშირებით. ეს შემთხვევა კი განსხვავდებოდა იმით, რომ მხარეებმა ვერ შეძლეს ვადებზე შეთანხმების მიღწევა.<sup>190</sup>

### ***V.1 ვმო-ის ფარგლებში აღებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის დადგენილი სანქციები***

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია გვევლინება როგორც თვითაღსრულებადი მექანიზმი, ე.წ. წესებზე დაფუძნებული სისტემა, რომლის არსებობის პირობებშიც უფლებადარღვეულ სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა, ნორმის დამრღვევი სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოიყენოს საპასუხო მექანიზმი.

ყველაფერი იწყება დაგების განმხილველი ორგანოს მიერ რეკომენდაციის შემუშავებიდან.<sup>191</sup> ტიპურ შემთხვევაში, ვმო-ის დაგების განმხილველი ორგანო შეიმუშავებს რეკომენდაციას, ნორმის დამრღვევმა მხარემ მოიყვანოს ქმედება შესაბამისობაში ვმო-ის ნორმებთან.

რეკომენდაციის შემუშავება ხდება გადაწყვეტილების გამოტანასთან ერთად და ის შესასრულებლად სავალდებულოა.<sup>192</sup>

ვმო-ის დაგების განხილვის სისტემა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სფეროში მოღვაწე სპეციალისტებს შორის თავისი, შეიძლება ითქვას, უნიკალური და, ამავე დროს, მეტად ეფექტიანი მუშაობის პრაქტიკის გამო. ფაქტია, რომ თავად გამართული სისტემის არსებობა არ განაპირობებს ორგანიზაციის წარმატებული მუშაობის წარმართვას იმ მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად, რაც გათვალისწინებულია როგორც სადამფუძნებლო ხელშეკრულებაში, ასევე მის განუყოფელ ნაწილად მოაზრებულ დანართებში. დაგების განხილვის მექანიზმის წარმატებისა და ეფექტიანობის მიზეზი ის კი არ არის, რომ

---

of the United States Congress adjourned, whichever was earlier. At its meeting of 24 July 2001, the DSB noted and agreed to the United States' request. In both instances, the complaining parties - the European Communities and Japan in *US - 1916 Act*; and the European Communities in *US - Section 110(5) of the US Copyright Act* - having previously reached some understanding with the United States on the matter, did not oppose the requests of the United States. *Award of the Arbitrator, US - Hot-Rolled Steel (Article 21.3(c)), WT/DS184/13*, para. 39.

<sup>190</sup> *Award of the Arbitrator, US - Hot-Rolled Steel (Article 21.3(c)), WT/DS184/13*, para. 39.

<sup>191</sup> როგორც წესი, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დაგების განმხილველი ორგანო შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და შეთავაზებებს.

<sup>192</sup> Mavroidis, pp. 1053-1054.



ხელშეკრულებათა დამრღვევი სახელმწიფოს ქმედება მხოლოდ და მხოლოდ დაიგმოს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ, არამედ ის, რომ დავების განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ რეკომენდაციების მონიტორინგისა და ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში ეფექტური სანქციების სისტემა არსებობს. სწორედ ამ მექანიზმების არსებობით ახერხებს ვმო, იყოს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული საერთაშორისო ორგანიზაცია და შეინარჩუნოს ერთიანი სავაჭრო სისტემა უსაფრთხოების, განჭვრეტადობისა და გამჭვირვალების უზრუნველყოფით.

ვმო-ის ფარგლებში არსებულ სანქციებს ეძღვნება DSU-ის 22-ე მუხლი, რომელიც მეტად საინტერესოდ არის განმარტებული დავების განხილვის ორგანოს მიერ სხვადასხვა პრეცედენტში, რომელთა ნაწილიც მიმოხილულია წინამდებარე თავში.

საპასუხო ე.წ. „სანქციების“ მექანიზმების ბუნებასა და მიზნებთან დაკავშირებით არბიტრმა საქმეზე - *EC - Bananas III (US)* - აღნიშნა, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დათმობებისა და სხვა ვალდებულებების შემცირება მოპასუხე სახელმწიფოს წინააღმდეგ არის დროებითი ღონისძიება და გრძელდება იქამდე, სანამ მოპასუხე სახელმწიფო არ აღასრულებს რეკომენდაციებს. სწორედ ღონისძიების დროებითი ხასიათი მიზნად ისახავს რეკომენდაციების შესრულების წახალისებას ნორმის დამრღვევი სახელმწიფოს მხრიდან. ეს მიზანი ემსახურება მიყენებული ზიანის ეკვივალენტური სანქციების გამოყენებას და, შესაბამისად, ეს ღონისძიება არ ატარებს დამსჯელობით ხასიათს.<sup>193</sup> საინტერესოა, რომ ვმო-ის დავების განმხილველ ორგანოს არ აქვს დადგენილი მიზეზები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც უნდა იქნეს გამოყენებული სანქციები.<sup>194</sup> ამის განსაზღვრაც, ალბათ, შეუძლებელია, რადგან წინასწარ განჭვრეტა იმისა, თუ რატომ არ შეასრულებს ვალდებულებას მოპასუხე სახელმწიფო, თითქმის შეუძლებელია, უფრო მეტიც, მიზეზების ჩამოთვლით მოხდება სანქციების გამოყენების მექანიზმის, გარკვეულწილად, ჩაკეტვა და თუ წამოიჭრება ისეთი შემთხვევა, რომელიც ჩამონათვალში არ იქნება, მოსარჩელე სახელმწიფოს წაერთმევა ვალდებულებათა შესრულების წახალისების მთავარი ბერკეტი - სანქციებისადმი მიმართვა. სწორედ ამიტომ არბიტრმა საქმეზე - *US - Offset Act (Byrd Amendment)* - განაცხადა, რომ სანქციების გამოყენების მიზეზი გადაწყვეტილების აღსრულების წახალისების მიზნით უნდა იქნეს განხილული ყველა კონკრეტულ შემთხვევაში

<sup>193</sup> *Decision by the Arbitrators, EC - Bananas III (US) (Article 22.6-EC), WT/DS27/15*, para. 6.3; იხ. ასევე: *Decision by the Arbitrators, EC - Hormones (Article 22.6 - Canada), WT/DS26/15, WT/DS48/13*, para. 39; *Decision by the Arbitrators, EC - Bananas III (Ecuador) (Article 22.6 - EC), WT/DS26/15 WT/DS48/13*, para. 76; *Decision by the Arbitrators, Canada - Aircraft Credits and Guarantees (Article 22.6 - Canada)*, para. 3.105.

<sup>194</sup> *Decision by the Arbitrators, US - 1916 Act (EC) (Article 22.6 - US), WT/DS136/11 WT/DS162/14*, para. 5.4.

გარემოებების სრული გათვალისწინებით.<sup>195</sup> ვმო-ის დაგების განმხილველ ორგანოს აქვს დადგენილი მინიმალური სპეციფიკური სტანდარტები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს სანქციების გამოყენების უფლებამოსილების მინიჭების მოთხოვნა. საქმეზე - *EC - Hormones (US)*- არბიტრმა აღნიშნა, რომ მოთხოვნა უნდა აყალიბებდეს სანქციის სპეციალურ ფარგლებს, მაგალითად: განსაზღვრული უნდა იყოს მიყენებული ზიანის ეკვივალენტი, დაკონკრეტებული უნდა იყოს შეთანხმება და სექტორი, რომელშიც უნდა იქნეს გამოყენებული სანქცია.<sup>196</sup>

არბიტრმა არაერთ საქმეში აღნიშნა, რომ სანქციის დაწესების კონტექსტში ვალდებულებების შემცირებისას ავტორიზაციის მომთხოვნი სახელმწიფო არ არის ვალდებული, ზუსტად ჩამოთვალოს ის ვალდებულებები, რომლის შემცირებასაც აპირებს, საკმარისია მხოლოდ ხელშეკრულების დასახელება, ოღონდ აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ეს ღონისძიება უნდა იყოს იმ ზარალის ეკვივალენტური, რაც მიადგა მოსარჩელე სახელმწიფოს მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან.<sup>197</sup>

მოგების გაუქმების ან მოგებისათვის ზიანის მიყენების პარამეტრებთან დაკავშირებით არბიტრმა დაადგინა, რომ „ეფექტი ვაჭრობაზე“, როგორც მოგებაზე გავლენის მომხდენი პარამეტრი, არ არის დაფიქსირებული არც DSU-ის 22-ე მუხლსა და არც 1994 წლის GATT-ის 23-ე მუხლში. თუმცა ვმო-ის სტანდარტებთან შეუსაბამო ქმედების ვაჭრობაზე ეფექტის კუთხით განხილვა შესაბამისობაში მოდის DSU-ის 22-ე მუხლთან და უკვე კარგად დამკვიდრებული პრაქტიკაა წევრ სახელმწიფოთა ურთიერთობებში, მაგრამ აქვე ხაზგასმით არის მითითებული, რომ სხვა საქმეებზე მიღებულ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს არ აქვთ მბოჭავი პრეცედენტის ძალა.<sup>198</sup>

მოახდინა თუ არა ვაჭრობაზე გავლენა ნორმებთან შეუსაბამო ქმედებამ დაზარალებული სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე და როგორ უნდა იქნეს გამოანგარიშებული მიყენებული ზიანი, მომეტებული ინტერესის წყაროა, როდესაც საუბარია პრეცედენტებზე. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გონივრულ გათვლებს და სპეკულირების პრაქტიკის აღმოფხვრას. საქმეზე - *EC - Hormones (US)* (Article 22.6 - EC) - არბიტრმა განაცხადა: კითხვაზე, თუ როგორი იქნებოდა აშშ-ის მოგება, ევროკავშირს რომ გაეუქმებინა შეუსაბამო აქტი, პასუხი ცალსახაა - ზარალის დასადგენად, უპირატესად,

<sup>195</sup> *Decision by the Arbitrators, US - Offset Act (Byrd Amendment) (Article 22.6 - Brazil), WT/DS217/14, WT/DS234/22, para. 6.2.*

<sup>196</sup> *Decision by the Arbitrators, EC - Hormones (US) (Article 22.6 - EC), WT/DS26/15, WT/DS48/13, para. 16.*

<sup>197</sup> *Canada - Aircraft Credits and Guarantees (Article 22.6 - Canada), paragraph 4.1; Brazil - Aircraft (Article 22.6 - Brazil), paragraph 4.1; EC - Bananas III (Ecuador) (Article 22.6 - EC), paragraph 173; EC - Hormones (US) (Article 22.6 - EC), WT/DS26/15, WT/DS48/13, paragraph 84.*

<sup>198</sup> *Decision by the Arbitrators, US - Offset Act (Byrd Amendment) (Article 22.6 - Brazil), WT/DS217/14, WT/DS234/22, paras. 3.70-3.71.*

მნიშვნელოვანია, ჯეროვნად იქნეს გამოთვლილი შეუსაბამო ქმედებასა და მიღებულ ზიანს შორის მიზეზშედევობრივი კავშირი.<sup>199</sup>

## V.2 სახელმწიფოთა მიერ ვმო-ის დაგების განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილებათა აღსრულება

ზემოთ არსებული ზოგადი მიმოხილვის შემდეგ უპრიანია, აღნიშნული საკითხების კონკრეტული პრეცედენტების მაგალითზე გაანალიზება, რაც, თავის მხრივ, შეუწყობს ხელს იმის დადგენასაც, თუ რამდენად ეფექტიანია ვმო-ის ფარგლებში აღმოცენებული გადაწყვეტილებათა აღსრულების მექანიზმი, რამდენად ემორჩილებიან მას სახელმწიფოები და ხომ არ არის განსხვავება სახელმწიფოთა განვითარების დონის მიხედვით რეკომენდაციების აღსრულებასთან მიმართებით.

„მიუხედავად იმისა, საერთაშორისო ხელშეკრულების დებულებები ატარებენ „თვითშემსრულებელ“ თუ „არათვითშემსრულებელ“ ხასიათს, ორივე მათგანი სავალდებულოა და კეთილსინდისიერად უნდა შესრულდეს ხელშეკრულების მხარეების მიერ. მაგრამ, თუ „თვითშემსრულებელი“ ნორმების შემთხვევაში, სახელმწიფო ვალდებულია, უშუალოდ შეასრულოს საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები; „არათვითშემსრულებელი“ ნორმების შემთხვევაში, სახელმწიფომ, პირველ რიგში, უნდა დააკონკრეტოს საერთაშორისო ხელშეკრულების დებულებები შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიღების გზით, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების უშუალო შესრულება. „არათვითშემსრულებელი“ ნორმების შემთხვევაში, დამაზუსტებელი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიღებისაგან თავის შეკავება იწვევს საერთაშორისო-სახელმწიფოებო ვალდებულებების დარღვევას“.<sup>200</sup> სწორედ ამიტომ არის საინტერესო იმის გაანალიზება, თუ როგორი მიდგომა აქვთ ვმო-ის წევრ სახელმწიფოებს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულებისადმი.

<sup>199</sup> *Decision by the Arbitrators, EC - Hormones (US) (Article 22.6 - EC), WT/DS26/15, WT/DS48/13*, para. 41. In support of this position, the *EC - Hormones (US) (Article 22.6 - EC)* arbitrators quoted from *EC - Bananas III (US) (Article 22.6 - EC)*: “We are of the view that the benchmark for the calculation of nullification or impairment of US trade flows should be losses in US exports of goods to the European Communities and losses by US service suppliers in services supply in or to the European Communities. However, we are of the opinion that losses of US exports in goods or services *between the US and third countries* do not constitute nullification or impairment of even *indirect* benefits accruing to the US under the GATT or the GATS for which the European Communities could face suspension of concessions.” *Decision by the Arbitrators, EC - Bananas III (US) (Article 22.6-EC), WT/DS26/15, WT/DS48/13*, para. 6.12.

<sup>200</sup> კ. კორკელია, საერთაშორისო ხელშეკრულება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალში, თბ., 1998, გვ. 177-178.

## V.2.1. სახელმწიფოთა შიდა კანონმდებლობები

სახელმწიფოთა შიდა კანონმდებლობებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სამართლის ეს აბსოლუტური სუბიექტები განსხვავდებიან იმ ხედვის მიხედვით, რაც მათ აქვთ საერთაშორისო ხელშეკრულებების თანაფარდობასთან დაკავშირებით შიდა სამართალთან მიმართებით. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ „შიდასახელმწიფოებრივი სამართალი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლებრივ პოზიციას და საერთაშორისო სამართლის ფორმირების, ისევე, როგორც ფუნქციონირების მთელ პროცესს“.<sup>201</sup> სწორედ ამიტომ გამოიყოფიან სახელმწიფოები, რომლებიც იზიარებენ მონისტურ თეორიას და საკუთარ კანონმდებლობას შესაბამისად წარმართავენ ისევე, როგორც არსებობენ სახელმწიფოები, რომელთაც მისაღებად მიაჩნიათ დუალისტური თეორია. წინამდებარე თავში შეირჩა განვითარებული და განვითარებადი სახელმწიფოები, რომელთა რიგებშიც არიან როგორც მონიზმის ასევე დუალიზმის მიმდევრები. ეს საკითხი განსაკუთრებით საინტერესოა ვმო-ის პრეცედენტული სამართლის გადმოსახედიდან და სწორედ ამიტომ შეირჩა ისეთი სახელმწიფოები, რომელთაც, ამ ორი თეორიის ჭიდილის გარდა, აერთიანებთ ასევე ისიც, რომ ისინი ზოგად წარმოდგენას ქმნიან თითქმის მთელი მსოფლიოს მასშტაბით არსებულ მდგომარეობაზე, არა მარტო გეოგრაფიული მდებარეობით, არამედ იმიტაც, რომ სხვადასხვა დროს თითოეული მათგანის წინააღმდეგ სარჩელი იქნა შეტანილი ვმო-ის დავების განმხილველ ორგანოში შიდა სამართალზე აპელირებით, საერთაშორისო სახელშეკრულებო ნორმათა დარღვევის გამო.

### **V.2.1.1. განვითარებული სახელმწიფოები**

ეს ქვეთავი აერთიანებს განვითარებულ სახელმწიფოებს და პარალელურად ავლენს, აგრეთვე, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეცედენტულ სამართალთან საერთაშორისო სამართლისა და შიდა სამართლის თანაფარდობის კონტექსტში. პირველი სახელმწიფო, რომლის მიდგომის განხილვასაც ვაპირებთ ამ კუთხით, არის საფრანგეთი.

#### **V.2.1.1.1. საფრანგეთი**

საფრანგეთი მიეკუთვნება იმ სახელმწიფოთა რიცხვს, რომელთაც მონისტური თეორია უფრო იზიდავთ საერთაშორისო სამართლის ნორმათა იურიდიული ძალის თვალსაზრისით. ამ სახელმწიფოში ხელშეკრულებათა დადების ექსკლუზიური უფლებამოსილება აქვს აღმასრულებელ ხელისუფლებას, მაშინ, როდესაც ხელშეკრულების რატიფიცირების შესახებ ნებართვას გასცემს ეროვნული ასამბლეა და

<sup>201</sup> ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 2014, გვ. 18.

სენატი იმ შემთხვევაში, როდესაც შეთანხმება უკავშირდება მშვიდობას, ვაჭრობას ან საერთაშორისო ორგანიზაციას. საფრანგეთის კანონმდებლობის შესაბამისად, ხელშეკრულებას ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების შემდეგ აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდა კანონმდებლობაზე.<sup>202</sup>

აღნიშნული ასევე საინტერესოა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის გადასახედიდან და იმ მიდგომიდან, რაც აქვთ ჩამოყალიბებული ორგანიზაციის წევრებს საერთაშორისო სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების მიმართულებით.

საინტერესო ფაქტია, რომ, ხშირ შემთხვევაში, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები როცა ხვდებიან საკუთარ სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევის მიძიმე შედეგებს, მათ წინააღმდეგ უფლებადარღვეული წევრი სახელმწიფოს მიერ დავების განხილვის ორგანოსადმი მიმართვამდე ახდენენ ხოლმე ნორმის დამრღვევი ქმედების აღკვეთას ან შესაბამისი შესწორებები შეაქვთ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სადამფუძნებლო ხელშეკრულებების საწინააღმდეგო დებულებების შემცველ სამართლებრივ აქტში. სწორედ ერთი ასეთი შემთხვევა უკავშირდება აშშ-სა და საფრანგეთს შორის არსებულ დავას, რომელიც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დავების განმხილველი ორგანოს წინაშე განსახილველად არც წარდგენილა.

1998 წლის 5 მაისს აშშ-მა მოითხოვა კონსულტაციები, საფრანგეთთან ამ უკანასკნელის მიერ აკრძალული სუბსიდიების გამოყენების გამო. აშშ-ის მტკიცებით, საფრანგეთის საშემოსავლო საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, ფრანგული კომპანია შესაძლოა იღებდეს შეღავათებს გადასახადების გამოკლების სისტემის შესაბამისად, რის გამოც მას მთელი მოგების 10% უგროვდება წლის ბოლოს, იმისათვის, რათა ექსპორტის დროს, შესაძლო გართულებების არსებობის შემთხვევაში, თავი დააღწიოს მათ. სწორედ ამიტომ მიიჩნევს აშშ, რომ საფრანგეთის მიერ განხორციელებული ქმედებები ეწინააღმდეგება ვმო-ის ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებებს, კერძოდ კი სუბსიდიების შესახებ შეთანხმებას.<sup>203</sup> საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან ირკვევა, რომ საფრანგეთის კანონმდებლობა მართლაც აწესებს არათანაბარ პირობებს ქვეყნის ბაზარზე შემოსასვლელად ვმო-ის წევრ სახელმწიფოთათვის. სწორედ ამიტომ დასთანხმდა საფრანგეთი კონსულტაციის ეტაპზევე საკითხის მოგვარებას და აღარ გაამწვავა აშშ-თან ურთიერთობა იმით, რომ პანელისა და სააპელაციო პალატის წინაშე არ დააყენებინა საკითხი.

#### V.2.1.12. ნიდერლანდი

ნიდერლანდის კონსტიტუციის 90-ე მუხლის შესაბამისად, ქვეყანა პატივს სცემს საერთაშორისო სამართალს და ხელს უწყობს მის

<sup>202</sup> Aust, A., *Modern Treaty Law and Practice*, (Cambridge University Press 2007), გვ. 183-184.

<sup>203</sup> France - Certain Income Tax Measures Constituting Subsidies, DS131.

განვითარებას.<sup>204</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნიდერლანდის კონსტიტუცია მომდევნო მუხლში აკონკრეტებს: სამეფოსთვის სავალდებულო ძალა არ აქვს იმ საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელიც პარლამენტის შესაბამისი აქტით არ იქნება დამტკიცებული.<sup>205</sup> მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა ამავე მუხლის მორიგი ნაწილი, სადაც ხაზგასმულია, რომ, როცა ხელშეკრულების რომელიმე ნორმა ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, მაშინ უპირატესობა ენიჭება ხელშეკრულების ნორმას, თუკი წარმომადგენელთა პალატის დამსწრეთა 2/3 დაეთანხმება ამას.<sup>206</sup> თუმცა ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციის 93-ე-94-ე მუხლებში საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებები იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ გამოქვეყნების შემდეგ და მას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა მოქმედ სტატუტებთან მიმართებით, თუ ამ უკანასკნელთა ნორმები წინააღმდეგობაში მოდიან ხელშეკრულებებთან.<sup>207</sup>

წინა საქმის მსგავსად, წინამდებარე დავაც აშშ-სა და ნიდერლანდს შორის კონსულტაციების ეტაპზე დამთავრდა და შემდგომი განვითარება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დავების განმხილველ ორგანოში გადასაწყვეტად წარდგენის მიმართულებით არ მოჰყოლია.

ქვემოთ მოცემული საქმე საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ის წარმოდგენას გვიქმნის, თუ როგორი სავაჭრო კანონმდებლობა აქვს თავად ისტორიული გადასახედიდან ვაჭრობის ერთ-ერთ პიონერ სახელმწიფოს - ნიდერლანდის სამეფოს და, ამასთანავე, როგორი ურთიერდამოკიდებულება აქვთ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს დარღვეული ნორმიდან გამომდინარე უფლება/ვალდებულებების განმარტების მიმართულებით.

1998 წლის 5 მაისს აშშ-მა მოითხოვა კონსულტაციები ნიდერლანდთან, რადგანაც, მისი მტკიცებით, ნიდერლანდის საშემოსავლო გადასახადის კანონმდებლობის შესაბამისად, ექსპორტიორებს შეეძლოთ, შეექმნათ სარეზერვო ფონდები ექსპორტიდან მიღებული შემოსავლის წყალობით, რაც, თავის მხრივ, ეწინააღმდეგება სუბსიდიების შესახებ შეთანხმებას.<sup>208</sup> ნიშანდობლივია, საფრანგეთის მსგავსად, ეს საკითხიც არ გასცდა კონსულტაციებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ნიდერლანდმა გამოხატა მზაობა, თავისი კანონმდებლობა მოეყვანა ვმო-ის ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებებთან შესაბამისობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, აშშ საქმეს დააყენებდა პანელისა და სააპელაციო პალატის წინაშე და უკვე მათ მიერ მიღებული რეკომენდაციებით ეცდებოდა ნიდერლანდის იძულებას, შეესრულებინა საერთაშორისო ვალდებულებები, რაც არც

<sup>204</sup> The Constitution of Netherlands, (2008), 90-ე მუხლი, ხელმისაწვდომია: <<http://www.legislationline.org>>.

<sup>205</sup> იქვე, 91-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>206</sup> იქვე, 91-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

<sup>207</sup> იქვე, 93-ე-94-ე მუხლები. The Constitution of Netherlands, 90-ე მუხლი, ხელმისაწვდომია: <<http://www.legislationline.org>>.

<sup>208</sup> Netherlands - Certain Income Tax Measures Constituting Subsidies, DS128.

პოლიტიკურად და არც სამართლებრივ-ეკონომიკურად არ არის მომგებიანი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოებისათვის, მიუხედავად ტერიტორიის სიდიდისა, პოლიტიკური გავლენისა თუ ეკონომიკური განვითარების დონისა.

### V.2.1.13. პოლონეთი

მორიგი სახელმწიფო, რომელმაც მიიპყრო ჩვენი ყურადღება, არის პოლონეთი, რომლის კონსტიტუციის შესაბამისადაც, პოლონეთში სამართლის წყაროებია: კონსტიტუცია, სტატუტები, რატიფიცირებული საერთაშორისო შეთანხმებები და რეგულაციები.<sup>209</sup> საერთაშორისო ხელშეკრულებები იძენენ იურიდიულ ძალას რესპუბლიკის კანონთა ჟურნალში გამოქვეყნების შემდეგ და უპირატესი ძალით სარგებლობენ სტატუტებზე იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო ხელშეკრულებებს. ვმო-ის კუთხით კი, მნიშვნელოვანია კონსტიტუციის შემდეგი ჩანაწერი: თუ რატიფიცირებული შეთანხმება აფუძნებს რომელიმე ორგანიზაციას, მაშინ კანონები, რომლებიც გამომდინარეობენ ასეთი შეთანხმებიდან, სარგებლობენ უპირატესობით შიდა სამართალთან მიმართებით.<sup>210</sup> საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობის საკითხის გასარკვევად არ არის საკმარისი მხოლოდ კონსტიტუციაში არსებული ნორმების დამოწმება, არსებითი მნიშვნელობისაა, თუ როგორ ასრულებს სახელმწიფო ამ ნორმებს და რამდენად ემორჩილება ის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში დადებულ შეთანხმებებს. ამ მხრივ საინტერესოა დავების განმხილველ ორგანოში პოლონეთის წინააღმდეგ შეტანილი პრეტენზიის განხილვა. საკითხი ასე იდგა: 1995 წლის 28 სექტემბერს ინდოეთმა დავების განმხილველ ორგანოს მოსთხოვა კონსულტაციების დაწყება პოლონეთთან ამ უკანასკნელის მიერ ევროპული გაერთიანების ქვეყნებისთვის ავტომობილებზე სატარიფო შეღავათების დადგენის შესახებ, რასაც მოკლებული იყო ინდოეთი პოლონეთის ბაზარზე. განსაკუთრებით საინტერესო კი არის ის, რომ 1996 წლის 16 ივლისს მხარეებმა შეტყობინება გაუგზავნეს დავების განმხილველ ორგანოს მათ შორის შეთანხმების არსებობის შესახებ.<sup>211</sup> ეს ფაქტი, თავის მხრივ, ამყარებს იმ პოზიციას, რომ საერთაშორისო სამართალი პატივს სცემს შიდა სამართალში არსებულ ნორმათა იერარქიას, თუმცა მაინც აცხადებს, რომ საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოეწერება, უნდა შესრულდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფო დაექვემდებარება მთელ რიგს სანქციებისას, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ეს

<sup>209</sup> The Constitution of the Republic of Poland, 2 April 1997, 87-ე მუხლი, ხელმისაწვდომია: <<http://www.sejm.gov.pl>>.

<sup>210</sup> იქვე, 91-ე მუხლი.

<sup>211</sup> Poland - Import Regime for Automobiles, DS19, ხელმისაწვდომია: <<http://www.wto.org>>.

სახელშეკრულებო ნორმა უკავშირდება ე.წ. „კლუბის“, როგორც ამას ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში ეძახიან, ეკონომიკურ ინტერესებს.

#### V.2.1.14. კანადა

კანადის 1982 წლის კონსტიტუციური აქტი არ შეიცავს საგარეო საქმეებთან დაკავშირებულ სპეციალურ ნორმას, თუმცა ამ სახელმწიფოს პრაქტიკაში, უფრო კონკრეტულად კი საქმეში - *კანადის იუსტიციის მინისტრი ონტარიოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ* - აღინიშნა, რომ ფედერალურ მთავრობას აქვს კანადის სახელით საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების ექსკლუზიური უფლებამოსილება. თუმცა საინტერესოა ასევე ზევით აღნიშნულ საქმეზე წარმოთქმული შემდეგი სიტყვები: „მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ განსხვავება არსებობს ხელშეკრულების შექმნასა და მის ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას შორის. ხელშეკრულებათა შექმნა აღმასრულებელი აქტია, ხოლო მათი შესრულება მოითხოვს შესაბამისი კანონმდებლობის შექმნას, რადგანაც ქვეყნების უმრავლესობაში ასეა და ხელშეკრულება პირდაპირ იშვიათად თუ მოქმედებს ქვეყნის ტერიტორიაზე. პარლამენტი ახორციელებს კონსტიტუციურ კონტროლს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, მაგრამ ის არ არის სადავო, რომ ხელშეკრულებათა დადება აღმასრულებლის უფლებამოსილებაა. ზოგიერთ შემთხვევაში პარლამენტმა შესაძლოა, უარი თქვას სახელმწიფოს მხრიდან ხელშეკრულებათა შესრულებაზე და ამით ქვეყანა დაარღვევს საერთაშორისო სამართლის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს.“<sup>212</sup> მიუხედავად იმისა, რომ ვერ შევძელით კანადაში არსებული სამართლის ნორმათა იერარქიის ზუსტი მონაცემების დადგენა, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციიდანაც კარგად ჩანს ის უმთავრესი მიზანი, რომლის წარმოჩენასაც ისახავს მიზნად წინამდებარე ნაშრომი, კერძოდ, საერთაშორისო სამართლის პრიმატის შიდა სამართალთან მიმართებით. მსჯელობამ უფრო კონკრეტული სახე რომ მიიღოს, კვლავ დავიმოწმებთ უკვე აღნიშნულ წინადადებას: პარლამენტმა შესაძლოა, არ დაუჭიროს მხარი საერთაშორისო ხელშეკრულების შესრულებას, მაგრამ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებშიც იმავეს განხორციელებას შეძლებს თუ არა კანადა, ეს კიდევ საკითხავია. ამ მხრივ საინტერესოა შემდეგი საქმის მოხმობა: 1996 წლის 11 მარტს აშშ-მა მოითხოვა ჯერ კონსულტაციები და შემდეგ უკვე პანელისა და სააპელაციო პალატების მოწვევა, რადგანაც ამტკიცებდა, რომ კანადის მიერ გარკვეული სახეობის ჟურნალების იმპორტის აკრძალვა და შეზღუდვა ეწინააღმდეგებოდა GATT-ის XI მუხლს, ხოლო ადგილობრივი მსგავსი პროდუქციისათვის შეღავათიანი პირობების დადგენა არღვევდა ამავე GATT-ის III მუხლს. პანელმა დაადგინა, რომ კანადა, მართლაც, არღვევდა საერთაშორისო ხელშეკრულებით

<sup>212</sup> National Commission to Review the Working of the Constitution, A Consultation Paper\*on Treaty-Making Power Under Our Constitution, January 8, 2001, ხელმისაწვდომია: <<http://lawmin.nic.in>>.



ნაგულებ ვაღდებულებებს. სააპელაციო პალატას არსებითად არ შეუცვლია პანელის გადაწყვეტილება, უბრალოდ, უფრო დააკონკრეტა და აღნიშნა, რომ კანადის მიერ განხორციელებული ქმედებები ეწინააღმდეგებოდა GATT-ის III მუხლის მეორე წინადადებას. 1998 წლის 21 ოქტომბერს კანადამ შეატყობინა დავების განმხილველ ორგანოს, რომ ის აღასრულებდა რეკომენდაციებს ამავე წლის 30 ოქტომბერს. საბოლოოდ, კანადამ აღასრულა მის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილება.<sup>213</sup> ეს ფაქტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სამართლის ძლიერ გავლენას სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური ურთიერთობების წარმართვის პროცესში.

#### V.2.1.1.5. აშშ

კანადისაგან განსხვავებით აშშ-ში სამართლის ნორმათა იერარქიის მხრივ უფრო გარკვეულია მდგომარეობა. კერძოდ, აშშ-ში მიაჩნიათ, რომ, რადგანაც საერთაშორისო ხელშეკრულება არის ქვეყნის კანონმდებლობის ნაწილი, შესაძლოა, ის წინააღმდეგობაში მოვიდეს აშშ-ის შიდა კანონმდებლობასთან. სწორედ ამიტომ ამ ქვეყანაში სამართლის ნორმათა იერარქია შემდეგნაირად ჩამოაყალიბეს: ხელშეკრულებებს უპირატესი იურიდიული ძალა აქვთ საერთო სამართალთან მიმართებით; ხელშეკრულებები უფრო მაღლა დგანან, ვიდრე შტატების კანონები; კონსტიტუცია ყოველთვის სარგებლობს უპირატესობით საერთაშორისო ხელშეკრულებებთან მიმართებით, იმ გამონაკლისით, რომ, როდესაც საკითხი ეხება ადამიანის უფლებებს, შესაძლოა, კონსტიტუცია არ იქნეს უპირატესად მიჩნეული.<sup>214</sup>

სამართლის ნორმების იერარქიის განსაზღვრისა და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სადამფუძნებლო ხელშეკრულებებისადმი მისი შესაბამისობის დადგენის კვალდაკვალ არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ასევე იმის გარკვევას, თუ რამდენად ემორჩილება ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც თავად გვევლინება ვმო-ის შექმნის იდეის მთავარ ავტორად, ამ ორგანიზაციის მიერ დადგენილ „თამაშის წესებს“ და განასხვავებს თუ არა ის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სახელმწიფოებს მათი განვითარების დონითა თუ ეკონომიკური სიძლიერით, როდესაც საკითხი ეხება სახელშეკრულებო ვაღდებულებათა შესრულების პროცესს.

ამ მხრივ საინტერესოა ტაილანდსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის არსებული დავა ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ ზოგადი შეთანხმების გარშემო. 2008 წლის 26 ნოემბერს ტაილანდმა მოითხოვა კონსულტაციების დაწყება, შემდეგ კი პანელისა და სააპელაციო პალატის მოწვევა, რადგანაც აშშ არღვევდა დამპინგის საწინააღმდეგო შეთანხმების მე-2.4.2 მუხლსა და GATT-ის VI მუხლს, რადგანაც, მის მიერ განხორციელებული ქმედებების შესაბამისად,

<sup>213</sup> Canada - Certain Measures Concerning Periodicals, DS31.

<sup>214</sup> supra note 202, გვ. 198.

გამოიყენებოდა ე.წ. „განულები“ პრაქტიკა, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობდა დამპინგის გავრცელებას და მისი საზღვრების შესუსტებას. პანელმა და სააპელაციო პალატამ დაადგინეს აშშ-ის მხრიდან დარღვევები და გასცეს რეკომენდაცია შესაბამისი აქტის ვმო-ის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისობაში მოყვანის შესახებ. 2010 წლის 31 მარტს ტაილანდმა და აშშ-მა დავების განმხილველ ორგანოს შეატყობინეს, რომ ისინი შეთანხმდნენ რეკომენდაციის შესასრულებლად 6-თვიან გონივრულ ვადაზე, რომელიც იწურებოდა იმავე წლის 18 აგვისტოს. 31 აგვისტოს კი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აცნობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციას, რომ მან საკუთარი ქმედებები მოიყვანა დავების განმხილველი ორგანოს პანელისა და სააპელაციო პალატის რეკომენდაციებთან შესაბამისობაში.<sup>215</sup> ეს საკითხი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, თუ როგორი სიფაქიზით ეკიდებიან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები ორგანიზაციის სადამფუძნებლო დოკუმენტებში გაცხადებულ საერთაშორისო ვაჭრობის მომწესრიგებელი პრინციპებისადმი ერთგულებას, იმის გაცნობიერებით, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული მეტადრე მოწესრიგებული სავაჭრო სისტემა ისევე მათ წინააღმდეგ იმოქმედებს, თუ თავად ისინი არ უზრუნველყოფენ საერთო თამაშის წესებისადმი ერთგულებას. აღნიშნული ასევე ხაზს უსვამს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში არსებული სამართლის სიძლიერესა და გავლენას წევრი სახელმწიფოების შიდა კანონმდებლობასთან მიმართებით. მსოფლიო სავაჭრო სისტემას სხვა სისტემებთან შედარებით ცალსახად შეუძლია, ჰქონდეს ამბიციის, რომ ის მეტ-ნაკლებად აბალანსებს პოლიტიკით მოცული სამართლის ყბადაღებულ დილემას, როცა აცხადებს, რომ საერთაშორისო სავაჭრო დავების 90% ექვემდებარება შესაბამისი სამართლით განხილვასა და წევრ სახელმწიფოთა მიერ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სამართალზე დაყრდნობით მიღებული რეკომენდაციების შესრულებას.

**V.2.1.1.6. იაპონია**

იაპონიის შერჩევა ნაშრომის მიზნებისათვის განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მისი სამართლებრივი სისტემა საგრძნობლად განსხვავებულია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დანარჩენი წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი სისტემისაგან. განსხვავებულობის მთავარი არსი ისაა, რომ იაპონიის სამართლებრივ სისტემაზე ერთდროულად იგრძნობა სხვადასხვა სახელმწიფოს სამართლებრივი კულტურების გავლენა, კერძოდ, იაპონიის სამართლებრივი სისტემა განიცდის გერმანიისა და საფრანგეთის კანონმდებლობის გავლენას, თუმცა ადამიანის უფლებათა დაცვის ნაწილში მასზე ზემოქმედებას

<sup>215</sup> *United States - Anti-Dumping Measures on Polyethylene Retail Carrier Bags from Thailand, DS383.*

ახდენს ამერიკის შეერთებული შტატების სამართლის სისტემა; სწორედ ამიტომ არის, რომ იაპონიის სამართლის ფორმირების სტილი ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად არის კონტინენტურ და ანგლოამერიკულ სამართალთა ჰიბრიდი.<sup>216</sup>

სამართლის ნორმათა იერარქიის კუთხით კი იაპონიის კონსტიტუცია შემდეგ ფორმულირებას აყალიბებს: კონსტიტუციას აქვს უმაღლესი იურიდიული ძალა და არც ერთი კანონი - ორდონანსი, საიმპერიო ბრძანება ან, თუნდაც, სამთავრობო აქტი - არ არის იურიდიული ძალის მქონე, თუ ის ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. საერთაშორისო ხელშეკრულებების ადგილზე სამართლის ნორმათა იერარქიულ საფეხურზე საგანგებო მითითება იაპონიის კონსტიტუციაში არ გვხვდება, თუმცა ქვეყნის ძირითადი კანონი საკმაოდ საინტერესო ჩანაწერს ინახავს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით: იაპონიის მიერ დადებული ხელშეკრულებები უნდა შესრულდეს კეთილსინდისიერად.<sup>217</sup>

იაპონია გამორჩეულია იმითაც, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დავების განმხილველ ორგანოს მოუწია განსაკუთრებული სირთულის საქმის განხილვა ამ ქვეყნის წინააღმდეგ. კერძოდ, დავა შეეხებოდა იაპონიაში წარმოებულ ალკოჰოლურ სასმელ „სოშუს“ და, ამავე დროს, ეს დავა იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფოთაშორისი დავა, რომელიც განხილულ იქნა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მისი ოფიციალურად დაარსებიდან 6 თვის თავზე.

1995 წლის 21 ივნისს ევროპულმა გაერთიანებამ, კანადამ და აშშ-მა მოითხოვეს კონსულტაციები იაპონიასთან, და შემდეგ უკვე საკითხის განხილვა მოხდა პანელისა და სააპელაციო პალატის სხდომებზე. საქმის მიხედვით, მოსარჩელეები აცხადებდნენ, რომ იაპონიის საგადასახადო სისტემა, რომელიც ლიკიორების დაბეგვრის რეჟიმს ადგენდა, წინააღმდეგობაში მოდიოდა GATT-თან, რადგანაც იაპონურ „სოშუს“ უფრო შეღავათიანად ბეგრავდა, ვიდრე განმცხადებელთა მიერ შემოტანილ მსგავს პროდუქციას. როგორც პანელმა, ასევე სააპელაციო პალატამ დაადგინეს, იაპონიის საგადასახადო სისტემა წინააღმდეგობაში მოდიოდა GATT-ის III,2 მუხლთან (ეს მუხლი ადგენს ეროვნული მოპყრობის რეჟიმს იმ გარემოებაზე ხაზგასმით, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი სახელმწიფო ერთიანი მოპყრობის რეჟიმს უნდა ადგენდეს ორგანიზაციის ყველა წევრი სახელმწიფოდან იმპორტირებულ და ეროვნულ დონეზე წარმოებულ მსგავს პროდუქტებზე), რაც საჭიროებდა გამოსწორებას. 1998 წლის 1 თებერვალს დავების განმხილველმა ორგანომ მიიღო შეტყობინება იაპონიის მიერ გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ.<sup>218</sup>

<sup>216</sup> Makoto Ibusuki, Revised by Takako Okada, 'update: Japanese Law via the Internet', Published February 2009, ხელმისაწვდომია: <<http://www.nyulawglobal.org>>.

<sup>217</sup> The Constitution of Japan, (1994); 98-ე მუხლი, ხელმისაწვდომია: <<http://history.hanover.edu>>.

<sup>218</sup> Japan - Taxes on Alcoholic Beverages, DS8.

### V.2.1.1.7. საბერძნეთი

საბერძნეთში კონსტიტუცია არის ქვეყნის უზენაესი კანონი, მაგრამ, კონსტიტუციის 28-ე მუხლის შესაბამისად, საბერძნეთის მიერ რატიფიცირებული ხელშეკრულებები ისევე, როგორც ევროპული გაერთიანების კანონმდებლობა, უპირატესი იურიდიული ძალით სარგებლობენ შიდა კანონმდებლობასთან მიმართებით.<sup>219</sup> საერთაშორისო საჯარო სამართალი არის საჯარო სამართლის ნაწილი და სახელისუფლო ორგანოები უნდა მოქმედებდნენ კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საზღვრების ფარგლებში.<sup>220</sup>

საბერძნეთი ისევე ჯეროვნად ასრულებს ვმო-ის ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებებს, როგორი პატივისცემაც აქვს გამოხატული საერთაშორისო ხელშეკრულებების მიმართ უზენაეს კანონში. ამის აშკარა გამოხატულებაა მის წინააღმდეგ დავების განმხილველ ორგანოში შეტანილი განცხადების გულისხმიერად განხილვა და მოწინააღმდეგე სახელმწიფოსთან შეთანხმების მიღწევა. ეს ყველაფერი დასტურდება იმით, რომ 1998 წლის 30 აპრილს აშშ-მა განცხადება შეიტანა დავების განმხილველ ორგანოში საბერძნეთის წინააღმდეგ, რადგანაც მისი შიდა კანონმდებლობა არ იცავდა საავტორო უფლებებს, რის შედეგადაც საკმაოდ დიდი რაოდენობის სატელევიზიო სადგურები აჩვენებდნენ საავტორო უფლებების დაცვის გარეშე სხვადასხვა ფილმსა თუ სატელევიზიო პროგრამას. ამიტომ აშშ მოითხოვდა, საბერძნეთის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის მიღებას და არსებულის დახვეწას, იმისათვის, რომ ამ უკანასკნელს უზრუნველყო ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ვმო-ის ფარგლებში დადებული ხელშეკრულების 41-ე და 61-ე მუხლების დაცვა. 2001 წლის 20 მარტს მხარეებმა აცნობეს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დავების განმხილველ ორგანოს მათ შორის მიღწეული შეთანხმების შესახებ.<sup>221</sup> როგორც წინამდებარე ქვეთავიდან გახდა ცნობილი, განვითარებულ სახელმწიფოებს შორის არ არის სხვაობა ვმო-ის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, მათი შიდა კანონმდებლობა სამართლის ნორმათა იერარქიის მხრივ განსხვავებულ ხედვას აყალიბებდეს. საინტერესოა, თუ არის რამე განსხვავება განვითარებად სახელმწიფოებს შორის ამ კუთხით? სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ისახავს მიზნად მომდევნო ქვეთავი.

<sup>219</sup> The Constitution of Greece, (2008); 28-ე მუხლი, ხელმისაწვდომია: <<http://www.ministryofjustice.gr>>.

<sup>220</sup> Panezi, M., 'A Description of the Structure of the Hellenic Republic, the Greek Legal System, and Legal Research', Published April 2006, ხელმისაწვდომია: <<http://www.nyulawglobal.org>>.

<sup>221</sup> Greece - Enforcement of Intellectual Property Rights for Motion Pictures and Television Programs, DSI25.

## V.2.1.2 განვითარებადი სახელმწიფოები

როგორც უკვე აღინიშნა, წინამდებარე ქვეთავი საერთაშორისო და შიდა სამართლის თანაფარდობას განიხილავს განვითარებადი სახელმწიფოების მაგალითზე და აანალიზებს იმ განსხვავებებს, რაც შეიძლება არსებობდეს სამართლის ნორმათა იერარქიის მხრივ ასეთ სახელმწიფოებში. ხაზგასასმელია, რომ ამ ქვეთავში არ მოხვდა საქართველო და ის მომდევნო თავში იქნება განხილული, გამონაკლისებთან ერთად, რაც ვმო-ის ფარგლებში დადგენილი რეჟიმიდან გამომდინარეობს და სპეციალურ პირობებს ადგენს განვითარებადი ქვეყნებისთვის, რადგან საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ამ შეღავათებით სარგებლობა არა მარტო უკვე არსებულ რამდენიმე სახელმწიფოში, არამედ ვმო-ის წევრ ყველა სახელმწიფოში.

### V.2.1.2.1. ინდოეთი

პირველი სახელმწიფო, რომელმაც მიიპყრო ჩვენი ყურადღება განვითარებადი ქვეყნებიდან, არის ინდოეთი. ეს უკანასკნელი საინტერესოა იმ მხრივ, რომ მას განსხვავებული დამოკიდებულება აქვს საერთაშორისო ხელშეკრულებთან, უფრო ზუსტად კი, კონსტიტუცია საერთოდ არ შეიცავს ნორმებს ხელშეკრულებათა იურიდიული ძალის შესახებ - მისი მე-13 მუხლი ადგენს, რომ კონსტიტუცია არის უზენაესი კანონი და რომ სხვა კანონები უნდა შეესაბამებოდნენ მას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, კანონი მოიცავს ნებისმიერ ორდონანსს, ბრძანებას, წესს, რეგულაციას, ადგილობრივი ორგანოების დადგენილებებს, ჩვეულებებს, რომელთაც აქვთ იურიდიული ძალა. ასეთი ძალის მქონეა ისეთი ნორმები, რომლებიც მიღებულია ლეგისლაციის ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ ინდოეთის ტერიტორიაზე.<sup>222</sup> თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ იერარქიაში საერთაშორისო ხელშეკრულებებს მკაცრად განსაზღვრული ადგილი არა აქვთ, კონსტიტუციის 51-ე მუხლი მაინც აღიარებს საერთაშორისო შეთანხმებებისადმი პატივისცემას.<sup>223</sup> სხვა წყაროს მიხედვით კი, კონვენციები, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან სტატუტებსა და მორალს, შეზღუდულად, მაგრამ მაინც, შეიძლება გამოიყენონ ადგილობრივმა სასამართლოებმა მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.<sup>224</sup>

1996 წლის 2 ივლისს აშშ-მა მოითხოვა კონსულტაციები, შემდეგ კი პანელისა და სააპელაციო პალატის მოწვევა ინდოეთის წინააღმდეგ, რადგანაც ამ უკანასკნელის შიდა კანონმდებლობა წინააღმდეგობაში მოდიოდა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ ხელშეკრულებასთან. პანელმა და სააპელაციო პალატამ განიხილეს

<sup>222</sup> The constitution of india, (2007); ხელმისაწვდომია: <<http://aptel.gov.in>>, მე-13 მუხლი.

<sup>223</sup> *ibid.*, 51-ე მუხლი.

<sup>224</sup> India - Legal System, <http://www.asiatradehub.com/india/legal.asp>.

საქმე და დაადგინეს, რომ ინდოეთმა არ შეასრულა თავისი ვალდებულებები ინტელექტუალური საკუთრების შესახებ შეთანხმების 70.8 მუხლის შესაბამისად იმით, რომ არ შეიმუშავა ადეკვატური მექანიზმი, რომელიც დაიცავდა ფარმაცევტულ საშუალებათა პატენტის სიახლესა და პრიორიტეტულობას, ისევე როგორც ამ სახელმწიფომ არ უზრუნველყო ექსკლუზიური გაყიდვის პირობების შეთავაზება. ინდოეთმა 1999 წლის 28 აპრილს აცნობა დავების განმხილველ ორგანოს, რომ მან შესაბამის კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანით უზრუნველყო გადაწყვეტილების აღსრულება.<sup>225</sup>

#### V.2.1.2.2. ტაილანდი

ტაილანდის კონსტიტუციის მიხედვით, ეს უკანასკნელი გვევლინება ქვეყნის უზენაეს კანონად. ნებისმიერი კანონი, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, კარგავს იურიდიულ ძალას.<sup>226</sup> თუკი კონსტიტუციის არცერთი მუხლი არ აწესრიგებს შემთხვევას, მაშინ საკითხი უნდა გადაწყდეს დემოკრატიული რეჟიმის მიერ დადგენილი კონსტიტუციური პრაქტიკის შესაბამისად.<sup>227</sup> ნიშანდობლივია, რომ ტაილანდის კონსტიტუციაში საერთაშორისო ხელშეკრულება მხოლოდ ერთხელ არის ნახსენები და ისიც ეროვნული ასამბლეის მიერ ხელშეკრულებათა დამტკიცების კონტექსტში.<sup>228</sup>

1998 წლის 6 აპრილს პოლონეთმა მოითხოვა კონსულტაციების დაწყება ტაილანდთან, ხოლო შემდეგ პანელისა და სააპელაციო პალატის მოწვევა, რადგანაც ტაილანდის მიერ დადგენილი გადასახადები ეწინააღმდეგებოდა დამპინგის წინააღმდეგ შეთანხმების მე-2, მე-3, მე-5 და მე-6 მუხლებს. საქმეზე დადგინდა, რომ ტაილანდს უნდა შეეცვალა ის შიდასამართლებრივი აქტი, რომლის შესაბამისადაც ირღვეოდა დამპინგის წინააღმდეგ არსებული შეთანხმება და არათანაბარ პირობებში აყენებდა მხარეებს. ტაილანდმა შეტყობინება გაუგზავნა დავების განმხილველ ორგანოს, რომ ის ცდილობდა, გაეკეთებინა ყველაფერი, რათა არსებული მდგომარეობიდან ყველაზე მოსახერხებელი გამოსავალი ეპოვა. შედეგად უკვე 2001 წლის 18 დეკემბერს დავების განმხილველმა ორგანომ მიიღო ცნობა ტაილანდის მიერ რეკომენდაციების სრულად აღსრულების შესახებ.<sup>229</sup>

#### V.2.1.2.3. ინდონეზია

<sup>225</sup> India - Patent Protection for Pharmaceutical and Agricultural Chemical Products, DS50.

<sup>226</sup> Thailand Constitution, მე-6 სექცია, (2007); ხელმსაწვდომია: <<http://www.icrc.org>>.

<sup>227</sup> *ibid.*, მე-7 სექცია.

<sup>228</sup> *ibid.*, 159-ე სექცია.

<sup>229</sup> Thailand - Anti-Dumping Duties on Angles, Shapes and Sections of Iron or Non-Alloy Steel and H Beams from Poland, DS122.

ინდონეზიის კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტი ხალხის წარმომადგენელთა საბჭოს თანხმობით დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს სხვა სახელმწიფოებთან. ხალხის ცხოვრებასა და სახელმწიფოს ფინანსურ ტვირთზე არსებითი გავლენის მატარებელი საერთაშორისო ხელშეკრულებების ასამოქმედებლად საჭიროა ხალხის წარმომადგენელთა საბჭოს მიერ მოწონებული კანონის მიღება.<sup>230</sup> საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს, თუ რამდენად შეესაბამება კანონი კონსტიტუციას.<sup>231</sup>

1996 წლის 3 ოქტომბერს ევროპულმა გაერთიანებამ, ხოლო შემდეგ კი იაპონიამ და აშშ-მა მოითხოვეს კონსულტაციები ინდონეზიასთან, რადგან ეს უკანასკნელი ეროვნული საავტომობილო აქტის შესაბამისად ეროვნული პროდუქციის იმპორტს ათავისუფლებდა საბაჟო და ფუფუნების საგნებზე არსებული გადასახადებისაგან, რაც, განმცხადებლების მოსაზრებით, ეწინააღმდეგებოდა GATT-ის I, III,2 და III,4 მუხლებს. პანელმა და სააპელაციო პალატამ დაადგინეს დარღვევა ინდონეზიის მხრიდან და გასცეს რეკომენდაცია ამ უკანასკნელის მიერ დარღვევის აღმოფხვრის შესახებ. 1999 წლის 15 ივლისს ინდონეზიამ აცნობა დაეების განმხილველ ორგანოს, რომ მან ახალი აქტის მიღებით აღასრულა რეკომენდაციები.<sup>232</sup>

#### V.2.1.2.4. მალაიზია

მალაიზიის კონსტიტუციის მიხედვით, კონსტიტუცია არის ფედერაციის უზენაესი კანონი და ნებისმიერი სამართლებრივი აქტი, რომელიც მიღებულია მერდეკას დღის შემდეგ, კარგავს იურიდიულ ძალას, თუ ის ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.<sup>233</sup> პარლამენტი იღებს კანონს საერთაშორისო ხელშეკრულების, შეთანხმების ან კონვენციის იმპლემენტაციისათვის, რომელიც დადებულია მალაიზიასა და სხვა სახელმწიფოს შორის, ისევე, როგორც იმ საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებათა აღსასრულებლად, რომელთა წევრიც არის ფედერაცია.<sup>234</sup> მალაიზიის სამართლებრივი სისტემა ეფუძნება ინგლისის საერთო სამართალს, უზენაესი სასამართლოს მიერ განხორციელებულ საკანონმდებლო აქტების მიმოხილვას და ისლამურ სამართალს მუსლიმებთან მიმართებით, როდესაც საკითხი ეხება საოჯახო სამართალსა და რელიგიას. ფედერაცია არ აღიარებს ICJ-ს სავალდებულო იურისდიქციას.<sup>235</sup>

<sup>230</sup> The 1945 Constitution of the Republic of Indonesia As amended by the First Amendment of 1999, the Second Amendment of 2000, the Third Amendment of 2001 and the Fourth Amendment of 2002, მე-11 მუხლი, ხელმისაწვდომია: <<http://www.indonesia-ottawa.org>>.

<sup>231</sup> *ibid.*, 24-ე C მუხლი.

<sup>232</sup> *Indonesia - Certain Measures Affecting the Automobile Industry, WT/DS54, WT/DS55 and WT/DS64, WT/DS59.*

<sup>233</sup> Constitution of Malaysia, (2010); მე-4 მუხლი, ხელმისაწვდომია: <<http://confinder.richmond.edu>>.

<sup>234</sup> იქვე, 76-ე მუხლი.

<sup>235</sup> Malaysia, Legal system, ხელმისაწვდომია: <<http://www.indexmundi.com>>.

1995 წლის 10 იანვარს სინგაპურმა მოითხოვა კონსულტაციები მაღაიზიასთან, რადგანაც, მისი აზრით, ეს უკანასკნელი პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის იმპორტზე დაწესებული შეზღუდვებით, რაც 1994 წლის №5 ბრძანებით დადგინდა, ეწინააღმდეგებოდა მაღაიზიის მიერ ვმო-ის ფარგლებში ნაგულებ ვაღდებულებებს, თუმცა მოგვიანებით სინგაპურმა გადაწყვიტა სარჩელის უკან გამოხმობა.<sup>236</sup>

#### V.2.12.5. ფილიპინები

ფილიპინების კონსტიტუციის მე-2 მუხლის შესაბამისად, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები გამოცხადებულია ქვეყნის შიდა სამართლის ნაწილად და ის გამოხატავს თავის პატივისცემას მშვიდობის, თანასწორობის, სამართლისა და თავისუფლების მიმართ.<sup>237</sup> არცერთი ხელშეკრულება ან საერთაშორისო შეთანხმება არ სარგებლობს იურიდიული ძალით, თუ, სულ მცირე, სენატის წევრთა 2/3-მა არ დაუჭირა მხარი.<sup>238</sup>

1997 წელს აშშ-მა მოითხოვა, რომ ფილიპინებს აემოქმედებინა დადგენილი სატარიფო განაკვეთების კვოტები ღორისა და ფრინველის ხორცზე, რადგანაც მათი გადადებით ზიანდებოდა აშშ-ის ინტერესები და სახეზე იყო GATT-ის III, X, XI მუხლების დარღვევა, რადგანაც, არსებული სისტემის შესაბამისად, ასეთი საქონლით ვაჭრობიდან სარგებლის მიღება ხდებოდა შეუძლებელი. 1998 წლის 12 მარტს მხარეებმა გადავრცელეს ცნობები მათ შორის მიღწეული შეთანხმების შესახებ.<sup>239</sup>

#### V.2.12.6. პერუ

აღსანიშნავია, რომ პერუს კონსტიტუციაში სპეციალური თავი, კერძოდ კი მე-11, აქვს დათმობილი საერთაშორისო ხელშეკრულებებს. კონსტიტუციის 55-ე მუხლის შესაბამისად, მთავრობის მიერ დადებული და მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებები არის ეროვნული კანონმდებლობის ნაწილი.<sup>240</sup> კონგრესმა უნდა დაამტკიცოს ის ხელშეკრულება, რომელიც ქმნის, ცვლის ან აუქმებს გადასახადებს და რომელიც მოითხოვს სპეციალური კანონის მიღებას იმისათვის, რათა გამოყენებულ იქნეს სახელმწიფოს ტერიტორიაზე.<sup>241</sup> იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება გავლენას ახდენს კონსტიტუციის რომელიმე

<sup>236</sup> *Malaysia - Prohibition of Imports of Polyethylene and Polypropylene WT/DS1.*

<sup>237</sup> *Philippine Constitution (1987), მე-2 მუხლი, ხელმისაწვდომია: <<http://www.ilo.org>>.*

<sup>238</sup> *ibid.*, 21-ე მუხლი.

<sup>239</sup> *Philippines - Measures Affecting Pork and Poultry, WT/DS74.*

<sup>240</sup> *Constitution of the Republic of Peru, (1993); 55-ე მუხლი, ხელმისაწვდომია: <<http://www.parliament.go.th>>.*

<sup>241</sup> *ibid.*, 56-ე მუხლი.



მუხლზე, საკითხი წყდება იმავე პროცედურის დაცვით, რომლითაც ცვლილებები შედის კონსტიტუციაში, სანამ მოხდება ხელშეკრულების რატიფიკაცია. პრეზიდენტს შეუძლია, ხელშეკრულების დენონსაცია, მაგრამ ამის შესახებ წინასწარ უნდა შეატყობინოს კონგრესს და როდესაც საკითხი ეხება იმ ხელშეკრულების დენონსაციას, რომლის დამტკიცებაც კონგრესის თანხმობაზეა დამოკიდებული, მაშინ პრეზიდენტმა ჯერ უნდა მიიღოს კონგრესის თანხმობა და მხოლოდ ამის შემდეგ იმოქმედოს.<sup>242</sup>

2001 წლის 1 მარტს ჩილემ მოითხოვა კონსულტაციების დაწყება პერუსთან, ამ უკანასკნელის უზენაესი დეკრეტის გამო, რომელსაც ცვლილებები შეჰქონდა ვაჭრობისა და მოხმარების გადასახადების შესახებ კანონის III და IV დანართებში. ამ დეკრეტის მიხედვით, განსხვავებული გადასახადები იყო დადგენილი მუქი, ღია და პრემიალური თამბაქოსაგან დამზადებულ სიგარეტზე. ჩილეს მტკიცების შესაბამისად, დიფერენცირებული საგადასახადო განაკვეთები სხვადასხვა ხარისხის თამბაქოსგან დამზადებულ სიგარეტზე ეწინააღმდეგება GATT-ს, რადგანაც ჩილეს პროდუქცია იბეგრება უფრო მაღალი საგადასახადო განაკვეთით, ვიდრე ეროვნული პროდუქცია. თუმცა 2001 წლის 24 ივნისს მოწვეულ იქნა პანელი დავის გადასაწყვეტად, ამავე წლის 12 ივლისს ჩილემ მაინც გაიწვია საკუთარი სარჩელი იმ მიზეზით, რომ პერუს ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრომ მიიღო ახალი უზენაესი დეკრეტი, რომელსაც ცვლილებები შეჰქონდა ადრე არსებულ დეკრეტში და სთავაზობდა იდენტურ დაბეგვრის პირობებს ყველა სახის სიგარეტს, მიუხედავად წარმოშობის ქვეყნის, ფასის, ხარისხის, სახეობისა თუ გასაყიდი ბაზრების რაოდენობისა. საინტერესოა ის, რომ ასეთი ცვლილება დეკრეტში გამოიწვია პერუს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ, რომელიც გამოტანილ იქნა 2001 წლის 19 ივნისს.<sup>243</sup> ეს საქმე ნათელი მაგალითია იმისა, თუ რამდენად გავლენიანია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დავების განხილვის სისტემა და როგორი დამოკიდებულება აქვთ ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს არსებული სავაჭრო რეჟიმის გამტკიცებლობისა და განჭვრეტადობის დამკვიდრებისა და შენარჩუნების მიმართულებით.

#### V.2.12.7. თურქეთი

მორიგი სახელმწიფო, რომელიც იპყრობს ჩვენს ყურადღებას საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების წარმართვის მიმართულებით, არის თურქეთი. ეს ქვეყანა საინტერესოა არა მხოლოდ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში ამ უკანასკნელის წევრობით არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, არამედ იმიტომაც, რომ ის არის საქართველოს მეზობელი და, ამავე დროს, ორმხრივი

<sup>242</sup> *ibid.*, 57-ე მუხლი.

<sup>243</sup> *Peru - Taxes on Cigarettes, WT/DS227.*

სახელმწიფოთაშორისი ვაჭრობის წარმართვაში ერთ-ერთი ძლიერი სტრატეგიული პარტნიორი. საქართველოსა და თურქეთს შორის სავაჭრო ურთიერთობები წესრიგდება არა მხოლოდ ვმო-ის ფარგლებში, არამედ ამ ორ ქვეყანას შორის დადებული ორმხრივი სავაჭრო ხელშეკრულების შესაბამისი დებულებების გათვალისწინებით. ეს ხელშეკრულება უფრო ზუსტად არის განხილული წინამდებარე ნაშრომის მომდევნო თავში, სადაც საუბარია საქართველოს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებზე ვმო-ის ფარგლებს გარეთ, ახლა კი უპრიანია, უფრო მეტი ფოკუსირება მოხდეს თურქეთის კონსტიტუციაზე, სამართლებრივ ნორმათა იერარქიასა და ამ უკანასკნელი სახელმწიფოს მიერ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულებაზე.

თურქეთის სამართლის ნორმათა იერარქია შემდეგნაირად გამოიყურება: კონსტიტუცია, სტატუტები, სტატუტის ძალის მქონე დეკრეტები, დეკრეტები და რეგულაციები. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სამართალი თურქეთის კანონმდებლობის ნაწილია,<sup>244</sup> მისი იერარქიული ადგილი არ არის გამოკვეთილი სახელმწიფოს მიერ დადგენილ სამართლის ნორმათა იერარქიაში. თურქეთის კონსტიტუციის მე-11 მუხლის შესაბამისად, კონსტიტუცია არის ქვეყნის უზენაესი კანონი და ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას.<sup>245</sup>

1996 წლის 21 მარტს ინდოეთმა მოითხოვა კონსულტაციები თურქეთთან, რადგანაც ის აწესებდა ტექსტილისა და სხვადასხვა ნაჭრების იმპორტზე შეზღუდვებს, რაც, ინდოეთის აზრით, ეწინააღმდეგებოდა GATT-ის XI და XIII მუხლებს. მოგვიანებით მოწვეულმა პანელმა დაადგინა, რომ თურქეთი, მართლაც, არღვევდა მოსარჩელის მიერ დასახელებულ მუხლებს და გასცა რეკომენდაცია გადაწყვეტილების შესრულების შესახებ. თურქეთის მიერ საქმის გასაჩივრებამ სააპელაციო პალატაში არსებითად არ შეცვალა მდგომარეობა და ამ უკანასკნელმაც თურქეთის ქმედებები ცნო GATT-ის XI და XIII მუხლებთან შეუთავსებლად. შესაბამისად, თურქეთს დაევადა, საკუთარი კანონმდებლობა ამ შეთანხმებასთან შესაბამისობაში მოეყვანა და შეეთავაზებინა ვმო-ის ყველა წევრი სახელმწიფოსათვის იდენტური სატარიფო პირობები. 1999 წლის 19 ნოემბერს თურქეთმა გამოთქვა სურვილი, შეესრულებინა რეკომენდაციები, რაც, წესით, უნდა გაეკეთებინა, თუმცა, როგორც ინდოეთი შემდგომში ამტკიცებდა, თურქეთს არ გაუვრცელებია შეტყობინება იმის შესახებ, შეასრულა თუ არა რეკომენდაციები.<sup>246</sup> ვინაიდან თურქეთსა და ინდოეთს შორის საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები დღემდე გრძელდება, შესაძლებელია მარტივი დასკვნის გაკეთება იმ მიმართულებით, რომ თურქეთმა შეასრულა ვაჭრობის

<sup>244</sup> Internet Law - Main Sources of Turkish Legal System, ხელმისაწვდომია: <<http://www.ibls.com>>.

<sup>245</sup> Constitution of Turkey, (1995); მე-11 მუხლი, ხელმისაწვდომია: <<http://www.anayasa.gov.tr>>.

<sup>246</sup> Turkey - Restrictions on Imports of Textile and Clothing Products, WT/DS34.

მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში დადგენილი ვალდებულებები ინდოეთის სასარგებლოდ.

#### V.2.1.2.8. მექსიკა

მექსიკის კონსტიტუციის 133-ე მუხლის შესაბამისად, სამართლის ნორმათა იერარქია შემდეგნაირად გამოიყურება: კონსტიტუცია, გაერთიანების კონგრესის მიერ მიღებული კანონები და საერთაშორისო ხელშეკრულებები ითვლებიან უზენაეს კანონად. თითოეული შტატის მოსამართლე უნდა დაემორჩილოს წინამდებარე კონსტიტუციას, კანონებს და ხელშეკრულებებს, მიუხედავად ნებისმიერი სხვა ნორმის არსებობისა შტატების კონსტიტუციებსა და კანონებში მათ საპირისპიროდ.<sup>247</sup> ამ ხედვისაგან განსხვავებით, მექსიკის უზენაესმა სასამართლომ სხვანაირად განმარტა უზენაესი სამართალი, როცა აღნიშნა, რომ უზენაესი კანონი არის მხოლოდ კონსტიტუცია, ხოლო საერთაშორისო ხელშეკრულებები მოდის მის შემდეგ და უფრო მაღლა დგას, ვიდრე ფედერალური და ადგილობრივი სამართალი.<sup>248</sup>

საქმეში - *Mexico - Tax on Soft Drinks* - დავა შეეხებოდა მექსიკის მიერ გადასახადების დაწესებას ფრუქტოზის მაღალი შემცველობით გამორჩეულ, ასევე მშრალ და სპეციალური დამატკობელი დანამატის შემცველ სასმელებზე, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ასეთი სასმელების დისტრიბუციაზე. ორივე შემთხვევაში საგადასახადო ტარიფი განისაზღვრებოდა 20%-ით, რაც არ ხდებოდა ლერწმისგან მიღებული შაქრით დამტკობარ სასმელებთან მიმართებით. აშშ ამტკიცებდა, რომ მექსიკის საგადასახადო კანონმდებლობა ეწინააღმდეგებოდა GATT-ის III მუხლს. მექსიკა კი, თავის მხრივ, ამტკიცებდა, რომ თვითონ აშშ არღვევდა ამ ორ სახელმწიფოს შორის გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ჩრდილოეთამერიკულ შეთანხმებას (NAFTA), რაც, თავის მხრივ, ნიშნავდა, რომ, რადგან აშშ არღვევდა ხელშეკრულების მუხლს, მაშინ მექსიკის მიერ GATT-ის მესამე მუხლის დარღვევა მართლდებოდა ამავე GATT-ის XX მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით.<sup>249</sup> ამ შემთხვევაში წამოიჭრა მეტად საინტერესო საკითხი: რამდენად შეიძლება კანონი ან რეგულაცია მოიცავდეს სხვა სახელმწიფოს ვალდებულებებს მაშინ, როდესაც ერთი სახელმწიფო არღვევს ხელშეკრულების დებულებებს? ამ საკითხთან დაკავშირებით დავების განმხილველმა ორგანომ მეტად მნიშვნელოვანი პასუხი გასცა მექსიკის წარმომადგენლებს, კერძოდ: „არ არსებობს საფუძველი იმისა, რომ განხილულ იქნეს აშშ-ის დარღვევების ჭეშმარიტების საკითხი NAFTA-ს ნორმებიდან გამომდინარე, რადგან კანონები და რეგულაციები არ შეიცავენ მეორე სახელმწიფოს

<sup>247</sup> Constitution of Mexico, (2007); 133-ე მუხლი, ხელმისაწვდომია: <<http://www.oas.org>>.

<sup>248</sup> Vargas, J. A., *Mexico and its Legal System, Sources of the Law*, Published on February 27, 2008, ხელმისაწვდომია: <<http://www.llrx.com>>.

<sup>249</sup> *Mexico - Tax Measures on Soft Drinks and Other Beverages* (WT/DS308), January 21, 2005, paras. 1,2.

ვალდებულებებს საერთაშორისო ხელშეკრულების მიხედვით<sup>250</sup> შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელმწიფო საკუთარი დარღვევების გასამართლებლად ვერ დაეყრდნობა იმ არგუმენტს, რომ მოწინააღმდეგე ქვეყანა, თავის მხრივ, არღვევს მათ შორის დადებულ სხვა ხელშეკრულებას (სახელმწიფოს არ შეუძლია გამოიყენოს საკუთარი შიდა კანონმდებლობა სხვა სახელმწიფოს იძულებისათვის, რათა ამ უკანასკნელმა შეასრულოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მუხლი XXდ).

ამ საქმეში პანელმა დაადგინა, რომ:

1. გადასახადი მშრალ სასმელებზე, ისევე როგორც დისტრიბუციაზე, ეწინააღმდეგებოდა GATT-ის III,2 მუხლს;
2. მშრალი სასმელების გადასახადი და დისტრიბუციაზე დადგენილი გადასახადი არღვევს GATT-ის III,4 მუხლს;
3. აღნიშნული ღონისძიებები არ მართლდება GATT-ის XX (დ) მუხლით.<sup>251</sup>

სააპელაციო პალატამაც უცვლელად დატოვა ეს დარღვევები, თუმცა ერთია დარღვევის დადგენა და მეორეა სახელმწიფოს მიერ დავების განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების შესრულება. ამ მხრივ საინტერესოა: მექსიკამ 2006 წლის 21 აპრილს ცნობა გაუგზავნა დავების განმხილველ ორგანოს, რომ მას სჭირდებოდა გონივრული ვადა მის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებისათვის. აშშ-სა და მექსიკას შორის მოლაპარაკებათა საფუძველზე დადგინდა გონივრული ვადა, რომლის განმავლობაშიც მექსიკას უნდა განეხორციელებინა ყველა აუცილებელი პირობა, რაც უკავშირდებოდა გადაწყვეტილების ჯეროვან შესრულებას. ამაში შედიოდა ასევე შესაბამისი კანონის მიღებაც. 2007 წლის 23 იანვარს დავების განმხილველი ორგანოს შეხვედრაზე მექსიკამ აცნობა დელეგატებს, რომ მან აღასრულა მის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილება.<sup>252</sup> როგორც აღმოჩნდა, არც განვითარებად სახელმწიფოებს შორის არის რამე სახის განსხვავება დავების განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილებათა აღსრულების კუთხით, პირიქით, შეიძლება ერთიანი დასკვნის გაკეთებაც, რომ ვმო-ის ფარგლებში დაცულია სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობა და მათ ასევე აქვთ თანაბარი ვალდებულებები, რომლებსაც ასრულებენ მსგავსად, მიუხედავად იმისა, აღიარებენ თუ არა საერთაშორისო სამართლის პრინციპს შიდა სამართალთან მიმართებით. უნდა აღინიშნოს ასევე ისიც, რომ „ხელშეკრულების დადების, შესრულებისა და მოქმედების შეწყვეტის წესი წესრიგდება მხოლოდ საერთაშორისოსამართლებრივი ნორმებით და შიდასახელმწიფოებრივი სამართალი ვერ მოახდენს ზეგავლენას საერთაშორისო

<sup>250</sup> იქვე.

<sup>251</sup> იქვე.

<sup>252</sup> *Mexico – Tax Measures on Soft Drinks and Other Beverages*, “Implementation of adopted reports”, ხელმისაწვდომია: <<http://www.wto.org>>.

ხელშეკრულებების იურიდიულ ნამდვილობაზე“.<sup>253</sup> მომდევნო თავი მიმოიხილავს იმ გამონაკლისებს, რაც საერთო რეჟიმიდან არსებობს ვმო-ის ფარგლებში და აანალიზებს, თუ რამდენად არღვევს ეს სისტემა უკვე კარგად ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ ურთიერთობებს სახელმწიფოთა შორის.

## VI გამონაკლისები ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში დადგენილი რეჟიმიდან

ზოგადად გავრცელებული შეხედულების შესაბამისად, გამონაკლისები არ უყვარს არავის და, მით უმეტეს, იმ სახელმწიფოს, რომელიც ვალდებული ხდება, საკუთარი კონკურენტისთვის დააწესოს შეღავათიანი პირობები და ამით შეუწყოს ხელი მისი ეკონომიკის განვითარებას. ეს ყველაფერი ძალიან კარგად ესმით ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს და თავად ფაქტი, რომ მათ მიიღეს გადაწყვეტილება განვითარებადი სახელმწიფოებისათვის შეღავათების დასადგენად, იმთავითვე იპყრობს ყურადღებას არა მხოლოდ საერთაშორისო სავაჭრო სამართლის შესწავლის მიზნებისათვის, არამედ საქართველოს პერსპექტივის კუთხითაც, უფრო მძლავრად გამოიყენოს საერთაშორისო დონეზე არსებული სამართლებრივი გარანტიები საკუთარი მდგრადი ეკონომიკური განვითარების წასახალისებლად. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში დადგენილი გამონაკლისი, თავის მხრივ, ბადებს კითხვებს, თუ რამდენად არის ეს რეჟიმი დისკრიმინაციული, ან რით არის ნაკარნახევი მისი არსებობა? ამ და სხვა მსგავს კითხვებზე პასუხის გასაცემად წინამდებარე თავი მიმოიხილავს ნებისდამრთველ ნორმას და, აქედან გამომდინარე, არსებულ განვითარებადი სახელმწიფოებისადმი შეღავათიანი მოპყრობის პირობებსაც.

### *VI.1. სავაჭრო პრინციპების ზოგადი მიმოხილვა ნებისდამრთველი ნორმის შეფასების მიზნებისათვის*

როგორც უკვე აღინიშნა, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების - GATT-ის I მუხლიდან გამომდინარე, იკრძალება ვმო-ის წევრი სახელმწიფოების მიერ განსხვავებული საგადასახადო რეჟიმის დადგენა პროდუქტის წარმომავლობის მიხედვით, შესაბამისად, ვმო-ის წევრმა სახელმწიფომ ერთნაირად უნდა დაბეგროს მსგავსი პროდუქტები, მიუხედავად მათი წარმოშობის ქვეყნისა, თუ ეს ქვეყანა ვმო-ის წევრია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ წესს აქვს ერთი მნიშვნელოვანი გამონაკლისი, ე.წ. „ნებისდამრთველი ნორმა“, რომელიც დადგენილი წესებიდან გადახვევის შესაძლებლობას იძლევა განვითარებადი

<sup>253</sup> კ. კორკელია, *საერთაშორისო ხელშეკრულება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალში*, თბ., 1998, გვ. 23.

სახელმწიფოს მიერ წარმოებული პროდუქციის დაბეგვრის მიზნებისათვის. ეს გამონაკლისი დადგინდა, რადგან ვმო-ის პოლიტიკის შესაბამისად, უპირატესობა ენიჭება განვითარებადი სახელმწიფოების ინტერესებსა და მათ სპეციალურ მოთხოვნილებებს.

აქედან გამომდინარე, ვმო-ის ფარგლებში შეიქმნა შეღავათების განზოგადებული სისტემა (შემდგომში – GSP), რომლის საფუძველზეც GATT-ის I მუხლის მოქმედების ფარგლები იცვლება, კერძოდ: ჩანაწერს ვმო-ის ყველა წევრი უნდა დაექვემდებაროს. იდენტურ მოპყრობას ემატება განვითარებადი სახელმწიფოებისადმი შეღავათიანი მოპყრობის სისტემის დადგენის გარანტია. ჩვენი ყურადღება ამ მუხლმა მიიპყრო იმიტომ, რომ საქართველო გვევლინება ვმო-ის წევრ განვითარებად სახელმწიფოდ და ჩვენი ქვეყნისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ შეღავათების მიღებას, რომელთაც ამ ორგანიზაციის ფარგლებში სთავაზობენ სახელმწიფოები. თუმცა აღსანიშნავია, რომ ხსენებულ მუხლთან მიმართებით უნდა გამოიყოს ორი საკითხი: ერთია ამ მუხლის გამოყენება განვითარებული სახელმწიფოების მიერ საკუთარ ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოთა მიმართ და მეორეა თავად განვითარებადი სახელმწიფოების მიერ საკუთარი პროდუქციის დაბეგვრა შეღავათიანი პირობებით.

## **VI.2. ნებისდამრთველი ნორმა – ზოგადი მიმოხილვა**

სანამ გადავიდოდეთ იმ მნიშვნელობის გაანალიზებაზე, რაც ხსენებულ ნორმას აქვს საქართველოსთვის, უპრიანია, განვიხილოთ ის უმთავრესი ცნებები, რასაც ეფუძნება ნებისდამრთველი ნორმა და დავადგინოთ მისი ურთიერთობის ჩარჩო GATT-ის I მუხლთან.

ვმო-ის პრეცედენტულ სამართალში მოიძებნება ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საქმე, რომელიც აყალიბებს ძირითად მიმართულებებს, თუ როგორ უნდა განიმარტოს ნებისდამრთველი ნორმა GATT-ის I მუხლთან მიმართებით. განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ არადისკრიმინაციული დაბეგვრის რეჟიმი არის ვმო-ის პოლიტიკისა და სამართლის ერთ-ერთი უმთავრესი საყრდენი პრინციპი. სწორედ ამიტომ საქმეში - *EC - Tariff Preferences* - ვმო-ის დავების განმხილველი ორგანოს სააპელაციო პალატამ განიხილა ურთიერთობა GATT-ის I მუხლსა და ნებისდამრთველ ნორმას შორის და აღნიშნა, რომ: ნებისდამრთველი ნორმა არანაირად არ აკნინებს GATT-ის I მუხლის მნიშვნელობას (ეს მუხლი კრძალავს დისკრიმინაციას ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს შორის პროდუქტის წარმომავლობის მიხედვით და ადგენს, რომ, წარმოების ქვეყნის მიუხედავად, ვმო-ის წევრი სახელმწიფო უნდა ავრცელებდეს იდენტური მოპყრობის რეჟიმს ვმო-ის ფარგლებში წარმოებულ ყველა მსგავს პროდუქტზე), პირიქით, ის გვევლინება ე.წ. სპეციალურ ნორმად, რომელიც უპირატესი იურიდიული ძალით სარგებლობს I მუხლთან შედარებით, GSP-ის სქემებთან მიმართებით. უფრო მეტიც, ამ ორ

მუხლს შორის კავშირი იმდენად მყარია, რომ, როგორც სააპელაციო პალატამ განმარტა, პანელმა ჯერ უნდა განსაზღვროს, სახეზე არის თუ არა GATT-ის I მუხლის დარღვევა, თუ დადგინდება, რომ მუხლი დარღვეულია, მხოლოდ ამის შემდეგ უნდა შემოწმდეს, რამდენად მართლდება დავის მონაწილე სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ქმედება ნებისდამრთველი ნორმის შესაბამისად.<sup>254</sup> უნდა აღინიშნოს ასევე ისიც, რომ, მიუხედავად GATT-ის I მუხლში არსებული MFN-ის პრინციპისა, ნებისდამრთველი ნორმა შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფოებს, გადაუხვიონ დადგენილი რეჟიმიდან სწორედ იმიტომ, რომ განვითარებად სახელმწიფოებს სჭირდებათ შეღავათები.<sup>255</sup> შესაბამისად, უნდა აღინიშნოს, რომ ნებისდამრთველი ნორმა, როგორც გამონაკლისი, არანაირად არ ზღუდავს სახელმწიფოთა უფლებას, მიაწოდონ და მიიღონ შეღავათიანი პირობები სხვა სახელმწიფოებისაგან. ამ ნორმის სტატუსი და მნიშვნელობა არ განისაზღვრება იმით, თუ როგორ ხდება მისი დაკვალიფიცირება, როგორც მტკიცების ტვირთისა, რომელიც უნდა დადგინდეს სარჩელის შეტანის შემთხვევაში; ან იქნება თუ არა ის გამოყენებული როგორც თავდაცვის საშუალება შეგებებული სარჩელის შემთხვევაში, მაინც მისი ურთიერთობა I მუხლთან უნდა განიმარტოს ჩვეულებით საერთაშორისო სამართალში არსებული წესის შესაბამისად.<sup>256</sup> უფრო მეტიც, სააპელაციო პალატამ საქმეში - *EC - Hormones* - აღნიშნა, რომ ხელშეკრულების ნორმისათვის გამონაკლისის სტატუსის მინიჭება თავისთავად არ ამართლებს მის უფრო მკაცრ ან რბილ განმარტებას, პირიქით, ასეთი ნორმა უნდა იქნეს განმარტებული როგორც ნებისმიერი სხვა ნორმა.<sup>257</sup>

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში დადგენილი ასეთი ხედვა კიდევ უფრო მეტად ამყარებს განვითარებადი სახელმწიფოების ინტერესების დაცვის გარანტიებს, რადგანაც, როგორც უკვე კარგად გამოჩნდა, ორგანიზაციის ფარგლებში არსებული დავების განხილვის სისტემა საკმაოდ ეფექტურია არა მხოლოდ გადაწყვეტილებების გამოტანის მიმართულებით, არამედ მიღებული რეკომენდაციების აღსრულების თვალსაზრისითაც. შესაბამისად, შეღავათების განზოგადებული სისტემის პარალელურად შექმნილი ნებისდამრთველი ნორმაც დაცვა/აღსრულებას ისევე ექვემდებარება ვმო-ის წევრი სახელმწიფოების მხრიდან, როგორც სავაჭრო სისტემაში არსებული ნებისმიერი სხვა ნორმა.

<sup>254</sup> Appellate Body Report on *EC - Tariff Preferences*, WT/DS246/AB/R, paras. 101-102.

<sup>255</sup> WTO Analytical Index: Guide to WTO Law and Practice, General Agreement on Tariffs and Trade 1994, interpretation, para. 41. ხელმისაწვდომია: <<http://www.wto.org>>.

<sup>256</sup> Understanding on Rules and Procedures Governing the Settlement of Disputes, მუხლი 3.2.

<sup>257</sup> Appellate Body Report, *EC-Hormones*, para. 104. Appellate Body Report, *EC Measures Concerning Meat and Meat Products (Hormones)*, WT/DS26/AB/R, WT/DS48/AB/R, adopted 13 February 1998, DSR 1998:I, 135.

**VI.3. არადისკრიმინაციული მოპყრობის განზოგადებული ბუნება  
ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სამართალში**

არადისკრიმინაციული მოპყრობისა და ნებისდამრთველი ნორმის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით საინტერესო ხაზგასმა აქვს გაკეთებული ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დავეების განმხილველი ორგანოს სააპელაციო პალატას.

სააპელაციო პალატამ საქმეში - *EC -Tariff Preferences* - განმარტა სიტყვა განზოგადებულის მნიშვნელობა და აღნიშნა, რომ სიტყვა განზოგადებული არადისკრიმინაციული მოპყრობის აუცილებლობიდან გამომდინარე უნდა იქნეს გამოყენებული ზოგად კონტექსტში. უფრო მეტიც, სააპელაციო პალატამ გააგრძელა მსჯელობა და მიუთითა, რომ: GSP-ის სქემებიდან გამომდინარე, შეღავათების არადისკრიმინაციულობისათვის აუცილებელია, ისინი გამოყენებული იყოს ზოგადად. ცნების ჩვეულებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეღავათები უნდა იქნეს გამოყენებული უფრო ფართო წრეზე. სააპელაციო პალატის მხრიდან ამგვარი მიდგომა ნაკარნახევია იმ გარემოებით, რომ აღმოფხვრილიყო ყოფილ კოლონიებსა და განვითარებად სახელმწიფოებს შორის არსებული განსაკუთრებული კავშირები და რომ ყოფილ მეტროპოლიებს მსგავსი შეღავათები დაედგინათ ნებისმიერი განვითარებადი სახელმწიფოსათვის - იქნებოდა ეს ყოფილი კოლონია თუ დამოუკიდებლად არსებული განვითარებადი სახელმწიფო.<sup>258</sup> სწორედ ამიტომ 1971 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება უფლებების მოხსნაზე. ამით ვმო-ის ფარგლებში ერთხელ და სამუდამოდ დადგინდა, რომ შეღავათებით სარგებლობს ნებისმიერი განვითარებადი სახელმწიფო და არანაირად არ შეიძლება რაიმე განსხვავებების ძიება შეღავათების მინიჭების კუთხით ამ სახის სახელმწიფოებისთვის.<sup>259</sup> როგორც აქედან გამომდინარე დგინდება, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია დისკრიმინაციულად მიიჩნევს არა იმას, რომ განვითარებად სახელმწიფოებზე გავრცელდეს შეღავათიანი მოპყრობის სისტემა, არამედ თავად ერთ საფეხურზე მდგომი განვითარებადი სახელმწიფოების დიფერენციაციას და შეღავათიანი პირობების გავრცელებას მხოლოდ გარკვეულ ნაწილზე. აქ, ძირითადად, იგულისხმება ის გარემოება, რომ შეღავათებით მოსარგებლეა ყველა განვითარებადი სახელმწიფო, მაგრამ არსებობს აღნიშნულისაგან განსხვავებული და, ამავე დროს, უფრო მეტად შეღავათიანი მოპყრობის რეჟიმი განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ყველაზე ნაკლებად განვითარებული სახელმწიფოების მიმართ, რაც ასევე არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დისკრიმინაციული მოპყრობის რეჟიმად ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სამართლის განმარტების

<sup>258</sup> *EC - Tariff Preferences*, WT/DS246/AB/R, EC- conditions for the granting of tariff preferences to developing countries, 7 April 2004 para. 155.

<sup>259</sup> Waiver Decision on the Generalized System of Preferences, GATT Document L/3545, 25 June 1971, BISD 18S/24 (attached as Annex D-2 to the Panel Report).



მიზნებისათვის. წინამდებარე ნაშრომის მომდევნო ქვეთავი კიდევ უფრო დეტალურად მიმოიხილავს დისკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებულ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დადგენილ რეჟიმს, რათა კიდევ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას, თუ როგორი დამოკიდებულება არსებობს ვმო-ის წევრ სახელმწიფოებში ამ პრინციპისადმი.

#### **VI.4. დისკრიმინაციის აკრძალვა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სამართალში**

დისკრიმინაციის აკრძალვა - ეს არის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხთაგანი ვმო-ის სამართალში, რადგანაც საერთაშორისო ვაჭრობის მდგრადი განვითარებისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სწორედ მხარეთა თანასწორუფლებიანობას და ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის აკრძალვას სახელმწიფოთა კომერციულ ურთიერთობებში. სწორედ ამიტომ სააპელაციო პალატამ საქმეში - *EC - Tariff Preferences* - განმარტა, რომ: არადისკრიმინაციულობა ნიშნავს ყველა მსგავს სიტუაციაში მყოფი განვითარებადი სახელმწიფოსათვის შედავათის შეთავაზებას და, ამავე დროს, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე განვითარებადი ქვეყნებისთვის შედავათების სხვა სისტემის შექმნას.<sup>260</sup> ვმო-ის პრაქტიკიდან ირკვევა, რომ არადისკრიმინაციულობა გულისხმობს როგორც, ზოგადად, ყველასთვის ერთიანი სისტემის შეთავაზებას, ასევე განვითარებადი სახელმწიფოებისათვის შედავათების დადგენას და სპეციალური სისტემის შემუშავებას იმ სახელმწიფოებისათვის, რომელთაც აქვთ გარკვეული საჭიროებები. ამ მხრივ განსხვავებაა თავად განვითარებად სახელმწიფოებშიც. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ვმო მხედველობაში იღებს განვითარების დონეს ისევე, როგორც ფინანსურ და ვაჭრობის კუთხით სახელმწიფოთა მოთხოვნილებებს, რათა საერთაშორისო ვაჭრობა უფრო მოქნილი და წარმატებული გახადოს. ამდენად, შედავათების ზოგადად მოქმედი სისტემა, ისევე როგორც დამატებითი შედავათების შეთავაზება განვითარებადი სახელმწიფოებისათვის ამ პოლიტიკის გამოძახილია. უფრო მეტიც, როგორც სააპელაციო პალატამ აღნიშნა ზევით მოცემულ საქმეში, შედავათების მინიჭების ამგვარი სქემა შესაბამისობაში მოდის როგორც ნებისდამრთველ ნორმასთან, ასევე GATT-თან.<sup>261</sup> სააპელაციო პალატამ ასევე დაადგინა: ევროგაერთიანებამ დაარღვია განვითარებადი სახელმწიფოებისათვის შედავათების მინიჭების სისტემა იმიტომ, რომ არ ჩამოაყალიბა ობიექტური კრიტერიუმები და სტანდარტები თავის GSP-ის რეგულაციაში ისევე, როგორც შედავათებით მოსარგებლეთა სია დახურულად ჰქონდა გამოცხადებული, რითაც ხელი შეუშალა ბენეფიციარებს საკუთარი უფლებების გამოყენებაში, და რადგანაც ვერ

<sup>260</sup> A.B. *EC - Tariff Preferences*, WT/DS246/AB/R, paras.152-154.

<sup>261</sup> იქვე, para. 169.

ხერხდებოდა განვითარებადი სახელმწიფოების გამოყოფა ერთმანეთისაგან სპეციალური მოთხოვნილებების მიხედვით, დაირღვა ვმო-ის შეთანხმება.<sup>262</sup> შეჯამების სახით სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ წევრი სახელმწიფოს მიერ განვითარებადი სახელმწიფოების განსაკუთრებული ინტერესების გათვალისწინება შედავათიანი დაბეგვრის სისტემის შემოღებისას არ არის ნებისდამრთველი ნორმიდან გამომდინარე არადისკრიმინაციულობის პრინციპის დარღვევა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ასეთი შედავათები არ ვრცელდება ყველა განვითარებად სახელმწიფოზე.<sup>263</sup>

აღსანიშნავია, რომ 2005 წლის 20 ივლისს ევროპის გაერთიანებამ აცნობა დაგების განმხილველ ორგანოს მის მიერ ამ უკანასკნელის რეკომენდაციების შესრულების შესახებ შესაბამის რეგულაციაში ცვლილებების შეტანით.<sup>264</sup>

**VI.5. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში დადგენილი განსხვავებები განვითარებად სახელმწიფოებს შორის**

ვმო-ის ფარგლებში მოქმედი სამართლისა და პოლიტიკის მიხედვით, განვითარებად სახელმწიფოებში არ მოიაზრება ნებისმიერი ასეთი სახელმწიფო, რომლისთვისაც შეთავაზებულია შედავათიანი დაბეგვრის სისტემა, არამედ ვმო-ის პრეცედენტული სამართლის მიხედვით, გამოიყოფა განვითარებადი და ნაკლებად განვითარებული სახელმწიფოები. ამ უკანასკნელში იგულისხმება სახელმწიფოები, რომელთაც განსაკუთრებული საჭიროებები აქვთ და მეტი ფინანსური თუ სავაჭრო პრობლემებით გამოირჩევიან. ამ მხრივ მეტად საინტერესო რამ აღნიშნა სააპელაციო პალატამ, როცა მიუთითა, რომ ნებისდამრთველი ნორმის მე-2 „ა“ პუნქტი არ გამოირიცხავს, განსაკუთრებულ მოპყრობას დაექვემდებარონ მცირედ განვითარებული სახელმწიფოები, მეტიც, ეს აზრი გამყარებულია ასევე ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტში, სადაც ხაზგასმულია, რომ განვითარებად სახელმწიფოებში ასევე იგულისხმებიან მცირედ განვითარებული სახელმწიფოები, რომელთაც ახასიათებთ გარკვეული სახის პრობლემები და განსაკუთრებული მოპყრობის სუბიექტებად გვევლინებიან; ამასთანავე, არ უნდა დაგვავიწყდეს: როდესაც სახელმწიფო არჩევანს აკეთებს, განვითარებად სახელმწიფოებს შორის თუ რომელს მისცეს მეტი შედავათი, ეს არანაირად არ არის საფუძველი იმის საფიქრებლად, რომ დისკრიმინაციასთან გვაქვს საქმე,<sup>265</sup> არამედ აქ უკვე, თავის მხრივ, მოქმედებს ისევე და ისევე ვმო-ის ფარგლებში არსებული პოლიტიკა და სახელმწიფოები თავად აცნობიერებენ, როდის დგება იმის მტკიცების აუცილებლობა, რომ ისინი დისკრიმინაციის მსხვერპლნი ხდებიან. თუმცა ისიც უნდა

<sup>262</sup> იქვე, para. 187-188.  
<sup>263</sup> იქვე, para. 179.  
<sup>264</sup> Implementation of adopted reports, ხელმისაწვდომია: <<http://www.wto.org>>.  
<sup>265</sup> EC-Tariff Preferences, WT/DS246/AB/R, para. 175.

ითქვას, რომ განვითარებად სახელმწიფოებს შორის არსებული განსხვავებები და, შესაბამისად, განსხვავებული შედეგების სისტემა იშვიათად თუ გამხდარა დავის საგანი. ამავე აზრს ამყარებს ნებისდამრთველი ნორმის მე-3 ნაწილიც, უფრო კონკრეტულად კი ის ადგენს იმ პირობებს, რა პირობების არსებობის შემთხვევაშიც ხდება შედეგების დიფერენცია.<sup>266</sup> აქვე უნდა გამოვყოთ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც შეეხება სავაჭრო ბარიერებს და უსამართლოდ დადგენილ ტვირთს განვითარებული სახელმწიფოებისათვის, განვითარებადებისაგან განსხვავებით. აღსანიშნავია, რომ ვმო-ის წევრ სახელმწიფოებს ისე არაფერი არ აშინებთ და აღიზიანებთ, როგორც სავაჭრო ბარიერები. ეს არც არის გასაკვირი და ჩანს იმ პოლიტიკის მცირედი ანალიზითაც კი, რომელსაც ხსენებული ორგანიზაცია ეწევა ისევე და ისევე სახელმწიფოების მეშვეობით. სწორედ იმ ეჭვის გასაქარწყლებლად, რომელიც შესაძლოა არსებობდეს სახელმწიფოებში ნებისდამრთველ ნორმასთან მიმართებით, სააპელაციო პალატამ საჭიროდ ჩათვალა, განემარტა, რომ ნებისდამრთველი ნორმის გამოყენება არ ნიშნავს განვითარებული სახელმწიფოების ერთგვარად უფრო დაჩაგრულ მდგომარეობაში ჩაყენებას განვითარებადებთან შედარებით. პირიქით, ეს უკანასკნელები იმიტომ სარგებლობენ შედეგითიანი ტარიფებით, რომ მათ ეს სჭირდებათ, თუმცა, როგორც სააპელაციო პალატამ აქვე დასძინა, ეს არ უნდა იქნეს გამოყენებული განვითარებული სახელმწიფოებისთვის ხელისშემშლელ ფაქტორად.<sup>267</sup> ასევე უნდა აღინიშნოს, რომ, როდესაც ორი სახელმწიფო აწარმოებს ერთსა და იმავე პროდუქციას და ერთ-ერთი მათგანი იღებს შედეგითიან სატარიფო სისტემას, რადგან ის განვითარებადია, გამოდის, რომ, გარკვეულწილად, უარეს მდგომარეობაში ვარდება მეორე სახელმწიფო, ვინაიდან პროდუქციის ფასებში იქნება განსხვავება და, შესაბამისად, მომხმარებელიც უფრო იაფ საქონელს მეტი ეყოლება, იმ შემთხვევის გარდა, თუ მომხმარებელი პროდუქტის ხარისხს მიაქცევს ყურადღებას და არა ფასს. მაგრამ ესეც სადავო საკითხია: თუ იმ ქვეყანაში, სადაც სახელმწიფოებმა იმპორტი განახორციელეს, ბაზარზე შემოსული საქონელი მკაცრად კონტროლდება და ორივე პროდუქტი მოხვდება დახლებზე, მაშინ, ცხადია, უფრო მეტი მოგება იაფ პროდუქტზე მოვა. განვითარებადი სახელმწიფოებისათვის შედეგითიანი სატარიფო სისტემა შესაძლოა იმიტომაც არსებობდეს, რომ, რაც შეიძლება ჩქარა შეუწყონ ხელი მათ გაძლიერებას, რათა სამომავლოდ ყველა სახელმწიფო ერთნაირად დაიბეგროს და შედეგითები, რომლებიც არ უყვარს არცერთ სისტემას და, მით უმეტეს, საგადასახადოს, გაუქმდეს. ამის გამოსატყულებაა ასევე აშშ-ის პოლიტიკაც - აზერბაიჯანი განვითარებადი სახელმწიფოს მდგომარეობიდან გადაიყვანოს განვითარებულის მდგომარეობაში და, როგორც პროფესორი ჯონ კადი

<sup>266</sup> GATT 1994, Enabling Clause, para 3.  
<sup>267</sup> EC-Tariff Preferences, WT/DS246/AB/R, para. 167.

აღნიშნავს, ძალ-ღონეს არ იშურებს ამ მიმართულებით.<sup>268</sup> ასეთი პრაქტიკა ყურადსაღებია ვმო-ის პოლიტიკის პრიორიტეტების ანალიზის მიზნებისთვისაც, რადგან სავაჭრო შედეგების აღმოფხვრა შესაძლებლობას მისცემს ვმო-ის წევრ სახელმწიფოებს საკუთარი ბიზნესების სწორად წარმართვის საქმეში, უფრო კონკრეტულად კი, აღარ იქნება საჭირო აზერბაიჯანის მსგავსი და, ამავე დროს, ორგანიზაციაში გაწევრიანებული სახელმწიფოებისათვის შედეგათიანი სისტემით დაბეგვრის შეთავაზება (აზერბაიჯანი ჯერ არ გაწევრიანებულა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში, თუმცა მისი მსგავსი ეკონომიკების მქონე სახელმწიფოები უკვე არიან თავმოყრილნი ორგანიზაციის შემადგენლობაში, მაგალითად ინდონეზია).

### ***VI.6. საქართველო მსოფლიო სავაჭრო სისტემაში შედეგათიანი მოპყრობის პირობების არსებობის ფონზე***

რაც შეეხება საკუთრივ საქართველოს, უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი კონსტიტუციის მე-6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია და ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი კი ადგენს, რომ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.<sup>269</sup> უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის ახალ პროექტში არაფერი არ არის შეცვლილი სამართლის ნორმათა იერარქიის კუთხით და საერთაშორისო ხელშეკრულება კვლავ კონსტიტუციის შემდეგ მოდის.<sup>270</sup> საქართველოში სამართლის ნორმათა იერარქიის საკითხს უფრო კონკრეტულად არეგულირებს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ, რომლის მე-7 მუხლის შესაბამისად, იერარქია შემდეგნაირად გამოიყურება: საქართველოს კონსტიტუცია და კონსტიტუციური კანონი; ამის შემდეგ მოდის კონსტიტუციური შეთანხმება; შემდეგ საფეხურზეა საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება, რომელიც, თავის მხრივ, უფრო მაღლა დგას, ვიდრე ორგანული კანონი; კანონი; პრეზიდენტის დეკრეტი; და პარლამენტის

<sup>268</sup> ინტერვიუ პროფესორ ჯონ კადისთან, 29 აპრილი, 2010.  
<sup>269</sup> საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია, (2013 წლის 4 ოქტომბრის მდგომარეობით), მე-6 მუხლი, ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346>>, ნანახია 2015 წლის 20 მარტს.  
<sup>270</sup> არცერთი საქართველოს კონსტიტუციური კანონი საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე არ ითვალისწინებს კონსტიტუციის მე-6 მუხლში ცვლილებების შეტანას. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ.: <[matsne.gov.ge](https://matsne.gov.ge)>.

რეგლამენტი.<sup>271</sup> გარდა ამ სამართლებრივი აქტებისა, საქართველოში მოქმედებს ასევე კანონი საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ, რომლის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს, რომ: „საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციასთან შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულების საქართველოსთვის სავალდებულოდ აღიარება დასაშვებია მხოლოდ მას შემდეგ, რაც კონსტიტუციაში დადგენილი წესით შეტანილი იქნება შესაბამისი ცვლილებები.“<sup>272</sup>

საქართველო, როგორც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი სახელმწიფო, სარგებლობს განვითარებადი ქვეყნის სტატუსით და, აქედან გამომდინარე, მასზე ვრცელდება ყველა ის შეღავათი, რაზეც წინა ქვეთავში არის მოცემული ცნობები. უნდა აღინიშნოს ასევე ისიც, რომ ნებისდამრთველი ნორმის ანალიზი განგებ არის ასახული წინამდებარე ნაშრომში, რამეთუ ეს მუხლი კიდევ უფრო კარგად ასახავს საერთაშორისო სამართლისა და შიდა სამართლის თანაფარდობის საკითხს ვმო-ის გადასახედიდან, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ შემთხვევაში სახელმწიფოები არა მარტო ვალდებულები არიან, საკუთარი შიდა კანონმდებლობა მოიყვანონ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებებთან შესაბამისობაში, არამედ მათ მოეთხოვებათ, ასევე სპეციალური შეღავათების დადგენის არსებობის პირობებში ცვლილებები შეიტანონ უკვე არსებულ შიდა კანონმდებლობაში და ამით უზრუნველყონ განვითარებადი სახელმწიფოების უფლებათა და სავაჭრო ინტერესთა დაცვა. დღეს არსებული მონაცემების შესაბამისად, საქართველო სატარიფო შეღავათებით სარგებლობს შემდეგ სახელმწიფოებში: ნორვეგია, თურქეთი, კანადა, იაპონია, შვეიცარია, ამერიკის შეერთებული შტატები, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები.<sup>273</sup>

ნორვეგიის GSP-ის შეღავათები საქართველოზე გავრცელდა 2008 წლის 14 ივლისიდან. ამ სისტემის შესაბამისად, ქართულმა პროდუქტმა მიიღო 100, 50, 25, 15 და 10%-იანი საბაჟო-სატარიფო შეღავათი. აღსანიშნავია, რომ 100%-იანი შეღავათით სარგებლობს შემდეგი სახის ქართული პროდუქტები: თაფლი, ციტრუსები, ბოსტნეული, ნატურალური და მინერალური წყალი, ღვინო, ლუდი და ა.შ.<sup>274</sup> თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ნორვეგიის შიდა კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებები შევიდა იქამდე, სანამ საქართველოსთვის ამოქმედებას დაიწყებდა შეღავათიანი დაბეგვრის სისტემა. ამ ცვლილებების განხორციელებაში, რომელზე მუშაობაც 2008 წლის 1 იანვარს

<sup>271</sup> საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ, (2015 წლის 28 მაისის მდგომარეობით); მე-7 მუხლი, ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90052>, ნანახია 2015 წლის 20 აპრილს.

<sup>272</sup> საქართველოს კანონი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ, მუხლი 21.3, 2013 წლის 6 სექტემბრის მდგომარეობით, ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/33442>>, ნანახია 2015 წლის 20 აპრილს.

<sup>273</sup> საქართველოსთვის დაწესებული შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმები, ხელმისაწვდომია: <<http://www.ictplgeorgia.ge>>, 30.07.2010 მდგომარეობით.

<sup>274</sup> საქართველო და ნორვეგიის GSP-ის სქემა, ხელმისაწვდომია: <<http://www.ictplgeorgia.ge>>, 14/04/2012 წლის მდგომარეობით.

დამთავრდა, მონაწილეობდნენ როგორც ნორვეგიის პარლამენტი, ასევე სოფლის მეურნეობის სამინისტრო.<sup>275</sup>

სხვა სახელმწიფოებში არსებული სატარიფო შეღავათები არ იქნა თემაში ასახული, რადგანაც ერთი სახელმწიფოს მაგალითზეც კარგად ჩანს, თუ რა მოიაზრება სავაჭრო შეღავათებში და როგორი სარგებლის მიღება შეუძლია ჩვენს ქვეყანას. მით უფრო, რომ საქართველოსთვის, განვითარების დონიდან გამომდინარე, ასეთი შეღავათები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში საქართველოსთვის ნაგულები შეღავათების უფრო დეტალურად განხილვამდე არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო ვაჭრობის წარმართვის მიმართულებით ქვეყანაში არსებული ზოგადი სამართლებრივი და პოლიტიკური ფონის მიმოხილვას.

საქართველოში საერთაშორისო ვაჭრობის კოორდინებულად წარმართვასა და სავაჭრო ურთიერთობებისა თუ პოლიტიკის განსაზღვრაზე, ისევე როგორც ამ საკითხზე მომუშავე სახელმწიფო უწყებებთან მუდმივ კომუნიკაციაში ყოფნაზე, პასუხისმგებელია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

შესაბამისი უწყებების აქტიური მუშაობის საფუძველზე ჩამოყალიბდა საქართველოს საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის ძირითადი მახასიათებლები, ესენია:<sup>276</sup>

- დაბალი საიმპორტო ტარიფები;
- ექსპორტ/იმპორტის ლიცენზიებისა და ნებართვების მცირე რაოდენობა;
- იმპორტსა და ექსპორტზე რაოდენობრივი შეზღუდვების არარსებობა;
- ექსპორტისა და რეექსპორტის საბაჟო გადასახადებისაგან გათავისუფლება;
- ირიბი გადასახადებისაგან ექსპორტის გათავისუფლება;
- გამარტივებული საექსპორტო და საიმპორტო პროცედურები.

წინამდებარე ნაშრომის მიზანი არ არის საქართველოს საგარეო ვაჭრობის თითოეული მახასიათებლის დეტალური შესწავლა. დისერტაცია უფრო მეტად ფოკუსირდება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების ჩარჩოსა და ჩვენი ქვეყნისათვის საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული უფლებრივი პრივილეგიების მოცულობის დადგენაზე, ზემოთ მოცემული სავაჭრო პოლიტიკის რამდენიმე მახასიათებლის ანალიზის საფუძველზე. სანამ უშუალოდ

<sup>275</sup> Norway, Generalized System of Preferences - GSP - General Information, ხელმისაწვდომია: <<http://www.ictplgeorgia.ge>>, 14/04/2012 წლის მდგომარეობით.

<sup>276</sup> ამ საკითხებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია გზამკვლევაში ეკონომიკურ საკითხებზე მომუშავე დიპლომატებისათვის, იხ. ბმული: <[http://www.mfa.gov.ge/getattachment/SideBarMenu/LearningCenter/A5\\_GEO\\_2.pdf.aspx](http://www.mfa.gov.ge/getattachment/SideBarMenu/LearningCenter/A5_GEO_2.pdf.aspx)>, 16/05/2015 წლის მდგომარეობით.

გადავიდოდეთ დასახელებული საკითხების უფრო დეტალურ ანალიზზე, უპრიანია, მიმოვიხილოთ საქართველოს მიერ საერთაშორისო ვაჭრობის პოლიტიკის შემუშავების პროცესში ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებს გარეთ დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმებები, ისევე როგორც ვაჭრობაზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობიდან გამომდინარე ემო-სთან დაკავშირებული კონკურენტული იურისდიქციების საკითხები.

დღეისათვის საქართველო, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის გარდა, წარმოდგენილია მონაწილედ საერთაშორისო ვაჭრობაზე ფოკუსირებული შემდეგი საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში დადებულ ხელშეკრულებებში: დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება; სუამ-ის (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა) თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება; შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (BSEC); ევროკავშირი; ამ ორგანიზაციების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების მოქმედების პარალელურად, საქართველოსთვის მოქმედებს თურქეთთან გაფორმებული შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ და ამერიკის შეერთებულ შტატებთან ხელმოწერილი ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება, ე.წ. ჩარჩო შეთანხმება ვაჭრობისა და ინვესტიციების შესახებ.

აღნიშნულ საერთაშორისო ორგანიზაციებსა თუ საერთაშორისო ხელშეკრულებებში საქართველოს ჩართულობა მნიშვნელოვანია სწორედ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სადამფუძნებლო პრინციპებთან შესაბამისობის დადგენის თვალსაზრისით. ამ საკითხთან დაკავშირებით წინამდებარე ნაშრომი ყურადღებას ამახვილებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში მოქმედ ხელშეკრულებაზე თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ. კერძოდ, ეს შეთანხმება, რომელიც დაიდო მოსკოვში 1994 წლის 15 აპრილს, იმავე დღეს, რა დღესაც სავაჭრო მოლაპარაკებათა ურუგვაის რაუნდის მონაწილე სახელმწიფოებმა მსოფლიოს ამცნეს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ოფიციალური დაარსების ფაქტი, ყურადღებას იპყრობს, ერთი მხრივ, შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოთათვის ჩამოყალიბებული სავაჭრო რეჟიმიდან და, მეორე მხრივ, იმ სისტემიდან, რომელიც ამოქმედებულ იქნა ხელშეკრულების არაწევრი სახელმწიფოების მიმართ. ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს უფლება აქვთ, დამოუკიდებლად ჩამოაყალიბონ ის რეჟიმი, რომლის არსებობის პირობებშიც უნდა აწარმოონ სავაჭრო ურთიერთობები შეთანხმების არაწევრ სახელმწიფოებთან;<sup>277</sup> ხოლო ამავე შეთანხმების მე-8 მუხლი

<sup>277</sup> Commonwealth of Independent States, Agreement on the creation of free trade area between Armenia, Azerbaijan, Georgia, Belarus, Moldova, Kazakstan, the Russian Federation, Ukraine, Uzbekistan,

ადგენს, რომ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებმა არ უნდა გაავრცელონ უპირატესი მოპყრობა საკუთარ ტერიტორიაზე ნაწარმოებ პროდუქტებზე ხელშეკრულების მონაწილე წევრ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე წარმოებულ პროდუქტებთან შედარებით და, ამავე დროს, საგადასახადო კანონმდებლობაში განსორციელებული ნებისმიერი ცვლილების შესახებ დროულად შეატყობინონ ხელშეკრულ მხარეებს.<sup>278</sup> დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მიერ გაფორმებული ხელშეკრულება თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ მე-8 მუხლში არსებული ჩანაწერით თითქოს იმეორებს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სადამფუძნებლო პრინციპების მოთხოვნებს უპირატეს მოპყრობასთან დაკავშირებით და, ამავე დროს, პრაქტიკაში წარმოშობს მთელ რიგს პრობლემებისას - რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ საქართველო და, მაგალითად, უკრაინა, რომლებიც არიან ამ შეთანხმების მონაწილენი და, ამავე დროს, ვმო-ის წევრები, განსხვავებულ სავაჭრო პრივილეგიებს დააწესებენ ერთმანეთს შორის ვაჭრობაში და ამით გამოიწვევენ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სხვა წევრი სახელმწიფოების უკმაყოფილებას? მსგავსი ტიპის ყველა კითხვაზე პასუხის გაცემამდე უპრიანია, ასევე მიმოვიხილოთ წინამდებარე ქვეთავში მოხსენიებული სხვა საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმებებიც, რომელთა მონაწილეც არის საქართველო. ხელშეკრულებათა მიმოხილვამდე ყურადღებას ვამახვილებთ იმ გარემოებაზე, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში დადებული ზემოთ აღნიშნული შეთანხმების 2011 წლის განახლებულ ტექსტში საქართველო თავისუფალი სავაჭრო ზონის მხარე სახელმწიფოდ მოხსენიებული არ არის, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა სახელმწიფოებისათვის ერთდროულად ორი სავაჭრო ორგანიზაციის წევრობა პრობლემებს არ წარმოშობს.<sup>279</sup> გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად სასურველია, შესაბამისი უწყებების მიერ შემუშავებულ გზამკვლევში საქართველოს ეკონომიკური დიპლომატიის შესახებ დაზუსტდეს ეს ფაქტი და ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ საქართველო აღარ არის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის თავისუფალი სავაჭრო ზონის მონაწილე სახელმწიფო.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, საქართველოს თურქეთთან აქვს გაფორმებული შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. ეს ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება პრეამბულაშივე უთითებს მხარეთა ნებას - ვაჭრობა ერთმანეთს შორის წარმართონ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სადამფუძნებლო ხელშეკრულების ე.წ. მარაკეშის შეთანხმებისა და ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ამოსავალი პრინციპების შესაბამისად. ამ შეთანხმების მე-2

---

Tadjikistan, and the Kurguz Republic, Done in Moscow on 15 April 1994; art. 2, ამ ხელშეკრულების ტექსტის მოძიება მოხერხდა მხოლოდ ინგლისურ ენაზე.

<sup>278</sup> *ibid.* art. 8.

<sup>279</sup> დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ იხილოთ: Содружества Независимых Государств – Договор о зоне свободной торговли, ხელმისაწვდომია: <http://cis.minsk.by/reestr/ru/index.html#reestr/view/text?doc=3183>, ნანახია: 2015 წლის 10 ივნისს.



მუხლი ხაზს უსვამს მხარეთა შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაძლიერებისა და გაღრმავების მნიშვნელობას ორი ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის ასამაღლებლად.<sup>280</sup> შეთანხმება საინტერესოა იმ გადასახედისადაც, რომ ის მოიცავს არა მხოლოდ საქონლით ვაჭრობის სამართლებრივი რეგულირების საკითხებს, არამედ ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგების მექანიზმებსაც. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში დადებული თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებისაგან განსხვავებით, საქართველოსა და თურქეთს შორის გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულება არ უკავშირდება ე.წ. კონკურენტული იურისდიქციების პრობლემას საერთაშორისო სამართალში, უფრო კონკრეტულად კი, საერთაშორისო სავაჭრო სამართალში - იგი უფრო მეტად აკონკრეტებს ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის ვაჭრობის კოორდინებულად წარმართვის პროცედურებს, რაც უდავოდ მისასალმებელი ფაქტია.

მორიგი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის ფარგლებში დადებულ შეთანხმებაზეც ფოკუსირდება წინამდებარე ნაშრომი, არის სუამი. ამ ორგანიზაციის ფარგლებში წევრმა სახელმწიფოებმა 2003 წელს გააფორმეს შეთანხმება თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის თაობაზე. ხელშეკრულების პრეამბულა ამ შემთხვევაშიც ხაზს უსვამს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში დამკვიდრებული სავაჭრო პრინციპებისადმი პატივისცემის ვალდებულებას და ამატებს ჩანაწერს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტება, კერძოდ: შეთანხმების 1-ლი მუხლის შესაბამისად, თუ ტერმინთა განმარტება წინამდებარე შეთანხმებაში არ მოიძებნება, მხარეებმა ამ მიზნით უნდა მიმართონ სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციაში არსებულ ტერმინთა განმარტების წესებსა და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სადამფუძნებლო დოკუმენტებში არსებულ ნორმის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებულ პრაქტიკას.<sup>281</sup>

ეს ხელშეკრულება საინტერესოა ასევე იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი ცალკე გამოყოფს თავად შეთანხმებიდან გამომდინარე არსებული ვალდებულებებისა და მონაწილე სახელმწიფოთა სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობიდან გამომდინარე ვალდებულებების თანაფარდობის საკითხს, როცა უთითებს, რომ სუამის შეთანხმების მუხლები არ უნდა იქნეს გამოყენებული სხვა საერთაშორისო შეთანხმებებიდან და ორგანიზაციების წევრობიდან გამომდინარე არსებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და რომ მონაწილე სახელმწიფოები თავისუფალნი არიან, დაადგინონ საგარეო

<sup>280</sup> შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის, 2007 წლის 21 ნოემბერი, მე-2 მუხლი.

<sup>281</sup> Agreement on Establishment of Free Trade Area between the GUUAM Participating States (entry into force 10 December 2003); art. 1.

ვაჭრობის პრიორიტეტები იმ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში, რომლებიც არ არიან ხელშეკრულების მონაწილენი.<sup>282</sup>

რაც შეეხება შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციას (BSEC), რომელიც შეიქმნა 1992 წელს და რომელიც სხვა საკითხებს შორის ასევე აწესრიგებს შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებს შორის საერთაშორისო ვაჭრობის კოორდინებულად წარმართვის პროცესს, სადამფუძნებლო დოკუმენტში არ აკეთებს მითითებას ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დადგენილი სავაჭრო პრინციპებისადმი პატივისცემის შესახებ სწორედ იმ მიზეზის გამო, რომ ვმო შეიქმნა BSEC-ის დაარსებიდან ორი წლის შემდეგ, თუმცა ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ ზოგადი შეთანხმება მოქმედებდა 1947 წლიდან და იგი აყალიბებდა იმ ძირითად პრინციპებს, რომლებსაც ეფუძნება თანამედროვე საერთაშორისო სავაჭრო სისტემა. საინტერესოა, როგორი მიდგომა აქვთ BSEC-ის წევრ სახელმწიფოებს საერთაშორისო ვაჭრობის წარმოების მიმართ. ამ ორგანიზაციის წესდების შესაბამისად, წევრ სახელმწიფოთა მიზანია, ითანამშრომლონ ერთმანეთთან როგორც ორმხრივ, ასევე მრავალმხრივ დონეზე, საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების სრული გათვალისწინებით.<sup>283</sup> თუმცა საგულისხმოა, რომ ორგანიზაციის წესდებაში, რომელიც ოფიციალურად ძალაში შევიდა 1999 წელს, ანუ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დაარსების შემდეგ, არაფერია ნათქვამი ვმო-ის სადამფუძნებლო პრინციპების პატივისცემის მიმართულებით, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ გამოწვევას, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე დგას სახელმწიფოთა შორის ვაჭრობის პოლიტიკისა და სამართლებრივი რეგულირების ჩამოყალიბების პროცესში. ეს, ე.წ. იურისდიქციების კონფლიქტი, დღითიდღე უფრო მეტ თავსატეხს უჩენს სახელმწიფოთა წარმომადგენლებს სახელშეკრულებო ვადლებულებათა შესრულების თვალსაზრისით და ართულებს ისედაც საკმაოდ გადატვირთულ სავაჭრო სისტემაში ორიენტირების პროცესს.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის გაფორმებული ჩარჩო შეთანხმება ვაჭრობისა და ინვესტიციების შესახებ, რომლის მოქმედებაც დღეისათვის შეჩერებულია, საინტერესო ჩანაწერს შეიცავს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრობიდან გამომდინარე ქვეყნების ვადლებულებების მიმართულებით. კერძოდ: დოკუმენტის პრეამბულა, სადაც ხაზგასმულია საქონლით ვაჭრობის მნიშვნელობა და, ამავე დროს, გარემოსდაცვითი პოლიტიკის წარმოების მიმართულებით მხარეებს შორის მოწესრიგებული სავაჭრო ურთიერთობების წარმოების აუცილებლობა, ასევე ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების უცილობელი გათვალისწინება, იმთავითვე აკეთებს მითითებას ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სადამფუძნებლო დოკუმენტებისა და

<sup>282</sup> *ibid.* art. 22.

<sup>283</sup> Charter of the Organization of the Black Sea Economic Cooperation; Art. 3.

ამოსავალი პრინციპებისადმი პატივისცემაზე. თავად მხარეები ხაზგასმით უთითებენ, რომ წინამდებარე შეთანხმება არ გამორიცხავს მხარეთა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების უცვლელად მოქმედებას ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრობის ფარგლებში.<sup>284</sup>

მორიგი საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც იპყრობს ჩვენს ყურადღებას საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირების თვალსაზრისით, არის ევროკავშირი, უფრო ზუსტად კი, საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების შეთანხმების დანართი - შეთანხმება ღრმა და ყოველმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ, სადაც ასევე არის ხაზგასმული ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სადამფუძნებლო პრინციპებისადმი პატივისცემის ვალდებულება და მხარეთა სურვილი, განავითარონ თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობები ეკონომიკური სარგებლის მიღების უზრუნველყოფისა და მოქალაქეთა ცხოვრების დონის ამაღლების მიზნით.<sup>285</sup> ეს მიზანი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ, ევროკავშირის საბაზრო სისტემაში ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მსგავსად, მოქმედებს პრეფერენციების განზოგადებული სისტემა, რომელიც განვითარებადი სახელმწიფოებისათვის სავაჭრო ტარიფების ან სრულად, ან ნაწილობრივ მოხსნას ითვალისწინებს, ამ უკანასკნელთა საჭიროებების გათვალისწინებით.<sup>286</sup> ევროკავშირის ფარგლებში არსებული სავაჭრო შეღავათების გავრცელება საქართველოზე ძალიან კარგად ებმის წინამდებარე თავის დასაწყისში მოხსენიებულ შეღავათების სისტემას, რომელიც ჩვენი ქვეყნის მსგავსი წევრებისათვის არსებობს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სისტემაში.

თავად შეღავათების არსებობა და, თუნდაც, ნებისდამრთველი ნორმიდან გამომდინარე, არსებული რეჟიმის ამოქმედება განვითარებადი სახელმწიფოებისათვის ეკონომიკური განვითარების უკეთესი პირობების შესაქმნელად, უდავოდ არის პოზიტიური მონაპოვარი, რაც ცივილიზებულმა სამყარომ შეძლო და გამოსტყუა ე.წ. „გულქვა“ თუ „მშიერი მგლებით დასახლებულ“ მსოფლიო სავაჭრო სისტემას. მაგრამ ერთია შეღავათების არსებობა და მეორეა ის, თუ რამდენად უნარიანია სახელმწიფო, გამოიყენოს ეს შეღავათები. საქართველოს მაგალითზე კარგად ჩანს, რომ ჯერჯერობით ჩვენი ქვეყანა აქტიურად ვერ იყენებს ყველა უპირატესობას, რაც საერთაშორისო თუ რეგიონალური ორგანიზაციების ფარგლებშია შესაძლებელი, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ქვეყანაში არ არის სათანადო განვითარებული ინფრასტრუქტურა, რათა ისარგებლოს ამ თავისი ე.წ. შეღავათებით

<sup>284</sup> ჩარხო შეთანხმება ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს მთავრობებს შორის ვაჭრობისა და ინვესტიციების შესახებ, 2007 წელი, პრეამბულა.

<sup>285</sup> European Commission, “EU and Georgia conclude talks on Deep and Comprehensive Free Trade Area”, ხელმისაწვდომია: <[http://europa.eu/rapid/press-release\\_IP-13-721\\_en.htm](http://europa.eu/rapid/press-release_IP-13-721_en.htm)>; 24/05/2015 წლის მდგომარეობით.

<sup>286</sup> Generalised Scheme of Preferences in a nutshell, within EU, ხელმისაწვდომია: <[http://ec.europa.eu/trade/policy/countries-and-regions/development/generalised-scheme-of-preferences/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/trade/policy/countries-and-regions/development/generalised-scheme-of-preferences/index_en.htm)>; 24.05.2015 წლის მდგომარეობით.

უპირატესობებით - უცხო ქვეყნების ბაზარზე ინოვაციური პროდუქტის შეტანისა და ამით მეტი ეკონომიკური დოვლათის დაგროვების კუთხით.

აუცილებელია, რომ სახელმწიფომ საკუთარ თავზე აიღოს შესაბამისი პროცესების პატრონაჟი და ხელი შეუწყოს ქვეყანაში იმ მომსახურებებისა თუ პროდუქტების წარმოების პროცესს, რომელთა განვითარების პირობებში საქართველო დაიკავებს საკუთარ ნიშას საერთაშორისო სავაჭრო სივრცეში და ამით ხელს შეუწყობს არაერთი ურთიერთდაკავშირებული პრობლემის მოგვარებას, როგორებიცაა, მაგალითად: ვაჭრობა, დასაქმებულობის დაბალი მაჩვენებელი და არალეგალური მიგრაციის მაღალი საფრთხე, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, სერიოზულ დარტყმას აყენებს ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაციას და, ამავე დროს, აფერხებს განვითარების ახალი პერსპექტივების გახსნას საქართველოსათვის საერთაშორისო დონეზე.

რაც შეეხება იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომელთა მონაწილეც არის საქართველო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციისა და ევროკავშირის ფარგლებს გარეთ, უნდა აღინიშნოს, რომ დინამიკურად განვითარების პროცესში მყოფი საერთაშორისო სამართალი და, კერძოდ, სახელმწიფოთა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები მძლავრად წარმოშობენ კონკურენტული იურისდიქციების პრობლემას. ცხადია, ურთიერთგადაჯახებულ სამყაროში ძნელია, სახელმწიფოებს, საერთაშორისო სამართლის ძირითად შემქმნელ სუბიექტებს, აუკრძალოთ ამა თუ იმ სფეროში ახალი და ახალი შეთანხმებების დადება და ამით ეცადო პრობლემის მოგვარებას. ნაშრომის მიზნებისათვის უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროა საერთაშორისო თანამეგობრობის შეთანხმება, თუნდაც, სავაჭრო სივრცის ერთიან ხედვაზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული ერთი და იმავე საკითხის მომწესრიგებელი მზარდი ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების გაფორმება. თუ საერთაშორისო თანამეგობრობა აღიარებს იმას, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია არის ძირითადი მაკოორდინებელი სტრუქტურა სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში, მაშინ საერთაშორისო თანამეგობრობის მუშაობა უნდა წარიმართოს იმგვარად, რომ, სულ მცირე, საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება და ახალი სტანდარტების დანერგვაზე მოლაპარაკებების წარმოება ხდებოდეს ემო-ის ფარგლებში, ყველა რისკისა თუ სარგებლის ჯეროვანი გათვლითა და გათვალისწინებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, იქმნება ისეთი მდგომარეობა, რომ სახელმწიფოები მსგავს საკითხებზე იღებენ ვალდებულებებს სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულების ფარგლებში და პრაქტიკაში მოკლებულნი არიან მათი ჯეროვნად შესრულების შესაძლებლობას.

მორიგი საკითხი, რაზეც წინამდებარე ნაშრომი ამახვილებს ყურადღებას, არის საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის არსებული ურთიერთობები ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ დისერტაციის შესწავლის საგანი არ არის სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების მოწესრიგება, ეს

საკითხი მოხვდა განსახილველ თემათა რიგში სწორედ იმიტომ, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციას ნაგულისხმები კომპეტენციის ფარგლებში აქვს შესაძლებლობა, ეკონომიკური განვითარების მიზნებიდან გამომდინარე, არსებული სარგებლის დაგროვების ფაქტზე აპელირებით ხელი შეუწყოს სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებას.

## **VII. ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში ამ უკანასკნელის გაწვევრიანების ფონზე**

საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის არსებული ურთიერთობების სირთულე და მრავალწახნაგოვნება არ არის მხოლოდ დღეს ჩამოყალიბებული ფენომენი. მას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს და, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების თაობები სხვადასხვა ეპოქასა თუ პერიოდში ცდილობდნენ ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობების დალაგებასა და ერთიანი საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებას ამ მიმართულებით, პროცესები სურვილის შესაბამისად არ წარიმართა და მივიღეთ ის შედეგი, რაც დღეს გვაქვს. წინამდებარე ნაშრომის მიზანი არ არის, იტვირთოს ისტორიის როლი და გადააფასოს ის შესაძლო შეცდომები თუ საჭირო დროს სტრატეგიულად გადადგმული ნაბიჯები, რომელთა მომსწრენიც ვიყავით რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების მრავალწლიანი გამოცდილების ფონზე. ჩვენი მიზანია კვლევითი ამოცანების მისაღწევად იმ შესაძლებლობის შეფასება, თუ რამდენად ძალუძს საერთაშორისო სამართლით რეგულირებულ და ეკონომიკის ჩარჩოებში მოქცეულ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებს საქართველოსა და რუსეთს შორის არსებულ მოლაპარაკებათა მიმართულების შეცვლა და მშვიდობის დამყარება არა მხოლოდ ამ ორი სახელმწიფოს, არამედ მთელი რეგიონის მასშტაბით.

რუსეთის ფედერაცია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწვევრიანდა 2012 წლის 22 აგვისტოს, რაც დასტურდება ამავე ორგანიზაციაში დაცული ინფორმაციით. ერთი შეხედვით, არაფერი გასაკვირი იმაში არ არის, რომ ვმოს-ს მორიგი წევრი შეუერთდა და, შესაბამისად, „კლუბში“ შემავალ სახელმწიფოთა რაოდენობაც გაიზარდა, მაგრამ აქ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ასპექტი იჩენს თავს: რუსეთის ფედერაციის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწვევრიანებას დასტური მისცა სწორედ საქართველომ. წინამდებარე ნაშრომის არაერთი თავი თუ ქვეთავი ეძღვნება იმის წარმოჩენას, რომ ვმოს არის ის იშვიათი გამონაკლისი, რომლის შემადგენლობაში შემავალი ყველა სახელმწიფო თანასწორია და აქვს ხმის ამოდების უფლება, მიუხედავად ეკონომიკური სიძლიერისა თუ ტერიტორიული სიდიდისა. ეს კიდევ ერთხელ გახდა ცხადი სწორედ საქართველოსა და

რუსეთს შორის არსებული მოლაპარაკებების სხვადასხვა ეტაპზე, როდესაც საქართველო იყენებდა თავის ხელშეუვალ უფლებას, ვეტო დაედო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში მოხვედრის მსურველი კანდიდატის გაწვევრიანებაზე იმ შემთხვევაში, როცა ის ობიექტური ჭეშმარიტების არსებობის პირობებში მიიჩნევდა, რომ ეს კანდიდატი მზად არ იყო, ეტვირთა საერთაშორისო სავაჭრო ოჯახში მოხვედრის საპატიო და, ამავე დროს, გამოწვევებით სავსე ვალდებულება.

საქართველოს უფლება, ვეტო დაედო რუსეთის ფედერაციის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწვევრიანებაზე, გამომდინარეობს ორგანიზაციის სადამფუძნებლო დოკუმენტიდან, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია მარაკემის შეთანხმების სახელწოდებით. მარაკემის შეთანხმების XII,2 და IV,2 მუხლების შესაბამისად, გაწვევრიანების შესახებ გადაწყვეტილებები მიიღება მინისტრიალის კონფერენციაზე. მაშინ, როდესაც მარაკემის შეთანხმების XII მუხლი უთითებს ორგანიზაციაში ახალი წევრის მიღებისთვის წევრ სახელმწიფოთა 2/3-ის მიერ დადებითი პოზიციის დაფიქსირებაზე, ამავე შეთანხმების IX,1 მუხლი აცხადებს, რომ ვმო-ში მსგავსი ტიპის გადაწყვეტილებები მიიღება კონსენსუსით, შესაბამისად, ხმების დათვლა იწყება მაშინ, როდესაც სახეზეა კონსენსუსის მიღწევის შეუძლებლობა. კონსენსუსი კი მიიღწევა მაშინ, როდესაც ორგანიზაციის არცერთი წევრი შეხვედრაში მონაწილეობის დროს ოფიციალურად არ დააფიქსირებს საკუთარ უარყოფით პოზიციას ახალი წევრის მიღების მიმართ.<sup>287</sup>

საქართველოს მხრიდან ამ უფლების გამოყენება, ძირითადად, განპირობებული იყო ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების კიდევ ერთხელ დაფიქსირებით და რუსეთის ფედერაციის „დათანხმებით“ იმაზე, რომ ეცნო თავისი მეზობლის ტერიტორია საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ვმო-ში მოხვედრისთვის მთავარი ხელშემწყობი ხელშეკრულება არის ის ორმხრივი შეთანხმება, რომელიც დაიდო რუსეთსა და საქართველოს შორის საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმებთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების შესახებ.

ეს შეთანხმება ხაზს უსვამს მხარეთა სურვილს, განავითარონ ვაჭრობა და, ამავდროულად, გამოიყენონ საბაჟო ადმინისტრირებისა და სავაჭრო ბრუნვის სფეროში მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის მიერ დადგენილი სტანდარტები. ეს შეთანხმება ასევე ხაზს უსვამს მხარეთა მიერ დაფიქსირებულ სურვილს, დაიცვან საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის 1994 წელს გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაში განმტკიცებული პრინციპები, ისევე როგორც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში მოქმედი 1994 წლის

<sup>287</sup> Handbook on Accession to the WTO: Chapter 2, WTO Publication, ხელმისაწვდომია: <[https://www.wto.org/english/thewto\\_e/acc\\_e/cbt\\_course\\_e/c2s2p1\\_e.htm](https://www.wto.org/english/thewto_e/acc_e/cbt_course_e/c2s2p1_e.htm)>, 26.05.2015 წლის მდგომარეობით; იხილეთ ასევე: Decision of General Council of November 1995 - ANNEX 2. WTO Provisions on Accession; Accession Provision Of The Marrakesh Agreement.

ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ შეთანხმების შესაბამისი დებულებები.<sup>288</sup> ნიშანდობლივია, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში რუსეთის ფედერაციის გაწევრიანების შესახებ ხელშეკრულებაში მითითებას აკეთებენ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის 1994 წელს გაფორმებულ შეთანხმებაზე, რომლის პრეამბულა ხაზს უსვამს მხარეთა სუვერენულ თანასწორობას, ხოლო მე-7 მუხლში მითითებულია, რომ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად სარგებლობენ თავიანთ ტერიტორიაზე არსებული კანონმდებლობით დადგენილი ნორმებით.<sup>289</sup> ეს გარემოება იმთავითვე იპყრობს ჩვენს ყურადღებას. საკითხავია, რომელი ტერიტორიები მოიაზრება აღნიშნულ ჩანაწერში? ნიშნავს ეს იმას, რომ რუსეთის ფედერაცია ვალდებულია, აღიაროს საქართველოს საერთაშორისოდ დადგენილი საზღვრები, რათა განახორციელოს სავაჭრო ურთიერთობები ჩვენს ქვეყანასთან?

მხარეები ორმხრივი ხელშეკრულების დადებისას რადგან დაეყრდნენ 1994 წლის შეთანხმებას თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ, ეს იმთავითვე უსვამს ხაზს, რომ ისინი აღიარებენ ერთმანეთის საზღვრებს 1994 წლის მდგომარეობით.

შეთანხმება რუსეთსა და საქართველოს შორის საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმებთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების შესახებ, მეტწილად, დაიღო იმ მიზნით, რომ ორ ქვეყანას შორის დანერგილიყო სავაჭრო ტვირთის მონიტორინგის სისტემა სავაჭრო დერეფნებში სავაჭრო ტვირთის გადაადგილების მიკვლევადობის უზრუნველსაყოფად, მას შემდეგ, რაც ტვირთი შევიდოდა ტერმინალში. ამ ტვირთბრუნვაზე მონიტორინგი უნდა ეწარმოებინა ნეიტრალურ კერძო კომპანიას.<sup>290</sup> შეთანხმება სავაჭრო ტვირთის ბრუნვის მიზნებისათვის ითვალისწინებს სამი დერეფნის არსებობას, რომლებზეც შევიცარიის კონფედერაციის მიერ შერჩეული კერძო კომპანიის ზედამხედველობით უნდა დაწყებულიყო შეთანხმების შესაბამისი ნორმების პრაქტიკაში გატარება, მაგრამ დღეს არსებული მდგომარეობით, ცხადი ხდება, რომ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის მთავრობები ჯერჯერობით არ ჩქარობენ ამ პროცესის სისრულეში მოყვანას.

საინტერესოა, რომ შეთანხმების ტექსტში არ არის მითითებული, თუ რომელი დერეფნები მოექცა, მხარეთა გადაწყვეტილების შესაბამისად, ნეიტრალური მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებში (ტექსტში მოცემულია მხოლოდ დერეფნების დაშიფრული კოორდინატები), თუმცა ამ თვალსაზრისით საინტერესოა საქართველოს მთავრობის

<sup>288</sup> შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმებთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების შესახებ (2011 წლის 9 ნოემბერი).

<sup>289</sup> Agreement on Free Trade Between the Government of the Republic of Georgia and the Government of the Russian Federation (1994 წლის 3 თებერვალი).

<sup>290</sup> დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ: ურთიერთგაგების მემორანდუმი საქართველოსა და შევიცარიის კონფედერაციის მთავრობების დელეგაციებს შორის (2011 წლის 9 ნოემბერი).

წარმომადგენლისა და რუსეთის ფედერაციის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელს შორის არსებული მიმოწერა, საიდანაც კარგად იკვეთება როგორც საბაჟო გამტარი დერეფნების ადგილმდებარეობა, ასევე ის პრობლემებიც, რაც თავის დროზე ორი მოსაზღვრე სახელმწიფოს მთავრობების ურთიერთობებში ცხადდებოდა და არღვევდა ემო-ის სადამფუძნებლო პრინციპებს. ამ მიმოწერის მიხედვით, საბაჟო გამტარი პუნქტები მდებარეობს: აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში (განთიადი - ადლერი და როკი - ქვემო ზარამაგი), ასევე საქართველოსა და რუსეთს შორის არსებულ უშუალო საზღვარზე გახსნილ საბაჟო გამშვებ პუნქტზე, რომელიც ყაზბეგი - ზემო ლარსის სახელწოდებით არის ცნობილი.<sup>291</sup>

ეს ფაქტორი სრულიად საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში აუცილებელი გახდა რუსეთის ფედერაციის მხრიდან ოფიციალური აღიარება საქართველოს საერთაშორისოდ დადგენილი საზღვრებისა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიუხედავად, რუსეთის ფედერაციამ თანამშრომლობის, მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ შეთანხმება გააფორმა, ერთი მხრივ, აფხაზეთთან და, მეორე მხრივ, სამხრეთ ოსეთთან, რამაც საერთაშორისო თანამეგობრობის აღშფოთება გამოიწვია და ერთხმად იქნა დაგმობილი, როგორც საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დამრღვევი აქტი.<sup>292</sup> ევროკავშირისა და ნატოს ოფიციალური ხედვით, ეს ქმედება ეწინააღმდეგება როგორც საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, ასევე რუსეთის ფედერაციის მიერ 2008 წლის 12 აგვისტოს ხელმოწერილ შეთანხმებასა და მისი იმპლემენტაციის ინსტრუმენტს, რომელიც მიღებულ იქნა 2008 წლის 8 სექტემბერს.

საინტერესოა, როგორ გამოხატულებას იძენს ეს შეთანხმებები ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სამართლებრივ სისტემაში. აღსანიშნავია, რომ წინამდებარე ნაშრომის შესწავლის საგანი არ არის კონფლიქტების მოწესრიგების საერთაშორისო დონეზე არსებული მექანიზმების შესწავლა, ან იმ გავლენის შეფასება, რაც რუსეთის ფედერაციას აქვს დღევანდელ მსოფლიო პოლიტიკაში, რადგანაც ეს უფრო მეტად პოლიტოლოგიის მიმართულებით საკვლევი საკითხია. ჩვენი ძირითადი მიზანია, დავადგინოთ, თუ რა გავლენა აქვს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოქმედ სამართლებრივ ნორმებს ისეთი

<sup>291</sup> დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: Working Party on the Accession of the Russian Federation, WT/ACC/RUS/53, 18 July 2006.

<sup>292</sup> მაგალითისათვის იხილეთ: EU Statement on the signing of a “Treaty on Alliance and Strategic Partnership” between the Russian Federation and Georgia’s breakaway region of Abkhazia, PC.DEL/1425/14 27 November 2014; Statement by NATO Secretary General on the so-called treaty between the Abkhazia region of Georgia and Russia, 26 Nov. 2014; Norway does not recognise 'treaty' between Russian Federation and South Ossetia region of Georgia, 2015-03-18.



ამომავალი ეკონომიკების მქონე ქვეყნების უფლებების დასაცავად, როგორც არის საქართველო.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ დავეების განხილვის ის ეფექტიანი მექანიზმი, რითაც ემო-ს მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოაქვს თავი და, ამავე დროს, ორგანიზაციის სამართალშემოქმედებითი პროცესის ერთ-ერთი მთავარი მაკოორდინებელი რგოლია, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის მთავრობებს შორის გაფორმებული საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ვაჭრობის მონიტორინგის მექანიზმებთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციის მიზნებისათვის ვერ იქნება გამოყენებული, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მხარეები იმთავითვე შეთანხმდნენ, სადავო საკითხების გადასაწყვეტად მიმართონ მუდმივმოქმედ საარბიტრაჟო სასამართლოს, თუკი შეთანხმებითვე გათვალისწინებული ერთობლივი კომიტეტის ფარგლებში ვერ გამონახავენ მეგობრულ გამოსავალს.

ეს ფაქტორი, რა თქმა უნდა, საინტერესოა, მაგრამ არანაირად არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს საკუთარი უფლებების დაცვის ეფექტიანი მექანიზმი მთლიანად აქვს ხელიდან გამოცლილი. საქმე ისაა, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების მომენტიდანვე სახელმწიფოები აღიარებენ მარაკეშის შეთანხმების, მისი დანართებისა და დავეების განხილვის მექანიზმისადმი ერთგულებას. ეს კი ნიშნავს, რომ რუსეთის ფედერაციაზე, როგორც აწ უკვე ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრზე, სავალდებულო ძალით ვრცელდება ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპები, როგორებიცაა: დისკრიმინაციის აკრძალვა, სავაჭრო პროცესის გამჭვირვალედ წარმართვა, წევრ სახელმწიფოებში წარმოებული მსგავსი პროდუქტებისადმი იდენტური მოპყრობის რეჟიმის შექმნა, ადგილობრივი პროდუქციის უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენების დაუშვებლობა, შეღავათების ერთიანი სისტემის გამოყენება განვითარებადი სახელმწიფოების მიმართ ამ უკანასკნელთა ეკონომიკური განვითარების წახალისებისა და ხელშეწყობის მიზნებისათვის. ეს პრინციპები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ, მართალია, რეალობიდან გამომდინარე, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის მთავრობებს შორის საბაჟო ადმინისტრირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში წარმოშობილი სადავო საკითხის განხილვა არ ხდება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დავეების განმხილველი ორგანოს მიერ, ამ შეთანხმებაში მაინც გამოიკვეთა მხარეთა ნება, პატივი სცენ ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ ზოგადი შეთანხმების I, II, III, VIII და ა.შ. მუხლებს, რომლებიც სწორედაც რომ აყალიბებენ თანამედროვე საერთაშორისო ვაჭრობის უმთავრეს სამუშაო წესებსა და პრინციპებს.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სადამფუძნებლო დოკუმენტი – მარაკეშის შეთანხმება მკაცრად ჩამოთვლის იმ ძირითად მრავალმხრივ საერთაშორისო შეთანხმებებს, რომელთა იურიდიული ძალა ვრცელდება ყველა წევრ სახელმწიფოზე და რომელთა ფარგლებში წამოჭრილი დავეებიც უნდა იქნეს განხილული ემო-ის დავეების განმხილველი ორგანოს ფარგლებში. ამ შეთანხმების დანართების გაცნობის შემდეგ

ცხადი ხდება, რომ ის უკავშირდება თანამედროვე ვაჭრობის ყველა სფეროს, დაწყებული საქონლით ვაჭრობიდან, ინტელექტუალური საკუთრებიდან, ტექსტილიდან, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ღონისძიებებიდან, მომსახურებით ვაჭრობიდან, სოფლის მეურნეობიდან, დამთავრებული სამოქალაქო ავიაციის ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების მოწესრიგებით.

შესაბამისად, საქართველოს შეუძლია, ორმხრივი შეთანხმების გვერდის ავლით რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ გამოიყენოს ვმო-ის ფარგლებში არსებული მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები და მათი მეშვეობით მოახდინოს დარღვეული უფლებების აღდგენა. არავისთვის არ არის უცხო ის ფაქტი, რომ რუსეთის ფედერაცია მუდმივად ცდილობს საქართველოში წარმოებული პროდუქტის დაბლოკვას და მის არდაშვებას საკუთარ ბაზარზე. საინტერესო კი ის არის, რომ ეს ხორციელდება მუდმივად ცვალებადი მიზეზებით, თუმცა ერთი მიზეზი მაინც რჩება უფრო მეტად სტაბილური სახის მატარებლად - ეს ქართული პროდუქციის მიერ სანიტარიული სტანდარტების დაუკმაყოფილებლობაა. ის ნაბიჯები, რომელთაც ხელისუფლება დგამს რუსეთის ფედერაციასთან მიმართებით დიალოგის ფორმატში, სადავო საკითხების მოსაწესრიგებლად, უდავოდ მისასალმებელია და არსებობს მოლოდინი ქართული პროდუქციის რუსეთის ბაზარზე დაბრუნებისა, მაგრამ, ამასთანავე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ვმო-ის ფარგლებში არსებობს კიდევ უფრო ეფექტური და, ამავე დროს, მოქნილი სისტემა - თუ მოლაპარაკებების პროცესი ჭიანჭურდება და ქართული ბიზნესსექტორისთვის სასარგებლო შედეგების მიღწევა ოპერატიულად ვერ ხერხდება, საქართველოს მთავრობამ მიმართოს ვმო-ის დავების განხილვის სისტემას და კარგად არგუმენტირებული სარჩელის პირობებში პანელსა და სააპელაციო პალატას მიადებინოს შესასრულებლად სავალდებულო რეკომენდაციები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. ამას ისიც ემატება, რომ, როგორც უკვე აღინიშნა წინამდებარე ნაშრომის შესაბამის თავებში, ვმო-ის დავების განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილებათა აღუსრულებლობა იწვევს ორგანიზაციის ფარგლებში არსებული მეტად მძლავრი სანქციების მექანიზმის ამოქმედებას, რაც არც ერთი ქვეყნისათვის არ არის სასურველი, მათ შორის რუსეთის ფედერაციისთვისაც, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ვმო-ის ფარგლებში სახელმწიფოების უკან დგანან ბიზნესსექტორის წარმომადგენლები, რომლებიც, ამავე დროს, მოქმედ ხელისუფლებათა მთავარი სპონსორები და მათივე ხელისუფლების შენარჩუნების მთავარი გარანტები არიან. შესაბამისად, ქვეყანაში აკუმულირებული ბიზნესსექტორის განაწევა არც ერთი ქვეყნის მმართველ ელიტას არ აგდებას სახარბიელო მდგომარეობაში და ამ მხრივ გამონაკლისი არც რუსეთის ფედერაციაა.

## დასკვნა

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის უმთავრესი მიზანია წევრ სახელმწიფოებს შორის მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობების განვითარება, სამართლებრივ ჩარჩოში მოქცეული მშვიდობიანი გარემოს არსებობის პირობებში სავაჭრო ურთიერთობებში მონაწილე სახელმწიფოთა ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, საერთაშორისო ვაჭრობის კოორდინებულად და ეფექტურად წარმართვა, მსოფლიო ეკონომიკური გამოწვევების დაძლევა და მეტი ეკონომიკური დოვლათის დაგროვება. ორგანიზაციის დაარსების მომენტიდანვე წევრმა სახელმწიფოებმა აიღეს ვალდებულება, დაემორჩილონ მსოფლიო ვაჭრობის წარმოების საერთაშორისოდ აღიარებულ წესებსა და რეგულაციებს განჭვრეტადი და სტაბილური სავაჭრო გარემოს შესაქმნელად.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის როლი საერთაშორისო სამართალში დღითიდღე იზრდება და ფარავს სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების თითქმის ყველა სფეროს, რასაც მეტწილად განაპირობებს სწორედ მისი საგნობრივი იურისდიქცია და მის ფარგლებში დადებული მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების აღსრულების ეფექტიანი მექანიზმის არსებობა, რომლის შეუფერხებლად მუშაობის გარანტია ურუგვაის რაუნდის მოლაპარაკებათა შედეგად ჩამოყალიბებული დაგების განხილვის მექანიზმი, ისევე როგორც განვითარებადი სახელმწიფოებისათვის შეთავაზებული შეღავათების განზოგადებული სისტემა. ვმოდარსებით დღიდან მოყოლებული, აქტიურად მუშაობს, რათა თანაბრად იქნეს დაცული თავისი წევრი სახელმწიფოების ინტერესები და სავაჭრო უფლებები, მიუხედავად განვითარების დონისა თუ ეკონომიკური სისტემის სიძლიერისა, რაც იმთავითვე ნიშანდობლივი ფაქტია და, ამავე დროს, ქმნის გარანტიას ორგანიზაციის ფარგლებში შემუშავებული მრავალმხრივი სახელშეკრულებო ვალდებულებების აღსრულების თვალსაზრისით.

საერთაშორისო ვაჭრობის კოორდინებულად წარმართვის მიმართულებით მუშაობის გარდა, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია ასევე გვევლინება მნიშვნელოვან კონტრიბუტორად საერთაშორისო სამართლის ინტერპრეტაციისა და განვითარების საქმეში, კარგად ჩამოყალიბებული დაგების განხილვის მექანიზმისა და მძლავრი საერთაშორისო სახელშეკრულებო ჩარჩოს არსებობის პირობებში.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში წარმოშობილი საერთაშორისოსამართლებრივი ნორმების თანაფარდობის საკითხი ყურადსაღებია სახელმწიფოთა მიერ საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თვალსაზრისით. ის ფაქტი, რომ, შიდა სამართლისაგან განსხვავებით, საერთაშორისო სამართლის ნორმებს არ აქვთ მკაცრად განსაზღვრული იერარქია და საერთაშორისო სახელშეკრულებო ნორმები არ დგანან ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნორმებზე მაღლა, ყურადღებას იპყრობს ვმოდარსებით სამართლის ანალიზის თვალსაზრისითაც და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ჭეშმარიტებას, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია

არ შექმნილა საერთაშორისო საჯარო სამართლისაგან „კლინიკურ იზოლაციაში“, და რომ ის საკუთარი საქმიანობის წარმართვის პროცესში აბსოლუტურად იზიარებს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ საყოველთაოდ აღიარებულ სამართლებრივ წესებს.

საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლისა და ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ურთიერთმიმართების კვალდაკვალ ემო-ის სამართალში საკმაოდ დიდი ადგილი უკავია თავად საერთაშორისო სახელშეკრულებო ნორმათა შორის არსებულ კონკურენტული იურისდიქციების საკითხის შესწავლას.

ამ საკითხის განხილვის მნიშვნელობა გამომდინარეობს საერთაშორისო სამართლის დინამიკური განვითარების პროცესიდან, მასში ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სახელშეკრულებო ნორმებით რეგულირებადი სფეროების თანხვედრიდან და კონკურენტული იურისდიქციების დღის წესრიგში დადგომის პრობლემიდან.

კონკურენტული იურისდიქცია რეალურად თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში, მართლაც, წარმოშობს სამართლებრივ პრობლემებს, უფრო კონკრეტულად კი სახელმწიფოთა მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების პროცესის გარკვეულწილად შემაფერხებელ ფაქტორადაც გვევლინება.

თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ნორმების პარალელურ რეჟიმში არსებობა და დროში თანამიმდევრობა არის ის ძირითადი გამოწვევა, რაც დგას სახელმწიფოთა წინაშე სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების მიზნებისათვის და რაც კარგად გამოჩნდა ნაშრომში განხილული, თუნდაც, ეკოლოგიური სამართლის გადასახედიდან.

საერთაშორისო სახელშეკრულებო ნორმათა აღსრულების მიმართულებით არსებული გამოწვევები სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების გააქტიურებისა და, შესაბამისად, საერთაშორისო სამართლის განვითარების პარალელურად ყოველდღიურად უფრო მეტად აქტუალური ხდება. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა პრაქტიკის ანალიზი ცალსახად გამოკვეთს იმ აშკარა რეალობას, რაც უკავშირდება ეკონომიკური განვითარების სურვილსა და ემო-ის ფარგლებში არსებული ვალდებულებების პრიორიტეტულად შესრულებას. ქმედითი ნაბიჯებია გადასადგმელი იმ მიმართულებით, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის მკაცრად გაიმიჯნოს კომპეტენციები და მოხდეს პრიორიტეტების მკაფიოდ ჩამოყალიბება, რათა თავიდან იქნეს აცილებული საერთაშორისო ორგანიზაციების კომპეტენციათა ურთიერთგადაფარვა. მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ შეიმუშაოს გარკვეული სუბორდინაციის სისტემა, რომლის არსებობის პირობებში საერთაშორისო ორგანიზაციები შეინარჩუნებენ კარგად დამკვიდრებულ ავტონომიას და, ამავე დროს, მხედველობაში მიიღებენ ერთმანეთის სპეციალურ კომპეტენციებს ახალი საერთაშორისო სახელშეკრულებო

ნორმების შემუშავებისა თუ უკვე არსებული შეთანხმებების კონფლიქტური მუხლების განმარტების პროცესში.

ეს საკითხი უფრო მეტად მოწესრიგებულია თავად ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სისტემაში. ვმო-ის დაგების განმხილველი ორგანო შეისწავლის როგორც ხელშეკრულების ტექსტს, ასევე მისი ხელმოწერის კონტექსტს და იმ ობიექტსა და მიზანს, რომელთა გამოც დაიდო ხელშეკრულება. სწორედ ამიტომ ვმო-ის ფარგლებში დადებულ ხელშეკრულებებს შორის არსებობს გარკვეული ბალანსი, რაც, ერთი მხრივ, ხელს უწყობს სხვადასხვა ხელშეკრულებაში ურთიერთგამომრიცხავი ნორმების არარსებობას და, მეორე მხრივ, სახელშეკრულებო ნორმების ტექსტობრივი და კონტექსტობრივი ინტერპრეტაციის პროცესში ერთიანი პრაქტიკის შენარჩუნებას. ხელშეკრულების ინტერპრეტაციისას მოსამართლეს არ შეუძლია უფლებათა და ვალდებულებათა გადაბალანსება, აღნიშნული უფლება ორგანიზაციის წევრების პრივილეგიაა. ეს წესი გამომდინარეობს იქიდან, რომ თავად სახელმწიფოებმა შექმნეს ისეთი სისტემა, რომელიც ყველა წევრს ავალდებულებს, დაემორჩილოს ორგანიზაციის სავალდებულო და ექსკლუზიურ იურისდიქციას, სადაც ყველა მონაწილე ცდილობს, შეინარჩუნოს ბალანსი პოლიტიკაში.

ვმო არ შექმნილა საიმისოდ, რომ ეარსება დანარჩენი სამყაროსაგან „კლინიკურ იზოლაციაში“. ეს დასტურდება იმ უამრავი საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომლებიც მას აქვს გაფორმებული საერთაშორისო მონეტარულ ფონდთან, მსოფლიო ბანკთან, გაეროს განვითარების ფონდთან, გაეროს განვითარების პროგრამასთან, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან ვაჭრობისა და შრომის სფეროში, რაც კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს ვმო-ის სამართლის მნიშვნელობას, ერთი მხრივ, მსოფლიო მმართველობაში და, მეორე მხრივ, განვითარებადი სახელმწიფოების ხელშეწყობაში.

ეს ნაკარნახევი იმ გარემოებით, რომ კიდევ ერთხელ გაესვას ხაზი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კუთვნილებას საერთაშორისო საჯარო სამართლისადმი და, ამავე დროს, ხელი შეეწყოს განსხვავებული ხედვებიდან გამომდინარე შესაძლო გართულებების აღმოფხვრას, თუმცა პრაქტიკაში პრობლემები მაინც იქმნება. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სასამართლოები და ტრიბუნალები იზიარებენ სახელშეკრულებო ნორმის განმარტების საყოველთაოდ აღიარებულ წესებს, პრაქტიკაში არსებული გამოწვევები დაკავშირებულია მათ მიერ გამოყენებულ არგუმენტაციასთან, როდესაც იქმნება ისეთი შემთხვევა, რომ სამართლის ერთი და იგივე ნორმა სხვადასხვანაირად განიმარტება სხვადასხვა საერთაშორისო სასამართლოს მიერ. ეს ე.წ. კონკურენტული იურისდიქციების პრობლემა პრობლემად დარჩება, თუ არ მოხდება შეთანხმება ერთიან მიდგომაზე და ამ ხედვის დანერგვაზე გადაწყვეტილებების გამოტანის პროცესში.

